

119  
1958/3



# გნატიონი

532  
12

დობინაძე



1958

# მ ნ ა მ მ მ მ მ მ



ქოველთვიური ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

წელიწადი 36-ე

№ 12

დეკემბერი, 1958 წ.

საქართველოს საბჭოთა მწიგნობართა კავშირის ორგანო

9576

## უ ი ნ ა ა რ ს ი

ირაკლი აბაშიძე — პაოლო იაშვილს. ლექსი	33-3
კონსტანტინე გამსახურდია — დავით აღმაშენებელი. ტეტრალოგია. გაგრძელება	5
გიორგი ლეონიძე — კახური განთიადები. ლექსი	15
სოლომონ თავაძე — შორი გზა. მოთხრობა	20
ნიკოლოზ ტახონოვი — სერგო მთებში, პოემა. თარგმანი კ. კალაძისა	27
ვახტანგ გორგაძე — ისალი ტალღა. ლექსი	30
მარჯანი — მზითვის სარკე. ლექსი	31
ილია ხოშტარია — დედამიწის თანამგზავრი. ლექსი	31
შალვა ფორსხიძე — ლექსები	32
პოლიკარპე კაკაბაძე — ქარიშხალი. პიესა	34
გიორგი ჯიბლაძე — ხელოვნების შორეულ ძეგლებთან. გაგრძელება	75
ემილია პარდო-ბაზანი — ჯგაფათი, მოთხრობა. თარგმანი ბ. შირაძისა	90

### კრიტიკა და კვალციონობიკა

დოკ. გ. ჩაგელიშვილი — კომუნისმის მშენებლობის დიადი პროგრამა სსრ კავშირში	109
შალვა ამისულაშვილი — რევოლუციის მგზნებარე მომღერალი	119
ზურაბ ჭარბაძე — თანამედროვე კრიტიკული რეალიზმის ზოგიერთი საკითხის შესახებ	125
გაბრიელ მეგრელიშვილი — მიხეილ თუმანიშვილის მსოფლმხედველობის საკითხისათვის	130
ალ. ბენდიანიშვილი — ნიკო ნიკოლაძე და თბილისის საქალაქო თეოლოგიური სკოლა	136
კ. ქილიაშვილი — ძველი ბოლშევიკის მოგონება დიდ ოქტომბერზე	142

### ზიხილავთ ახალ ნაწარმოებებს

ჯემალ შარაშიძე — რომანი განხორციელებულ ოცნებაზე	147
ვიქტორ გუბუნია — „მეუღრო საეინის“ ბინადარი	153

(იხ. მეორე გვ.)

სახელმწიფო გამომცემლობა  
«საბჭოთა საქართველო»

ნოდარ კაკაბაძე — რევინ ჯგაფარიძის ახალი მოთხრობა . . . . .	83-157
ოტია პაპკორია — „ტალღები ნაპირისკენ მისწრაფიან“ . . . . .	163
ნოე პაიჭაძე — საქართველოს ეკონომიური განვითარების ისტორიიდან . . . . .	177-188



**მეშუარული ლიტერატურა**

ექვთ. თაყაიშვილი — მოგონებები. გავრძელება . . . . .	175
სამსონ დედოძე — ნიკო ნიკოლაძის ცხოვრებიდან . . . . .	193

**წიგნების მიმოხილვა**

ნოდარ რუხაძე — ლევან ვოთუას მოთხრობები . . . . .	188
ქოლა თევზაძე — ახალი ქართული ვრამატიკული ნაშრომი . . . . .	191
ახალი წიგნები . . . . .	ვარჯიანის შესაძე გე.

**რედაქტორი ს. ჩიქოვანი**

**სარედაქციო კოლეგია:**

**დ. ბენაშვილი, დ. გამეზარდაშვილი, ლ. კალანდაძე (პ/მგ. მდივანი), გ. მარგველაშვილი, ა. ქუთათელი, ს. შანშიაშვილი**

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ., № 63. ტელეფონი 2-13-42, 2-11-66.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 10/1-59 წ. ნაბეჭდ ფორმათა რაოდენობა 12. შვებუთა 616 უე 00601 ანაწყობის ზომა 7 1/4 x 12 1/2. ქალაქის ზომა 70 x 108. ტირაჟი 6500.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს მთავარბოლიგრაფიამომცემლობის ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი. თბილისი, მარჯანიშვილის ქ. 5.

Комбинат печати Главполиграфиздата Министерства культуры Грузинской ССР. Тбилиси, ул. Марджанишвили, 5.





იკალი აბაშიძე



# პოლო იაშვილს

ციკლიდან: „მიახლოვება ნახევარ საუკუნესთან“.

მსურდა ეს ფიქრიც,  
 ძველი დარდის ერთი ფურცელი  
 უხმოდ წამელო,  
 როგორც ვაჟკაცს მოეთხოვება,  
 მაგრამ დაენებდი,  
 სათქმელს ძველებს ვერ  
 გავუძელი. —

ძნელი ყოფილა  
 ორმოცდაათს მიახლოება.  
 ვწერ ამ სტრიქონებს,  
 იქნებ სულმა იგრძნოს დაცხრომა,  
 იქნებ გათავდეს,  
 შენზე ფიქრი აღარ მომიდნეს;  
 ყურში არ რეკდეს  
 იმ დღეს ჩვენზე ზეცის გაწყრომა,  
 ზაფრას გავექციე  
 იმ დასაწევად საღამოინდელს.

ახლა რად გვინდა  
 განსჯა  
 ყოვლის ამრევ-დამრევი:  
 სჯობდა, არ სჯობდა  
 შენგან შენზევ  
 თოფის გაწყობა;

იყო ნაბიჯი  
 გარდუვალი თუ ნაჩქარევი,  
 იყო გაქცევა ის გასროლა,  
 თუ ვაჟკაცობა.  
 შენ კაცი იყავ,  
 გქონდა კაცის ყველა თვისება,

წლობით შეგეძლო  
 გემიჯნურნა,  
 გეგრძნო,  
 გელოთა,  
 მაგრამ იმ ნაბიჯს  
 (დღეს, რად გვინდა ამის  
 მტკიცება)

იქნებ ყველასგან,  
 მაგრამ შენგან

არვინ ელოდა.  
 კეთილ ვარსკვლავზე  
 ბედნიერ დღეს დაბადებული,  
 ყველა სიკეთის მომხვეჭელი,  
 ცაში დამკერი;  
 მუდამ ზეიმაღ,  
 მუდამ ლხინად გამზადებული,  
 ძმობის შემგვრელი,  
 სუფრის თავი,  
 ბეჭის დამკრელი.  
 შეყვარებული მოქნილ სიტყვას,  
 მოძმის ქებასა,  
 სულ უზრუნველი,  
 სულ ჰარალი,  
 სულ უდარდელი,  
 გადაყოლილი მრუდს და მართალს...  
 ჰაი დედასა!

ასე გიცნობდა,  
 თუ გიცნობდა  
 სადმე ქართველი.  
 შენ არ მიგაჩნდა ეს არც ქებად,  
 არც რამ ჭინებად,  
 არც თუ ჩიოდი,  
 სად შენა და  
 სად საყვედური.

მაგრამ დღეს გეტყვი,  
 და ეს ჩემგან არ გეწყინება:  
 შენ არ შეგეძლო  
 და არც იყავ წინდახედული.  
 ვიცი, ჰო, ვიცი,  
 დღეს ამის თქმა არის იოლი,  
 ოცი წლის შემდეგ,  
 დროის წამლით განკურნებისას,  
 მაგრამ შენ მაშინ  
 იყავ მხოლოდ  
 კაცი ტრფიალი,  
 იყავ ამტყდარი,  
 მონაფარღე,

ბაღურ ნებისა.

ყველას უყოფდი შენს სიხარულს,  
 რაც გაგეზარდა,  
 გრძნობებს მისღვედი  
 უღვიროდ და უსადავოდ  
 და რადგან მგოსნის სიყვარულით  
 ყველა გიყვარდა  
 გეგონა არცვის  
 არც რამ ჰქონდა შენთან სადავო.  
 სიცოცხლის ეშხით,  
 ამქვეყნიურ ნექტრით დამთვრალი  
 შენი ვონება  
 შთაგონების ღმერთთან ომობდა  
 და თუ წესია,  
 თუ კაცსა აქვს რამ საშართალი —  
 შენთან სადავო  
 მართლაც ვის რა უნდა ჰქონოდა!  
 ორ საქართველოს  
 დაჯახების მოხვედი მიჯნაზე,  
 ბრძოლა ფიცხელი  
 ნახე ძველზე ახლის ჯობნების;  
 შენ ორთავ ქვეყნის  
 ტრფობა გეკრა გულის ფიცარზე,  
 როგორც ყმაწვილ კაცს  
 სიყვარული გაყრილ შშობლების.  
 და როცა ნაღდად  
 ორი ქვეყნის გზა გაიყარა,  
 იშვა ახალი  
 ქველი მიწის სიმყუდროეზე  
 შენ ვაჟკაცურად,  
 არა გულქვად  
 და ჰაიპარად

მგოსნის გულშივე

ჰკლავდი დარდებს  
 წარსულ დროებზე.

მაგრამ მოვეშვათ,  
 აქ ახალი არაფერია, —  
 ეს მხოლოდ მისთვის  
 მივაშველე  
 ლექსს იარაღად  
 რომ შეთქვა შენთვის  
 და ჰა, კალმით დამიწერია:  
 შენ იმ ბრძოლების,  
 იმ ჰიდილის  
 მსხვერპლი არა ხარ.  
 ძველ სამშობლოზე  
 შენ შეგეძლო  
 ლოცვით გელოცა,  
 ახალ მამულშიც  
 ვერცხლზე არა გაგიცვლია რა;  
 შენ,  
 შენ დაეცი იმ წელს,  
 როცა საქართველოზე  
 კენის სულის აღზევებამ  
 გადისრიალა.  
 თავად მტერთაგან  
 საქართველოს მტრებზე მითვლილი  
 სწუხდი, მეძახდი,  
 თან დამდეგდი ოცი წელია,  
 რომ გეთქვა ჩვენთვის  
 მაგ ოცი წლის შენი სიყვდილით,  
 მგოსანს ქეშმარიტს  
 რომ სიყვდილი არ უწერია.



## ღავით აღმაშენებელი\*

ბატრალოგია

გვევლინება გამგზავრების სამზადისი ჯგერაც მოთავებული არა ჰქონდათ მეჯინებეთუხუცესს, მენადირეთუხუცესსა და ბაზიერეთუხუცესს, როცა აზნაურმა მორკნეველმა შემოაჯირითა თავისი ფეხკავშა იაბო ნაქარმაგვევის სასახლის ეზოში.

მას ბარე ათორმეტი ლაზურად გაწვრთნილი მიმინო თან ჩამოეყვანა სპერდიანს.

სასახლეში ერთობლივი სიხარული გამოიწვია არამც თუ მიმინოების რაოდენობამ, არამედ ამ მტაცებელთა სანაქებო წვრთნამ.

როცა აზნაური მორკნეველი და სამი უაზნო მხლებელი მისინი ნაქარმაგვევისაკენ მოაჯირითებდნენ ცხენებს, მიზინოები კვალდაკვალ უკან მისდევდნენ მათ ფრენით.

გიორგი მეფე და დიოფალი ელენე წინ აღუდგნენ მარიამ დედოფლისა და გვანცას გვევლინებას.

საგაზაფხულო დიდროაი ჯგერაც მოთავებული არ არის, მანდილოსნები როგორ აიტანნო მდინარეებისა და ხეების ცხენდაცხენ გადალახვას.

მარიამი გაეჩქადა, აღდგომის წირვა ბაგრატის ტაძარში უნდა მოვისმინოვო უთუოდ.

უარესად გაჭირვეულა გვანცა: მეც თან უნდა წავეყვო დედოფალს.

მცხოვანთა მრავალგზისი შეგონებანი ამათ აღმოჩნდნენ, მარიამ დედოფალი, კუროპალატისსა მელიტა და შიმუნვარ-

თა წინამდგომი შარვაშიძის ასული, მზრავარ, სპილოსძელის კოფოვან ეტლში მოთავესდნენ. სამი ეპისკოპოზი და ხუთი დიაკონი ცხენდაცხენ ეახლნენ მათ.

გვანცამ ცხენით მგზავრობა მოიწადინა. ჯონდიმ და ნიანიამ საკმაოდ თვინიერი იაბო შეურჩიეს მას ელენე დედოფლის თავლაში.

დავითს თავისი საყვარელი ულაყი აღურსაი მიართვა მეჯინებეთუხუცესმა, ოცდაათი ცხენი სამარქაფოდ მიჰყავდათ მისრატულებსა და მეჯინიბეებს.

მეფეს სანიადგო ჩაბალახი ეხურა ჯაქვისა, ტანზე სანადირო კურტაკი ეცვა წვრილფარეშოსანი.

წითელ-ყვითელი ჩაჩებიტა და ჯუბებიტ მორთულნი ბაზიერეთუხუცესი და მენადირეთუხუცესი წინ წარუძღვნენ ბაზიერებისა და მეითარების მთელს ლეგონს. მახარამ და არტავაზ არშელმა იყისრეს სანადირო საქმეთა გამგებლობა.

ბაზთა ეყვენების ქლარუნმა და ძალლების ერთობლივმა ყვეამ გული აუჩვილა მეფე გიორგის. მას მოაგონდა ის „სვებედნიერი დღე“, როცა სიმეყოფილი მისი — იმპერატორი ნიკიფორე ბოტანიატეს თავისი ლოგოთეტებისა და დრუნგარებისაგან შემდგარი ამალით სანადიროდ და სალხინოდ ეწვია ბაგრატ კუროპალატს ნაქარმაგვევში, იმ ჯგერადაც ისეთი საზეიმო ვითარება სუფავდა სასახლეში.

ცნობილია: იმპერატორის ბოტანიატეს ძროხის ხორცი და უნიჭო ლექსების წერა ყოველივეს ერჩია ამ ქვეყნად, მიუხედავად ამისა, ბაგრატმა და გიორგიმ იგავმიუწვდნელი ნადირობა გაუ-

\* გავრძელება. იხ. „მნათობი“ № 11.

მართეს მას, ასზე მეტი ირემი, ორჯერ მეტი მშველი და ამდენივე ტახი მოინადირეს შიდა-ქართლის ტყეებში.



წინასწარ დასთქვეს: არსენ იყალთოელი, მხატვართუხუცესი თევდორე და ბუროთმოძღვართუხუცესი ერთი მზგევსის მანძილზე მოუცდიდნენ ტაო-კლარჯეთიდან და სამცხიდან მოსასვლელ კირითხუროთა და მათთან ერთად გაეზგზავრებოდნენ გელათს.

გიორგი ჭყონდიდელს დიახაც ეწადა გელათის მშენებლობისათვის თვალი გადაეკრა, მაგრამ მას უნდა მოეცადა სანამ გვარამ ბუქისციხის პატრონი არ გამოიჯობინდებოდა და ყიფჩაღეთს წარსავზავნ სარწმუნო კაცთ არ წარუძღვებოდა.



გიორგი მეფე ცას ეწეოდა სიხარულისაგან. ჯერ კიდევ ბროწეულის ქვეშ გამართულ მცირე საუზმეზე ფრიად მოიღბინა დავითმა. ატენური ღვინის სმასაც არ მოერიდა ამ ჯერად (თუმცა მას წესად ჰქონდა დათქმული: არა მარტო ომში მიმავალი, თვით სანადიროდ გამზავრების წინ არ ეტანებოდა ღვინოს).

თავის ჯავის ასეთი გახუმრებაც ფრიად იამა გიორგის: დავითმა ახმობინა აზნაური მორკნეველი და ღიმილით უთხრა:

„შენ და ქარიზან სეტეელი დედოფლის ეტლს წარუძებით შტორა, გეგუთს ჩასვლამდის დეე შენ ეგონოთ მეფე, ხოლო მე — ერთი უბიირი მენადირე ვინმე“.



გვანცა თაფლისფერ იაბოზე იჯდა. დაუოკებელმა მხედარმა გაახელა ეს თვინიერი ცხენი, გვანცა ხან შერევილ ლიბარტიანს ეჯიბრებოდა, ხან თავის ძმას, ჯონდის. დავითისა და ნიანას ცხენები ტაატით აღიოდნენ აღმართზე. ფაშიდან ეამზე ისინი შესდგებოდნენ და

თვალს მოავლებდნენ შემოგარენს.

ნიანია ამჩნევდა: როცა მათ უკან მომავალ ორ რაინდსა და ერთ მჭანდილსანს თვალს მოჰკრავდა მეფე, უჩვეულოდ ღელავდა. გვანცას ბროწეულის ყვავილისფერი ყაბახა ეცვა იმ დღეს; ორივენი შორიდან ამჩნევდნენ თუ როგორ დაუზოგავად აბტუნებდა ქალი თავის იაბოს დახრამულ ხევეზე.

მეფეს არ უნდოდა ეს მღელვარება მისი შეემჩნია ნიანიას და ამიტომაც სთქვა:

„ეწიშობ შერგილსა და ჯონდის ნაირევი არ დაეხსნათ დაუცხრომელი ჯიროთისაგან“.

კიდევ ერთი აღმართი მოათავეს ცხენებმა და მხედრების თვალწინ გადაიშალა ალუჩისა და ატმის ყვავილთა გირლიანდებით შემკული ვრცელი კაბანი.

ხეეს გადაღმა გუთნეულები სერავდნენ შავლეგო ორნატებით ზეგანს, მთების ფერდობებზე თხათა არევი შეფენოდნენ მაყვლოვანს.



როცა დავითი და ნიანია ისევ შეუდგნენ ცერალმართულ საცხენე ბილიკებს, ისინი უკვე თვალნათლივ ხედავდნენ ხეეს გადაღმა თუ როგორ ესალმებოდა ციხეთა და ეკლესიათა შემოგარენში მოგროვილი ხალხი მარიამ დედოფალსა და აზნაურ მორკნეველს. ზარების ერთობლივი ეღარუნი ხედახვევ დაჰქონდა ნიავს.

ნიანიამ თვალეზე ხელი მიიჩრდილა და სთქვა:

„ჰეშმარტად, აზნაური მორკნეველი შენა ჰგონიხართ მეფევე ბატონო“.

გვანცა იცინოდა და ხეობაში მიმავალთ გასცქეროდა.

დავითმა ღიმილით უთხრა ქალს:

„მე მუდამ დიდ სამსახურს მიწევდა შტორა. თურქებისათვის თვალის ასახვევად არა ერთხელ წარმიგზავნია იგი ლიხს გადაღმა, ხოლო მე თავათ უფლისციხეში, ან ნაჭარმაგევეში ვეშაადებოდი საომრად“.

როცა უკან მომავალი მხედრები წა-

მოეწინ, დავითმა ყველას გასაგონად სთქვა:

„მოდით ჩვენ მხარმარჯვნივ მივყავთ ხევს, იმ ნაცინხართან მოკლე გზაა ერთი ჩხერის ციხისკენ მიმავალი, ასე რომ დედოფალსა და მის ამაღლას ჩვენ ჩაუფსრებთ ჩხერის ციხეში“.

ცხენებმა უფონოდ გადალახეს ზათქით მიმავალი ხევის წყალი, ახლა ვენახიანი კაპანი დაიწყო. აყვავებული ატმებით დამშვენიერებულ ბაღებში გამოსული ხალხი საგახაფხულო სხვლით იყო გართული.

გუგულის ხმა მოდიოდა მხარმარჯვნივ მდებარე ველებიდან.

კამეჩები ტლაბოში ნებივრობდნენ, მგელძაღვლები უყეფდნენ ორლობებში ტატიით მიმავალ ცხენოსნებს.

ლაფში ამოთხვრილ კამეჩზე აღმხედრებული ფეხშიშველა ბიჭუნა არხეინად მიიმღეროდა:

„სიკვდილმა ჩამაიარა,  
ბერაკი დახვდა შინაო,  
შაუჯახუნა ბერაკმა,  
სიკვდილი შააშინაო“.

ცხენთა ფლოქვების ჩქამზე ტროლები დგებოდნენ ჩირგვებიდან, ლაქაშებში გატვრინული მშველები ფრთხილდნენ ანაზდად და ზეგანზე ელაღდნენ მათი თეთრად მოხატული უკანალები.

მამალი ხოხბები ხორხოციტ სტოვებდნენ კატაბარდებს და ცეცხლისფერი ფრთები ვასვასებდნენ ეთერში.

დავითი სტკბებოდა ბუნების თვალისმომჭრელ ფერთა სიუხვით, ნებივრად იჯდა ჯიქის ტყავით შემკულ მაღალ უნაგირზე, ხეობას გასცქეროდა ფიჭოში წასული და როცა მის უკან მომავალნი ცხენის კისრის სიგრძეზე წამოეწიენ ისევ, აგრე სთქვა:

„მე ისე ნაადრევად წარმტაცა სიჭაბუკის ღებენა განგებამ თუ ბედმა, როცა ასე უსაზნოდ დროს ეხარჯავ, ვჭირდავ ხოლმე ჩემსავე თავს, აგრე მგონა: დანაშაულს ჩავდივარ-მეთქი. ქეშმარიტად ბედნიერია იგი, ვისაც სიჭარბავეში

არ გადაყვება ხელიდან გამოცლილი/სიჭაბუკის დარდი.

მე ისეთი ძალოვანი მომავაზნო არსთაგანმრიგემ, სიბერის ზღურბლამდის თუ მივალწიე როგორმე, ალბათ ვერც კი მოვიგონებ ფუ როდის ვიყავი კაბუკი, ან როდის შევიმოსე მხციო.

მახარამ მიამბო ერთხელ ჯერაც სავსებით ყრმას ერთი ზღაპარი იმ ჯადოკაცის გამო, რომელიც უცნაურ ცხენზე მჯდარა თურმე და ცხენი იგი შვიდ კავშირს შეიცავდაო, ოქროისას, ვერცხლისას, იაგუნდისას, თითბერისას, რკინისას, ბროლისა და წითელი სპილენძისას და ირისეს დარად ანათებდა ის ცხენი თურმე ქვეყნის ოთხივე კიდეს.

ამ ცხენს ერქვაო რწმენა, აგრე ამბობდა მახარა.

მართლაც და თუ ადამიანს რწმენა აქვს, იგი უძლეველია უცალოდ.

ბრძენკაცის ნათქვამია ეგეცა: უკეთუ რწმენა გაქვს ურყევი, შესაბამე თუნდაც მთას: აღსდექ და შთავარდი ზღვაში, ეგ აგრეც მოხდება კიდეცა.

მე აგრე მგონია: რწმენა იგივე სიყვარულია და სიყვარული სიკვდილზე უძლიერესია უთუოდ“.

გვანცამ დეზი მოუცაცუნა თავის ცხენს, წამოეწია დავითს და სთქვა:

„მე კი აგრე მეოცნებება ჩემის დიაცური ჭკუითა, ჩვენო პატრონო, სიყვარულზე უძლიერესია სიკვდილი, ვინაიდან სიყვარულის დათრგუნვა ჩვენ დიაცაც ძალგვიძს, მაგრამ ყოველთა დამთრგუნველია სიკვდილი“.

ცხენოსნები უახლოვდებოდნენ უზარმაზარი ტაძრის ნანგრევებს, ჩაქცეული გუმბათებისა და წაქცეული კოლონების ნამუსრევები ეყარნენ ირგვლივ. მოხატული მშვილდურები და მოჩუქურთმებული თავკიდურები საოცარის ძალით დანარცხებულიყვენენ მიწაზე.

მეფემ ზედ ნანგრევთან შეაყენა ცხენი და სთქვა:

„ეგონებ შენ სცდები გვანცა. ხომ ზედავ ამ ნასაყდრალის გარშემო რამდენა

კლერტოა მშპარი ავშანისა. ისინი ყინვას დაუზრავს, მაგრამ მათ ძირში უამრავი შორჩი იზრდება ახალი“.

„უინ მოსთელის რამდენი ადამიანი დაზოცილა ამ ტაძრის დაცვისას, მეფევე ბატონო, საღლა არიან ახლა ისინი?“

„მათ ნაკვლად ჩვენ წარმოგვგზავნა არსთავანმრივემ გვანცა. ჩვენც აგრეთვე წავალთ და სხვანი შეგვეცლიან. ისე როგორც ავშანის არც ერთი მარცვალი არ დაუჯარგავს დედამიწას, ისე შემოინახავს ჟამი მომავალი ჩვენს სიყვარულსა და ჩვენს საქმეს.“

მეც ნათქვამი აქვს ბრძენს: ჯერ მდოგვის მარცვალი არ ჩავარდნილა სიცილიერში და მით უმეტეს სიტყვა კაცისა.

ხოლო მაცხოვარი ჩენი იესო უკეთ იტყოდა: ამინ გეტყვი თქვენ, არა მარცვალი იფქლისა დავარდეს ქვეყანასა ზედა და არა მოკედეს, იგი მარტო ხოლო ეგოს, ხოლო უკეთუ მოკედეს, მრავალი ნაყოფი გამოიღოს.

თუნდაც ეს საყდარი... მამა ჩემისაგან მაქვს განაგონი მურვან ყრუს დაუქვევია იგი, უფალმა ინება და სამიოდე საუკუნის შემდეგ მე წარმაგზავნა გელათის ასაგებად“.

დავითმა სადავე დაუმოკლა ცხენს. ჯერ იალბუზს შეავლო მზერა, მოწმენდილ ცას მიბჯენოდა მწვერვალი, მხოლოდ ბრუტ საბჭელის ზეთაგზე იდგა ურჩხულისებრ წაგრძელებული შავლეგო ღრუბელი.

ნიანია არწმუნებდა: იმ ღრუბელს შეწითლებული აქვს კიდენი ქარი ამოვოა ალბათ.

ერთი უტევანიც არა ჰქონდათ ვაგლილი, კავკასიონს გადაღმა გაითამაშა ელვამ.

დასაველეთიდან უკვე მიიჩქაროდნენ კრაველივით ხუქუქა ფრთილები ღრუბლისა.

დავითმა ღიმილით სთქვა:

„იცოდე ნიანია, მე როგორც მენადირე ერთგვარი მენცარი ვარ ბუნების ყოველგვარი ქირვეულობისა“.

უკვე აღარა სჩანდა ბრუტსაბჭელი.

კავკასიონს ერთობლივად გადაეკრა შაბიამანის ფერი. ლიხის მთა ზღვისფერი ვახდა. ნისლებმა კალთა დაიხიეს ხერხისებრ დაკბილულ ნაძვნარების წვეროკინეზე.

ფეხორილი ღრუბლები მოიჩქაროდნენ დასაველეთიდან, მხედრები უკვე ვრძნობდნენ წვეთ-წვეთად წამოსულ მხეფებს, თუმცა მზე ჯერაც სამზეოში იყო, რძისფერი ღრუბლებით გარსშემორტყმული.

მზე პირს იბანსო სთქვა გვანცამ.

დავითს გაელიმა, რადგან იგი ხედავდა პირის ბანაზე მეტი რამ მზადდებოდა ცაზე.

მას გზიდან უკან გაბრუნება არა სჩვეოდა, მაგრამ ამ ჯერად ყოყმანობდა, რადგან გვანცა ებრალებოდა. შეეკითხა კიდევაც ქალს:

ხომ არ გაგებრუნდეთო? მეც გვიჯობდეს წალელისთავის სასახლეში გავათიოთო ღამე?

„ჭირის დღესავით მძაგს შეფევე ბატონო გზიდან გაბრუნება. ვიაროთ, თუ ჩხერის ციხემდის ვერ მივალწიოთ, ვახანის ციხეში გავათიოთ ღამე“.

უკვე ატყდა მებთატება მთებში. ბოლოს მოისმა ისეთი ხმული, როგორიც მერეხის მოსელას წინ უძღვის ხოლმე.

გვანცამ ახალგაზრდული ხალისათ დასძრა თავისი იაბო. ცხენები ჯერ ოთხახმით მიდიოდნენ, როცა ანაზდად აბლავლდნენ ხეებში. ქეიდანური ულაცი და თქეური იაბო ეჯიბრებოდნენ ურთიერთს, ხოლო ორივენი ღამეს ვახანის ციხემდის მიღწევამო.

დავითი შიშობდა: გაჯიბრებისაგან გახელებულმა ცხენმა არ იმსხვერპლოსო გვანცა, ამიტომაც განგებისად ჩამორჩა უკან.

ახლა მომეტებულის სისწრაფით გაქენდა იაბო. დავითმა უკვე კარგად არ იცოდა მართლაც თუ ეუფლებოდა თავის იაბოს გვანცა. თუ მხედარს თავი წაართვა პირგამზიდარმა ცხენმა.

საფრთხე ყოველ წუთს იყო მოსალოდნელი. მდინარის გასწვრივ მიმავალი საურმე გზა ალაგ ალაგ დახორგილი

იყო ლოდებით. გვანცას ცხენი წარამა-  
რა ზედ გადაეკლებოდა ხოლმე მათ, არც  
დახრამულ ღელეებსა და ჩალეწილ ბო-  
ვირებს ერიდებოდა მხედარი.

იმბატა მერეხმა და დაბნელდნენ გარ-  
შემო მთები.

გაიგლეგებდა ანაზღად, მოიჭრებოდა  
ნამრუდისფერი სილუეტი იალბუზისა  
და კვლავ წყვილიად მოიცავდა მთებსა  
და გზებს.

შერევილა და ჯონდი წამოეწიენ ჭე-  
ნებით დავითს. მალემსრბოლი გამოეგ-  
ზაენათ, მარიამ დედოფალი და ების-  
კობოზები ველარ გადაეყვანეთო ადი-  
დებულ მდინარის გადმოღმა.

დავითმა უბრძანა სამივე სპასალარს:  
დაუყოვნებლივ გაბრუნდით, წადელის-  
თავში გაათიეთ ღამე, ზვალ თუ გადაიკა-  
რა, ჩხერის ციხეში მოგელოდებითო.

გვანცას ცხენი ამასობაში დაუცხრომ-  
ლად მიგვლავდა.

წყლის პირად მომდგარ კბოდეებიდან  
უკვე გადმოიჭრნენ ღვარცოფები და  
საურმე გზა თავათ მიემზგავსა მდინა-  
რეს.

ამ ვიწროებში უფრო გაორკვცდა  
საფრთხე: მდინარეში ფეხი არ გადას-  
ცდნოდა გვანცას ცხენს.

მთლად საოცარმა მღელვარებამ შე-  
იპყრო დავითი, იგი გამოუტყდა თავის  
თავს: მისთვის ძვირფასი არსება განსაც-  
დელის წინაშე იდგა. წინ გაიხედა: ქაჯი  
ხომ არ ჩასვლიათ გვამში ამ თაფლის-  
ფერ იაბოს, მაშინ ცხენოსნობის დიდ-  
ოსტატმა საშინელის სისწრაფით დას-  
ძრა თავისი ულაცო...

როცა მხედრებმა უზანგები უსწორეს  
ერთმანეთს, დავითი გადაიხარა და აღ-  
ვიროში წასწვდა გვანცას იაბოს.

უკვე საეგებით დაბნელდნენ მთები...  
ღვარცოფები ღვანდგარით ეშვებოდ-  
ნენ გზაზე, მიწისძვრებისაგან დაძრული  
ლოდები კბოდეებიდან გადმოსცქეროდ-  
ნენ გზას, როგორც ყალყზე შემდგარი  
მასტოლონები.

გადაიდარა უეცრად, დასავლეთისკენ  
გამოჩნდა გამოხურვებულ ოქროსებრ  
კასეასა კალთა ზეცისა.

ღვარცოფების ღრიალი მაინც არა  
ცხრებოდა. საღდაც ფოცხვერები ჩხა-  
ოდნენ.

დავითი ამჩნევდა, სტიქიონების გა-  
ცოფებას ალტაცებაში მოჰყავდა ქალი.  
განგებისად ჰკითხავდა:  
ხომ არ შეგეშინდაო?

„მე არა და შენ ჩემს მაგივრად რომ  
გეშინოდა ეს მაწუხებდა მხოლოდ. მე  
შენს გვერდით ჯოჯოხეთიც ველარ შე-  
მაკრთობს. მეფევე ბატონო“.

„ხომ არ ნანობ რომ არ დაგბრუნ-  
დით?“

„ბირიქით მე ეგზომ ბედნიერად არ-  
დეს მიგრძენია თავი.“

„არც სათაფლიაში?“

„არსად“.

დავითმა არა მიუგო რა. ახლა კი დარ-  
წმუნდა არტანუჯელ ბაგრატივანთა და-  
უოკებელი სისხლი რომ უღდუნდა ამ  
ქალს ძარღვებში.

გვანცამ სთქვა:

„მე მძაგს ის დიაცები რომელთაც  
ჰგონიათ თითქოს ცხოვრებას მარგალი-  
ტების მანიაკები და ოქროს ბეჭდები  
ამშვენებდნენ მხოლოდ“.

„მაშ რა ამშვენებს ცხოვრებას გვან-  
ცა?“

„მგონებ არაფერი ისე არ ამშვენებს  
ცხოვრებას, როგორც სიკვდილთან თა-  
მაში“.

დავითს გაეღიმა. ჩემი გულის ზრახ-  
ვები ხომ არ მოუბარავსო ამ დიაცს.

გვანცამ მცირე ხნის დუმისის შემ-  
დეგ კვლავ განაგრძო: „ჩვენს ოჯახში  
გადმოცემაა შემორჩენილი. ჩემი შორე-  
ული დიდდედა თავის დროის ულამაზე-  
სი მანდილოსანი ყოფილა.“

როცა სარკინოზების ამირამ ჯიბრა-  
ილმა არტანუჯის ციხე აიღო, ქმარი და  
სამი ვაჟი დაუხრცა დიდდედას. გამარ-  
ჯვებული ამირა ციხის კლიტეთა მისა-  
ღებად რა შემოვიდა დარბაზონში, დიდ-  
დედამ თმები გაიშალა, ფერხთით დაუ-  
ვარდა ამირას, როცა იგი ასაყენებლად  
წაებოტინა, ერთი ციდა სატევაირი ამკე-  
რა მტერს“.

დავითმა გაუღიმა ამის მოქმელს:

„აკი გეუბნებოდი სიყვარული სიყვ-  
დილზე ძლიერია-მეთქი, გვანცა“.

„როგორც სჩანს“ წაიღუდუნა ქალმა.  
ორი ჯოროსანი ბერი შემოეყარათ  
ცხენოსნებს. დავითმა ვახანის ციხე  
იკითხა.

კიდევ ერთ უტევანს გაველით, ხიდის  
ყურში სამლოცველოა. იმ სამლოცვე-  
ლოს გაცდებით და გოლოლოა ერთი,  
ფარი ვახანის ციხისა, მზირებს შეეყრე-  
ბით და ისინი თავათ გიჩვენებენო გზას.

დავითი ყოყმანით გაემართა ვახანის  
ციხისკენ. უთხრა კიდევაც გვანცას: მაგ  
ერისთავს ვახანს ერთი ძმა ჰყავს ყოვე-  
ლად ბილწი ვინმე, ქვაბავაჯათავანი  
ერთი.

შე მას განაბატყება მოუწყვე თავის  
დროზე, შესაძლოა მანდ დაგვიხედეს  
იგი. ყოველ შემთხვევაში ჩვენს ვინაო-  
ბას ნუ გავუმხელთ მასპინძელს. აზნაუ-  
რის მორკნეველის დაჲ ვართქო.

სამლოცველოს გარშემო კოცონი ენ-  
თო, ფეხშიშველა ბავშვები გალობდნენ,  
ქადაგად გაეარდნილნი აღტყინებულნი  
როკავდნენ, უაზრო ლექსებს რომავდ-  
ნენ თანაც...

„წინდა გიორგის კარზედა  
აღვის ხე ამისუღიყო,  
წვერზე დაესხა ურტყენი,  
საშველად შამისუღიყო...“

თეთროსან დაიკებს წითელი ზორტები-  
თა და ატმის ყვავილებით შემკული პა-  
წია აყენები ეჭირათ ხელში, გალობით  
გარს უვლიდნენ სამლოცველოს.

გვანცამ ხმადაბლა სთქვა:

„მართლაც, დღეს გიორგობაა“.

პირველ გოდოლამდის მისულნი არ  
იყვნენ, ორი მზირი წინ გადაელობათ.

დავითმა მამა-და-შვილი ერისთავები  
მოიკითხა.

ახალგაზრდა ვახანი და თანამემცხედ-  
რე მისი დავით მეფისა და მარიამ დე-  
დოფლას მისაგებებლად არიანო წა-  
სული, ზოლო პაპა ვახანი და ძმაი მისი,  
შინ ბრძანდებიანო სტუმრების მომლო-  
დინენი.

ციხის ეზოში ჩირაღდნიანი ხელშინა-  
ური დარბოდნენ, კოცონებზე ტრუსავ-  
დნენ საკლავს. წიფლის ზეშუბზე დაკლუ-  
ლი ცხვრები ეკიდნენ თავქვე, როცა სახ-  
ლთუხუცესმა მოახსენა ვახან ერისთავს  
აზნაური მორკნეველი და დაი მისი გე-  
ახლნენო, უსიამოდ შეიმშუშნა. მობრ-  
ძანდნენო სიტყვა მიუგდო სახლთუხუ-  
ცესს.

სასტუმროში შესვლამდის გვანცას  
აღერსიანად მიესალმა შიმუნვარი და სა-  
დედლოში თან წაიყვანა, ზოლო დავითს  
დაბალქერიან დარბაზში შეუძღვა სა-  
ხლთუხუცესი.

დარბაზის კუთხეებში სპილენძის სა-  
სანთლენი უნიათოდ ზრჩოლავდნენ,  
უამრავ ხატების ქვეშ უქრობელი ლამ-  
პრები ბეუტავდნენ.

ბუხრის წინ წვერგაბურძენილი თავ-  
მსხვილა, ბეჭკანიერი, კისერმოკლე მო-  
ხუცი იჯდა, გაბუშტულ ნესტოებიდან  
და განზე გამდგარ მსუქან ყურებიდან  
შავი ბეწვები ჰქონდა მას გამოჩრილი.

მის წინაშე მდგარ ურთხელის ტაბაკს  
შავწვერა ბერი მიჯდომოდა, კამეჩის  
ბუღასებრ ბრღლიალა თვალებს ბისტი  
ჰქონდა გადაკრული. შავოსანის ფერხ-  
თით თავმოტვლებილი, წვრილკისერა  
დიაკონი დაცუცქულიყო.

უცხოს შემოსვლისას, დიაკონი ზეწ-  
მოიჭრა, გრძელწვერა ერისთავი თავისი  
ძალოვანი მკლავებით საკარცხლულს  
დაებჯინა და წამოიწია, ზოლო შავო-  
სანმა უხიავად დაუბრიალა მარღია კა-  
მეჩის თვალისებრ მოთეთრო თვალები  
ახლადმოსულს და არც უცდია წამოდ-  
გომა.

მაყვალვით შავი ანაფორა ეცვა მ.ს.  
ოჭროს ჯვარი მკერდს უმშვენებდა.

როცა დავითი ბუხარს მიეახლა, ბე-  
რიკაცმა ყავარჯენი მოიზიდა, ისევ წა-  
მოიწია და სთქვა:

„შე მუხლები წართმეული მაქვს შვი-  
ლო, ზოლო ძმაი ჩემი ეპისკოპოზია და  
მას მხოლოდ მეფეთა და კათალიკოსთა  
წინაშე მართებს წამოდგომა“.

მერმე შავოსანს მიმართა ბერიკაცმა:

„ზრისტოდულე, გამოიწიე პაშტაი

ჩემსკენ, ალბათ შემცივნებული იქნება სტუმარი“.

ხრისტოდულემ ბერიკაცისკენ გააჩოჩა თავისი საკარცლული. ბუხრის კიდეში მიმჯდარი დავითი მართლაც შემცივნებული იყო, იგი მოელოდა ჯერ წესისამებრ ხელ-ფეხს დააბანინებდნენ, მაგრამ სადედოდან, საითყენაც გვანცა წაიყვანეს ხელშინაურთა, ნაბიჯების ტკაუნი და ჯამ-ჭურჭელის უხიაგი ჩხრილი და მოისმოდა.

„ხრისტოდულე“ სთქვა ისევ მოხუცმა ერისთავმა, ი ღვინოი დაუსხი სტუმარს და ერკემლის ბარკალი მიაწოდე“.

მან, ვისაც ხრისტოდულე უწოდეს, დიდხანს აფათურა სუფრაზე ხელი, ღვინო ჩაუსხა სტუმარს ჯამში და ნამადლევ პურივით მიუგდო ერკემლის ბარკალი.

(დავითმა შენიშნა შავოსანს მხედველობა აკლდა).

ბოლოს ისევ მოუფათურა ხელი სუფრას, ყელში წასწვდა ხელადას და დიაკონს უბრძანა:

ღვინო მოიტაო.

როცა დიაკონმა ნაბრძანი შეასრულა, ხრისტოდულემ ჯერ საკუთარ ჯამში ჩაისხა ღვინო, რა მოსინჯა, უცნაურად დაემანჯა სახე.

ძელგი ღვინო რად მოგიტანიაო.

დაუბღვირა დიაკონს, მერმე გადაუქნია მის გვერდით მდგარ მოცოროზ დიაკონს თავისი დეკაკური მარჯვენა და ისეთი ტყეცა მოტვლებილ თავზე, ტარაბუასავით დატრიალდა გვემული, მხოლოდ ამის თქმა მოასწრო დიაკონმა: ბნელოდაო მარანში.

როცა ხელახლა შემოაცანცალა დიაკონმა ხელადა, ხელახლა გასინჯა ხრისტოდულემ ღვინო და უხმოდ დაუსხა სტუმარს.

ხანგრძლივად ცხენით ნამგზავრი მხედარი დიხაბც მოშობული იყო, მაგრამ ამ დაბღვერილი მასპინძლების მიერ ეგზომ უთავაზოდ მიგებება და იმ ბედშავი დიაკონის გვემამ გული აუმღვრია მას.

დავითი ყოველ წუთს მზად იყო გვან-

ცა გამოეხმო სადედოდან, სახლოუბუცისისათვის ცხენები მოეტორება და დაუყოვნებლივ გასცლოდა ამ უცხვირბირო ერისთავის ციხე-კოშკს, ბოლოს მოთმინება არჩია მაინც, ჯამს ხელი წამოავლო, მზეგრძელობა უსურვა მასპინძლებს და უგერგილოდ შეექცა ერკემლის ბარკალს.

ახლა ეს და აწუხებდა დავითს: ვინ იცის ვგებ შემცივნებული და თავსხმაში ნამგზავრი გვანცა უარესს დღეში ჰყავთო ერისთავის შიმუნვარებს სადედო დარბაზონში.

დავითმა თავიდანვე შენიშნა: დაწვის-თავები შეფაკული ჰქონდათ ერისთავს და ბერს, მაინც ეძალეობდნენ ღვინოს.

ვახან ერისთავი სტუმარს მიუბრუნდა:

„შენ და შენი დაი როგორ და ასცილით მეფისა და დედოფლის ამაღას?“

„ჩვენ დილა ადრიან გამოვასწარიოთ ღვარცოფებს, შესაძლოა ისინი წაღვლისთავის სასახლეში გაბრუნდნენ ამაღამ.“

ვახან ერისთავი შეცფუნდა:

„მაშ ჩვენ ამოდ მოველით ამაღამ მათ?“ ესა სთქვა და ხრისტოდულეს მზერა ესროლა, როცა მან არა მიუვო რა, ვანაგრძო:

„ხომ ხელად ხრისტოდულე. ეს შესამეჯერ მომიწყო ასეთი რამ ჩემმა ვაჟმა, როგორც კი გაიგებს დავით მეფე ღვინს გადაღმა მიდისო, საკლავს დაახოცი-ნებს, წინ შეეგებება, ბოლოს დავით მეფე ჩხერის ციხეს ეწვევა და ჩვენ ამოდლოდინი შეგვრჩება“.

ერისთავი ცეცხლს მისჩერებოდა მცირე ხანს და მერმე წაიდუღუნა:

„ხომ ვეუბნებოდი ჩემს ვაჟს, ისინი წყლებზე ვერ გადმოვლენ და წაღვლისთავში გაათევენ მეთქი ღამეს.“

არ ვიცი რითი მონუსხა ეს ახალგაზრდობა ამ დავით მეფემ, როცა ჩემი ვაჟი ვახანი მის სახელს გაიგონებს, საბელით ვერ დააკვებ.

ეს ღვარცოფები მდინარეებსაც გადარევდნენ ალბათ, ვინ იცის რა შეემთხვათ ამაღამ“.

ხრისტოდულემ კვლავ დუმილით მო-  
ისმინა ნათქვამი, ჯამი გაივსო, სტუმარ-  
საც უწილადა, მაგრამ საცხე ჯამს გა-  
დააქდინა და სუფრაზე დაღვარა ღვინო.

როცა ვახან ერისთავს უფრო მეტად  
მოეკიდა ღვინო, ვაბოროტებულმა  
სთქვა:

„არც ბაგრატ მეფე და არც გიორგი  
მეფე ისე არ გადავიდოდნენ ღვინოს გაღ-  
მა ჩემს ციხე-კოშკში ღამე არ გაეთათათ.“

მე ას და მერვე წელს მივაბჯინე უკ-  
ვე და მართლის თქმას ვერავინ დამიშ-  
ლის. არც ერთი მამალი ისე გულით არ  
უხმობს განთიადს, როგორც მე სიჯ-  
დილს. აბა რათ მინდა ასეთი სიცოცხლე  
ოთხი ფარეში მომათრევს ხოლმე ამ  
ბუხრამდის“.

ხრისტოდულემ წაიდუღუნა:

„მართლის თქმა განა მარტოდენ  
პერკაცათვის, ყრმათათვისაც არ უნდა  
იყოს დაშლილი, მაგრამ დავით მეფემ  
პირში ბურთი ჩაგვჩარა დიდსა და  
მცირეს, მოყურიადენი ბევრი ჰყავს  
მთელს სამეფოში, თავით ყველას თავა-  
ზიანად ეგებებდა, ხოლო ტაჯგანალები  
და ბორკილები ქარიმან სეტყელს გადა-  
აპირა“.

ვახან ერისთავს უკვე მაგრად მოეკი-  
და ღვინო. მან უზომოდ აქო და აღიდა  
ყოველად ქრისტიანი მეფე, კუროპალა-  
ტი ბაგრატი. ჯავახეთში, და კლარჯეთ-  
ში ვსლებივარო მას დაუცხრომელ  
ომებში.

„როცა აღფ-არსლანი შემოიჭრა კა-  
ხეთ-პერეთში, წინაი დაიკვიტა კახთა  
მეფემ აღსართანმა და მისცა სულტანს  
ციხენი კახეთისანი, ბოლოს ძალით მო-  
ირთო სულტანმა აღსართან კახთა მეფე,  
გაგიკ სომეხთა მეფე, ხალისიანად ეახ-  
ლა სპიანად სულტანს ტფილისის ამირა.  
ბაგრატ მეფე წეროვანთან შეება სულ-  
ტანს, მე შარცხენა ფრთას ვსარდლობ-  
დი, სისხლის მწვიმელი ღრუბელი მო-  
ეფინა ქართლს, ეს იყო თვე დეკემბრისა  
და იმ გაუძლისს ქარბუქში ვებრძოლეთ  
თურქებს სანამ ხოროსანს არ გაბრუნდა  
სულტანი“.

როცა ბაგრატ მეფის შესანდობარი

დალია ვახანმა, ახლა გიორგი მეფეს  
უსურვა მზეგრძელობა და აღიდა იგი  
ვითარცა „უუხვენი მეფე და მურად  
უკეთესი ყოველთა კაცთა“. და სთქვა:

„მისთვისაც ათასგზის დამიშვენიებია  
მხარი ტაოს კარსა და კარნიფორში,  
ფარცხისსა და სამშვილდეში, ცხენს ვა-  
მოუკლავდნენ. თუ არა — მყისვე საკუ-  
თარს მივართმევდი, მისთვის მოქნეული  
ხმლისათვის ათასგზის შემიშვერია  
მკერდი.“

ფარცხისის ომის უკანასკნელ საღამოს  
უსასტიკესი იერიში მოიტანეს ზორას-  
ნელებმა ლაშქრის გულზე, მეფე და ტაძ-  
რეული შიდა ქართლის სიბიდან მოსწყ-  
ვიტეს. არაგვეთელი შუბოსნები ეძვერ-  
ნენ თურქებს.

გიორგი მეფის ტაძრეულიდან სამი  
კაცი ლა გადაჩა ცოცხალი. იგი და  
ქყონდიდელი ხმაღს იქნევდნენ გაათ-  
რებულნი. ამ დროს არაგვეთელ მეწინა-  
ვეთა წყობა გაარღვია უზარმაზარ  
აჯილდაზე მჯდარმა ზორასნელმა ამი-  
რამ და მეფისაკენ გამოემართა.

მაშინ გადაეხტი ცხენიდან, მუხლებზე  
ხოხვით გაძვერი ყალბზე შემდგარ  
ცხენთა მუცლის ქვეშ, ხელშუბი ვაძვე-  
რე ამირას ულაყს და როცა მწვანეჩა-  
მიანი ახმაზი მიწაზე დახორდა, წამოვა-  
ჯექი და სატევარით ისე გამოვლადრე  
ყელი, როგორც ქართლელი გლეხი სა-  
შობაო ღორს დაკლავს ხოლმე.

მაშინ დავით მეფე დაბადებულიც არ  
იყო, და იმ დღეს რომ არ შემარჯვნა,  
იგი ველარც მოვიდოდა ამ ქვეყანად“.

ერისთავი მცირე ხანს ცეცხლს მისჩე-  
რებოდა, მერმე სთქვა:

„მე დასამალი არაფერი მაქვს, დღეს  
ხვალ ჰაბათა ჩემთა ზეციერ სამყოფ-  
ლოს უნდა მივაკითხო. თუნდაც დავით  
მეფე რომ უჯდეს ამ ტაბაკს მასაც პირ-  
ნათლად ვეტყოდი სიმართლეს.“

ორივე ფეხი მეფეთა და მამულისათ-  
ვის გარდახდილ ომებში მაქვს დაკარ-  
გული.

განა მარტო ეგ, სულკურთხეულ მამა  
ჩემს ცამეტი ვაჟი ჰყავდა, ხუთნი ბრძო-  
ლის ველებზე დარჩნენ, ექვსი მძიმედ

დაჭრილი შინ მოვიყვანეთ, ორი წლის მანძილზე ექვსი ვაჟიანი გავიტანეთ ამ ციხიდან.

ეს ერთადერთი ძმაი დამრჩა, ხრისტოდულე, დავით მეფემ არად ჩააგდო ჩვენი ოჯახის ამაგი, განპატიება მოუწყო ხრისტოდულეს.

სამწესო წაართვეს, ლოგინად ჩავარდა ბედშავი, ბოლოს თვალეებზე ბისტი გადაეკრა დაზაფრულს.

ესათ და ხარკები ჰყავდაო ებისკოპოსს. ხარკები ვის არა ჰყოლია? განა ერთი ან ორი ჰყავდათ სულგურთხეულ ბაგრატ მეფესა და მამას მისას გიორგის, ახლა ბიზანტიის კეისრებს რამდენი?..

ღიაცო მისთვისაც ვაჩინა უფალმა რომ მამაკაცი დასტკბეს მისდამი სიყვარულით, აბა რისი მაქნისია ღიაცო?"

ახლა ხრისტოდულემ აღლესა მახვილი მხილებისა. თავისი მარლია თვალეები მიაშტერა გაოგნებულ სტუმარს და ჰკითხა:

იოანეს სახარება თუ წავიკითხავსო?

თვალი გადამიკრავსო ერთხელ, თავმოდრეკილად მიუგო კითხულმა.

„აბა ერთხელ მეტად თუ არ წავიკითხავს, შინ მისულმა მოსძებნე მუხლი ჰეათე და მუნ სწერია:

„ხოლო მწიგნობართა მათ და ფარისეველთა მოვიყვანეს მასა დედაკაცი რომელი ცხადად ერსა ზედა დაეპყრა მრუშებსა და დაადგინეს იგი შორის და ჰრქუეს მას: მოძღვარ ესე ცხადად მრუშებსა დაეპყრა. ხოლო იესო თითითა ქვეყანასა ზედა სწერდა და არას ეტყოდა და კვლავ ჰკითხვიდეს მას. აღმართა ზე და ჰრქუა: ვინ უცოდველ არს თქვენგანი, პირველად დაუტევენ ქვაი მაგას ზედა“.

რუს-ურბნისის საეკლესიო კრებაზე მრავალ წარჩინებულ ქორეპისკოპოსს და ეპისკოპოსს მოუწყო დავითმა განპატიება, პატივითა დაკლებადი ზოგთა, მამული წარუხვნა სხვათა. ვითომდაც ხარკის ყოლისა და მრუშობისათვის.

ახლა ვიკითხოთ ჰქონდა თუ არა დავით მეფეს ამის უფლება ქვაი ესროლა

ყოვლად ქრისტიან მღვდელმთავართათვის?

ძმანი თავადთაგანნი ეკლესიებიდან და მონასტრებიდან განაძო, ნაბიჭვართა და უგვართთა აღზევებას შეუღვა.

ხოლო თვითონ განა მარტო მრუშობაში უღვეს წილი? ქრისტიან მეფისა და ერის მთავართა სისხლითა აქვს ხელედი მოთხვრილი.

აღსართან კახთა მეფე მან მოაშთობინა, მისმა სპასალარებმა ომში მოკლეს ლიბარტისძე რატი, დილეგში მოაშთვეს ზედზენის ციხის პატრონი ძაგან ერისთავი, ექსორია მოუწყო კლდეკარის ერისთავს ლიბარტს, მეუღლეს მისს მიუჩინა ნახევრად დანგრეული მონასტერი ერთი, მხოლოდშობილი ასული მათი ხარკად დაისვა, მერე რა მოვიკდა, ლიახში დაახრჩობინა ქარიზან სეტრელს.

ახლა როგორც გეუწყვეს, მართლმორწმუნე ქრისტიანთათვის თვალს ასახვევად სარწმუნო კაცნი წარგზავნასირიასა და პალესტინას, ამოდ აძებნინა ის ბედშავი ღიაცო.

ლიბარტისეული ციხენი და საქურჭლენი თავათ მიითვისა. რატისეული მამული არგვეთის საერისთაოში გელათისათვის შეუწირავს ამას წინად.

ყოველივე ამას როდი დასჯერდა. თავვერის ერისთავის ასული ხარკად ჰყავს. შამან ერისთავი უსინათლოა და ამას ვერ ამჩნევს, მაგრამ გულარეული მართლმორწმუნენი თვალნათლივ ზედივენ ამას ყოველივეს.

რაც მთავარია: შამან ერისთავის ასული არტანუჯელი ბაგრატოვანთა ნაშერი, სისხლისმიერი ნათესავი მისი, ახლა ეს თავათ განსაჯე, რამდენად შეეფერება ეს ყოველივე ქრისტიან მეფეს?"

ხრისტოდულემ ღვინო მოსვა და შეეკითხა სტუმარს:

„რისთვის მიემგზავრება თუ იცი ლიხს გადაღმა დავით მეფე ამ ჯერად?"

„გელათის ტაძრის ასაგებად, ვგონებ“.

„განა თუ ერთი ტაძარი სამას სამოცდახუთი ეკლესია რომ ააგოს მან, განკითხვას მინც ვეღარ ასცდება იგი“.

დავითს ლავასავით გადენთხა სახეზე ამ ცილისწამებათა ღვარცოფი, მაინც მტკიცედ იცავდა დუმილს. ხოლო ხრისტოდულემ განაგრძო:

„გუშინ წინ მეროჭიკე ბერებმა ამბავი ჩამოგვიტანეს ნაქარმაგვევიდან, ახლა ყიფჩაღეთს ავზაენის თურმე მეფე თავის სარწმუნო კაცთა, რათა ყოვლად ქრისტიან ბავრატოვანთა ტახტზე უმჯულო ყიფჩაღთა ნაშიერი დაგვისვან დედოფლად“.

გამომთვრალმა ბერმა ზეასწია თავისი შავად გაჯაგრული მარჯვენა და სთქვა:

„მე ერთი ვეყოფი მას მაწყევარად და უფლის წინაშე შემსმენელად. დავით მეფეს არამც და არამც არ ასცდება ქვესკნელის გენია და ჯოჯოხეთის ცეცხლი უშრეტელი“.

მოუხშირეს ციხის მამლებმა ყივილს. შუალამე უკვე გადასული იყო, როცა

სახლოუხუცესმა სასტუმრო დარბაზონში გერძის ბუმბულეზე დაჯდომისას, მაგრამ ძილი მაინც არ მოეკიდა.

მახლობელ ოთახში თავმოტყვეპილი დიაკონი დაღადებდა:

„უფალო, რა გამრავლდეს მაჰირეებელი ჩემნი და მრავალნი აღსდგეს ჩემზედა, მრავალთა კრქვიან სულსა ჩემსა.“

ხოლო შენ უფალო, მზე ჩემდა ხარ, დიდება ჩემდა და ასამაღლებელ თავსა ჩემსა.

მე დავწევ და დავიძინე და განვიღვიძე, რამეთუ უფალი მწე მეყო მე, არა შემეშინის მე ბევრეულისგან ერისა.

აღსდგე უფალო, მაცხოვრე მე ღმერთო ჩემო, რამე თუ შენ დასდენ ყოველნი, რომელი მემტრნენ მე ამოოდ.

კბილნი ცოდვილთანი შენ შემუსრენ. უფლისა არს ცხოვრება და ერსა შენსა ზედა არს კურთხევა შენი და დიდება“.

(გაგრძელება იქნება)

გიორგი ლონიძე



კახური განთიადები

(ნაწყვეტები ლირიული პოემიდან)

მინდა ლექსით მოვირთველო  
საქართველოს ყველა კუთხე...  
რომ ამოდ არ დავთვლო,  
ვაეავ, სიტყვა შენ მიკურთხე!  
პოეტი ვარ შენი ზნისვე,  
მასვე ვიტყვი,  
რაც შენ გსურდა...  
ვხედავ, ვხედავ ალაზნის ველს,  
ჩემს მკლავებში შემოცურდა!  
მინდა სიტყვა მოვირთველო,  
ისიც ვიცი, იალმასებს;  
რომ ვახარო საქართველოს  
მე კახეთის სილამაზე...

სიკაბუჯის საჯინიბო,  
გამიღეთ და გამიხსენით,  
რომ აეუშვა საჯირითოდ,  
მონავარდუ ლურჯა ცხენი!  
მობრიალდი, შენ, არწივო,  
დამარწიე ლეგა ფრთებზე,  
მინდა ლექსი დავამძივო,  
კიევგომბორის მწვანე მთებზე.  
ჩემი ყრმობა გომბორზეა,  
იქ დამრჩა და იქ იპოვეთ!  
იქ მზე რომ დგას, ჩემი მზეა,  
მისი სხივი ზრდიდა პოეტს...  
მე გუნება ამ ლურჯ მთების  
ყრმობიდან გულს ჩამდებია!  
თუ ვარ ქართლის თანამდები, —  
ეს მთა მისი თავმდებია...

• • •

შორს წალურჯო ნისლი მოჩანს,  
შეთვალეზულ ყურძნის ფერი...  
ვიღაც ნელ-ნელ ასწევს დროშას,  
სარდალი თუ ზევისბერი.  
გამკვირვალა ილტვის ნისლი  
განთიადის წინა ბჰეზე

აქეთ-იქით ვიღაც ისვრის  
თამარ მეფის საყურ-ბეჭედს.  
ზონზისფერი, ვარდისფერი  
ეფინება კრთომით ციავს,  
ლიმნაციისკრევს,  
უცისკროვნებს,  
გამოწურულ ვერცხლის ციალს,  
და ჩაწურულ ვერცხლის ბრწყინას,  
მარჯნის რღვენას  
და მარწყვის წარღვენას, —  
სილამაზის უკვდავ კერას  
ვერ მოვწყვიტე ჩემი ცქერა...  
მზე ამოდის მოერთბაზე,  
აბრიალდა გზა და შარა...  
თითქოს ქალმა მოკაშკაშემ  
კოშკიდან თმა გადმოშალა...  
მზე ამოდის...  
ეფინება, —  
ზეთავს,  
ზევარდს,  
ზესთა — ზენას...  
კახეთია!  
ჩქარა კახთა,  
ჩქარა ლექსი, აღმაფრენა!  
ჩემი ლექსი,  
ჩემი სიტყვა,  
ჩემი კოცნა,  
ვის და რომელს? —  
დაუჩოქეთ და ემთხვეით,  
სილამაზე — შეუზომელს,  
თვალზე კახეთს,  
ტკბილ დასახედს,  
მბრძოლელს, მშრომელს,  
დაუდგრომელს...

სხივნაყარი ფოთოლნარის,  
ატყდა ტაში —  
შუამთაში.  
ოქროს ვარაყს,

ატლას-ნარინჯს,  
ნაბღღვრიალებს, გაღმა მხარში,  
ჩემი გულის ნაცეცხლავის  
მიემატა კიდევ ფერი...  
და ლაღადებს წითლოსანი,  
ბროწეული ცათა სფერით.  
აქ ერთ წამში იწყებს ძველას  
გულის ყველა საწადელი;  
აქ სიცოცხლის დიდ სიმღერას  
დაიძახებს საწნახელი!  
აქ რა უნდა გულნამცეცას,  
მიუწვდება არსად ხელი...

\* \* \*

შნის რთველია, განა ვაზის?  
ბადაგია?  
ჰაერია?  
თითქო მზეში მუშკა-ვაზის  
სურნელება გაერია.  
ვინ ჩაადნო ლალში ბროლი,  
ან აღმასი ვინ ათალა?  
ან ოცნება ცათასწორი  
ვინ აქცია წინანდალად?  
ან ამ ზეცას სად ჰყავს ცალი,  
ან მიწა ვინ ახვევდა,  
ანუ აზრი საოკარი  
ვინ ასტყორცნა ალავერდად?  
ან ეს მთები ვინ მიბნიდა,  
რომ დამდგარან თავჩენილდე;  
გაუვლია სილამაზეს  
და მუღმივ აქ დარჩენილა!  
ჩარჩენილა ყოველ ყლორტში,  
მღერის ყველა საწნახელში;  
ელვარებით, მღულარებით,  
განიერი თვალის ეშხით.  
ბედის ქარტა დახეული  
აქ მოდით და შეაწებეთ;  
ვის გაქვთ გული დამსხვრეული,  
განკურნება აქ ეძებეთ!  
ნეტავ წარღვნის უწინარეს  
ბინად აქ ვინ ბინადრობდა,  
თუ კახეთის შემხედვარე  
კიდევ რასმეს ინატრებდა?

\* \* \*

ალაზნის ველს,  
ალაზნის ველს,  
რა სჯობია სათვალმჩენოდ?

შეგხედავ და მინდა მყისვე  
უკვდავება დავიჩემო!  
როს გომბორზე გული მტრება  
უკვდავებას აღარ ვრჩებო;  
საქართველოვ, საჩუქარო,  
სილამაზის გადამრჩენო!  
წინანდალში,  
ქვეკვაძის,  
ქალების დვას  
წამწმის ჩერო.  
არჩევანი,  
არადანი,  
რომელ მათგანს ავირჩევო?  
მწარედ ოხრავს გაგმირული,  
სასიკვდილოდ დავიჭერო,  
ალავერდის გედს შეხედავ,  
აჰა, თითქოს დავიჭერო!  
ბულბულს ხმაზე გამოვები,  
შენს საქებრად გავიჭერო!  
შარიშური, ბუღეშური,  
შუქურთვალა ლექსში ვაქოთ;  
სიჰაბუყეს დავეშუროთ,  
სიყვარულზე გარდავაგოთ.  
ლაწეს აინთებს ელვაქალი,  
შეგბეგვა ზეცას მთვარედ,  
მრავალს ვხედავ შენჯგუფთარს,  
დარეჯანის მეჯუფთარედ, —  
შნის თანაბარს, ზედმონაქერს  
თუნდაც მთვარეს ცისკრიანად;  
ჰეი, ყველა შემომხედავს,  
შემიყვარებს, ის კი არა!  
წამწამთაგან მონაქროლ ქარს  
მოერიდე, არ ვაცივდე...  
ირმის რძეში მობანავეთ,  
ეგებ, ცოტას მოვჯობინდე!  
შარიშური, აბრეშუმი,  
სიყვარული ვაქოთ, ვაქოთ,  
აშლაფარდი, აბეშურა,  
შუქურთვალას გარდავაგოთ!  
წავალ, წავალ, — არ დავდგები, —  
ალაზანზე სათევზაოდ,  
მაგრამ ბინას სად ვიშოვნი,  
გოგოვ, ღამის სათევზაო?  
წამწამებში შემიბიხნე,  
იტყვი, სად ის, სად ესაო?  
მომეხვიე, როგორც ვაზი,  
რომ არასდროს გაგეყარო;  
მოდით, გავხდე წარბის ფერთლი,

რომ წამწამზე დაგეყარო!  
 რად მინდოდი? მზედ მინდოდი!  
 გულს რა თხრიდა? შენი გული!  
 მაშ, ალაზნის ველი არ ხარ,  
 მხოლოდ ოდნავ შენიღბული?  
 მისი დგას ჩვენს გულთშუა,  
 მისთვის გემართებს, ღზინს ვიბდიდეთ;  
 ვერცხლით შენი ღიმილისა  
 რა უეცრად მომისყიდე!  
 მომე გულის ან ნაწილი,  
 ანუ მისი წანათალი,  
 თორემ წინას განაწირი  
 გაგიწყრება წინანდალი...  
 ვაი, ნატა დამწვარი  
 თვითონ იყო სხვის დამწველი...  
 რა ძნელია, რა მწარეა,  
 ნახვა გესურს და ვერ კი ველით...

\*\*\*

ყვარელსა თუ იყალთოში  
 სიბრძნის შუქი ბრწყინავს მარად;  
 ბაბტრიონში ზეზვიას ხმალს  
 დუმით პოხვენ საომარად;  
 უჯარმიდან გორგასალი  
 მომამოდებს შავ მუზარას;  
 გარეჯაში ფრესკა ტირის  
 მისი კენესა გულს მიზარავს....

\*\*\*

— ნინოწმინდა?  
 წინანდალი?  
 სიყვარული, მაშ, გაქვს ვისი?  
 — ორ ღმერთშუა რად ჩამავდე,  
 შე უღმერთო, გაქვს სინდისი?  
 ორი ერთად გულისძეგრაა,  
 სიყვარულის ძველი დადი...  
 ალაზანი — სიმღერაა  
 და იორი — ლექსის ბალი...  
 გული დულს და პოეტი ვარ,  
 ცეცხლად ვივლი, ნიაე-ქარად,  
 ქართულ სიტყვის კაპოეტი  
 ვაჟამ მაშ ვის მოაბარა?  
 ავაღდერებ სულის ნაშრეტს  
 და გულმა რაც მოაზღვაფა,  
 და რა ცრემლიც სხივით ვაშრე,  
 დავდგამ ლექსის წითელ ხევაფდ.  
 თუ ჩემს აკვანს ვადაწვეულს,  
 ფერფლი ფარავს ნუშის, ვაშლის, —  
 ნეტარება პატარძელს, —

ყველა ვარდაც ზედ მივაშლი!  
 ჩემი მიწა საყვარელი, *ეროვნული*  
 სანატრელი ჩემთვის ეგზობს; *44101111*  
 იქ მაქვს ძველი ნაყანევი,  
 ძველი სახლი, ძველი ეზო.  
 ფშატის ჩრდილი დღესაც ფარავს  
 და იისფერ ღრუბლის ფარა...  
 ოცნებაო, სიყვარულო,  
 ოცნებათა დამძირველო,  
 ფათალოში მიფარულო,  
 გულის დიდო სამწირველო!

\*\*\*

ნუთუ ამ მზეს დაღლის ბინდი,  
 ან სიკვდილი სადმე არი?  
 არა, არა, ნუ შეშინდი,  
 ძირს, სიკვდილის სატევაო!  
 ცას შევხედე მინანქარობს,  
 გული ჩქარობს... დამეწმინდა...  
 ერთ სიცოცხლეს არა ვკმარობთ  
 მე კახეთში, ასი მინდა!  
 ასი მინდა, ასჯერ ყოფა,  
 ლალო მდნარო, მარჯნის ქაფო,  
 ერთი ვარდი რას მეყოფა?  
 რომ ზამთრის გზა გავიკაფო!  
 მე ბალახიც მიყვარს ლორთქი,  
 გულმა მოღზე შეიბზინა;  
 ვაზის ლერწი, ვარდის ყლორტი,  
 ყანის ფრთაა ჩემი ბინა.  
 მე სად ვცოცხლობ? ლელვის ტოტში,  
 ბროწეულის ტიტბოში;  
 ჯიხვის რქაში, წყაროს ჩქროში,  
 იწილოში-ბიწილოში!

\*\*\*

გრძელჩობიან მედუღუკეს  
 მე ყურს ვუგდებ: დაუკარი!  
 ნუთუ უკვე სიკაბუკე  
 ხელთ მიჰკნება სანუყვარი?  
 მედუღუკე დალილ თითებს,  
 ველარ ხმარობს, როგორც წინა...  
 მზე ჩავიდა... კახეთის მთებს  
 შაქარსავით ჩაეძინათ...  
 მზე ხვალ ისევ აელერდება,  
 დააძახებს ოქროს ბუკებს;  
 ჩვენ კი, რა ვქნათ... აძგერდებმა  
 კიდევ გული. მედუღუკე?  
 — დავჩუმდებით? არასგზითა,  
 მზე დავგვავება ყველგან გზებში;



7444

— ხობზის ყივილს ალაზნიდან  
ყურს დაეუგდებ ჩემს ლექსებში!

\* \* \*

— არა, არა, არსად წავალ,  
აქ დავრჩები, მეგობარო, —  
მინდა არსენ იყალთოელს  
სასწავლებლად მივებარო;  
ფიროსმანის რთველში ვჩანდე,  
მის შავ მტევნებს მივეფარო;  
სულხანიშვილს, სარაჯიშვილს,  
მარჯანიშვილს მივედარო!  
მათვან შობით,  
მოჯიშობით,  
ლექსნაკრავმა ვინეტარო!  
ისევ ჰყვავის გოემის ბალი,  
თუმცა ჰვარტლით შეიმურა,  
მაჯამების ბაირალით  
დადის მეფე თეიმურაზ.  
წყალი ნარწყულს!  
წყალი ნარწყულს!  
გული ისევ ალაგს არი!  
ისევ ოხრავს კვიპაროსი,  
ალექსანდრეს<sup>1</sup> ნალექსარი!  
და ვინმე ყრმა<sup>2</sup> საყვარელი  
ახლაც ყვარლის მთებს უმღერის,  
იმ სიმღერით იბადება  
ახლად გმირი, წარბუხრელი.  
არა, არა, არსად წავალ  
მე აქედან უნაწილოდ.  
ბულბულს ოქროს ბუმბულიანს  
აქ დავიჭერ უსაცილოდ;  
აქ მოვიმწყვდევ ოქროს ირემს,  
თვალს შემსკვალულს, შენამზირებს...

\* \* \*

ალაზნის ველს,  
ივრის კიდეს  
რა სჯობია სათვალმჩენოდ?  
გული დულს და ლამის არი  
პოეტობა დაეიჩემო!  
ჯერანი ვინ დააჯერა,  
გარდევლება თავზე შირაქს,  
რომ ვერ ვგავარ ლექსში ჯერანს, —  
ფიქრმა სევდა დამიხშირა.

ალაზანი ხობზის ფრთაა  
და იორი — იის წვენი;  
ხედავ — მაღლა ცივის მთა,  
იქ ირემი ლექსს იწველის.

\* \* \*

მოდის, მოდის ალაზანი  
პირუჩუმრად, განა ზარით?  
მოდის, მოდის ყურე-ყურედ,  
ის ჩემს სევდას არ უყურებს...  
რას მღერიან ოლოლები,  
შუალამით, შავბნელ ტყეში?  
ეს არ ვიცი, მაგრამ ზოგჯერ  
გვიმღერია ჩვენც შავ ღღეში.

\* \* \*

ისარტყლება ცისარტყელა...  
და ღრუბლები ვეფხვის ბწყლებით...  
მოკამკამე წყაროს წყლები,  
მარგალიტის ნაწინწყლები...  
კლდიან კლდეზე ნაკადულებს  
ვერცხლის კაბააკვალთულებს  
გაუწეწავთ წუწუბები...  
გამოსწოვენ სპეროზას წვეს,  
გაეცესბათ ძუძუები.  
ბორბალოა — სათაური  
ლურჯად მიქერვალ მდინარეთა,  
სამშობლოსთვის საზრდო მოაქვთ  
ღალა-ღალად მცინარეთა...  
მათს ემბაზში მოვინათლე  
გადვიწურავ თავზე შეეფებს,  
ჩემს სტრიქონში ჩანჩქარებენ  
ბულბულივით ყეფენ, ყეფენ...  
— ახ, ბროლურავ,  
— ახ, ბროლურავ,  
არასდროს თვალს არ მოლულავ,  
მოთქრიალებ ხმა წანწყარით  
და იხსნება შენი წყარით  
ყველა ჩემი ლექსის ბწყარი...  
ტირის ბროლი,  
მღერის ბროლი...  
კლდის ნაკეთებზე მონაქროლი...  
აყოლებენ ხმას კლდის ქვები;  
და მღერიან უსუნთქებლივ.  
მეც მშობლიურ მიწის სუნთქვას  
ხომ ყოველდღე ვიტყვი ტყე-ველს,  
მეც ამ მთებმა, ამ თვალებმა,

<sup>1</sup> ალექსანდრე ჰავიჯაძე.

<sup>2</sup> ილია ჰავიჯაძე.



ამ ვარდებმა დამატყვევეს!  
 ბროლჩქერებო, ჩანჩქერებო,  
 იქნება, რომ არ გახსოვდეთ?  
 ნეტამც ქართლის სამსახურში,  
 არც მე დაეშრე არასოდეს!  
 სულ მოჩქეფდეს ჩემი სიტყვა,  
 მარად მირონმომდინარე...  
 მწყურის, თქვენებრ გრიალებდეს,  
 მაგ სიწმინდით, შინ და გარეთ...

• • •

მაჰრის შხაბი მაჯის სისხო  
 ქვევრის თავზე მღერის ტკბილად;  
 დრო წავიდა, სამესისხლო,  
 მერთელეს გული აღარ სტკივა!  
 ყველა მტერი და ჯაშუში,  
 თვისივ ცოდვით ამოიწვა,  
 წყვეულ იყოს, ვინც წარსულში,  
 მოატრემა ჩვენი მიწა! —  
 ასე მღერის მაჰრის ტალღა  
 საწნახელის ჩამოდღმა...

• • •

ქარიშხალმა დიდი ტაძრის  
 მხოლოდ სტოვა დაგვიტოვა,

დრო წავიდა რა სიმკაცრის,  
 (წასულა და აღარ მოვა)!  
 როცა მიწა იყო ნაცრად,  
 ცეცხლი ღულდა ქვეშიდანა,  
 შაჰ-აბასის ხანჯლის ნაცვლად —  
 გაიელვებს რთველში დანა...  
 მიწა ტირის დილის ნამზე,  
 სიყვარულით, სიხარულით,  
 და კახეთი დგება საესე,  
 პურიო, ღვინიო, ჳირნახულიო.  
 რა დაშრობს ქართულ მირონს,  
 შიოს მარანს დაუშრობელს?  
 ასწი ჯამი, ჯაფის გმირო,  
 სადღეგრძელო უთხარ მშობელს!  
 საესე ძუძუს, საესე მინდორს,  
 რძე რომ წასდის, ქონის ღვარი...  
 უთხარო, მეც არ შემინდოს,  
 თუ ვერ ვუთხარ საწუკვარი!  
 თუ ლექსი არ დაგიმარჯნო,  
 თუ პირკოცნით არ უთხარი: —  
 შენ ამ ჯამზე გაგიმარჯოს!  
 მაგრამ ბევრნი მიხვდებიან, —  
 მტვენის ცრემლი დილა აღრე, —  
 ჩემი ლექსი სიტყვებია,  
 ეს მე გიძღვენ, თუ იკადრებ...



## შორი გზა

მოთხრობა

— ხვალ ჩვენი ქორწინების ათი წლისთავია, მინდოდა შეგობრები მომეწვია, შენ კი არ იშლი და სანადიროდ მიდიხარ! — უსაყვედურა ქმარს თამარმა და წარბები ისე შეჰყარა, ისე გორიზად ახედ-დახედა, თითქოს ეს წყენა მათ შორის არასოდეს განელდებოდა.

— კარგი, თამარ, ნუ იცი ზოლმე ამიზეზება! — შემარიგებელი ხმით შეესიტყვა ცოლს შიო სიორიძე, სანდომიანი, ახოვანი ვაჟკაცი.

— რას ჰქვია ამიზეზება! შენ შენი თავი გახსოვს მხოლოდ, მეტი არაფერი...

შიოს მწარედ გაელღმა, სახე მოედრებლა.

ერთი შეხედვით შიო ბაში-აჩუქს მოგაგონებდათ, განსაკუთრებით მისი თაფლისფერი თვალები და ბავშვური, გულბრწყილო ღიმილი, მაგრამ ახლა ეს ღიმილი ჩვეულებრივს არა ჰგავდა, რაღაც გულჩათხრობილობას გამოხატავდა.

ღიმი ბანია აწუნებს შიოს თავისი მეუღლის მეტიხმეტი მიზეზიანობა. ამ ნიადაგზე ერთხელ ისე წაიჩხუბნენ, რომ ურთიერთს კინალამ ვაშორდნენ. ისევ შიომ დათმო, იმის შიშით, რომ თამარი მათ ერთადერთ ვაჟს ერეკოეს წაიყვანდა და თავის ღედასთან დარჩებოდა.

ნეტა თამარი ზოგიერთ უქნარა ქალს რითიმე მაინც ჩამოჰგავდეს; თარიისი ოჯახისათვის თავდადებულია, შრომისმოყვარე, დაუღალავი პედაგოგი.

— რას იღიმიები? განამართალი არა ვარ?

შიოს სიფიცებმ უწია და ცოლს თვალები მკაცრად შეანათა:

— რას გადამეკიდე, ქალო? ხვალ დასვენების დღეა, სუფთა ჰაერზე გავივლი, გონებას დავასვენებ.

— აი, აი, მეც მაგას არ გეუბნები: შენ გაივლი, გაისეირნებ, სხვას კი არაფრად ავლებ!

— რაო, რაო? — გულსწრაფად აღმოხდა შიოს, მაგრამ, როგორც იყო თავი შეიკავა, შებრუნდა, მეორე ოთახისაკენ გაემართა, რომ ჩანთაში საგნალი ჩაელაგებინა.

თამარმა თავი შეურაცხყოფილად იგრძნო, კიდევ უფრო აენთო, ქმარს დაეწია და მკლავში ხელი ჩაავლო.

შიომ ჯერ გაიწია, მერე უცებ შედგა და თავის მეუღლეს სასტიკად შეუბღვირა, ისეთ გამომეტყველებას შეეფეთა, რომ მყისვე მოეშვა, მაგრამ ეს მოშეება გარეგნულად არ გაუმეღანებია, რადგან საცხებით შეჯაჭვული იყო თამარის იმ თავადებული მედიდურობით, რასაც წინათ არა ერთხელ ჩაუფიქრებია შიო.

— რას მიყურებ! — აღმოხდა თამარს და შიოს მკლავზე თითები მოუქირა, თვალებიდან ნაპერწყმები გადმოცვივდა.

შიო ისევ აინთო, პირზე სასაყვედურის სიტყვები მოადგა, მაგრამ მხოლოდ ეს უთხრა:

— რას ჰგავხარ, ქალო? გონება მოიკრიბე!

თამარმა ქმარს ქედმაღლურად ახედ-დახედა. სწრაფად შებრუნდა და გესლიანად მიიძახა:

— წადი, გამეცალე, ჯანდაბამდის გზა გქონია!

შიოს თავისი მეუღლის გამოხედვასა და ხმაში რაღაც ზიზღისა თუ სიძულვილის მსგავსი რამ მოეჩვენა და გული უჩვეულოდ ეტყინა; მძიმე ნაბიჯით შევიდა თავის სამუშაო ოთახში, წიგნებს ისე მოავლო თვალი, თითქოს ისინი ნისლდაფენილ აჩრდილებად ქცეულიყვნენ. კარადის კუთხიდან ბოხ-ჩიანი თოფი გამოიღო, გახსნა, გაწმინდა, ზეთი მოაშორა. ახლა მოაგონდა, თოფს რომ ცალი ჩახმაზი მეტისმეტად მოშვებული ჰქონდა და მოუცლელობის გამო ოსტატს რომ ვერ გააკეთებინა. მან უკვე მომზადებული სანოვავე ჩანთაში ჩაალაგა. არა ჩქარობდა...

ჩანთა მოიკიდა, თოფი აიღო და თამართან დარცხვენილად შეიხედა. ბიჭმა მიამურა, ერეკლემ, მამას ხელები მოხვია.

— რას მომიტან, მამილო?

— ყველაფერს, შეილო, ყველაფერს, მხოლოდ შენ ჰკუთხე იყავი, დედა არ გააჯავრო. — უთხრა შიომ და თვალი თამარისაკენ გააპარა; გული სთხოვდა, შეურიგებელი არ წასულიყო, მაგრამ ეს მისი წადილი პირგამეხებულმა თამარმა რომ ვერ იგრძნო, ჯავრი მოეჩრია, ერეკლეს ქოჩორზე ხელი მოუსვა და ბინიდან აჩქარებულად გავიდა, ძალღი საბმულით წაიყვანა.

მიდიოდა და თამარის ქუსში გამომეტყველება გონებიდან ვერ მოეშორებინა. ტრამვაიზე ასვლას რომ აპირებდა, სწორედ მაშინ მოაგონდა: უჯრაში ცალკე გახვეული ათიოდე ვაზნა დარჩა. შეეყოყმანდა, მაჯის საათს დახედა: მატარებლამდე დრო კიდევ რჩებოდა. იქნება ამხანაგები ჯერ სადგურში მისული არც კი არიან. სწრაფად შებრუნდა, გაურჩებელი ყურში ძლივს გაიყოლია. მიიჩქაროდა, ახლა ვაზნები სულ არ ახსოვდა, თამართან მისვლა სწყუროდა, მის ამაყ თვალებში აელვებულ სიყვარულის შუქის ხილვა ენატრებოდა.

„ასე არა სჯობს, შევრიგდებით, ამ სიმწარეს გულთან მრვიშორებ... და ხვალინდელ ნადირობას შეტი მხო და ხალისი ექნება“, — ფიქრობდა სახლისაკენ მიმავალი შიო.

ეზოში მოთამაშე ერეკლე ბავშვებს გამოეყო, მამას შეეგება.

— ა, კირიმე, შენ ყურში შეიქციე, მე ახლავე მოვალ, — მიესიყვარულა შიო ერეკლეს და კბეზე აირბინა.

თამარი თავის მაგიდასთან იჯდა, რვეულს ათვალიერებდა, შიო ფეხს ხმაზე იცნო, მაგრამ ჭავრი ვერ მოიშორა და თავი ვერ ასწია.

შიოს პირზე მომდგარი თბილი სიტყვა ჩაუწყდა, შეჩერდა.

ძლივს გააპარა თვალი თამარმა; ერთი გული ეუბნებოდა, თავისი ჯიუტი ხასიათი დაეძლია, ქმარს მიაღერსებოდა, მაგრამ, როგორც კი წელში გაიმართა, კვლავ შეექმუნა წარბები, შიოს მკაცრად მიამტერდა.

შიო მზად იყო, თავის მეუღლეს მრავალჯერ ნაცადი სიტყვით მიჰფერებოდა, მაგრამ ახლა, თამარმა რომ თავი ჩაღუნა და გული არ გაუხსნა, თავისდაუნებლიეთ გაფიცდა, სახეზე წამოენთო, ხელი ჩაიქნია, თავის ოთახში შეიჭრა, უჯრა გაშმაგებით გამოსწია, ქაღალდში გახვეულ ვაზნებს ხელი დასტაცა და გარეთ გაიჭრა; ერეკლესაც ვერ მიუფერა, საბმული გამოართვა და გზას გაუღდა.

განთიადის მოლოდინში შიომ და მისმა მეგობრებმა რკინიგზის სადგურის ბუფეტში ისაუზმეს, თითო ჰიქა არაყი გადაკრეს, ღვინოს შეექცნენ. ჰაერზე რომ გავიდნენ, თითქმის შეზარხოშებულნი იყვნენ. ამას კიდევ ის ცხოველი ხალისი და აღტაცება ემატებოდა, სანადიროდ გასვლისას რომ შეიბყრობს ხოლმე მონადირეს.

ხუთნი იყვნენ, სამს ძალღი ჰყავდა, და ახლა საერთო ჟრიაშულით მიჰყვებოდნენ რკინიგზის ლიანდაგს.

მინდორში გადაუხეიეს; ძაღლებმა

თავშეუკავებლად გაინაგარდეს ნამიან მინდორზე.

თენდებოდა. შორს, მტკვრის გაღმა, მოკამკამე ნისლის კოშკებით მოჩანდა კავკასიონის მწვერვალები; უფრო ახლო, ვრცელ ველს მკრთალი ბურუსი დასწოლოდა; ეტყობოდა, ისეთი სიციხე დადგებოდა, როგორც აზერბაიჯანში იცის ხოლმე შემოდგომაზე.

— ყურშა, ყურშა! შე წყეულო! — ხმაძალა ყვირის შიო და მინდორში გაჭრილ ძაღლს უხმობს. ძაღლი არ ეკარება პატრონს. შიოს გული მოსდის. ამხანაგებმა სიმღერით გაუსწრეს წინ, შიო კი დგას და მთელი ხმით იძახის:

— ყურშა! ყურშა!

კარგი საამხანაგო კაცი იყო შიო, კარგი ხასიათის, დარბაისელი; ნადირობის დროს კი უნებლიეთ შეიპყრობდა ხოლმე თავისი სიფიციხე. თუ რამე ხელს შეუშლიდა, ან ნადირს დააცილებდა, გული მოსდიოდა, სახე წამოუწითლდებოდა, თვალეებში ავი ცეცხლი აუკიაფდებოდა. დღეს ამას კიდეც ისიც ერთვოდა, რომ შინიდან გულნატყენი წამოვიდა, თამარს ღიმილი ვერ მოჰკვარა, ვერ მიეფერა. ამ ბოლოს გახშირდა მათ შორის ასეთი შემთხვევები; წინათ უბრალო გაბუტვასაც კი დიდი აღერსი მოჰყვებოდა, უცებ შერიგდებოდნენ. ახლა კი... რა არის ამის მიზეზი? მხოლოდ და მხოლოდ თამარის მედიდური ხასიათი? არა, აქ უთუოდ შიოსაც მიუძღვის ბრალი, თავის მეუღლეს ხასიათი ვერ შეუწყო. იქნებ ეს იმიტომ ხდებდა, რომ შიო მეტისმეტად დატვირთულია მეცნიერული შრომით; დისერტაცია რომ დაიკვა, შემდეგ ერთობ ღრმად შეიჭრა ბიოლოგიაში, ისეთი გრძნობა დაეებადა, თითქოს უღრან ტყეში შესულიყოს და, საითაც არ უნდა გაიხედოს, ყველგან შორს მიმავალი ბილიკი გამოკრთის...

კარგა მანძილზე დაშორდნენ ამხანაგები. ყურშამ მხოლოდ ახლა მოიბრინა და შორი-ახლო დადგა თავჩაღუნული, დარცხენილი. იცოდა, რომ დიდი

დანაშაული ჩაიდინა, სასჯელიც არ ასცდებოდა, მაგრამ რა ექნა? მინდორში რომ გადაუხეიეს, მაშინ მხოლოდ მასმ იფეთქა მთელ მის არსებაში, რომ ყველაფერი გადააიწყდა. ეს იყო საღიაც, ოდესღაც ირლანდიიდან გამოყოლილი ინსტინქტი.


— სად იყავი, ძაღლო, შენ! არ გესმის, რომ ვიყვირი? — მიძახა შიომ ყურშას, სახე აენთო და თოფის კონდახი დასარტყმელად ასწია.

ყურშამ თავი მიწაზე დადო და პატრონს მორჩილი გამომეტყველებით შეამტერდა; შიო რომ მიუახლოვდა, გვერდზე მიწვა და უკანა ფეხი ზევით ასწია, თითქოს დარტყმა უნდა აიცილოს; თან თვალეებში ისეთმა შუქმა გაუელვა, შიო რომ დაჰკვირვებოდა, უთუოდ დიდ საყვედურს ამოიკითხავდა, ერთგულებით სავსე საყვედურს, მაგრამ შიო ახლა ძალზე გაჯავრებული იყო და ძაღლს ზედიზედ დაჰკრა თოფის კონდახი, მერე წიხლი დააყოლა და, არც კი მიუხედავს, ისე გაუდგა გზას.

მხოლოდ ერთხელ, როცა ფერდის ძვალი კინაღამ გაუტყდა, მაშინ დაიწყა ვიწკავე ყურშამ, თორემ ისე ხმა არ ამოუღია; შიოს ორი ნაბიჯიც არ გადაუდგამს, რომ წამოდგა, ვაიბერტყა და მორჩილად გაჰყვა უკან. ლეკვობიდანვე ასეთი ურთიერთობა დამყარდა შიოსა და ყურშას შორის. ყურშა კარგად იცნობდა შიოს კეთილ გულს. ერთხელ მძიმე სენი შეეყარა და შიოს ბავშვივით ხელში აყვანილი დაჰყავდა საექიმოდ. მხოლოდ ის იყო ყურშასათვის გაუგებარი, თუ რა აიძულებდა შიოს, რომ ხანდახან სულ მცირე მიზეზის გამო გაიმეტებდა და ასე უმოწყალოდ სცემდა.

მზე კავკასიონის ქედის გასწვრივ ელვარდა. ირგვლივ, მინდორსა და გორაკებზე, გამჰვირვალე ბურუსი ალივლივდა.

მონადირენი ხევეში კაკბის გუნდებს წააწყდნენ. გაჩაღდა სროლა.



შიო კატეგორიის ერთმა გუნდმა გაიტაცა, გორაკიდან გორაკს აუყვდა და კარგა ხნის შემდეგ მიხვდა, რომ ამხანაგებს დიდი მანძილით დაშორდა.

აგერ, ერთი ბორცვიდან პატარა ხევისაკენ ჩაუხვია და განაბულ ყურშას თვალი შეასწრო. ფოთლებშემგმზარ ბუჩქთან იღვა ყურშა. გრძელბაღნიანი კული გაშეშებოდა და ისე იღვა ოდნავ წინ წაბრილი, თითქოს საცაა ადგილიდან მოსწყდებო. მაგრამ არა, აი, შიოს მიახლოება იგრძნო და გონიერი თვალებით უკან მიუხედა, თითქოს ანიშნა — მალე, თორემ აფრინდებო.

— ეცი! — ჩაგარდნილი ხმით უბრძანა შიომ; ყურშამ ერთხანს კიდეე შეიკაეა თავი, მერე, შიო რომ ზედ მიადგა, სწრაფად გადაბტა... იფრთქიალეს კაკბებმა. ზედიზედ მიაყოლა შიომ. აჩქარდა, მიზანში არ ამოუღია, ვერც ერთი ვერ ჩამოაგდო. გული მოუვიდა, თოფი ისეთი ძალით გადახსნა, რომ კინაღამ გადატეხა. ვაზნები ჩააწყო და ყურშას მიაყვრია:

— უკან!

კიდეე ორჯერ ესროლა ნაბულზე აფრინულ კაკბას და ორჯერვე დააცილა.

შუადღემ მოაწია, შიოს სულ წაუხდა ხასიათი: ისიც დაავიწყდა, ამხანაგებს რომ დიდიდანვე დაშორდა. სახე ოფლით ჰქონდა დაცვარული და გორაკიდან გორაკზე შეუსვენებლივ გადადიოდა.

მოულოდნელად, თითქმის ფეხებთან, ტიალ მინდორზე კურდღელი წამოუხტა; შეკრთა, აჩქარდა, ზედიზედ ესროლა; კურდღელი რომ იქვე ახლოს გარბოდა და თოფი კი ცარიელი ჰქონდა, სიფიციემ აიტანა, კბილები დაახრჭილა და თოფი მიწაზე დაავდო. ერთხანს იღვა გაშეშებული, მერე ორგვლივ მიმოიხედა და, ყურშა რომ ვერ დაინახა, მთელი თავისი უწყაყოფილება იმაზე გადაიტანა, თოფი აიღო, ვაზნები ჩააწყო, შემართა და გორაკზე აიბრინა, თან ხმამაღლა ყვიროდა:

— ყურშა, ყურშა!..

შიოს გაიტაცა ყურშა, კურდღელმა ენაგამოგდებული დაბრუნდა უკან. შიოს რომ მიუახლოვდა და მისი გაფითრებული სახე დაინახა, მამინ მიხვდა, რომ კარგი არაფერი ელოდა. მორჩილად დაწვა მალა, ხმელ ბილახებში, პირი მიწაზე დადო და ისეთი თვალებით შეაკცერდა შიოს, თითქოს ეუბნებოდა:

— დამნაშავე ვარ, ახია ჩემზე, მცემო.

გამალეებით მივიარდა შიო ყურშას და კონდახი ჩაპკრა...

სულ დაავიწყდა, თოფი რომ ფეხზე შემართული ჰქონდა, თან ცალი ჩახმახი ხომ ისე იყო მოშვებული, რომ თითის ოდნავი წაკარება კმაროდა. ამიტომ იყო, სასხლეტი ბალახს წამოედო თუ არა, თოფმა მყისვე იქეკა...

მარჯვენა მხარის ძირში, ილიასთან მოხვდა შიოს გაუშლელი საფანტი და მოწყვეტით დაეცა პირაღმა...

თოფი რომ გავარდა, ყურშა უმაღვე წამოხტა, ინსტიქტურად ორგვლივ მიმოიხედა, რომ გაეგო, შიოს მიერ მოკლული ხომ არაფერი ჩამოვარდაო. მერე პირაღმა გაშხლართულ შიოს დააცქერდა და გაუკვირდა — ასე უძრავად რატომ წევსო. ილიასთან სამოსზე მოდებულ ცეცხლს რომ მოპკრა თვალი და მერე სისხლს, რაღაც დიდი უბედურება იაზრა, შიოს მიაშურა და ფრთხილად დაყნოსა. გულშელონებული პატრონის სუნთქვა იგრძნო. ჩაცუცქდა და აღერსით მოუცაცუნა თათი ლოყახე. ერთხანს კიდეე უცქირა და, შიო რომ არ გაინძრა, კვლავ დაღონდა, მერე ილიასთან გადმოღვრილი სისხლის სუნი ეცა და წყურვილი მოაგონდა. შიოს გაფითრებულ სახეს სევდით დააკვირდა. მიხვდა, რომ დიდი უბედურება დაატყდა. მშველელი არავინ არის... თავი მალა ასწია და გარშემო მიმოიხედა.

ბალახშემგმზარი ბორცვები მცხუნვარე შხეში ბზინავდა. ქვევით, მტყვრის

პირად, სქელი ტყის ზოლს, რუხი ფლატების ფონზე, ოდნავ მომწვანო ელფერი გადაჰკრავდა. და დუმილი სუფევდა ისეთი, თითქოს თეთრად მოკაშკაშე კავკასიონის შორეულ მთაგრებილებიდან მოყოლებული ამ გადარუჯულ გორაკებამდის ერთი სულიერი არსება არ მოძრაობსო.

ამ სიჩუმემ გამოარკვია ჩაფიქრებული ყურშა, წამოხტა და ირგვლივ მიმოიხედა, ერთხელ შიოსაც დახედა და სწრაფად გაიქცა.

იცის ყურშამ, რომ სადღაც ამ გორაკების სიახლოვეს იმყოფებიან შიოს ამხანაგები. უთუოდ უნდა იპოვოს ისინი და შიოსთან წამოიყვანოს.

ბევრი ირბინა, ვრცელი მანძილი შემოიარა, ძლიერ დაიქანცა, თანაც წყურვილმა შეაწუხა მეტისმეტად, მაგრამ სირბილი არ შეუწყვეტია. ბოლოს ერთ ხევს გადაადგა და მდინარის გაღმა მოჰკრა თვალი მონადირეებს. გაშმაგებული სისწრაფით დაეშვა თავქვე; ლელეში რომ გადიოდა, მხოლოდ გზადგზა რამდენიმეჯერ წაჰკრა ენა წყალს, არ შეჩერებულა, დაუყოვნებლივ მიაშურა შიოს ამხანაგებს.

გორის ძირას, წყაროსთან ისხდნენ ისინი და სადილობდნენ. ერთმა ყურშა დაინახა და სიხარულით წამოიძახა:

— ა, კაცო, ჩვენი ყურშა! საცაა შიოც გამოჩნდება...

— დაიკარგოს იქით! მთელი დღეა ექძახი და ხმა არ გამოცა! განა ღირს მაგასთან ნადირობა! — გულნაწყენად ჩაილაპარაკა ქრისტეფორემ, ტანადმა. პირნათელმა ეურნალისტმა.

სწორედ ამ ქრისტეფორესთან მიიჭრა ყურშა, მიულერსა და მერე განზე გადავა, უკან გაბრუნდა, ისევ ქრისტეფორესკენ გამოიქცა, ჩაცუცქდა და საცოდავად დაიყმუღლა; კვლავ ქრისტეფორეს მიელაქუცა და მდინარესაკენ გაიქცა.

დაეკვებულმა ქრისტეფორემ ძალღს გააყოლა თვალი და, ყურშა რომ ისევ უკან გამობრუნდა, სწრაფად წამოდგა

და შიოს რამდენჯერმე მონადირულად გაეხმაურა. ხევმა უკანვე დაუბრუნა აგუგუნებული ძახილი, მუტი არავითარი ჩამჩქუმი არ ისმოდა. მაშინ წამოიძახა ქრისტეფორემ:

— იცი, რა, იმ კაცს უთუოდ რაღაც უჭირს!

აღარ დაუყოვნებიათ, კვალდაკვალ გაჰყვნენ ყურშას.

•  
•

გონსმოსულ, მწავე ტყვილებისაგან სახეგაფთხრებულ შიოს რომ ქრილობა შეუხვიეს და საჩქაროდ გაკეთებული საკაციო სადგურისაკენ წაიყვანეს, ყურშა სხვა ძაღლებივით ირგვლივ არ დარბოდა, კუდჩამოშვებული, დაღონებული მიდიოდა.

მხოლოდ ერთხელ შედგა უცებ. გზას სიახლოვეს, ბალახებში ჩამალული მწყერის სუნი ეცა და ყველაფერი გადააიწყდა. ფრთხილად მიბრუნდა, ნელი, უხმაურო ნაბიჯით მიუახლოვდა მწყერს და გაინახა. კარგა ხანს იყო ასე და მერე, რაკი შიო არ გამოჩნდა, წინ გაიხედა, ოციოდე ნაბიჯით დაშორებულ საკაცეს მოჰკრა თვალი და ნელა დაუშვა კუდი, თვითონაც რაღაც საცოდავად მოეშვა, ერთი წამის წინათ ლამაზ ქანდაკებასავით გამართული ტანი მოეთენთა და მწყერი აღარ დაუფრთხია, შებრუნდა და პატრონს უკან აედევნა...

საეადმყოფოს ერთსაწოლიან ოთახში ქმრის სასთუმალთან ზის თამარი; კარგა ხანია, რაც აეადმყოფს ღრმად ჩაეძინა, თამარი კი გაუნძრევლად კარინდულა და შიოს თვალს არ აშორებს.

მეხუთე დღეა, რაც თამარი ათენებდა და აღამებდა შიოს საწოლთან. მხოლოდ გუშინწინ, როცა შიომ ოპერაცია გადაიტანა და თვალებში სასიცოცხლო იმედი ამოიკითხა, მხოლოდ მაშინ შეუმსუბუქდა მძაფრად შემონთებული სინანული. გაახსენდა სანადიროდ შინი-

დან წასვლისას რომ მიამბა შიოს, —  
ჯანდაბამდის გზა გქონიაო, და თავის-  
თვის ჩაიბუტბუტა: უმალ მე გენახო  
მკვდარი, ვიდრე შენ რამე მოგივიდო-  
დესო, იმეორებდა გულში თამარი.

დიღბანს ბორჯაედა შიო, ვიდრე  
ძილში სიმშვიდე დაეტყობოდა; ერთ-  
ხელ თვალიც კი გაახილა შემკრთალმა,  
წაოღვომა დააპირა, უაზროდ შეატ-  
რიალა თვალები და უცებ მოეშვა,  
მერე რალაც უცნაურმა ღიმილმა გადა-  
ურბინა ტუჩებზე, მაგრამ მალე შუბლი  
შეიკრა და ისეთი გამოამეტყველება  
აღებგქდა ნატანჯ სახეზე, თითქოს  
საკვირველად შეცვლილი ქვეყნიერების  
წინაშე დგასო.



შუღამე იწურება. მიუტრია ირგვლივ  
ყველაფერი. ამ დღემილში თითქოს  
შეჩერდა ქამთა დენა, გაიცრია მთე-  
ლი ქვეყნიერება; თამარი მარტოოდენ  
შიოს ნატანჯ სახეს ხედავს, მის ოღნავ  
აჩქარებულ სუნთქვას ისე ისმენს,  
თითქოს ბეწვზე გადარჩენილი სიცოც-  
ხლის საიდუმლოებაში ერკვევაო.

ფართო ფანჯრის მიღმა ელექტრო-  
ნის შუქზე ხასხასებენ წვიმიტ გაბანი-  
ლი ფიჭვების ტოტები, ხანდახან ნიავ-  
ქარი დაუბერავს და წიწვებს მოკამკამე  
წვიმის წვეთები წყდება.

თამარმა თავი ასწია, შუქჩამდგარი  
თვალები ფანჯარას მიაპყრო; არა დაუ-  
ნახავს რა, მხოლოდ თავის სულში იმ-  
ზირებოდა; უნდოდა უფრო მძაფრად  
განეცადა, თვალნათლივ შეხებოდა იმ  
უჩინარ ძაფს, რომელიც ისე შემოეჭლო  
მთელ მის არსებას, ვით ბნელში ანთე-  
ბული სხივი: უცნაური იყო ეს დული-  
ლი, მასში საეხებით ცინცხალი გრძნობა  
იბადებოდა.

საავადმყოფოდან რომ გამოვიდა, ს-  
ლამოს ცა შეენახადის თხემამდე ჩამო-  
ბურულიყო; აქა-იქ პირველი თოვლის  
ფიფქი ცვიოდა.

ტრამვაის ვაგონში სწრაფად შევიდა.  
მგზავრების ლაპარაკი და ზორბუტების  
რაწყენი მის სმენას ვერა წვდებოდა.  
ისეთი განცდა ჰქონდა, თითქოს თავის  
შინაგან ქვეყნიერებას თვალს ავლებს  
და სულ ახალ და ახალ საუნჯეს პოუ-  
ლობსო.

რუსთაველის პროსპექტზე აივკა-  
ახლა უკვე ხევერიელად თოვდა. ფიფქი  
ლამპიონების შუქში ბრკყვიალებდა,  
ქადრების შემქნარ ფოთლებს ეფინე-  
ბოდა. ტოტებში ჩიტები ყრიაშულობ-  
დნენ.

თამარი შვიდი წლის ვაჟის დედა  
იყო, მაგრამ ახლა ისე მიდიოდა, რო-  
გორც ქალიშვილობაში სჩვევდა ხოლ-  
მე, — მჩატედ, წელგამართულად; და  
მაინც განსხეავება ძალიან დიდი იყო;  
მაშინ თავი გოროზად ეჭირა, განკერ-  
ძობებულად: ახლა კი, ირგვლივ რომ  
ხალხი მიმოდის, თავსა და მხრებზე  
რომ თოვლის ფანტელები აცვივთ,  
ზოგი რომ განმარტობებულად მიიჩქა-  
რის, ხოლო ზოგ ახალგაზრდებს რომ  
ურთიერთისათვის მხარი შეუწყვიათ,  
მზიარულობენ, იცინიან, — ესენი ყვე-  
ლანი თამარის გულითადი თანამოზი-  
არენი არიან, იმ შშობლიური ცისქვეშ  
სუნთქავენ, იმ მიწას ეყრდნობიან, რო-  
მელიც ყველას მასულდგმულებელი  
ღვიძლი ღედაა.

თოვს, ბარდნის.

მაგრამ თამარი სიცივეს როდი  
გრძნობს, გამვლელთა სიახლოვე ათ-  
ბობს.

და ირგვლივ ყველაფერი ისე სუფ-  
თაა, ისე წმინდა, როგორც ეს პირველი  
თოვლი.

შესახვევში სიყრმის მეგობარს, ქსე-  
ნია კილასონიას მოჰკრა თვალი.

— გოგო, ქსენია!

— აჰ, თამარი! გენაცვალე, დაიკო,  
როგორ ხარ, შიო როგორ არის? —  
მიაყარა კითხვები ქსენიამ, მკვირცხლ-  
მა, მოსიყვარულე ქალმა.

— ბედნიერი ვარ, გადავჩით...

და ახლა, წინანდებულად როდი შიო-

ქცა თამარი, თან როდი გაიყოლია ქსენია, მზრუნველობით გამოკითხა ოჯახის ამბავი და შინისაქენ გააცილა.

• •  
•

შიოს ჭრილობა მოუჩრჩია. საავადმყოფოდან არავითარი შიანი არ გამოჰყოლია.

აუწერელი იყო ოჯახის სიხარული, მაგრამ ყველაზე მეტი მღელვარება ყურშას ემჩნეოდა; არ იქნა, შიოს ვერ მოაშორეს, მუხლებზე ეხვეოდა, მკერდზე აბტებოდა, წკმუტუნებდა.

თავის სამუშაო მაგიდასთან დაჯდა შიო. ყურშა კვლავ აღარ მოეშვა. თამარმა წარბები შეიკრა და მკაცრად წამოიძახა:

— დაიკარგე, ძაღლო, იქით! უყურე

ერთი, მაგის მეტი არავინ არის აქ, თურა!

შიოს მისებური, მიმიტილი მოერია, ფერმერთალი სახე კეთილი იერით დაუმშვენდა, ყურშას აღერსით თავზე ხელი გადაუსვა და თამარს ლმობიერი ხმით უთხრა:

— ყურშას რას ერჩი, შე ქალო! ეს რომ არ ყოფილიყო, სისხლიდან დავიცილებოდი. განა ასეთ ერთგულ მეგობარს კაცმა ამავი არ უნდა დაუფასოს.

ყურშას ლაპარაკი არ შეეძლო, თორემ ყველაფერი, რაც მასზე ითქვა, ნათლად გაიგო. ამიტომ შიოს კიდევ უფრო მიეხუტა წვივზე და ზედმეტი სიხარულისაგან ტუჩები შეუთრთოლდა, თეთრი კბილები გამოუჩნდა.

ერეკლემ შეასწრო თვალი ყურშას ლიმილს და აღტაცებით წამოიძახა:

— მამა, მამიკო, შეხედე, ყურშას ეღიმება!

## ნიკოლოზ ზინოროვი



### სერგო მთებში

...ჩვენ უნდა ვთქვათ, რომ კავკასიის მთებში მხოლოდ სიღამაზე როდი იმალება, ეს შედი-  
დური მთების ჯაჭვი მტკიცე კედელია, რომელ-  
ზედაც დაილწება რეაქციის უველა ძალა.

ან უღრან ხეობებში ქარის დმული როდი  
ისმის მხოლოდ, აქ რევოლუციონური სიმღე-  
რაც გუგუნებს იმედით საესე დემოკრატიის  
გულწრფელი შეილებისა“.

ს. მ. კირიკი

#### ნაწილი პირველი

I.

დიდება ცაში აპართულ  
კავკასიონის მწვერვალებს!...  
ჩემი უბრალო მოთხრობაც  
მთის ნაპრალებში მღელვარებს!

მე აქ მრავალჯერ ვყოფილვარ,  
ერთად გვათოვდა, გვაწვიმდა,  
ჯიხვთა ბილიკც მინახავს  
და ბუდეები არწივთა.

მინახავს ხევის გზავიწრო  
გაჭირილი ქედით ქედამდი,  
და თვით ოქტომბრის შემოსვლას  
ამ ორწოხებში ვხედავდი!

ის არ მოსულა შარაგზით,  
მან ამ კლდეებში იშფოთა  
და ხალხის მბორგავ გულივით  
მღვიმეებიდან ისმოდა!

როცა გადამწვარ ტყის პირად  
ახალი თოვლის ფენა მთებს  
მზის ჩამავალი სინათლით  
ჩემ თვალწინ ააფერადებს,

ვფიქრობ, რომ კვალი წარსულის  
ქარბუქს ვერ ჩაუქოლია  
და გადამწვარი ხეები  
კვლავ ის დღეები მგონია!

კვლავ კიოხებში დავეძებ  
ძმაკაცებს გულისძგერითა,  
იქ ვათევ ხოლმე ღამეებს  
ცეცხლჩაუქრობელ კერითა.

და აი, ერთხელ, როდესაც  
კერას ვუსხედით, ანაზღად  
გარს შემოკრებილთ შევატყვე,  
თვალეები აუთამაშდათ.

ღიმილით მკითხეს: — ძმობილო,  
მდინარე ასა გინახავს?!  
— დიაღაც-მეთქი, — მივუგე, —  
ფხვბაფხვ გადამილახავს!

ძნელია, რომ არ შეგაყროს  
მისმა ბილიკმა კლდოვანმა! —  
— პაი, პაი რომ ძნელია! —  
დასძინა ქისტმა მხცოვანმა.

— ასა იქ ასად გაშლილი,  
უფსკრულის პირზედ არ დაშრა, —  
ისეა, როგორც ცხრაშეტში  
ორჯონიკიძემ გადაჭრა!

არც მოგონება წაშლილა  
სამოქალაქო ომისა  
და ხალხი დღესაც იხსენებს  
მთების საყვარელ კომისარს.

აქ ახლა რომელ მხრიდანაც  
არ გადახედავ მთა-გორებს,  
ყოველი მარჯვე ნაპრალი  
იმის ნამუხლარს გაგონებს.

ყოველი ხევი ახსენებს,  
ყოველი დღე და სოფელი,  
ცას შერჩა მისი თვალების  
ციმციმი ჩაუქრობელი.

ხან ღრუბელს მიეფარება,  
ხან კლდეებს, მაღალ მხრიანებს  
ხან, როგორც ჩემი მოთხრობა,  
ხევეს მარღად ჩაიჩქრიალებს!

ასე მგონია, აქ ისევ  
სერგოს მფეთქავი გულია,  
და ეს ამბავიც მდინარის  
ტალღებით გამოთქმულია...

კლდოვან თარგიშე მეტადრე  
ხევის წყალს ვინ ეყვარება?  
და ასაც იქეთ ისწრაფვის  
ღვართქაფა ნიაღვარებად!

დღეთა მცხუნვარე ნათელში  
და ღამეების ბნელშიაც  
ფეხისხმა სერგოს ცხენისა  
ზვირთთა ამ სიმღერებშია.

აქ ჩაირბინა, აქ შედგა,  
აქ, სადაც ბრუნავს მორევი,  
და გაჰყვა მსუბუქ წრებედად  
წყალს ცხენის ნაამბორევი!

სწორედ ამ ციკაბოებზე  
სამტროდ კი არა, პირიქით,  
გულიდან ალალ გულამდე  
გააბა სერგომ ბილიკი.

და ასა სუნჯას თუ ერთვის,  
სუნჯაც ტოტია თერგისა. —  
ერთი ხმით იშრიალებენ  
ტოტები ერთი ნერგისა!

გაზაფხულს ხედება ბუნება,  
ცას ელვა — მეხით ანათებს,  
მას ახსოვს ომის ქუხილიც  
და ხსოვნას არ უღალატებს!

აჭრელებულა ფერდობი  
ასე მგონია, ჯიქი წვეს  
ასე მგონია, შეეხვდები  
კვლავ სერგო ორჯონიკიძეს.

გულს განა შიში შეაკრობს,  
აფრთოვანებს ტრფიალი...  
ფრთაც მოჩანს მისი ნაბდისა  
და ჩაბალახის ფრიალი!

ისევ და ისევ ისაა,  
რომ შემომძახის ლხენითა,  
ბილიკზე სერგო გამოჩნდა  
თავისი ლურჯა ცხენითა!

ვით კომისარი მთებისა,  
კვლავ ლურჯა მთების წინ არის...  
შეფრვინეთ შეეგებება  
ფრთათეთარი ტალღა მდინარის!

## II.

ცხენს მისდევს ცხენი ღამეში,  
მხედარს, მხრებწახრით მხედარი,  
უზანგებს ქვევით ქვეყანა  
ყრუდ ჩაშავებულ კლდედ არი!

ვინ იცის, ორჯონიკიძის  
ძმებო, სად დაბინადრებით!...  
ფრთავაშლილ ნაბაღს მიჰყვება  
რაზმი ფრთებგაშლილ ნაბდებით.

წყვედიადში მხოლოდ ფეხისხმა  
და ნალის ნაპერწყალია,  
სადღაც კვლავ გაწყდა ბილიკი,  
სადღაც კვლავ ხევის წყალია.

ხელს მარჯვნივ გასწევ თუ არა,  
კლდე გეჯახება უხეში,  
ხოლო ხელმარცხნივ მოგელის  
მხოლოდ უფსკრულის ნუგეში!

ჩირაღდანს ასწევს მეგზური,  
რომ გასწევს ღამის სიშავე,  
ნაფლეთ ღანდებში ცხენობი  
გზა-კვალს ძლივს დაინიშნავენ.

ხან ელავს თვალის ნათელი,  
ხან უცებ დაიჩაგრება,

გათოშელ გზაზე იმედიც  
ჩარადანნივით ჩაქრება!

ხეობა ახლა სისხლიან  
წარბივით მოხამხამეა,  
ღამეა დაუნდობელი,  
ცხრაას ცხრამეტის ღამეა!

ისევ და ისევ მეგზური  
ხელს აიშალღებს თუ არა,  
შეამჩნევ, ქედებს ქარბუქმა  
თუ როგორ გადაუარა.

ცხენებიც თითქოს გასაჭირს  
ერთმანეთს აღარ უმაღვენ, —  
შეჩერდებიან, გათოშელ  
ქვეებს დაყნოსავენ უმაღვე,

და მერე დინჯი ნაბიჯით  
ეძებენ ბილიც კვალდაკვალ,  
მათზე ჰკიდა: ამ უფსკრულს  
გადახვალ თუ არ გადახვალ!

გადახვალ ძალით... და უკვე  
თვალწინ ახალი დარდია:  
ბნელში სხვა ცეცხლი ბრიალებს,  
სხვა ჯოჯოხეთი ანთია!

იმ დიდი ხანძრის ჩაქრობას  
ქარს როდი შეევედრებდი,  
იმ ქარში მშვიერ მგლებივით  
დაწანწალებენ თეთრები.

თვითველ სოფელს გადამწვარს  
ხელი აჩნია ავაციის,  
მტერს შეუპყრია მთიელთა  
ქალაქი ვლადიკავაციის!

და სერგო ორჯონიკიძე  
ბრძოლის ველს დინჯად უყურებს,  
ირგვლივ საზარელ თარეშით  
იცის, რომ მიწა გუგუნებს,

იცის, რომ აქვე საომრად  
ჩასაფრებულნი არიან...  
და, როგორც რაზმი თავისი,  
თვითონაც უშიშარია,

მაგრამ ომს როდი იქჟარის,  
დრო უნდა ისე იხელთოს,

რომ მტერთა ათასეულმა  
ხმლის ქვეშ ვერ ამოიხედოს!

მანამ კი მიზნად უაზრო  
თავდასხმა არ დაისახა, —  
თქვა: „სადაც არ სჯობს, გაცლა სჯობს  
კარგისა მამაციისაგან!“

სადაც მიღვადნენ, მიჩუმდნენ,  
ღამის გათევა იქჟარეს,  
მიხუტეს თვალი და უცებ  
ის ღამეც გაიცისკარეს!

პირველმა შუქმა აშალა  
იმათი მყუდრო საფარი,  
კორძიან ხელით ჩაბღუჯეს  
უმაღვე ცხენის თაფარი,

და ცხენოსნებმა დახედეს  
ისევ დათოვლილ მთა-გორებს, —  
გაპარტახებულ ქვეყანას  
დღე უფრო მეტად აღონებს!

დუმს შორი დაბა — სოფელი  
თოვლში ქუდამდე ჩაფლული,  
სითეთრე დაუფლებია  
და სიდუხჭირე ზღაპრული.

დუხჭირი შრომის, მხნეობის  
კვალი მიდამოს აჩნია  
და მაინც კოშკებს გაკვამლულს  
ბრძოლით ვერ გაუმარჯვია!

მაგრამ წინაპართ კოშკებში  
სულს ითქვამს თავისუფლება,  
მზის თვალი მაინც დაჰყურებს  
ცა როცა დაიღრუბლება,

ღვივის თოვლსა და ქარბუქში  
ჩაუქრობელი ღაღარი,  
მთა მთას გაჰყურებს იმედით,  
ბრძოლისთვის მუდამ მზად არი!

და ცხენოსანთა წინამძღოლს  
სახე მზით განათებია, —  
ამბობს — ეს ჩვენი დილაა,  
ამბობს — ეს ჩვენი მთებია!

თარგმანი კ. კალაშნიკა

(გაგრძელება იქნება)

## ვახაგან მოჩაენაძე



### ახალი ტალღა

არ შემიძლია დუმილი ახლა,  
გულში გრძნობების ცეცხლმა იმატა.  
დაიძრა ახალ ცხოვრების ტალღად  
კომუნისტური შრომის ბრიგადა.

ამ ჩვენს ბედნიერს გავხედე მინდვრებს  
და გულმა უფრო მეტი ინატრა,  
წინ გადაშალა ახალი სივრცე  
კომუნისტური შრომის ბრიგადამ.

ხარაჩოებზე დგება შეიღწეული,  
ჰა, უკვე კიდევ სხივმა ინათა.  
თავლები არის ჩვენი მიღწევის  
კომუნისტური შრომის ბრიგადა.

ოქროს მომავალს მარჯვენა ჰედავს,  
ჩვენს ნაბიჯს ზეცა მკერდზე იხატავს  
და კომუნიზმის დამდგარა ბჭესთან  
კომუნისტური შრომის ბრიგადა.

მთას გადმომდგარი გვეძახის მაცნე,  
ჩვენს დღეებს ეს რა შუქი მიხდგა.

მხოლოდ შეიღწეულის გუმბათებს  
ასწევს  
კომუნისტური შრომის ბრიგადა.

მესმის შეიღწეულის დროშების ღელვა  
და მათი შუქი სტრეიქონს მიქარავს.  
დიდების ზარებს ჩამოჰკრა ყველგან  
კომუნისტური შრომის ბრიგადამ.

ღე, მტერთა გული აღივსოს ბრაზით,  
დაეშვას აფრა ომის გრივალთა,  
ქვეყნად მზესავით სიკეთეს გაშლის  
კომუნისტური შრომის ბრიგადა.

არ შემიძლია დუმილი ახლა,  
ეს რა წუთები გადაიზადრა.  
დაიძრა ახალ ცხოვრების ტალღად  
კომუნისტური შრომის ბრიგადა.

ახლად ანთებულ ვარდების კოცონს  
სიმღერა ჰქონდეს გზად და ხიდადა.  
გზა დაუფლოცოთ, გზა დაუფლოცოთ  
კომუნისტური შრომის ბრიგადას.

## მარიჯანი



### მზითვის სარკე

ქორწილის წინ დედაჩემთან  
გსაუბრობდი ცალკე.  
დედამ მითხრა: — გაუფრთხილდი,  
შვილო, მზითვის სარკეს!  
გამიგია, გადმოცემა  
არის ხალხში ძველი,  
თუ ოჯახში სარკე გატყდა,  
რადაც საფრთხე ელით!  
ამ სარკეს რომ ენა ჰქონდეს,  
რამდენს გეტყვით ამბავს!..  
ამ სარკის წინ მე ჩამაცვეს  
საქორწილო კაბა.  
მხარებდა სამკაული,  
თვლები უთვალავი,  
კაბა თეთრი მიხდებოდა,  
თმა კი შავი, შავი...

ნახევარი საუკუნე  
დგას ოთახში სარკე,  
ნახევარი საუკუნე  
ჩემს ცხოვრებას ვარკვევ.  
ვინ რა იცის, თუ რამდენჯერ  
გული გამებზარა!  
თუ რამდენჯერ გული გატყდა  
და სარკე კი — არა!  
თუ ამდენხანს გიფრთხილდები  
და ზრუნვას არ გაკლებ,  
შეგენახა ჩემი სახეც,  
მზითვის ცივო სარკეც!  
ვერ დავმალავ, გული მტკივა,  
მე დარდი მდევს ერთი:  
რად მიხდება თალხი კაბა,  
თმა კი — თეთრი, თეთრი!..

## ილია ხოშბაიძე



### დედამიწის თანამგზავრი

სულს ამშვიდებს ღამე წყნარი,  
მკრთალ შუქს აფენს მიწას მთვარე,  
ცის ურიცხვი ვარსკვლავები  
ვთვალე, მინც ვერ დავთვალე.

აღარ უჩანს დასასრული,  
რა ვრცელია ეს სამყარო, —  
ზოგან ტყეა, ზოგან ველი,  
უღაბნო და მთებში წყარო.

წყალს, ჰაერს და მზეს, სიცოცხლის  
მომნიშებელს, ეტრფის ყველა,

განსაცდელში მყოფი კაცი  
ბუნებისგან ითხოვს შევლას.

ამსხვრევდა და დღესაც ამსხვრევს  
მონობის და ჩაგვრის უღელს,  
კაცთმოყვარე ხალხი ქვეყნად  
მშვიდობას და ძმობას უმღერს.

რას არ მისწვდა მისი ძალა,  
განახლების რეკავს ზარი,  
ზეცის მაღალ თაღებისკენ  
გზას გაგვიხსნის „თანამგზავრი“.

## შალვა შორაჩიძე



### სამშობლო ჩემი

გახედე: მთებს რა შუქი ებურვის,  
და მიწას ფეხი დაადგი კდემით...  
დაფნის ფოთლებით განათებული —  
ეს სამშობლოა, სამშობლო ჩემი!

თითქო გამეხსნა ცა იღუმალი,  
დაუფენია ტოტი მოლზე შინდხ.  
ველი საესეა ციური ცვარათ  
მიწა ნათლდება დაფნის ფოთლებში...

წადი, იფრინე, შენ გიხმობს შორით —  
გზა — დაფარული წმინდა რტოებით!

სულს არ დაჩრდილავს ნისლების  
ტბორი,  
მინდვრად გალობენ ჩიტბატონები...

გაბრწყინებულა ცით ძოწეულით  
ვაზი და დაფნა, ლედვები, ბზები.  
ცეცხლმოდებული ბროწეულები  
ზეთისხილი და თავთუხის ძნები...

ველებს რძისფერი შუქი ებურვის,  
მიწაზე ფეხი დაადგი კდემით.  
დაფნის ფოთლებით განათებული —  
ეს სამშობლოა, სამშობლო ჩემი!

### ჩიტო ნიგლიავ მე შენზე ვფუხდი

გაძრცვნილ ხეებში გრიგალი დაძრწის,  
დუმან ველები უკაცრიელნი...  
თოვლში ფოთოლი ჩამჰქნარა ანწლის  
და სადღაც ბუჩქი სტიარის იელის!

გზებს ქარიშხალი დასწივის მწარედ,  
ტყეში ნადირთაც აწუხებს სუსხი...  
ოღეს ქრებოდნენ ფერები მწვანე —  
ჩიტო ნიგლიავ, მე შენზე ვწუხდი!

შენ ჩემი სევდა არც ვაგვივია,  
ისე ეწვია ქალაქებს თოვლი,  
და თითქო სული მე დამირბია  
განრისხებულმა გრიგალმა ქროლვით...

მე ახლა შეილებს ვახურავ საბანს,  
მაგრამ ამ თოვლში შენ სადღა თბები?

ვინ მეტყვის დილით, კარგო, შენს  
ამბავს,  
თუ არა ისევე რტონი დაფნების.

ნუ დაგაღონებს საწუთროს თოვლი,  
კვლავ მწვანე ფერებს უმღერე გზნებით.  
და დაგიფარავს ფოთლების თრთოლვით  
კეთილშობილი დაფნა და ბზები.

თუმც თოვლი შენებრ აწუხებს დაფნებს  
და ქარი ბზებსაც აწვალებს მწარედ,  
შენ რომ ამქვეყნად გადარჩე, გათბე,  
შემოუნახავთ ფერები მწვანე...

ოღონდ დალოცე დაფნა და ბზები,  
არ დაიჩნიო ოღონდაც წყალული  
მათ ლურჯ რტოებზე იცოდე გზნებით  
ანთია ჩემი მშფოთვარე სული...



ნუგეშო ჩემო

შენ დამიფარე ლურჯი დაფნის ცხოველი ტოტი,  
ნუგეშო ჩემო!

მე დაფნის ტოტი გალობის დროს სინათლედ მყოფნის,  
და ოდეს ჰანგებს, როგორც ნაყოფს, ვუშინჯავ გემოს,  
დაფნის ფოთლებად სალამურში სული ამოდის  
და ეფინება სოფლიდან სოფლით...

მე სულს მიმზევებს წითელი მზის საგალობელი,  
ვაზის ლერწები შევეურჩიე სიმებად ჩონგურს,  
და ვაზის ჩრდილში, ვაზის ჩრდილში ვდგავარ,  
მოგელი,  
თავზე დამყურებს ძველთაძველი ციხის ქონგური,  
როდის ამენეს?  
ხავსი ჰფენია და ატეხილ ქალებს ამშვენებს!...

მე მოვიტანე შენთან კდემით ზეთისბილის რტო,  
ლურჯ მწვერვალებზე გადავფინე ჩრდილები ბზათა.  
უსიერ ტყეში დავახვავე მწვანე მუხის რკო,  
ჯერ უხილავ ფერს რომ ვეძებდი გარშემო ტბათა...

მე მკათათვეში მოძმეს კალო გავალწინე,  
ქარბუქში, თოვლში ნუგეშინი ვუთხარ მზეწვიებს —  
სახლის ერდოზე გამოგვიდე ძნები ხორბლისა  
და ოდეს თვალწინ გაიელვა ყელმა ხოხბისამ,  
მე სიტყვას მივეც უტკბილესი შარბათის გემო,  
ნუგეშო ჩემო!...

მე დამიფარავს ლურჯი დაფნის ცხოველი ტოტი,  
მე დაფნის ტოტი გალობის დროს სინათლედ მყოფნის!  
დაფნის ფოთლებად სალამურში სული ამოდის  
და ეფინება სოფლიდან სოფლით...



პოლიკარგე პაპაბაძე



# ქარიშხალი

ღრამა სამ მოქმედებად.

მოქმედნი პირნი:


- პედრო
- ანტონიო
- ნიკოლო
- გონზალო
- ალფონს
- ფრანცისკო
- იოან
- მიქელო
- კარლოტა
- ტერეზა
- ამალია
- გუგავა მიკოდი
- წოწორია ფტუ
- ბარონი
- პარველი ტუსალი
- მეორე ტუსალი
- პირველი გამოშვებელი
- მეორე გამოშვებელი
- პირველი ზეინკალი
- მეორე ზეინკალი
- მეფე
- დედოფალი
- პრინცი
- პრეფექტი
- მინისტრი
- ეპისკოპოსი

ორატორები, სატუსალოს საყნის მეთაურები, ტუსალი ქალები და კაცები, მემამოხეები, შეიარაღებული როსკიები, შეიარაღებული ლატაჟა დედაკაცები, პედროს მეომრები, ანტონიოს მეომრები, მთერალი კაცები, დაჭრილი მემამოხენი, მეფის გვარდიელები, ლეიტენანტები, შონები სხვადასხვა რასის, მლოცველები, შეშლილები, შავი ქაშით ავადმყოფები, დედოფლის ამაღა, ფარეშები, მდაბიო ხალხი.

მოქმედება წარმოებს მეჩვიდმეტე საუკუნის ნახევარში, დასავლეთ ევროპის ერთ სატატო ქალაქში, რომელსაც მოქმედნი პორტოპოლს უწოდებენ.

## მოქმედება პირველი

დიდი საყრობილის ერთ-ერთი საყანი. სცენაზეა პედრო, ნიკოლო, გონზალო, ფრანცისკო, ალფონს, იოან და სხვა ტუსალები. პედრო და ნიკოლო სინჯავენ თანჯარაზე რყინის გისოს. გისო შეიარყევა ყველანი სიბარულით დელავენ, იყურებიან თანჯარიდან ღამის სიბნელეში. ფრანცისკო — ნეტავ თუ მართლა უკანასკნელია ჩვენთვის აქ ეს ღამე? ალფონს — ღამე? აქ დღეც ღამესავით ბნელი არ იყო!



პედრო — აინთო.

ნიკოლო — აა, ნამდვილად ვხედავ!

გონზალო — ჩაქრა!

(ყურადღებით იცქირებიან)

პედრო — კიდევ აინთო!

ნიკოლო — ნუთუ ეს ჩვენი ნიშანია — გვაცნობებენ, რომ თავისუფლების გზა გვეხსნება.

გონზალო — კიდევ ჩაქრა!

ალფონს — ეს ლამე... სხვანაირია...

პედრო — შესამეგჯერ აინთო, ხედავთ!

ნიკოლო — ახლა არ მეეჭვება.

გონზალო — ალექსელი ნიშანია!

პედრო — აჲ ქვევით დარაჯებს აღაგმავეენ. ჩვენ სიზნელეში გადაეშვებით თოკებით და...

ფრანცისკო — და მე სიმღერით ვივლი გზებზე. ხაი ხაი

იოან — არ მჯერა.

ფრანცისკო — სსუ!.. მოხუციო!

ალფონს — ახლა არ ქრება ის ცეცხლი — ინგვლოსივით გვიუბრებს ხომლიდან.

პედრო — თორმეტი წელიწადია, ვეცდი მაგ სინათლეს!

ნიკოლო — ო, იქ რა ვაჭაკები გველოდებიან.

პედრო — ომ! ცეცხლის გვერდით შელანდება მათი ბელადის ანტონიოს სახე. იმ ცეცხლის კიაფში ვცნობილობ ანტონიოს სულს!

გონზალო — მან ანათემის პასუხად ხმალი იშოშელა ეკლესიის წინააღმდეგ, არა?

ნიკოლო — ეჲ, მე თავიდანვე ხომ მისი რაზმელი ვიყავ. მიმხედ რომ არ დაჰპრილიყავ, აჲ რა მინდოდა.

გონზალო — რა გმირობას სჩადის!

ნიკოლო — სჩადის ჰქვია?! ცეცხლს უკიდებს ინვეიზიტორთა ბუნაგებს, დიდებულთა სისახლეებს. შენ კი, პედრო, მისი თანავრძნობისთვის საუკუნო ციხე მოგისაჯგეს.

ალფონს — და ახალგაზრდა ფილოსოფოსი, სამეფო წიგნსაცავის და მუზეუმის გამგე, გახდა პორტოპოლის ციხის პატიმარი.

1 ტუსალი — ხა, ხა, ხა, ხა! ეს როგორი ამბავია!

2 ტუსალი — ნეტავ მთელი ქვეყანა სატუსალოში ჩაჯღებოდეს, მაშინ მეც არ დამწყდება გული.

პედრო — ქვეყანა სატუსალომ მაგრამ, მე არა მარტო ამ სატუსალოდან ვაგვიყვანოთ, — იმ ცეცხლს, ხომლიდან რომ გვიცინის, ქვეყნის მხსნელ ხანძრად გადავაქცევ.

ნიკოლო — შენ უკეთ იცი, რასაც შეძლებ და გააკეთებ.

პედრო — თოკები მოამზადეთ.

(გონზალო და ფრანცისკო სინჯავენ თოკს. ამაგრებენ)

ნიკოლო — აჲ ჩემი დის თმაც ურცევია.

პედრო — (იხედება ფანჯარაში) მოხსენით ეს გისო ფანჯარას.

(ნიკოლო და გონზალო ეცემიან ფანჯრის გისოს და აძრობას იწყებენ. რკინა გაბმურდება).

ალფონს — ჩემად!

პედრო — ჯერ ნუ ჩქარობთ. (ნელა და ენერგიულად განაგრძობენ გისოს აძრობას, პედრო სინჯავს თოკს).

ნიკოლო — უცნაური თოკია. ა, გაგვიძლებს?

ალფონს — რატომ არა, ჯოჯოხეთში ქებაებს თერამე სულ ქალის თმაზე კიდებენ.

გონზალო — მაღლი ერგება შენს დის, ნიკოლო. — ხუმრობაა, ჩაჯდა ზემო სართულში, რათა მეგობრების ჩერებისა და თმებისაგან დაეწნა თოკი, და ჩვენს საკანზე გადმოეშვა.

ალფონს — იმ ჯამბახსაც უცხოოდეს სული ანტონიოს გაპირებით რომ შეუკლით ქლიბი მოიტანა!

ფრანცისკო — მაგრამ ვაი, იმ ოსტატობას. უკანვე ვერ ამოიღო — დააგვიანდა და გადაყვა საწყვადი.

ალფონს — რა დამაივიწყებს, როგორ ამოართვა პედრომ მუცლიდან ქლიბი მომაცვდავ ჯამბახს.

(ნიკოლო და გონზალო ფანჯრიდან რკინის გისოს მოხსნიან).

გონზალო — მოვსხენით.

პედრო — გადღუშვით თოკები. მე ნიშანს ვუუბრებს. სამჯერ უნდა მოსწიონ თოკი, შერე...

ფრანცისკო — თავისუფლება?

პედრო — ჯერ დამშვიდდით. როცა დრო მოვა, გატყვით.

(მედრო მარტო იყურება ფანჯარაში).

იოან — ეპ, მე გულს შეყრება, თქვენ გიხარიათ.

(გადაბრუნდება კედლისკენ)

ფრანცისკო — რატომ?

ალფონს — რატომ, მოხუციო!

იოან — (გადმობრუნდება) გეუბნებით, ცუდად გათავდება. მე მოხუცი ვარ, არა უშავს რა, ორმოცდაათი წელიწადია, ამ თაროზე ვაგდოვარ. შეყოფა.

ფრანცისკო — თი, გაძლება! მე ათი წელი ვზივარ და ღამის ქვად გადავიქცე.

გონზალი — განა ახლა გაიგე? ვისაც ამ საკანში შემოიწვიანენ, სიკვდილამდე ვერ გავა!

იოან — თქვენამდე აქედან სახარობელაზე არა ერთი გასულა. ჩვენც ის მოგველის. რა გაეწყობა! მე შენ გეტყვი, ცოლ-შვილზე არ დაშფუდეს გული.

I ტუსალი — აჲ ამბობდი, თითქოს ცოლ-შვილი გყავდა!

იოან — იმ დროში? მერე? ვინ იყის, ვინ იყის, ვინაა ჩემი შვილი, ან შვილიშვილი, — ემიე შენ ადამ და ევას კვლი. სად წაიღე. არც ვფიქრობ, სადმე წაიღე აქედან.

გონზალი — თუ ახლა არ გავციმართლდა, მერე არაფერი არ გვეტყენება, არც გვეწყინება!

ფრანცისკო — მართალია, სახარობელა ჩვენთან ერთად იმ მაკედონსაც დაახრჩობს, იმედი რომ

ქვია.

(ნიკოლო მიიწევს ფანჯარაში გადასახედად. პედრო უკან დაახევინებს).

პედრო — დამშვიდდი, ნიკოლო, აქ მე ვემარჯვარ.

გონზალი — ო, მწვანე ტყეში გული იშვლიანდაა, იქ ყოველი ხე მფარველია.

II ტუსალი — მე პირველად თხუთმეტი წლის წინათ გავიპარე სატუსალიდან. რამდენიმე თვეს დამყვებოდა ნახევარდღისშველი ცოლი, ბავშვაკიდებელი. ბოლოს გამეცა და მეთულუხეს აეყვია. მართალი თქვა პედრომ: მთელი ქვეყანა სატუსალია, ცხოვრება ყველგან აკრძალულია.

I ტუსალი — ცხოვრება სულ ჯამბაზობაა.

გონზალი — მე კარგად ვიცნობ ორფეხებს. ერთ დროს მღვდელი ვიყავ და, შენს მტერს, რაც მე აღსარება მომისმენია... შემდეგ დედაკაცმა მაცდუნა, დაორსულდა და ტყეში გადავი-მალე. მერე აჯანყებულ ლატაკთა მეთაური გავხდი და არავის ვზოგავდი, რადგან ვიცოდი, რომ ყოველი ადამიანი ცოდვილია.

ფრანცისკო — ეპ, მე რომ მოგყევი ჩემი წამება... უდროოდ დამქცარი სიყვარული...

გონზალი — კარგი, რამდენჯერ უნდა სთქვა! ჩვენ რაც გადავჭვდა, იმდენა შენ ამბადაც არ გსმენია.

ფრანცისკო — ასეთები ხართ. მთელი ღამე მისმენთ, თვალები გეცრემლებათ და მერე სიცრუედ მიგაჩნიათ.

ნიკოლო — დაწყნარდი, ფრანცისკო.

ფრანცისკო — თქვენ რას იცნობთ ფრანცისკოს. მე და ჩემი ცოლი როცა სიმღერით და აბრუნ-დებით ქუჩაში გამოვდიოდით, ფანჯრებიდან შიგ ქედში ცვივოდა ფარები... მხოლოდ მაღივია გედევინდა, ის წყუელი... ბოლოს, მეფის და გელესის დამკინავ სიმღერებისათ-ვის გამბოქეს. დიახ, ამოდენა ბრალი დამდეს: მეფის და გელესის მტრობა და აქ შემომავდეს.

გონზალი — ჯოჯობეთს ერთი მუგუზალი ავლდა.

ფრანცისკო — ვინაა მუგუზალი! მე შენთან წმინდა სანთელი ვარ, პირდაუხანელო, — სიმღერ-ისათვის დამსაჯეს; შენ კი რამდენი კაცის სისხლის გაქვეს კისრზე.

გონზალი — პედროს წინააღმდეგ შეთქმულება?!

ფრანცისკო — მე რა შეწვი ვარ? უველს გეწამებენ, დრო და დრო გვეციოთებთან, თუ გავი-მჯავნათ პედრომ საიდუმლოო. არც ისინი გვეუბნებთან, რა საიდუმლოს ეძებენ, და პედროც არ გეიმჯავნებს, ამიტომ ჩემად უველს გვიჩინა მასხარამ, მოგვეყლა პედრო და ამით იგვეშორებინა წამება.

გონზალი — პედროს მოკვლაზე ვინ დაეთანხმა მასხარას?

ფრანცისკო — (მიუთითებს ნიკოლაზე) ეს არ იყო მისი მარჯვენა?

გონზალი — ნიკოლომ თვითონვე მოიბანა პირი — თავის ზელით დაახრჩო მასხარა და პედრო იცნო საკანის თავად.

ნიკოლო — რა დროს ვგებომა! მას აქეთ გამოვიყავით. თუ ამ ციხეს გველემშაბის მუცელს უწოდებენ, ჩვენს საკანს გველემშაბის თავი შეარქვეს.

I ტუსალი — მართალია, შეარქვეს, — პედროს პატივსაცემად.

ალფონს — ო, როგორ მინდა ჩქარა გაეფრინდე აქედან და პედროს მოციქულად გავხდე.

იოან — შენ, ალფონს, მხოლოდ სამი წელიწადია ზიზარ აქ... თან მოგყვა ლენის სუნი. ჯერ არ გამოვიძინებია და ისევ, მიღიზარ... ყველა მიღიზარ... სუყველა... არ მოგყვებოდა, ჯიზარებოდა, ჯიზარებოდა.

ალფონს — იქ არის ლენო, ქალები და თავისუფლება.

იოან — თქვენი დამილოცია. ჩემთვის ქალიც და თავისუფლებაც დაბერდნენ.

ალფონს — შენ დაბერდი, იოან, თორემ ქალი და თავისუფლება ისევ მშვენიერია.

იოან — შენ რა იცი, გუშინდელმა, ჩემ სიტყვას რას მიხედობი.

ალფონს — მე ვიცი, მამ შენ რა გამოვიცი. შე მდიდარი აზნაური ვიყავ. მთელი ქონება ლბინში და საჩუქრებში გავფანტე... მაგრამ, როცა ქონება გამოთავდა, ვაიოგე, რა ძუნწია აღამიანი. საკმელს მხოლოდ სიზმარში ვკამდა. ამ დროს ზეცამ სიბრძნე ჩამაგონა და დაიწყო ქადაგება, რომ ქვეყნის ხსნა ქონების და ცოლების გაერთიანებითა. ემოვე თანამოაზრენიც. ეს გაიგეს ხელისუფლებამ და აქ ჩამსვეს... ხოლო, ამალამ თუ გავჭვრიტო, არაფერს ვნანობ, რადგან პედრო ვაიციანი.

ნიკოლო — ჩვენ ვერ ვწვდებით მის აზრებს... მხოლოდ ვიცით, რომ ამქვეყნად უსამართლობას ხედავს და ახალ ცხოვრების დამუარება სწყურია.

(გაისმის შორეული გუგუნო.)

ალფონს — ეჰ, ისევ ისმის მიწის ქვეშ გუგუნო.

ფრანცისკო — საზარელი ხმაა.

ნიკოლო — მესამე დღეა, ეს ისმის და შევიტყვე, რომ მთელი პორტოპოლი შემფოთებულა.

გონზალი — რა უნდა იყოს, მე ჯერ ასეთი არაფერი მსმენია.

იოან — მე იმდენი მიცხოვრია, ესეც მახსოვს.

ალფონს — საიდან?

იოან — ორმოცი წლის წინათ გავიგონე... და... ისეთი მიწის ძერა მოსყვა, კინაღამ ეს ციხე არ დაინგრა.

ფრანცისკო — ბედნიერებმა იკითხონ.

გონზალი — მთელი ქვეყანა თუ დაიქცევა, არც თავს ენაღელობ.

ნიკოლო — რა დამენანება. ერთი პატარა და შემრჩა და ისიც ჩემი გულისთვის ციხეში ზის. მხოლოდ პედრო მიკვსავს იმდღს ქვეყანაზე.

გონზალი — ო, მეც პედრო მიბრუნებს სულს. გეფიცებით ჩემი ტერზას კაბის ნახვებს (გაშლის ხელში კაბის ნახვეს) ამ სიწმინდეს გეფიცებით, თუ გამიყვანა პედრომ, ანტონიოზე ნაყლებად არ გამოვალდები.

იოან — სიწმინდე ქალის კაბაში გახვეული არ მინახავსო, ასე თქვა ერთმა ბრძენმა, რომელიც ამ საყინიდან სახარბოებლზე წაიყვანეს, თქვენ მაშინ დაბადებულაც არ იქნებოდით.

გონზალი — ბებერო, რად არ არის წმინდა ჩემი საფიცარი! (ბრაზით) რადგან ის როსკიბა იყო, შენ გგონია, გული არ ჰქონდა? როდესაც ქალაქში შემოვიბარებოდი, ცხრაკიტულში მფარავდა.

ნიკოლო — (გონზალს) დაწინარდი.

გონზალი — მე ეს შევლებე იმ მრუში კაცის სისხლით, რომელიც სიყვარულში მეცოლებოდა და გამცა... რა ვიცი, ეგებ ტერზამ აქამდე საროსკიბოში სულიც დალია... ან ისე გამოიცვალა, ვერც ვიცი... ჯერ გავიდე და ვნახო... ა? გავალთ? ა, როგორ ატყობს პედრო? რას ხედავს ფანჯარაში?

ნიკოლო — გავალთ, დამშვიდდითო.

ყველანი — (მოწონების ნიშნად აქნევენ თავს).

I ტუსალი — მერე?

ფრანცისკო — შეიძლება თავისუფლება მოვიმოვოთ, მაგრამ ისე გავაუბედურეს, რომ ვერა ძალა ვერ აღგვადგენს.

I ტუსალი — ჩამქალა ჩენი ვარსკვლავი?

ალფონს — პედრო...

ნიკოლო — ის თავს გრძნობს სიმატლის მოციქულად და მართალია.

პედრო — (ფანჯარასთან) თოკი მოსწიეს.

ყველანი — ვინ არის?

პედრო — ანტონიოს მგლებია. მესამეჯერაც მოსწიევენ. მოემზადეთ.

ხმები — ანტონიო!

პედრო — ის ერთდროს მე აღვაგზნე, მაგრამ შეხეთ ამ კედლებს. ეს ამწიფებს აღამიანს. აქ გავიგე ლეთის სიტყვა, აქ აესხენი სწორად საზარება და ვნანობ, როგორ ცოტა ვასწავლე

საბრალო ანტონიოს. უსამართლობის მწგრველი სასტიკი უნდა იყოს, ასეთების სამოგ-  
ნელად მიედივარ...

**ნიკოლო** — ჩვენც გამოკვებით.

**პედრო** — შე ვაფიშარჯევებ, არნახულ ძალას მოვიყრებ მისთვის, რომ უმრავლესობა დაჩაგრულია. შე მომენდობიან ტანჯვისაგან თავის დასახსნელად მონები, გლეხები და მუშები. კეთილი მომხმარებელიან სამართლიანობის დამყარების იმედით, ბოროტნი — ერთიმეორის სიძულ-  
ვილით, ავანჯანი და ქურდები — ანგარებით, ნაძირალეები — სვირის საუფრებლად, შე ყველას ენებებს ავუშებ პაირშხალივით ძველი ცხოვრების დასანგრევად.

**გონზალო** — შე შენი მარჯვენა ვიქნები. შეც ასეთი შეუპოვარი ვიყავ.

**იოან** — (ცალკე უნაწილოდ დგას) ეწყობიან...

**პედრო** — თქვენ დამიჯერებთ ისეთ ჭეშმარიტებას, რაც სხვებს სიჯიველ მოეჩვენებთ?

**ნიკოლო** — რა არ შეგვიძლია.

**ალფონს** — ჩვენ არ გვინდა ჭკუის დამრიგებელი. საკმაოდ გვასწავლა ცხოვრებამ. შეგვიძლია ისეთი მივიღოთ ბრძენად და წინამძღვრად, ვინც ქვეყნისთვის ვიცოა.

**ფრანცისკო** — გინდა სატანისაგან იყავი და გინდა ლეთისგან, მხარს მოგკემთ, რადგან განწირუ-  
ლი ვართ.

**I ტუსალი** — რა მოთვლის ჩვენს იარებს.

**ნიკოლო** — ამ ყედლებიდან ჩვენს დაღუპულ წლებს მხოლოდ შერისძიება გამოიტანს.

**პედრო** — ვთავადა! სამჯერ მოსწიხის თოკი. (გადიხედავს თანჯარაში) თავისუფალი ვართ! დარაჯები ალაგმულია. ციხიდან გასასვლელი ანტონიოს მეომრებს უპურიათ.

(ვევლანი მივიარდებიან თანჯარასთან, იოანეს გარდა, და იცქირებთან).

**პედრო** — (ადის თანჯარაზე) ნიკოლო, ჯერ ესენი გადმოუშვი და ბოლოს შენ გადმოდი. (პედრო მიდის).

**ნიკოლო** — გონზალო, მიპყევ პედროს. (გონზალო მიდის) ფრანცისკო, შენი ჯერია. ალფონს მოეშაღე. (ფრანცისკო მიდის) მოისმის ხმაურა

**ალფონს** — (აპირებს გადასვლას) რა ხმაურია!

**I ტუსალი** — ვაიგეს, წყუელუმმა.

**ნიკოლო** — არა, არა, გადადი!

**ალფონს** — (აპირებს გადასვლას, ისმის თოფის სროლა) ოო, უკვე რიერაქია, სინათლაც გვის-  
წრებს.

**ნიკოლო** — ჩქარა, ალფონს, თორემ მივაბრძობ! (ალფონს მიდის. I ტუსალს) ჯერი შენია!

**I ტუსალი** — ბრძოლაა, (შენდ მიდის)

**II ტუსალი** — ქილაქის ღრიანცელიც ისმის.

(გაისმის თოფის სროლა)

**II ტუსალი** — ომია ჩენი ციხის ეზოში.

**იოან** — რა ხდება, ნიკოლო!

**ნიკოლო** — თვითონ მეფე გამოჩნდა. ხალხი შორბის სანახაობაზე. ანტონიოს უკანასკნელი მეომრები დაეცნენ. მცველები იწვევენ უიარაღო ტუსალებზე.

**II ტუსალი** — მომიკლეს შეგობარა!

**ნიკოლო** — ჯალათები!

(გაისმის თოფის სროლა)

**I ტუსალი** — (შეკრთება) შეც დამჭრეს.

**ნიკოლო** — მაშ, დარჩი, შე გადავალ.

**II ტუსალი** — პედრო გვეძახის, წე გადმოხვალთო.

**ნიკოლო** — რატომ?... ო, მცველებმა უკან დაიხიეს... ისინი ვაიყვანეს ეზოდან და ჩვენები ასკდებიან დახურულ კარებს... ვერა... მეფე ჭოგრით იყურება, (შემკრთალი და გაოცე-  
ბული) ააჰ! (მოისმის ხალხის ყვირილი) ლომი შემოუშვეს. იგი წამოვიდა ჩვენებზე-  
(ისმის ლომის ღრიალი).

**II ტუსალი** — მხეცის ხახამი გყვრიან,

**ნიკოლო** — (ყვირის შემოლოთებით) ამოდით, ო, ხედავთ, პედრო გადაუღვა ლომს და ჩვენცენ უშეებს ამხანაგებს! (ამოდის ალფონს)

**ალფონს** — პედრო სცემს და ღმეის ლომი!

(ისმის ხალხის აღფრთოვანება. ამოდის გონზალო)

**გონზალო** — ოო, ლომი მოთვინიერდა პედროს წინაშე და ხელს უღოკავს!

**ნიკოლო** — საკვირველება!



(ამოდის თოკით ფანჯარაზე ფრანცისკო)

ალფონს — სასწაული!

ფრანცისკო — (იხედება, საიდანაც ამოვიდა) აჲ!..

(ისმის ხალხის აღფრთოვანებული კრიშეული)

ყველანი — (ჩასძახიან) პედრო!

ფრანცისკო — ისინი იბრძვიან?

ნიკოლო — არა, პედრო და ლომი ჰყოცნიან ერთმანეთს.

ალფონს — (ჩასძახის ფანჯრიდან) კმარა, მზეცი არ არის სანდო!

ნიკოლო — აჲ, პედრო ამოდის, ამოდის!

(ყველანი აღტაცებით იყურებიან. ამოდის ფანჯარაზე პედრო. ეხვევიან)

ფრანცისკო — ყველაფერი გვევრა შენი!

ალფონს — ჰუმბრიტად უფლის მოციქული ხარ.

ნიკოლო — მეფე თავდახრილი წავიდა. ხალხს უკანვე ერეკებიან. როდესაც მიხვიდეთ სახლში და მოჰყევით ეს ამბავი, შერგებთ თავის თავისა.

პედრო — (იხედება ირგვლივ. II ტუსალს) შენ რა მოგვიდა?

ნიკოლო — ეს დაიჭრა ფანჯარაზე.

II ტუსალი — არა მიშავს. მხოლოდ სუსტად ვარ და ვერ გეხვევი.

ნიკოლო — შიშველ დაიჭრა.

პედრო — (გადაიხედავს) ინტონიოს მეომრება... ერთიე ჩვენი ტუსალი... როგორ მშვიდად წვანან თავის სისხლში! ხედავთ?

(გაისმის საყვირების ხმა. ჩოჩქოლია)

ფრანცისკო — რა ხდება?

იონ — (თაროდან) ეს ეკლესია კი არ არის, სასწაული. გაიგონ — ოქმს შეგვიყენებენ!

ნიკოლო — ციხის დარაჯებმა დაიკავეს თავიანი მოსტეში... (საქანის კარები იღება, შემოდის ორი გამოშვებული, თან მოჰყვება რიი ჯალათი და რამდენიმე ციხის ზედამხედველი. ზედამხედველები უხმოდ ახდენენ ჩხრკას. დუმილია).

ზედამხედველი — ამ ქლიბისა და თოკის მეტე ვერაფერი აღმოვიანინეთ.

I გამოშვებული — შევიძლიათ (ზედამხედველნი მიდიან)

II გამოშვებული — ჩვენ ვიცით, მაგრამ თქვენ მაინც გვეალებათ გულმართლად აღიაროთ ყველაფერი.

ნიკოლო — გულმართლად სიძულვილს გიცხადებთ. სხვა რა შეგვიძლია.

ფრანცისკო — შეტს ვერაფერს გეტყვით.

(შეორე ტუსალს შეაზმორებს, კვდება).

II გამოშვებ. — ეს ვინ არის?

ალფონს — დაჭრილი იყო.

I გამოშვებ. — შერე?

გონზალო — მოკვდა.

(დააცქერდებიან)

II გამოშვებ. — ათუელი წელია აქ ზიხართ და მაინც ვერ გამოსწორდით.

I გამოშვებ. — (ჯალათს) გაიყვანე ესენი. (იონეზე) ამის წამება ჯერ არ ღირს.

ჯალათი — აბა, წამოდი!

(კარებში გამოჩნდება კიდევ ჯალათი. მათ მიჰყავთ ტუსალები. II ტუსალს, მკვდარს, ზელოთ გაათრევენ. საქანში ტოვებენ მხოლოდ პედროს და თაროზე იონს).

I გამოშვებ. — ჩვენ ჯერ შეგვეკითხებით...

პედრო — (გააწყვეტივნებს) არაფერზე არ ვიპასუხებთ.

I გამოშვებ. — მაშ ვის უპასუხებთ, თუ არა ჩვენ?

II გამოშვებ. — მთავარ კითხვას დაეწვეთ.

I გამოშვებ. — ჩვენ გვაქვს მეფის უზენაესი დავალება. გულახდილად გეტყვი, ის ვერ დამშვიდდება, თუ არ გაიგოს, რად მოლბა შესწინაშე მეფის სამხეცის დიდი ღომი.

პედრო — (შეკრთება) ღომი... აბა...

II გამოშვებ. — ჩვენ არ მივაქცევდით უურადლებას, მაგრამ... ის ამით შესწოთებელია.

პედრო — (შწარედ იცინის) დედოფლის ბატარა ღომი?

I გამოშვებ. — მისმა უდიდებულესობამ ბრძანა, ღომის ხასიათის გამოსაცდელად მზეცთან სიკვდილით დასასჯელი დამნაშავე შეეშეთ — ღომმა წამში გახლიჩა. მიუშვებს ცნობილი

მომთურვენელი, ისიც დაგლოჯა. მაშინ მეფემ მოიხმო ეპისკოპოსი... მან დაარწმუნა რომ აქ არ არის სასწაული, რადგან შენ წმინდანი არა ხარ. რატომ ლეღე?

**II გამოძიებ.** — დამშვიდდი.

**პედრო** — მაშ ასე უცნაურად მიადგა ის სინამდვილის კვალს. (ნერველად იცინის)

**I გამოძიებ.** — პედრო!

**II გამოძიებ.** — დინჯად გვითხარი, აგვისსენი, რისთვის დავინდო ლომმა.

**პედრო** — აი აღდგებულაი, შფოთავს, მან კვალს მიავნო! ახლა დიოჯერებს სიმართლეს. აქამდე მხოლოდ სიგვედ მოგჩვენებოდა. ალბათ, პქონდა სხვა ეკვებიც, მაგრამ მე რა ვიციოდი, მე ვიჯექვი აქ, ოთხკედელში. ახლა ჩემგან მხოლოდ დადასტურება უნდა.

**II გამოძიებ.** — თქვენ ისეთი სინდისიერი ხართ, სიმართლეს იტყვი.

**პედრო** — (ჩაფიქრდება) არა. შე მხოლოდ მეფეს გავუმხელ, თქვენ წადით!

**გამომძიებლები** — (აღშფოთებულნი) რომაე!

**I გამოძიებ.** — ძვირდასო, ის ხომ გამომძიებელი არ არის?

**II გამოძიებ.** — ან ციხის ზედამხედველი!

**I გამოძიებ.** — ჩვენ აგვისსენით, რა სასტრუაოდ გვევლება. გამოვიყენებთ საშინელ ზომას და მაინც ვაოქმევინებთ.

**პედრო** — ჩემთვის სასაცილოა თქვენი ზომა.

**გამომძიებლები** — (ძრწოლით) ინანებ!

**პედრო** — დამშვიდდით, რაღა ძრწოთ. პირიქით, თქვენი ბედი, რომ არ გიმხელთ ეს ხსნა თქვენთვის.

**გამომძიებლები** — როგორ! რატომ!

**პედრო** — ისეთია ეს საიდუმლო, რომ საყმათა ყური მოკრათ, იმავე საათში მოგკლავენ საიდუმლოს დასაფარავად.

**გამომძიებლები** — (შემკრთაღნი) ოჰ!

**პედრო** — ეს წინდაწინვე იქნებოდა ვადაწყვეტილი.

**გამომძიებლები** — ოჰო, ჰო, ჰო!

**II გამოძიებ.** — ასეთი ხერხი წესადაა ჩვენს დიდუკებში.

**I გამოძიებ.** — აჲ ვითხარი, რომ მეფე რაღაც ზედმეტად გეწყალობს.

**II გამოძიებ.** — აშკარაა.

**I გამოძიებ.** — ხსნა არ არის!

**II გამოძიებ.** — ცოლი შეავს, ის უბედური!

(გამომძიებლები ძრწიან)

**პედრო** — კმაია გადაეცით მეფეს, რომ მე საიდუმლოს მხოლოდ მას ვიტყვი. სხვა ვერავინ ამომათქმევინებს, იმიტომ, რომ მე შინდა ამ საიდუმლოსთან ერთად გადაეცე მეფეს...

**I გამოძიებ.** — გაჩქვდი, მეტს ნურაფერს ვეატყვი. ღვთის გულისათვის! დადმდი.

**II გამოძიებ.** — დეარწმუნებთ, რომ შენ ისეთი სატანა ხარ, მის მეტს არავის არ ვაუბნელ... ძალადობა უნაყოფო იქნება. (ისინი შიდაწინ წეწუნით, „თუ დეარწმუნეთ...“ შემოდინან ციხის ზედამხედველი და ორი ზეინკალი. ზეინკლები აკეთებენ ფანჯარაზე რკინის შიჯიას, ზედამხედველი აკვირდება მათს მუშაობას).

**I ზეინკალი** — (შეორეს) იქ რას ღვაგენ ეზოში?

**ზედამხედველი** — იქით ნუ იყურებით, თქვენი საქმე აკეთეთ.

(ზეინკლები მუშაობენ)

**II ზეინკალი** — (პირველს, ჩუმად) საბრძობელებს დგამენ.

**I ზეინკალი** — აქ ჩემი მამა იჯდა. არც მახსოვს იგი, ერთი წლის დავრჩენილვარ, ორმოცდაათი წელიწადია, აქ ხის, არ ვიცი, ახლა ცოცხალია თუ არა.

**ზედამხედველი** — ო, მისი ძეალიც არ იქნება! 50 წელიწადი ამ სატუნალიში მხოლოდ (მითითებს ითანზე) იმან გასძლო. ძლიერ მოთურგნელია. მეფეს უნდა გამოსცადოს, რამდენი წელი შეუძლიან შეასრულოს უბეცესმა ტუნალიმა... მავალითად, ვთქვათ, შეასრულა ასი წელიწადი, მაშინ ის იქნება ისტორიული ტუნალი. ხა, ხა, ხა, ამიტომაც საწამელად არ გაყავთ.

**II ზეინკალი** — (უცქერის ითანს).


50 წელიწადიც კარგი ბიჭობაა, რა გქვია შენ?

ითან — რა ვიცი... სულ ერთი არაა...

**I ზეინკალი** — (უცქერის ითანს) ღმერთო, ნუ მიწყენ, მამაჩემის ხსნისა. რა გქვია, თქვი.

ითან — შენ რა გქვია?

**I ზეინკალი** — დიევო.



იონ — მე იონ პერერას მეძახდენ.

**I ზინკალი** — ჩემი მამაა გეფიცებით, ასეა!

იონ — (ვალმოლის თაროდან, უელის, ათვლიერებს, რაღაც უხერხულობას ვაძინებ) ვაძინებ... ვაძინებ... ასე უფილა და... საკვირველი ამბავია!

**I ზინკალი** — (მწარედ) ეხ, საცოდავო!

(ერემლი იღვება თვალზე).

**ზედამხედველი** — ეს რომ გაიგონ, კიდევ დამსჯიან. რა ვიცოდი, თუ შენ ამის შეილი იყავი.

**I ზინკალი** — მე თვითონ არ ვიცოდი!

(იონ ადის თაროზე)

**ზედამხედველი** — დადუმდით. აი ეს... მაგრად ჩასვი, უფრო მაგრად, ასე!

**II ზინკალი** — თუ რამე აკლია, ახლაც მიგეითითე. შემდეგ არაფერი დავებრალებ... თორემ ჩამდენი კაცი დექდება უსამართლოდ.

იონ — (I ზინკალს) ახლა, მავალითად, რომ გამიშვან სატუსალოდან, ვთქვით, გამავდეს აქედან, — შენ უნდა მარჩინო?

**I ზინკალი** — ეჰ, რომ იცოდ, ჩამდენი მყავს სარჩენი, ჩამდენი წერილშეილი! რა გაეწოება შენ უნდა გარჩინო!

იონ — პო! (ვერ ძღვებს თაროზე, ჩამოდის, წრიალებს. უტკეპის შეილს, უელს ახლოს, უხერხულად. რაღაცას სწრაფად იღებს ჯიბეში. ადის თაროზე, ისევ ჩამოდის).

**ზედამხედველი** — დაეტიე, მოხუცო, თაროზე!

იონ — მე ორმოცდაათ წელიწადს „დავეტრე“, მაგრამ... ახლა... მეც იდრე, სადღაც გუოფილვარ... ა?... შეილო?... კარგად გააკეთე, შეილო! შეილო! (დუმობია).

**ზედამხედველი** — ეს ამბად არსად არ წამოგცდეს, თორემ...

**I ზინკალი** — მესმის.

(მამა და შეილი წამდაუწებ უტკეპიან ერთმანეთს)

**I ზინკალი** — მზადა!

იონ — იმეშავე, შეილო... ცოტა ხანს კიდევ იმეშავე.

**ზედამხედველი** — (სინჯავს რკინის ვისოს) ვისო მაგარი!

**II ზინკალი** — დააკვირდი, როგორია დამაგრებულა.

**ზედამხედველი** — კარგადაა მამ, აბაჩკეთ.

(ზინკალები ამიჯებენ წასვლას. კარიდან მოიხედავენ. იონ შეილს თვალს არ აშორებს)

**I ზინკალი** — მოხუცო... მოხუცო... (თავს უქნევს) ე! (ზედამხედველს) მამა, ქრისტიანო. (შობრუნდება) მამა! (კოცნის იონს) შვეიდობით! (ზინკალები და ზედამხედველი მიდიან).

**პედრო** — (აქამდე დამბობილი იყო და ხანდახან მოიხედავდა იონისკენ) აი, ცხოვრება ესაა. რა დიდი ცოდვა გეფრქვევა ჯოჯობეთიდან და რა ცოტა მადლი ზეციდან! რად ამირჩიე, უფალო, უმოქმედო მოციქულად, უსამართლობის სპეცრეტად თვალი და ყური გამომსახვილე, მაგრამ შემზღულე ქვის კედლებით და ამათე უღონო შერისშიებით... ლმერთო, როცა ქვეყანამ შენი ილტვი უგულბელყო და შელახა, რად არ მაქცევ შენს სახრად. რად წამართვი დღეს ხელიდან მსხვილი და ჩემი თავი მიეც მტარავალს.

იონ — (წრიალებს. მიუყრდნობა კარს) შეილი... შეილი... ცოლიც მყავდა... ვერ გეითხე ვერაფერი იმ ქვეყნის... ვერც მიხარა.

(იონ წრიალებს. ხან თაროსთან მივა, ხან კართან. ხელს ათათურებს. შემოდის ზედამხედველი, უხმოდ ვაჟავს იონს. კარები იხრება და ისევე იღვება. შემოდინ ორი შეილა. რადებული ზანგი და მათ შორის შავ მანტაში გახეული კაცი. შავოსანი შემოიხსნის მანტიას, ის მეფეა).

**პედრო** — (აკვირდება ჯმუხად) მეფე!

**მეფე** — პედრო! (დუმობია) მოთმინება წამერთვა და პირისპირ შეგხვდი, რათა გაიგო ყველაფერი, სუველაფერი.

**პედრო** — ლომის ამბავმა შეგაშფოთა?

**მეფე** — რა საიდუმლო იფარება აქ, ამიხსენი, გულმართლად მიიხარა.

**პედრო** — აფრიელმა პრინცმა მოიტანა ძველი ეგვიპტის ფარაონის მემკვიდე და გადმოცა შენ როგორც მუხუქმის გამეც. მანვე მიართვა მემკვიდრის მუხუქმის ლომის ლეკვი.

**მეფე** — ჩემს მეუღლეს!

**პედრო** — პო, შენ მაშინ მემკვიდრე იყავ და შორეულ კუნძულზე გაგიტაცა ომმა. მოხუცი მეფე კი ხანგრძლივმა ავადმყოფობამ ჩააწვინა სარეცელში. რადგან შენ შორს ჩაფლული

იყავ ომში. მეფემ ქვეყნად პატრონობა შენს მეუღლეს ჩააბარა, მაგრამ ნახ არსებებს ძლიერი ხელი აღმოაჩნდა და მისმა საქმეებმა შეაშფოთა იეზუიტნი... პატრიარქი დღემდე მოიზარდა და იცავდა დედოფლის კარს მტრის მოგზავნილებისაგან.

**მეფე** — დედოფლის მიზინველი საქმეები ჭკუადმყოფელისას არა ჰგავდა. ვეკო, რომ ვილაც უცხოობის ვაეღენით მოქმედებდა.

**პედრო** — მისი მოწინააღმდეგენი წიგნსაცემი შაკითხავდენ მასალებისთვის და ძველ ხელნაწერებს და წიგნებს საკადავებლად იყენებდნენ. მაშინ შემძულდა მეზუეშიც, ძველი წიგნებიც. მაღლ ქვეყანას არეულობა მოეღო. მეფე გარდაიცვალა. ამ დროს დაბრუნდა შენ და... რამდენიმე დღის შემდეგ დაბაპტიმრე.

**მეფე** — შენ დავსაჯე ანტონიოსთან მეგობრობისთვის და სარწმუნოებაზე მწვალებლურ აზრების გამოთქმისთვის, სხვა არავერი არ ეცოდი.

**პედრო** — დედოფალმა შენგან პირველ დღეებში იმ ლომის შემწეობით დაიცვა თავი, მაგრამ, რადგან დაბატიმრების შემდეგ ლომი მე ვერ მიეღადა, ჯავრით გაბრაზდა და მჭინვარება დაიწყო. დედოფალი შემინებელი განშორდა თავის სასვენებელს, გამოეცქია გამოაშქარებულ მხეცს, მაგრამ აქვე გამოჩნდა მისი დედოფლური ბუნება და ახლად გაშეფხულ მუდლის ფერხთა ქვეშ განერთხო სინანულით. ეს მოხდა ჩემი დაბატიმრების მომყოლ დღეებში... შემდეგ ამ ყრუ კედლებმა გამოიყო ქვეყანას. (ცოტა დღეშილი).

**მეფე** — დედოფლის სასვენებლის კარს ლომი არ შორდებოდა. შენი დაბატიმრების შემდეგ დაჯავრებინდა. გამოდის, შენ იცნობდი დედოფალს? (ცოტა დღეშილია. მეფე ღელავს პასუხის შოლოდინში).

**პედრო** — ლომი ჩემს მკლავზე გაიზარდა. მეღამ მხედავდა დედოფალთან, ვუყვარდა.

**მეფე** — (ნაძალადევი სიმშვიდით) შემდეგ? აქ არავის ესმის. ილაპარაკე.

**პედრო** — ის ვაგი, პრინციად რომ იზრდება, ეხის სისხლ-ხორცია, თუ არა ჩემი.

**მეფე** — ეინ?

**პედრო** — შენ როდის წახველ და ჩამოხველ ეუნძელიდან, ის როდის დაიბადა?

**მეფე** — ო, მე მაგ ეკვმა დამარღვია, მომტეხა... ათსანაირად მიხსნიდნენ, მაშევიდებდნენ... (ცოდიტ) შენია... მე ვატყობდი ამას. ეავიც თითქოს გრძნობს და ზოგჯერ ისე შემოხედავს, როგორც ძაღლის ლეკვი ლომს, და მეც შინდა მაშინ გავგლოჯო... დედას კი გამოარჩევიტ უყვარს. ის არის ჩემი შებღწვა შენგან, უხაშობავე... მოგვკრი მას, მხოლოდ დედასახორება, რომ ვერ შევღოს, ოდენსე უღლებები წამოაყენოს საძეფოს გვირგვინზე. დაიხანებულს მოგაყვარა, რათა ამ ყრულებში მარტო ისხდეთ ორივე სამუღამოდ, სამუღამოდ და შესეკეროდ შენს სახიარ შევილს.

**პედრო** — მაშინ აქ ვიზიემებ. ჩემთვის აქ მღაშე წყალიც ღენიოდ გადაიქცევა.

**მეფე** — აა, ის არ არის შენი შვილი?

**პედრო** — (ძლიერად) ის ჩემი სისხლი და ნაყოფია.

**მეფე** — სხეილი ხატის შებღალვით გაჩენილი.

**პედრო** — ხატი სასოებით მლოცველის გულს ეკუთვნის და არა ხელს მფლობელისას.

**მეფე** — მაშ, ახლაც გაქვთ სიყვარული?

**პედრო** — არა, როგორც ყინულზე ყვავილი არ ამოვა, არც სიცრუეში — სიყვარული.

**მეფე** — მაშ, აღიარებ, რომ სიცრუით ლაფი დისხებით?

**პედრო** — მე ქეშმარტიად მიყვარდა, მაგრამ ის აღმოჩნდა მოჩვენება. როდესაც ახლო დეაკერიდი, მავხდელი, რომ იგი არც მინახავს, მხოლოდ ჩემი სიზმარი შეყარებია.

**მეფე** — ოდენსე ხომ ახლო გავადა.

**პედრო** — მხოლოდ ჭირში ხედავ ახლოდან აღამიანს.

**მეფე** — მაშ, ის ვაეიც სიცრუის ნაყოფია?...

**პედრო** — არა, ის ჩემი ერთადერთი ენების პირშეოა და ეავედრებ ღმერთს, იყოს ესეთივე წმინდა და ნეტარი, როგორც მისი ხორციელად დამბადებული გრძნობა.

**მეფე** — თუ გიყვარს, რისთვის ამხელ და იმეტებ დასაღუბად?

**პედრო** — თქვენ მას ზრდით, ჩემი ჭუსლით გასასრეს გველად. დაღუბა ეს არის. მირჩენია, ის ამ ყრულებში დაიმარბოს, ეიღრე თქვენებრ მტარეალად იჯიროთოს, — მირჩენია სიმართლისთვის იტანჯოს, ეიღრე ქვეყნის ჩაგვრით ტყებობღეს. ვით სიმართლის მოცქეფლი, გიცხადებთ, რომ თქვენ სულით მყდარი ხატად და ვერ აღდგებით ქეშმარტი ტხოვრებაში.

**მეფე** — ო, ასეთი საძაგელი მეტყველებით ახერხებდი ცთუნებას? მოციქულადაც მოგაქვს თავი სატუსალოს ბინდარს?

**პედრო** — ქეშმარტიების მოციქული აწ მოვა სატუსალოდან და არა ტყვექმნილი ეკლესიიდან.



**მეფე** — ამ სიბილწის ადგილიდან?

**პედრო** — სადაც ტანჯვია, ის ადგილი წმინდაა.

**მეფე** — აქ მხოლოდ დამნაშავე ისჯება.

**პედრო** — ჯერაც დამნაშავეთა სასჯელის ძელი იყო და იმ ძელიდან მოგვევლინა მაცხოვარი.

**მეფე** — მაცხოვარი უცოდველია, ხოლო თქვენ...

**პედრო** — მისთვისაა ლობიერი და მრავარელებს ვერა სჯის:

**მეფე** — როგორ შემიღია ამ კედლებში ეს სულმდაბალი.

**პედრო** — არა, მპყრობელო, თუმცა ეს ქვის კედლები გულსაც ჰვად აქცევს, მე ვერ დამაცხრეს და ისევ მხურვალედ მძულს ისინი. ამ სიძულელიშა გამაგებინა, რომ მთელ ქვეყანაზე, ყველგან, ცხოვრების ყოველ კუნძულში ამატულია ასეთი საზიზღარი კედლები და მიხვდები, რომ საპიროა, მთლად დაინგრეს ძველი ქვეყანა.

**მეფე** — მომავალი სასჯელი უფრო გავაბოროტებს.

**პედრო** — მართალ ვხიდან ვერ გამხრის, შენა წინაშე პირდაპირი ვარ, როგორც ზედავ.

**მეფე** — შენ პირდაპირი ხარ არა სიმართლით, არამედ თავხედობით.

**პედრო** — ვიცი, არა გაქვთ კეთილწესიერება ცოცხალს, აწებულს შემებროლოთ, მაგრამ მე ჩემი სიპართლით მვედარსად აღმესხმება თქვენი მოწმეველი იარაღი.

**მეფე** — ყველაფერი ცის ნებით გადაწყდება. ღმერთს შენისთანებისთვის ჯოჯობეთი აქვს, მაგრამ ჯერ არ მინდა მის გადავცე... ჯერ აქ მინდა... (ყვირის) მიქელო... (შემოდის ციხის უფროსი მიქელო) როგორ იღებენ სწავლას ის ურჩხულები.

**მიქელო** — თქვენო უდიდებულესობა! პირველივე ღონისძიებით ჩავგდეთ გულში შიში მალე მოეთურგნი, მხოლოდ ახლა შეორე საბრუნავი გავვიწინდა, უფრო მშაიმე.

**მეფე** — მოთავარ საქმედ ამ საყანის მოვლას განდობ.

**მიქელო** — მთებიდან და მიწის ქვეშეთიდან გუგუნნი ისინი, ზღვა არნახულად ღელავს. ქუჩებში ბრბოები თავს იფრინ, ძრწოლაა. დედოფალი ეკლესიაში წაბრძანდა, რათა ხალხს ეზვენოს ვასამხნევეზალად.

**მეფე** — არ შესმის. ჯერ ეს ლეთისგარეგანნი დამანახე. (მიქელო სწრაფად შეაღებს კარს. მეფე პირბადეს ჩამოიფარებს, მანტიამი ეხვევა და კარში იცქირება)

**მეფე** — მე ვპოვებ ღონეს, ანტონიო ამათთან მოვაქციო. (ვაისმის ძლიერი გუგუნნი).

**პედრო** — (აღზნებულად) აი, გვსმით ეს რისხვა!

**მიქელო** — გრვეინვა მატულობს.

**მეფე** — რა საზარელია.

**პედრო** — ეს ჩემი ვეირილია. რადგან აქ პირი ამოშიქოლეთ, უდალმა ქვესწელიდან ამოიღო ჩემი ხმა... მაგრამ ნუთ ხმის მერს არაფერს არ მომშაღლებ ღმერთი!

**მეფე** — აა. ლთვის სახელით გვეშქერება და თვითონვე ყველრის.

**პედრო** — მან მომცა ხმა და შენ დაგიტოვა ძალა. მე ქეშპარტება ჩამაგონა და სახრე შენ გადამოცა.

**მეფე** — (მიქელოს) შენ გეძლევა ესენი ხელში. დუმორჩილე ხორცს ამათი სული. მხოლოდ ყოველზე დაფარე შენებულად. (მეფე, ზანგები და მიქელო მიდიან. ზედამხედველს და ჯალათს შემოჰყავთ ნიკოლო, გონზალო, ალფონს და ფრანცისკო. ესენი გაფთხრებულნი არიან და მოკაქუნნი, ცალკე შემოყავს ზედამხედველს თიანე).

**ზედამხედველი** — მალე გაგთიშეთ ერთმანეთისაგან და ცალ-ცალკე გასწავლით. (ჯალათი და ზედამხედველი მიდიან)

**ალფონს** — რამდენ ვიბას ინახავენ ეს კედლები.

**ნიკოლო** — ეს ციხე შიშველი როსიპივით ღვას ქალაქში და უსირცხვილოდ აწწევია თავი ცისკენ. ცოცხლებს იღებს და მკედრებს ბადებს.

**ალფონს** — ჯოჯობეთია ამ კედლებში, არა მდიდართათვის, როგორც სწერია სახარებაში, არამედ ლატაკათვის.

**ფრანცისკო** — ამოდენა ცოდვის ქვეშ რად არ ირღვევა ყველაფერი.

**პედრო** — რაც აქ კრემლი დაღინებულა! თითო კოკა ცრემლიდან თითო მისხალი თოფის წამალა რომ დაღვილიყო, ისე აფეთქდებოდა, რომ ქვეყანას შესძრავდა.

**თან** — (კარზე მიუღებულო) იქ დამრჩა ყველაფერი.

**ფრანცისკო** — პედრომ იცის, რომ ჩვენი მხსნელი სიკვდილია.

**ნიკოლო** — იარაღი? თოკი კი არ გავაჩნია.

**თან** — (ამოიღებს ჯიბიდან რკინას) ეს იმას ამოვართვი ჯიბიდან. ის ნახევარ წლის დატროვე მტეი არ მყოლია. ეს შევიღისა... ეს სამახსოვრად ამოვართვი.



**გონალო** — ეს ზეინკლის იარაღია.

**იოან** — ახლა არ ვიცი, ცოდვა ექნენ თუ არა.

**ფრანცისკო** — (ათვალისწინებს) ეს დანას ჯობს, ამით სულ უფელა მოვისვენებო.

**პედრო** — მომეცი.

**იოან** — (აძლევს რკინას) ჩემია.

**პედრო** — (წარბშეკმუნხელი მივა ფანჯარასთან და გადაადგმებს რკინას).

**გონალო** — (სასოწარკვეთით) არც დაფიქრდა, რას შერება!

**ფრანცისკო** — მას კიდევ უნდა წამება?

**პედრო** — კაცი ღვთის ნებით იბადება და მისი ნებით უნდა მოკვდეს.

**ნიკოლო** — სადაცაა გავვითრიავენ. რა დავერბა. ჩვენს წამებას რა მიზანი ექნება?...

პედრო — შან იქადაგოს, ჩვენ ეიბრძოლებთ, ძალას მოვიკრებთ და ენას გავუქვავებთ.

ხმები — წავიდეთ ცეცხლით და მახვილით.

(ყველანი აბირებენ წასვლას)

— ფ ა რ დ ა —

### მომხმელება მხსნამ

შორს სიღრმეში ცისკენ აღმართულია ძლიერ დაზიანებული ქანდაკება ანგელოზისა საყვირით. ნანგრევებს ქეებზე დგანან ორატორები. მათგან ერთი სიტყვას ამთარებს. მეორეს უპყრია ვადაშლილი წიგნი, მესამე დგას მოშორებით. გაუშლია გრძელი პერგამენტი და ზედ გაჭირვებით წერს. მღაბიო ხალხი გარშემო ფესფესებს,

1 ორატორი — (ვადაშლილი წიგნით) ეს წიგნი, მე რომ წავიკითხვთ, უბაღლოა. როგორ ფიქრობთ, იმ უცხო კენძულზე არ არის ცხოვრება მშვენიერად მოწყობილი?

1 ხმა — დიდებულა, სამოთხეა იქ, რაღაცა, საარაყოლ კვიიანი ხალხი ყოფილა.

2 ხმა — მართალია, აბა ასეთ ვირებში რას გააწყობ!

2 ორატორი — მე წავიკითხავთ ახლა თქვენ...

ხმები ხალხიდან — დავიღალეთ! რა დროს წიგნია! ერთმანეთის ძარცვაში მოვიქანცეთ. დაუშარხავმა მკედრებმა აგვაშყრალა. ზოგან შავი ქაში განდო.

3 ორატორი — (ვადაშლილი წიგნით) ეს ყრუებისთვისაც კი გასაგებია, სმენა!

4 ხმა — ასეთ დროს მაცხოვარმა ზეთი პურით გააძლო ზეთი ათასი მშვიერი.

1 ხმა ხალხიდან — სადაა ზეთი პური!

3 ორატორი — (თავის წიგნებზე) აქ აწერილია მზე-ქალაქი. ცხოვრების უკეთესად მოწყობა წარმოუდგენელია ამის დამწერი ქვეყნის მხსნელა, ჩვენი მაცხოვარია. (ვადაფურცლავს) სმენა!

(შემოდიან ნიკოლო და გუგავა თავისი მეომრებით).

გუგავა — რად შეგვიყრიათ თავი, (ორატორებზე) ესენი ეინ არიან?

1 ხმა — ახალ ცხოვრებას გვპირდებიან.

ნიკოლო — პედროზე რას ამბობენ!

2 ხმა — არაფერს, შარტო თავს იქებენ.

ნიკოლო — მერე ამათ ყვირის ისმენთ!

გუგავა — ჩვენ ამოუძრობთ მაგათ ენას. (მონებს) აბა, შეიპყრით ყვაეები! (მონები შეიპყრობენ ორატორებს).


ნიკოლო — თქვენ ბედავთ ხალხის ვადაპირებას პედროს წინააღმდეგ?

1 ორატორი — თავისუფლება, პედრომ მოგანიჭათ, არ გეცმით! (სცემს) გაგაგებინებ-კარგად!

გუგავა — თავისუფლების დროს მხოლოდ ქვეშაობეობა უნდა ილაპარაკოთ, სიცრუე ისევ მონობას დააბრუნებს. (მესამე ორატორს) შენ რას ქალაგებდი?

3 ორატორი — ხალხს ახალ ცხოვრებას უუხატავდი.

ნიკოლო — პედრომ თქვა, რომ საყირია ყველაფრის დინგრევა, ბატონების მოსპობა და თავი-



სულელება თვითონ შექმნის ცხოვრებას ისეთ მშვენიერს, რომელსაც წინდაწინ ვერავინ ვერ დახატავს. თქვენ ბედავთ, წინდაწინ დაწერათ კანონები? თქვენი ჭკუიან/მწიფობილი/ნი/სამოთხე ჯოჯოხეთზე საშინელი იქნება.

**გუგავა** — (ონწს კრავს ორატორს) კარგად გაგაგებინებთ.

**2 ორატორი** — ჩვენც ვცნობთ პედროს ქეშმარიტების მოციქულად!

**3 ორატორი** — ჩვენც ვცნობთ!

**ნიკოლო** — მაშ, წამოდით ბრძოლაში მეფის ჯართან. (ორატორები მიიპარებინან, მიდიან. შემოდის მოამბე).

**მოამბე** — ცუდი მოამბე ვარ... მეფემ აჯანყებულების წინააღმდეგ სარდლად დანიშნა ყოფილი ციხის უფროსი მიქელო.

**ხმა ხალხიდან** — ვაი, მდამიო ხალხო!

**მოამბე** — კიდევ ერთი ამბავი: დამწვეულმა ქალაქმა მეფის საშვეციდან სპილო მოიტაცა და ისე შეიპოვა როგორც წიწილი!

**1 ხმა** — ოჰ! სპილოს ხორცი იჭმება?

**ნიკოლო** — ჭორია, სიკრტეს ლაპარაკობს! მიბეგვეთ! (მოამბე მიდის)

**2 ხმა** — გაიპარა.

**ნიკოლო** — თქვენც დაიშალეთ, აქ რად მოგიყრიათ თავი! (ხალხი მიდის. შემოდის წიწორია თავისი ჯგუფით).

**წიწორია** — თქვენთან გამომაფრინეს. ქალაქის განაპირად შემოიჭრნენ მტრები.

**გუგავა** — შემოიჭრნენ? გესმის, ნიკოლო!

**ნიკოლო** — მესმის, იქით მივალ.

**გუგავა** — შეც მოვდივარ.

(ნიკოლო თავის შემოჭრებით მიდის. გუგავა აპირებს წასვლას).

**წიწორია** — (შეაჩერებს გუგავას) საქმე უბედურადაა, მოკოლია.

**გუგავა** — რატომ?

**წიწორია** — თქვენ სისხლით ხართ გაბრტყეული და ვერ ხედავთ, რა მოვევლის.

**გუგავა** — თუ ასეა, უბრალოდ, რა გულით დაჭერები ხეტულებში და განის აგროვებ. შენ გგონია, ვერ გამჩნევ!

**წიწორია** — სწორედ ამისთვის დავეძებ და, იმდენი დავაგროვებ, გზას ვიკაფავ.

**გუგავა** — ოო, ახლა კი მერზობლობითაც ვერ დაგზოვავ, მოლაღატე ხარ.

**წიწორია** — არა, იმიტომ გამოგიტყდი, — ჩემს თავზე არ ვზრუნავ, პედრო მეცოდება. მინდა ბოლოს ვუშველო. შენც შებრალები. ვინ იცის, ვეებ შენს ციარას იმედი მთლად არა იქცა დაწერული და გელოდება.

**გუგავა** — ეჰ, ისე ამოფრიალე გული...

**წიწორია** — გულს ნუ აყუებთ. ყველაზე კარგა მეგობარი ჭკუაა.

**გუგავა** — რა გქნა, ტოლებთან თავს ვერ შევიტყუებ. ასეთ დროს ყველაზე სანდო მეგობარი იარაღია, წამოდი! (გუგავა და წიწორია მეომრებით მიდიან. შემოდის პედრო. მის მიმართ გარედან მიიხმის ხმები).

**პედრო** — არა, დედოფალს რად კთბულობთ. ვეკვობ, რომ თქვენ მისი თანამგრძნობი ხართ. თავს ნუ იმართლებთ მაგ უყავით. მის ბედს მალე გადაწყვეტს ხალხი. დაიშალეთ, თორემ დავთრგნით! (მეორე მხრიდან ცლანიტ შემოდის წიწორია ჩაველის პედროს, იხედება, საიდანაც ხმა ისმოდა. მობრუნდება პედროსკენ. ხელები ჩამოუვარდება).

**კარლოტა** — წაეიდნენ. დაიშალნენ.

**პედრო** — ისინი დედოფლის ბედს გკითხვდნენ? ქალებმა შეტტიეთ? რად ხარ ასე დანაღლებული?

**კარლოტა** — (ნერვულად) შე ეილაპარაკე დედოფალთან..

**პედრო** — რათა!

**კარლოტა** — არაფერი მოხარა... მაგრამ ზოგი რამ მიხვდები.

**პედრო** — შენ ჰკავდი აღზნებულ მებრძოლს, კარლოტა, და არა ასეთ ქალს.

**კარლოტა** — შენ არ მისმენ, მე კი უოველთვის ყურს გაბყრობდი... იმ დამეს, პატარა პრინცი რომ მიყვება... მოუსვენრად... მოუსვენრად გეძინა. მე ჭკუად შემოვედი შენს ოთახში. გეძინა და ლაპარაკობდი დაღებულ პაეშეზე... და კიდევ... არა... ძლიერ ბუნდოვანია ის სიტყვები. (კარლოტას ხმა მოუწყდება. შემოდის ტერენა შეიარაღებული როსკიებით. იმათ გამოეყოფათ დედოფალი და მოდის პედროსკენ. ტერენა და როსკიები უფან დაიხევენ და გაეღუნ. დედოფალი ჩამოხსნის სახიდან ქსოვილს. კარლოტა ნელა, თავდაბრილი მიდის).



დედოფალი — პედრო...

პედრო — რად მომხარეთ.

დედოფალი — ეს მე ვარ...

პედრო — ეხედავ.

დედოფალი — იმ ბავშვის დედა.

პედრო — ის არ არსებობს...

დედოფალი — და მაინც, შეიძლება, კიდევ უფრო ვარ დედა!

პედრო — თქვენ მხოლოდ ამის თქმა ვინდობათ?

დედოფალი — არა, პირიქით, პირიქით...

პედრო — რა...

დედოფალი — მე მძულდა იგი! საშინლად მძულდა!.. ის იყო შენი ახალგაზრდა სული, მთლად გავლდა.

პედრო — არა!

დედოფალი — ეს სიმართლეა... და თუ დანაშაული არ დაგანებებს, ზილი მაშის ნაღველი, სა-  
მაგიეროდ, შხამი უნდა ატარო!

პედრო — მე ქვეყნის მწუხარებას ვაეუღე გული... მთლად შხამი არა ვარ!..

დედოფალი — მართალია, შხამი ხარ!.. მაშინ, ცეცხლს ალად უნდა ჩითქვა გულში, რასაც  
გატყავ!

პედრო — მთელი ქვეყნის მორიელთა ნესტარი ჩამერტო... და მწვავს. ალი არა ვარ!

დედოფალი — (მღელვარეთ) პედრო!

პედრო — (ცეცხლ) ბერს ვერ ვილაპარაკებთ.

დედოფალი — ბერიც რომ ვილაპარაკოთ, ჩვენ შორის იმოდენა კედელია, ისეთი ყრუ კედ-  
ლებია, ვერაფერს ვერ გაავებინებთ ერთმანეთს... მაგრამ დღის ცეცხლმა მაინც არ მო-  
მასვენა და დარაჯებისათვის მათხოვინა შენთან შეხვედრა... სხვა იარაღი არა მაქვს და  
მინდა დანაშაულის გრძობით მაინც ვაგმსუქალო, რომ სულ გვდედეს სინდისის ქვეჯნა.

პედრო — მე ვვლა მუხები მოეწყეთ თქვენს თავზე და ვერც ჩემს სისხლხორცს ავაუღინე,  
რადგან თქვენად იყო გადამდნარი.

დედოფალი — არა, მწიარედ მიტყუედა.

პედრო — როგორ!

დედოფალი — იმ დღის ისე უცბად მისთვის მოწამლა მეფემ, რომ მანამდეც სჭულდა, რადგან  
გუნებით უცხო იყო ჩვენი წრისათვის. ფიქრიანი, მოუდრეკელი, საყვარელი ეს იყო,  
რომ სასახლის ზემოთ კუთხე მოძებნა, საიდანაც თვალს არ ამოარებდა ცაბეს და ფრჩხი-  
ლებს იყენებდა ძრწოლით. მან ზომ არაფერი არ იცოდა, ალბათ, ეცოდებოდა ტუსალები.

პედრო — (შეკრთება) სიზმარი!

დედოფალი — მოწამლა მე გაეიფე მოედანზე, სადაც უოველი მზრიდან გარს შემორტყმული  
ვიყავი და გასასვლელი არ იპოვებოდა. შემდეგ შენ დაგვესხი მუხივით... ამოდ გვედრე,  
არაფერი არ გესმოდა, როგორც კედელს... მე ეს წინათვე ვიგრძენი... და ამიტომ იყო,  
მათხოვრის ფარაჯით რომ დაგრბოდი ყველა შესახვევში, მეერ კედლებზე წარწერებით  
ვეჭებდი საშველს, მოეუწოდებდი დარაჯებს და, ბოლოს, ვუთელიდი მინისტრს... ი,  
მიუვარდა ის!.. მისი შემოხედვა შოლტივით მირტყამდა, მალეძებდა... მაცოცლებდა.

პედრო — (უცქირის გაკვირებული) აზრი დაგებნა... უცნაურად ლაპარაკობ...

დედოფალი — ი, გაშმაგებს ეს, არ გინდა გაიგონო სიმაართლე!

პედრო — თუ ოდესმე ვითქვამს!

დედოფალი — (ცოტა დემილის შემდეგ) მეფე იქვმა შეიბერო იმ დღიდან, რა დღესაც ბავშვი  
დაიბადა. შემდეგ, მტკიცედ რა ვერ გაიგო ვერაფერი, იქვმა მშვიდ შემოლობამდე  
მიიყვანა.


პედრო — ეს ვიცი, ვიცი, რომ შენ იყავი ნამდვილი მპყრობელი სამეფოსი და მეტესალი!..

დედოფალი — მე სახელმწიფოს განმგებულად დავინშენ ისეთი კაცი, როგორც შენ იყავი  
წინათ... მაგრამ მეფემ შენზე მაინც შეიჩინა უფლება. მან შეიჩინა უფლება თავისი  
იქვების საგნებზე, სატუსალოზე და შენზე. შენზე — განსაკუთრებით, ახლა ორი სიტ-  
ყვით გეტყვი, რა წმინდა ვარ მე და დესპოტობის ბრალდებიდან და რისთვის მიყვარდა  
ისე მზრვალედ ის შეილა...

პედრო — (გააწყვეტიანებს) შენმა მინისტრმა მცირე მოწყალეობით დაამოშინა ხალხი. ერის უფ-  
რო ცოცხალი ნაწილი კი ჯალათებს გადაეცით ზელში... ეს იყო ვველის კეუა ვინ  
იყო ეს გველი შენ? ის?

დედოფალი — არა!

პედრო — დედოფალი იყო ასეთი გველი!



დედოფალი — შენ ეს არ გეტქმის!

პედრო — მე იქ ვიკეებობდი თქვენი შხაით და არ მეთქმის!

დედოფალი — მოიგონე შეტქმელება, ჩვენი ფიტრები ხალხზე, საქმეები...

პედრო — იყო... მაგრამ გულის სიღრმეში მხოლოდ სიყვარულე აღმოვაჩინა.

დედოფალი — არა!

პედრო — ეს სიმართლე არის.

დედოფალი — შენ არ იცი!

პედრო — როდესაც საჭირო შეიქნა მსხვერპლი და ის ამხავი, როგორც გასართობი, გათავდა შენ გაბრუნდი და კანკალით მოიქუნტე ოქროს ბალიშებზე.

დედოფალი — მსხვერპლი იყო.

პედრო — არა შენგან.

დედოფალი — ჰო, ჩემგან, და როგორი, უდიდესი თავგანწირულება ქალის!

პედრო — ერთი წუთით რომ უფილიყო!

დედოფალი — მოიგონე ის წინა დრო, ჩემი მეუღლე, მაშინ ჯერ მიმკვიდრე, კენჭელებზე წავიდა სალაშქროდ.

პედრო — (ნერვულად) ჰო, ჰო, ის წაიდა და ჩვენ დავრჩით!

დედოფალი — შენ გეგონა ჩემი კმრის უშეილო ბიძა, გვირგვინისანი, ავადმყოფობდა და მე საშუაო უცაბედად შემჩნა...

პედრო — განა ეს სიმართლე არ არის?

დედოფალი — არა.

პედრო — ვაჰ...

დედოფალი — მე ვიყიდე მისი ავადმყოფობა.

პედრო — რითი!

დედოფალი — ჩემი განტქმელი სილამაზით. (მღელვარედ) ო, ეს იყო მოხუცებული გვირგვინისის გარყვნილება... არა, პედრო, ეს არ იყო ჩემი უზნებობა!

პედრო — (ვაკეირვებით უცქერის)

დედოფალი — ეს შენთვის ჩაიფინე (დუმლია) პედრო, შემხედვ, შენ გახსოვს ჩვენი გატაცებული ფიტრები, ჩვენი საქმეები.

პედრო — (ჩაფიტრებული) ეს შაღონებს.

დედოფალი — კიდევ ერთი რამ გაახსენე და მიხედება. აი, მოიგონე აბრეშუმის მავარი თოკით რომ თავს ვიხრჩობდი და შემთხვევით ვადამარჩინეს.

პედრო — (შეკრთება)

დედოფალი — რადგან მეფის ბაღწა ზრახვას არ დაევიწყებდი, გადწყვიტა, ჩამოერთვა ჩემთვის დათმობილი უფლება, რითაც ჩვენ ვაკეირვებდით ძლიერებს და იეზუიტებს. რა გაიგო, რომ ამის პასუხად თავს ვიკავებ, ისევე დამიბოვა შეელი უფლება, სამაგიეროდ, გარკვეულად ვუზავებდით და იმედს არ ვუკარგავდი, რომ როდესაც საწადელს მიადწვდა და შემკვიდრეს არ უშვებდა. ასე გრძელდებოდა, სანამ უეროდ არ გარდაიცვალა.

პედრო — ეხედავ.

დედოფალი — ჰო...

პედრო — (უცქერის) იქ ბურუსი გადავიდა. იქ ყველაფერი ამჩატდა ცასავით.

დედოფალი — არ შემეძლო მაშინ ეს გამეშვლანებინა შენთვის. დაგიკავი სიმწრისაგან, ჩემი კრილობა დაგიფარე.

პედრო — (რბილად) მომიყვებ. მე სულ სმენად ვარ...

დედოფალი — აი გაიგე.

პედრო — ჰო.

დედოფალი — შენ შთლად ვაკვხსნა შეუბლი.

პედრო — იქ ბურუსი გადავიდა.

დედოფალი — ხომ ხედავ მსხვერპლს.

პედრო — შენ მითხარი ისეთი... ისეთი...

დედოფალი — რა?

პედრო — შენ თითქოს ახად თავი ერთ უძველეს საფლავს და დამანახე შიგ ცოცხალი.

დედოფალი — ეს მე ვარ.

პედრო — (უცქერის)

დედოფალი — შენი თვალებიდან ისევ შემომხვდა ყველაფერზე უფრო ნაცნობა.

პედრო — ის სახეა? (უცქერის ხარბად ხელელებზე) ის ხელები, თითები...

დედოფალი — (ჩაქვილებს ხელს) სად მოვიხედავთ ჩვენ, რომ არ დავინახოთ ერთმანეთი!

პედრო — (მთვარლივით) შენ სულ ყველაგან გხედავ... როდესაც ნგრევაში შეედევარ, მე

ეგრძნობ, რომ ამ ნგრევას მოჰყვება შენი სახის მსგავსი ცხოვრება.. და ცეცხლი იცინის შენი თმის მსგავსად...

**დედოფალი** — მე ეგრძნობ შენს ხელებს... მაგრამ შეილის ანდრიო შოლტერის მარტყანას მალეძებს...

**პედრო** — (ტყეოლით გაუშვებს ხელს, დევილა) რად გინდა... ისევ აჩენ იარებს. ნაცნობი ხმით, სახით, შენ აღეძებ მას, რაც არ უნდა იყოს.

**დედოფალი** — მე შენს წინაშე მართალი ვარ.

**პედრო** — მე არაფერი არ მინდა!

**დედოფალი** — (ენერგიულად) მართალი ვარ და ეს ნაშნავს: მურტალი ბრბო ჩემს თმებს ვერ ჩაითვლის ბინძურ ხელებში!

**პედრო** — კმარა! ნუ აძაგებ! ნუ აძაგებ იმით!

**დედოფალი** — ვერ გაიგე...

**პედრო** — გაიგე. ის ვეღარ ამბავია. მას შემდეგ შენ დიდხანს იმღერე, დიდხანს ინადიმე იმ მურტალი ხალხის ტანჯვით!..

**დედოფალი** — ახლა ისევ სიბოროტით აენთე.

**პედრო** — კმარა!

**დედოფალი** — (წინარად) მე მოვიწყვე ნაცნობი ხმა, მოგონებაც და შეილის სისხლიც და, მაინც შენი სახიდან ვერ ჩამოვრეცხე ის კედელი. (ისმის ხმაურობა).

**პედრო** — იქ ხალხი მოედის. მთში ჩაგრული ცხოვრების მოგონება გჯოჯობეთოს ცეცხლს ანთებს, შურისძიება უნდათ.

**დედოფალი** — ტუსაღებმა მათ ცოფი გადადგეს.

**პედრო** — თავისუფლება აცნეს.

**დედოფალი** — მე ვხედავ. თავისუფლად თარეშობენ მოძალადენი.

**პედრო** — ისინი აწიოკებდნენ შდიდრებს, შდიდრები დაემხოზიან და ლატაციე შევლენ სასუფეველში, ასე ამბობს უფალი.

**დედოფალი** — იქ შედიან სათონნი.

**პედრო** — როცა საკუთრება აღმოიფხვრება, მრბვეელიც გაქრება.

**დედოფალი** — ტუსაღებს და ავაზაკებს მშვიდობა მარტო სიკვდილის სახით მოაქვთ. ისინი უწყალოები, მათთვისაა ნათქვამი: კაცისთვის ყოველ უბედურებაზე საწინელია კაცის ხელში ჩაგარდნა.

**პედრო** — დახ, თქვენ. ერთი მუტა ძლიერებს, მთელი ხალხი გეპყრათ ხელში და ცხოველზე უფრო ამცირებდნენ. და რასაც თქვენთვის ბუნებრივად თვლიდით მათში, ცოფიანობად მიგაჩნდათ. ისინი ანგრევენ თქვენს ცხოვრებას და ვერ აღადგენენ ძველ უსამართლობას.

**დედოფალი** — მ-მ. მაგათ ანდობ ჭვეყანას? ავაზაკს ვერ გააძღებს მთელი ჭვეყნის სისხლი და ლატაკს ვერ შეაჯერებს ოქროს მთები. ისინი ძალს თუ თავებენ, კერებად აღიძარბებან, თავის განდიდებას ჭვეყანას უმსხვერპლებენ.

**პედრო** — ო, მამ ასეთ ცილისწამებით ამინებდით ხალხს, თითქოს ჩაგრულები თქვენზე ბოროტებია!

**დედოფალი** — ჩვენ ციხეებით ვთურვნიდით ვერაგებს და უფლის ტაძრებით ვამაგრებდით ზნეობას.

**პედრო** — თქვენ არა ღვთის მოწიწებით ავებდით ტაძრებს. თქვენი ტაძარი სატუსალო იყო სახარებისა. კედლის მიღმა ქრისტეს მცნებას ებრძოდით, მაგრამ საუქუნეებში უფლის ცოცხალ სიტყვებთან გაიქვდა უსამართლობის მწვრველი ურო. ნებამ ღვთისამ დაარღვია ჩემი საყანის კედელი და მომავლია იმ უროთი.

**დედოფალი** — ყველა, ვინც ქრისტეს აქეთ მისი სახელით გამოვიდა, ანტირისტე აღმოჩნდა საქმით.

**პედრო** — მე ღვთის ურო ავიღე თქვენ მოსასპობად და ავაზაციე შემოგისიეთ უფლის შოლტად. თქვენი ხართ ძველი ბოროტება და უველაფერი, რაც თქვენ გასპობთ, კეთილია.

**დედოფალი** — ნუ აერთებ ღვთის ნებასთან შენს ცოდვას. შენ გამოარაგებს ამპარტაენება, შურისძიება და მიკვირს, რამ დაინარჩა ასე შენი უმწიგლო სული. ჩანს, ბოროტად შობილზე სასტიკია ბევრით გაბოროტებულა.

**პედრო** — მე დამცირებამ ამაძღა შენი გონებისთვის მიუწედომელ სიძალდემდე. შენ კი დიდებამ მოგაქცია დაზავრულა ჭუსლის ქვეშ და ვერა ლმობიერებით ვერ დაგიფარავ სამართლის მუთფობის წინაშე.

**დედოფალი** — (ტრეოლით) მაინც მე მინდა გაიგო, რას მიაჩნებთ... თუმცა... უკვე ეგრძნობ...  
**პედრო** — შენ გინდა სიციხლე? ო, როგორ ძალიან გეწინია!..

**დედოფალი** — არა. მხოლოდ, ვთხოვთ, დამმარხეთ ჩემს პატარა წმინდანთან, მე დედა ვარ, ჩემ-



თან გეძახის მისი პატარა საფლავიც! შენ მის გვერდით არა გაქვს ადგილი, არც იმ ვნე-  
ბასთან გაქვს საერთო, რის ნაყოფადაც ის გაჩნდა, შენ არა ხარ აქ ჩემს მხანსღერობაში,  
არც სიცილივთ მიყვარს — არ მინდა.

**პედრო —** (ტყველით) ნუ ლაპარაკობ მაგ ხმით, მაგ ხელებით... არიან ათისი დედები, იმათ  
ხელებს ვერ ზედავდი, შათი ცრემლების ტბა დგას სამოთხეში და დღეს შენიც ერთისი.  
**დედოფალი —** გული გეტყინა? რამდენ ცრემლებს აღინებ შენ... თუ გრძნობ იმ საშინელ შეც-  
დომებს, თუ კიდევ დარჩა შენში ადამიანი, წადი, გაიპარე ახლავე, სადმე, უდაბურ მო-  
ნასტერში. მე თუ ვიქნები დედოფალი, ვერაფერს მოგნახავს. წადი, ილოცე იქ მხურვა-  
ლედ და, ვინ იცის, ეგებ იგრძნო, რომ ღმერთმა შეიწყნარა შენი ლოცვა!. მაშინ მღუ-  
ღარე ცრემლებით ილოცებ... ილოცებ სიბერემდე და დაუბრუნებ სულს თავის პირველ  
სახეს.

**პედრო —** (მღელვარეთ) დარაჯი!  
**დედოფალი —** შეშლილი!  
(მოადგება ტერეზა შეიარაღებული როსკივებით).

**პედრო —** (დედოფალზე) გაიყვანეთ!  
**ტერეზა —** (შეიარაღებულებს) გაიყვანეთ!

**პედრო —** ამის ზარმა დარეკა, ფხიზლად იყავით!  
**როსკივები —** გვესმის!

**დედოფალი —** (პედროს) გწუხველი, გწუხველი!  
(მედიდური ნაბიჯით მიჰყვება ტერეზას, შემოდის კარლოტა).

**კარლოტა —** მომისმინე, პედრო, მხოლოდ არ შეშფოთდე!  
**პედრო —** რა გინდა!

**კარლოტა —** (შწუხარედ) ჭალაქში გაჩნდა შავი ეამი.  
**პედრო —** ეს ჭორო არ არის?

**კარლოტა —** ხმა კი სწრაფად ვრცელდება ჭალაქი ხერხელებში ჩაძვრა. მეომრებს როგორ  
შეავგოვებ?... ჭუჩუბში გამოდიან მხოლოდ მიწისძვრით შემოღილები და მთვრალები.

**პედრო —** (უცქერს) შეშინებული ხარ. შიში ვალაპარაკებს?  
**კარლოტა —** მე შეშინებული ვარ?

(შემოყოფს თავს ორი მაწანწალა ბავშვი, შავი ეამით სწეულები).

**პედრო —** (სახეს მიაპყრობს, შეკრთება) ახ!  
**ავადმყოფები —** (შწუხარედ) ჩვენ შშობლები დაეკარგეთ.

**კარლოტა —** (გმინვით დაიხვეს უკან) შავი ეამი?  
**პედრო —** (უბლოვდება ავადმყოფებს) თქვენ ავად ხართ?

**კარლოტა —** (შეკრთებას) არ შეეკარო! (ავადმყოფები მიდიან).

**პედრო —** უფალს უბედურების გზით მოაქვს ბედნიერება, როგორც ჯვარცმის გზით აღდგომა.  
**კარლოტა —** (ხელში წაავლებს ხელებს) პედრო!

**პედრო —** ეს შავი ეამი მტერს თავზარს დასცემს, ჩვენ კი ვერაფრით შეგვაშფოთებს.  
(კარლოტა და პედრო მიდიან, სიფრთხილით შემოდინან მინისტრი, ლეიტენანტები, ბა-  
რონი და სხვ).

**1 ლეიტენანტი —** მე ერთი ტუსადის სამოსელი ჩავიციე, ბატონო მინისტრო, ტყვე დედოფლის  
სადგომი დავხვერე. დედოფალს საშიშროება მოეღის... მაგრამ დარაჯების მეთაური  
ხელს გვიწყობს. მას პედრომ საყვარელი მოუკლა და ვუღოთ ჩვენც არის.

**2 ლეიტენანტი —** როგორმე დროზე მივეშველოთ...

**მინისტრი —** (ფრთხილად გადახედავს ყველას) ბატონებო, მე მართო ლეიტენანტები დამიტო-  
ვეთ, თქვენ გარეთ მტერს თვლი ადევნეთ. (ყველანი მიდიან, გარდა ლეიტენანტებისა).

**მინისტრი —** მე გავიგე, რომ აჯანყების ჩასაქრობად, ჯარების უფროსად დანიშნულია უფილი  
სატუსალოს უფროსი მიქელო.

**1 ლეიტენანტი —** თუ დროზე შემოვიდა დედოფალი გადარჩება და ყველაფერს მოუვლის.  
**მინისტრი —** საუკეთესო მიქელო სძულს ხალხსაც და ჯარსაც. ამას გარდა, ვვირგინოსანნი თუ  
ასეთ გარემოებაში შეხვდნენ ერთმანეთს, დედოფლის ბედი განწირულია.

**ლეიტენანტები —** რისთვის, ბატონო მინისტრო!  
**მინისტრი —** გვირგვინოსანთა შორის უთანხმოებია.

**2 ლეიტენანტი —** იმედია, თქვენი დახმარებით ვაიფანტება ეს ბურუსი.  
**მინისტრი —** როგორღა! მეფემ მარჯვენა ხელად გაიხადა მიქელო-ადამიანი მეტად სასტიკი,  
გაუნათლებელი, ამავე დროს, ვიცით, რომ მეფეს საკუთარი ნებისყოფა აკლია.

**ლეიტენანტები —** (შეწუხდებიან).

**I ლეიტენანტი** — ბატონო მინისტრო, თუ ასე მოხდება, ჩვენი სიცოცხლე დაკავშირებულია შენს ბედთან.

**მინისტრი** — შე მეგობრა, რომ თქვენ ატარებთ კეთილშობილ გრძნობებს. ეს გაკავშირებთ დღევანდელ ჩემთან, შე-დედოფალთან... მაგრამ სურვილები არ კმარა, დრო მოითხოვს ჩვენგან საქმეს. საქაროა, მტკიცედ შემორჩილებოდით.

**ლეიტენანტები** — ფიცს ვაძლევთ.

**მინისტრი** — პირველი საქმეა დედოფლის ტყვეობიდან დახსნა... შემდეგ მის საფარქვეშ თუ გონივრად ვიმოღებებო, მოვეშუშებთ ქვეყანას ღრმა პრილობებს.

**ლეიტენანტები** — ვაუმარჯოს დედოფალს! ვაუმარჯოს დიდ მინისტრს!

**მინისტრი** — (ლეიტენანტებს) ახლა იცით, რა უნდა ვაქეთოთ.

ყველანი მიდიან. შემოდის ამალია — მეძაღვი ქალი, რომელსაც შტრებზე ნაძარცვი ქსოვილები მოესხამს, წელს ქვევით კი ცუდად აცემა მის გვერდით ახლავს შემინებული ბარონი).

**ამალია** — (ჩასტკერის თანაქინდრულ ბარონს), პო, რა გზას დაადექი!

**ბარონი** — მიუვარხარ!

**ამალია** — (ვაღიზიანებებს) მიუვარხარ კი არა...

**ბარონი** — სინდისს გვეციებ, ამალია!... ამალიკო!

**ამალია** — მამ (მძიმედ დაადგამს ფეხს მიწაზე და ასწევს) აკოცე ფეხის ნაკვალევს!

**ბარონი** — ეს წმინდა გრძნობის აბუხად ავდებია.

**ამალია** — (მძაფრად) ძაღლი ის კი რა იყო, მთელი ღამეები მიწველებდი და დღისით ქუჩაში შესსვენ გამოხედვას მიკრძალავდი!

**ბარონი** — შაბატე, შე უცოდველი არა ვარ!

**ამალია** — (აძლევს ხელს. ბარონი სწრაფად კოცნის) ფინია!

**ბარონი** — (უკმაყოფილოთ) შე აღაშინი ვარ!

**ამალია** — განა შე უგრძობელი კანი მქონდა, ბარონო, როდესაც ჩემს ტანზე დაღვი ბინძურ სურათებს, ახლაც მანია... და, როდესაც ტყვეობისაგან აკეცილებდით, ხარხარებდით... შე ვიყავი ახალგაზრდა და შშოიდა... ქმარი მყავდა და ციხიდან არ გამოუშვეს. შიოდა ჩემს პატარა დას, სულთ ავადმყოფს... საცოდავს... ბავშვს...

**ბარონი** — დავეიწყით... ვიცხოვროთ მეგობრულად! ტყბილად!

**ამალია** — (ვაარტყამს სილას) უსინდისო!

**ბარონი** — თქვენ დასცილით იმ ნაზ გრძნობას... რასაც ვინციდიდი...

**ამალია** — თქვენ ყველანი ნაზები ხართ და სულ განიცდით!

**ბარონი** — ასე ნუ ლაპარაკობ ამალია!

**ამალია** — ვხედე, რად წუწუნებ. შენ იცი, სად იმალება მინისტრი და დიდკაცობა გეშინია ჩემი, ხომ ვინდა ხელიდან გამისხლტე და სადმე ხერხელში შეძერტე!

**ბარონი** — რა ვიცი, სად იმალება მინისტრი... მეშინია! ერთი რომ დაეყვირო, მოვლენ ტუსალები და ჩამოშახრბობენ, აი, იმ ბოაზე.

**ამალია** — კარგს იზამენ, თუ ჩამოგაბრბობენ! კატა ხარ!

**ბარონი** — ნუთუ ასეთი ცივი გული გაქვს, ამალია!

**ამალია** — შენ, სხეებმა... სისხლიდან დამცალეთ, თქვენ წაიღეთ ჩემი სიცოცხლე, კეჟა, გამაშვრეთ და შემდეგ დამტყუებ წიხლები, აი, ასე! (სცემს ტლიწყებს ბარონს) ვადამაჯღეთ. დავეყო ხმელ ქვესაეთი... (ფიცხად) შე ვიციროდი და თქვენ მაგინებდით, შე ეტროდი და თქვენ დამციროდით. და ახლა არ დაგზოგავთ! დამრჩა ყელში ხმა და ვიყვირებ...

**ბარონი** — (შეშინებული) ეე... მოდის... ღვთისგულისათვის!

**ამალია** — (ყვირის) ტუსალებო! ტუსალებო! ტუსალებო!

(ბარონი აპირებს გაქცევას. ამ ხმაზე შემობრბის ფრანცისკო იარალით, რა შეხებდავს ამალიას, ვაშეშუღბა. სტაცებს ხელს. აკეირდება. ამით ისარგებლებს ბარონი და შირბის).

**ფრანცისკო** — (ჩასტკერის ამალიას) შენი სახელი?

**ამალია** — (უტკერის. შეკრთება) ფრანცისკო!

**ფრანცისკო** — შენა ხარ? ამალია?

**ამალია** — განა ცოცხალი ხარ? მეგონა ჩაკედი ციხეში.

**ფრანცისკო** — ისე დაღვეუხარ...

**ამალია** — (შწარე ღუშოლის შემდეგ) ჩემში არა ყრია რა!

**ფრანცისკო** — ვხედავ... ეჰ, სულ მოშენარხარ.

**ამალია** — (ქვითინით) არც ის სიმღერები მახსოვს... შე არაფერი არა მატებს, რაზედაც ღირდეს დალაპარაკება... (ქვითინებს).

**ფრანცისკო** — სხვა იყავი მაშინ... იმ დროს... როდესაც შე და შენ პორტოლის ეზოებში, საქ-

ჩაეხებით ხელში დაედოოდით და ემდებოდით... შენს პატარა დას ჩამოეატარებინებდით ჩემს ქედს და მსმენელები ჩაუყრიდნენ შიგ წყრილ ფულებს რა უშავდა... ეცხოვრობდი... ჩვენი შეგობრობა უბრალო იყო და თბელი საბანიც ჩინებულად გვათბობდა.

ამალია — მერე მე არ გამოიხარია. მერე ქერა შეიქნა ულმობელი... ჩემი შეწალებული...

ფრანცისკო — სამაგიეროდ, ნატრსალარმა სხვაგვარად ჩამოვიარე: მე ვამტრევედი, ვაფენდა ქისკრებს, შევდიოდი ყველგან, ნაცნობ ვზოგებში და ვყვიროდი. „ამბოხება!“, „ამბოხება!“ ჩემს ხმაზე ზოგნი კანკალდებდნენ, ზოგნი კი გამურულ სარდაფებიდან, ან ნანგრევებიდან ამოდიოდნენ, ვითხოვდათ თვალები, და შორბოდნენ, ურისები მომყვებოდა. აგრევე, სხვა ამხანაგებსაც. სხვა უბნებიდან მოჰყვებოდნენ. დაესრულებული ზურათებით ვგროვდებოდით პედროს გარშემო და პედროს განაწილებდა, ისე, როგორც ღმერთი ანაწილებს ქაბებს ქვეყანაზე... შენ სად იყავი? ამდენ ხანს ველარ დამინახე!

ამალია — სად ვიყავი სულდო, სულელი მეთქი, შენ რომ ჩემთვის დაგეჯერებინა ვანა სატრსალოში ამოჰყოფდი თავს!

ფრანცისკო — (დაბედავს ჭრილობაზე)

ამალია — დაჭრილხარ, შე საცოდავო.

ფრანცისკო — ე, ვანა ეს გააწრული მალონებს! მტერმა უკან დაგვიწია!...

ამალია — იბრძოდი?... უბედურო, რისთვის!

ფრანცისკო — სიმართლისათვის, შენთვის, შენ რომ დამაგრული ხარ, ჩემთვის და ყველასთვის...

ამალია — ფუ! რას რომავს.

ფრანცისკო — კიდევ ამისთვის, აი (ამოიღებს უბიდან დიდ ქისას და გაშლის) ამისთანა კიდევ მაქვს. შენ ვეტებდი, ცხოვრებას დაეებრუნდებოდი-მეთქი. ეკ, რა ღირსი ხარ!

ამალია — (სტალებს ხელს ქისას) მე არ ვარ ღირსი? ყველაფერი შეგწირე! (ეებრძვის).

ფრანცისკო — (წაართმევს ქისას. იღებს უბეში) მოგეცემდი. სადმე ერთოდ გადავიკარგებო-ოთ, თუნდაც, შორს — შენს სამშობლო ვენეციაში. იქ ვერაფერ ვერ მოგეცემნოდა, მაგრამ შენ ისე დაღემეულხარ, პირველივე დამანახავი ქეას გესვრის. კაცო ნამიჯზე ვერ გენდობა.

ამალია — მერე, ჩემი ბრალია, შე უღმერთო, ჩემი ბრალია! შენ თვითონ რას ქვაებარ, ძლივს გიციანი. ფრანცისკო-მეთქი, რომ დავიძახებ, ასე მეგონა, რაღაც ნადირს დაეარქვი ეს სახელი.

ფრანცისკო — მერე, ჩემი ბრალია!

ამალია — მაშ, ვისი?

ფრანცისკო — ეკ, რა გესმის საცოდავო... საცოდავო-მეთქი. რაღაცა მაინც შეგარჩენია იმ დროისგან.

ამალია — (მოფერებით ვადაუსეამს ხელს) ეკ, წაიფა ყველაფერი (მხურვალედ ატირდება).

ფრანცისკო — ეკ, ახლა ის მიყავს გულს, რომ უკან დაეიხეფო. და... აი, წამოვედი პედროს საქებრად... დაერბივარ, ვეებ და ვერავის ვხედავ, რაღაცა ცული ამბავია.

ამალია — მაშ, შენ იმათთან ხარ, დედოფალს რომ დასჯას უბირებენ?

ფრანცისკო — ჯო.

ამალია — (უებბად) დიდ კაცებს და მინისტრებს რომ ეებებენ!

ფრანცისკო — მაშ.

ამალია — (დაიდებს ტერზე ხელს) აბა, რად გაუშვით ხელიდან ის ბარონი!

ფრანცისკო — ბარონი? როდის!

ამალია — აი, აქედან რომ გაიქცა. მან იცის, სად არის დიდი მინისტრი. მე თვითონ დაეინახებ მასთან.

ფრანცისკო — შეგიძლია მონახო? იცი, სად წაიფა?

ამალია — ვინ იცის! ეებოთ.

ფრანცისკო — მოვანახოთ.

(ამალია და ფრანცისკო მიდიან. შემობრბიან როსკივები და კარლოტა ქალებით. მოუღერებენ ერთმანეთს იარაღს).

კარლოტა — დასახარობი ხართ, თქვე თავხედებო, როსკივებო!

ქალები — როგორ მოგეტაცეს დედოფალი!

კარლოტა — სწორედ, როცა ბოლო უნდა მოგველო, გააფრინეს.

1 როსკივი — რა ვქნათ, ტერეზამ გვილაღატა.

2 როსკივი — დაგვლუბა დედობილმა.

1 როსკივი — მე ეატუბ, გაბრაზებული იყო გონზალოს დასჯისთვის, და პედროზე შერა იძია.

კარლოტა — სულ ვართია, თუ ვერ ნახეთ, დავახარობთ.

ყველანი — ეებოთ ყოველ მხარეს.

(ყველანი მიდიან. შემოდის ოთხი მღაბიო).



- 1 მდაბიო** — ხედავთ, რა დღეში ჩავვარდით? დედოფალი გაპარულა!
- 2 მდაბიო** — გაპარულა და ქალაქგარეთ ზეიშია.
- 3 მდაბიო** — ზენ რა ეწათ ახლა, ვის აფხვეთ!
- 4 მდაბიო** — პედრო მთელ ქალაქს საბრძოლველად ერეება, ყველა მდაბიო დანაშაულშია ჩამბული და რა პინა, უნდა გაიყვნენ.
- 2 მდაბიო** — თუ ასეა, ვერც ზენ დაიკრვით ხელებს.
- 3 მდაბიო** — წამოდით, სხეებსაც შევეკითხოთ.
- 2 მდაბიო** — ვის შევეკითხოთ, სანამ დროა, ვარბოთ ძველი ბატონები.  
(შემოდის პედრო. შემოსდევნენ თანდათან სხვადასხვა მხრიდან ალფონსი, გუგავა და ფრანცისკო)
- ალფონსი** — დედოფლის გაქცევამ ხალხი შეაჩვია.
- პედრო** — თქვენ რას აკეთებთ!
- გუგავა** — ერთი ქუჩით მტრის რაზმი იპრებოდა ჩვენგან. მე სახლები დაწვი, ქუჩაში კოცონები დავანთე და მტრის შემოტევა შევანერე.
- ფრანცისკო** — მე შევხვდი ამ ქალს, რომელსაც სატუსალოში ვივინებდი და ვტიროდი. მტრის ბუნჯი მომანახვინა. ათი რაზმელით მიეუხტა მტერს, მაგრამ რაზმელები დამიბოცეს და ის ქალიც მომიკლეს.
- პედრო** — წაიდი, ახლაც წაიფვანე ჩემი რაზმელების ნაწილი. ის ბუნჯა მოთხარე, შემდეგ ყველა, ვისაც იარაღი იქვს და უკან იხვეს აქ მორჯეე, გამოაცხადე, აქ მოიყარონ თავი. (ფრანცისკო მიდის. შემოდის ნიკოლო. დაღვრემილია).
- ნიკოლო** — ქალაქ გარეთ მეფის ჯარი დაბანაკდა. დედოფლის გარშემო, კიდევ, ცალკე ლაშქარი იყრიან და ხალხი მისკენ შედიანება.
- ალფონსი** — ეჰ, მდაბიო ხალხზე ვეღო მტრინა. ნაპირავ განძს მხურვალედ იცავენ ერთმანეთისაგან, ბრძოლაში კი ტუსალებს არ შევლიან.
- პედრო** — ბრძოლა არ არის, როცა მდიდრებს ძარცვებენ!
- ალფონსი** — ამას სწადიან არა ქონების ვასაერთიანებლად, — ნაძარცვით იბრწინებიან.
- პედრო** — დე, ასე იყოს, უფლის მოციქული წერს, თესლი თუ არ დალბა, ახლად არ აღმოცენდება.
- ნიკოლო** — არა, ალფონს შენ ხმა არა გაქვს ვასალები. როცა ქალაქი შემშლით ხის ქერქს ქვამს, შენ ახერხებ მდიდრული სუფრების ვაშლას. დღე-ღამე ნადიმობ და ლაღობ ქალებზე ძალადობით, ბრძოლაში კი ერთხელაც არ გამოდისარ შენი ხროვით.
- ალფონსი** — განა ეს ბრძოლა არაა, მე ამ ვასაქირში ხალხს ვამხნეებ ჩემი ქვიფით.
- ნიკოლო** — (გააწყვეტინებს) შენა ხარ მძორი და ასეთი პასუხისთვის პედროს თვალწინ ვაგაპობ.
- ალფონსი** — (შემტრთალი) არა... ქვიფს თქვენ გვერდით ბრძოლა მიჩნევიან.
- პედრო** — მაშ, ნიკოლო, შენ გაბარებ ხელში ალფონსს თავისი ხროვით და დღესვე სასიკვდილო კრილობებით დაამტკიცონ, რომ ქვიფს ბრძოლა უჩნევიანთ.
- ნიკოლო** — აქამდე დარი გვადგა.
- გუგავა** — არა, ნიკოლო დედოფლის გაქცევა ცას ვერ დაგვიბნელებს.
- პედრო** — მას გაქცეულს ღიდი ღვარძლი ვაყვია მაგრამ ვერ უშველის მტარვალებს!
- ნიკოლო** — აი, სულ ვიწვებ და ვერ ვამთავრებ სიტყვას, ვერ ვიბედავ, ვიფხრა სიმართლე. იმ წუთიდან, რაც დედოფალი გაიქცა, სუყველაფერი აირია. ვნანობო, რომ არ დაუჯერეთ კარლოტას და ტერეზა დარაჯებში ვაერიეთ.
- პედრო** — სად არიან საენის მეთაურები?
- ნიკოლო** — ზოგნი ნაძარცვს იკადებენ და გზებს ეძებენ, მტერზე უფრო ჩვენ გვემალებიან.
- პედრო** — არ იციან, რომ ხორციელად არ ეცხოვრებათ, რომ ისინი მხოლოდ შურისძიების სულელები?!
- ნიკოლო** — ქუჩებში მიინე მოვანწარი ყორეების ამართვა და მეომრები ჩაეყენე. მრწამს, ისევ საშველს გამოეჩახე. თუ ვერა, დავბრუნდები და ვიბრძოლებ, სანამ ჩამაძიდლებენ. (ამაგრებს ტირილს).
- პედრო** — ნუ სცოდავ, რაც არ უნდა დაგვატუდეს, გამარჯვებული ვართ. ჩვენ არ ვაგონილი აღმოვითება ვანუცხადეთ უსამართლობას.
- ნიკოლო** — შენი ბედი მაშინებს.
- პედრო** — მე საფრთხე მხოლოდ ციხეში მაღდა. ახლა დახსნილი ვარ სიკვდილისაგან ჩემი საქმით.
- ნიკოლო** — არ მეშეტები, მეცოდები.
- პედრო** — არა, მე ისეთი შარავანდელით შემოსია ამ დღეებმა, ეს არ გეთქმით. მე, ტუსაღმა, ქვის კედლებში ქიასავით სიკვდილის მოლოდინე აწვიე ურო და ისე სასტიკად დავივი: ქვეყანას უსამართლობისთვის, რომ მიწისჭერის და წარღვნის რისხვა დავავიწყე... და თუ

სივედილი მომწვია, სამართლის ურო აღმართულია და დაამბობს დასამბობს...  
(შემოდის ფრანცისკო რაზმელეზით, შემოსყვება მღაბით ხალხი)

**ფრანცისკო** — მტერი ქალაქში შემოვიდა. მეფის ჯარს მიჭელო მოუძღვება. მტერს უნდა  
სახსრიაბელებს დგამს ტუსალებსთვის. ჩვენი რაზმები ამოვიდნენ სანგრებიდან და უკან  
იხვევენ. მე ყველა რაზმის თავები გაეფრთხილე, აქ შენთან მოიყარონ თავი.

**ნიკოლო** — ასე უცხად არ მოველოდი შემოტევას.

**მეები ხალხიდან** — მიჭელო მოდის უფლის რისხვად, გვიშველეთ! არ გვინდობს მღაბით  
ხალხს ცოლშვილიანად გვსრისავს! ნანგრევებშიც ვერ ვემალეებით მიჭელოს ბორბოტ თვა-  
ლებს! დაგვიხსენი, პედრო! დაგვიდექ კელად!

**პედრო** — სიმხდალე არ გიშველით.

**მეები** — უძლეური ვართ, იარაღი გვაქვია!

**პედრო** — ცოცხლებმა შეკვრების იარაღი აიღეთ, დაირაზმეთ და აქ მოიყარეთ თავი, გოდებთ  
ვერ მივლივთ.

**ნიკოლო** — მე ჩემს მეორებს მივხედავ, რა მოუვლიათ.

**პედრო** — გასწიეთ ყველამ, ღმერთი არ გაგვიწიავს. მოაგროვეთ თქვენი რაზმის თავები მეომ-  
რებით და ყველას აქ მოუყარეთ თავი. აქედან ვაცნობთ მტარვალს რისხვას, ო, როგორ  
ჩქარა მინდა, ეს გადაამწყვეტე წუთი დადგეს. წადით ახლავე. მე ჩემი რაზმით ჩამოვიფ-  
რენ ყველა ქუჩაზე, თქვენც ჩამოვივლით. (ყველანი მიდიან. შემოდიან წოწორია პატარა  
სკივრით და კარლოტა).

**კარლოტა** — არ არის პედრო, სად ვეძიო!

**წოწორია** — თქვენ ახლა ისე თავაბნეული ხართ, ქალაქში კი არა, ერთ პატარა ოთახში რომ  
დაგამწყვედიოთ, იქაც ვერ ნახავთ ერთმანეთს. დაცია, ხომ გამოუცხადებია, რომ სუვე-  
ლამ აქ მოიყაროს თავი.

**კარლოტა** — მერე, ვერ ხედავ, როგორ აირივნენ? სუყველა გარბის აღმა-დაღმა. ვერაინ ბედებს  
შეებარბოლის ჯალთ მიჭელოს. ამაზე მეტი შეშფოთება მიწისძვრის დროსაც არ ყოფილა.

**წოწორია** — მართალია, მტრის დასახვედრად აქ თავს ვერ მოიყარონ. ეძებენ ხერხებს, ან ბი-  
ლიკებს გასაპარავად, მაგრამ ჩვენები, მარტოც რომ დარჩნენ, მოვლენ.

**კარლოტა** — (იხედება) ხედავ, ნაძარცვს ყოიან ვზა-ვზა, ისე ვარბიან.

**წოწორია** — ო, მე კი კუთვით მოვეყოლე ამ საქმეს. არავის სისხლი არ დამიღვია, არც მძიმე რა-  
მე მომიღვია ზურგზე. ეიცოდენ, ოხრად დამარჩებოდა. (ასწევს სკივრს) მხატვა და  
ძვირფასი.

**კარლოტა** — ეჰ, მე კი მარტო პედროს გულის მოგებას ვეძიებდი, მეტს არაფერს.

**წოწორია** — აჰ შენს ხელშია.

**კარლოტა** — არა, იყოს — არ ვეკიდები, მხოლოდ მინდა ავაცდინო საშინელებას, — ხალხის  
წინაშე დამცირებას ჯალათის ხელით.

**წოწორია** — კიდევ იხსნი და მის გულსაც დასაქუთრებ.

**კარლოტა** — არა, უტუ, ბედნიერებაზე არც ვოცნებობ.

**წოწორია** — ნატერა არც გვირდება, თავისით მოდის. იმ ჩემი პატარა, ჩქარი გემით როცა უც-  
ხო ნაპირზე გავალთ და იქ ნაცნობი და თანამგრობი შენს მეტი არაინ ეყოლება, ვის  
მიანდობს გულს.

**კარლოტა** — ო, შენ ჩემთვის, ღმერთი თუ არა, ანგელოზი მაინც ხარ.

**წოწორია** — თუ ანგელოზი არა, კეთილი ხომ ვარ! ჩემვან, ვისაც დაბადებიდან ეშმაკს შეძახიან,  
ესეც დღი საქმეა.

(შემოდის გუგავა მონებით).

**კარლოტა** — პედრო სად არის?

**გუგავა** — აქ დაგვიბარა.

**მონები** — (შეხერხებთან) ორიოდ კაცო დავრჩით, სულ დაიღუპნენ აქ, რას მოველით!

**გუგავა** — რასაც ბედი გვარჯუნებს.

**1 მონა** — ბედი მოღრუბლულია.

**გუგავა** — მაინც დავხვდებით. ვცადოთ. აბა, დაფიქრდით, — გულზე ხომ ხელს ვერ დავიკრფთ.

**მონები** — რა მოვიფიქროთ, აჰ!

(მონები ცალკე დგებიან და მსჯელობენ).


**კარლოტა** — (გუგავას) არის ერთი საშველი, მეტს ვერ ეხედავ. მოიწი, უტუ, აუხსენი,  
**წოწორია** — აი, ამ სკივრში რა მოვაგროვე, მიკოღია. (იწყებს სკივრის გაღებას).

**გუგავა** — კვიცი გვარზე ბტის, ნამდვილი წოწორია ხარ.

**წოწორია** — (შეაღებს სკივრს და დანახებს) ხომ ხედავ!

**გუგავა** — თვალი კი მომჭრა.

- წოწორია** — მერე, რად შინდა ბეშინაჟეშა ზეახემ ერთი ანდაზა იცოდა; საყვარელი და სიყვარული ერთად მომადგაო.
- გუგავა** — ჰო, თავი ოხრად გვირჩება და ეს მარტო ცოდვად დაგვედება კისერზე.
- წოწორია** — არც მასია სიქმე. ამაზე მეტი შქონდა და იმით ჩქარი ხომალდა შევიძინე, მაგრამ ერთი კაცი უამაშიდაც ცოდვასო.
- გუგავა** — ჰო, ამდენ ზღვებში მარტო რა გამიყვანს, რა ვადამარჩენს...
- წოწორია** — ამიტომ სიყოფს დავადექი და გადაეწვეტიტა, შენ და პედროს გომეველოთ, გაგაფრინოთ თქვენი ახლომდებობით. შენ წოწორიებს ტყუილად სწუნობ, — სულ მალაიანები ვართ, კიდევ ის არის ჩვენი ბედნიერება, რომ უკუა არ გვამიძიებს.
- გუგავა** — პედრო ხმაღს არ ჩააგებს.
- კარლოტა** — ხმალი ვადატებილი ვაქვთ. (მონებზე) ზედათ, იმ ზეხზე ძლიეს დგანან. სხვები მხოლოდ ვადამალავან ფესფესობენ. მტერი ისე გათავებულა, იმედი აქვთ, რომ ცხადდ შეგახყრობენ შეთაურებო.
- წოწორია** — ჰო, მიქელოს თან მოაქვს, თურმე, სახრჩობელს ბოძები. ხალხმა დაინახა.
- გუგავა** — მოვიდეს პედრო და ვითხოვთ, ხართ თუ არა ღირსი, აქვე წესი ავიგოთ.
- კარლოტა** — თქვენ ხართ ამის ღირსი, რომ აქ ჯგაოთებმა სახრჩობელაზე ავიყვანონ, დაცონონ? (მორეული ყვირნა) იმ, გესმით რა ამბავია. თქვენ გინდათ, ეს სინამდვილე სიზმრად მიიღოთ, თქვენი სიზმარა კი სინამდვილე! ჩვენც ავიყვებოდით, მაგრამ სიყვარული ვგაფხიზლებს. რად ემუქრები უტუს, მისთვის რომ გამზადებული ხომალდიდან გამოიქცა და ხელს გაწვდის ვადამარჩენად?!
- გუგავა** — ეხედავ ასეა... მაგრამ ვალი მბორკავს. ამხანავებს როგორ დავემალო!
- კარლოტა** — აქ ერთად ველის სირცხვილიც და სიყვდილიც.
- გუგავა** — რა ექნა, იმ, თავი მისყდება.
- წოწორია** — იცო, რა გიხბრა, მიყოლია, როცა ზონის წმინდა გიორგის ტაძარში ცირას გვერდით წარდგება ჯეარსაფერად, იქ გაგახსენებ, რომ სამშობლოში ცოცხლად დაბრუნებისთვის მოკვლას მიპირებდი.
- გუგავა** — კარგი, გეყოფა, უბრია, შე უღმერთო, სულ ფეხს ნუ მადგამ წყლულზე.
- წოწორია** — ნახაულები ხატს გუფიცება, იქ ცირას წინაშე გაგახსენებ და გაგაწითლებ.
- კარლოტა** — წადით, შე პედროს ამოვიყვან ხომალდზე.
- გუგავა** — პედროს მოიყვან?
- კარლოტა** — ფიცს ვაძლევ, ერთად მოვალთ.
- წოწორია** — წავიდეთ. აწ ლაპარაკი რა საჭიროა.
- გუგავა** — გეშუე მოიყვან პედროს?
- კარლოტა** — მამ, რად გეშუეობები! შენი თავი თუ არ გებრალდება, ის შვიცოდე.
- წოწორია** — მისი დალუბვა რად გინდა.
- კარლოტა** — ეს არის შეგობრობა?!
- გუგავა** — წავიდეთ.
- მონები** — სად?
- გუგავა** — გეში ვიშოვეთ.
- მონები** — ეს სანატრელი ამბავია. საით გავედგეთ!
- წოწორია** — ზღვა მთლად გზა არ არის, თქვე მტერებო, აუშუათ აფრა და ვითრინოთ.
- მონები** — ო, ზღვაზე!
- გუგავა** — მამ, ვიკლით კარლოტა ზღვის ნაპირთან.
- მონები** — ზღვაზე, ზღვაზე ვითარეშოთ!
- (გუგავა, წოწორია და მონები მიდიან. კარლოტა მღვლეარებით იხედება. შემოდის იოანე დღვრემილი და მოტეხილი. მერე მხრიდან შემოდის ალფონს, მძიმედ დაჭრილი, კარლოტა მათგან შირს დაიხვეს).
- ალფონს** — ბებერო... აა, მიშველე... თუშუა შენ მთლად მოტეხილბარ... (დაეშვება მიწაზე).
- იოანე** — მომცლეა ბავშვი, საყვებო ვერ ვიშოვე... რაინ მავიერ, რალე ნახარში შევასვი და არ შეიკრთა. რა ყოფილა ბავშვის სიყვდილა! როგორ იტანჯებოდა! გაუდილდა თვალები, გონიერი კაცივით მიქეროდა... დახეუა სამუდამოდ... მერე დავმარხე მიწაში და... ჩემს ჯერს ვუცდი.
- ხმა** — კარლოტა! (კარლოტა შეკრთება) ის ქალები გაწვეტიტს, შენ რომ ყორუზე დააყენე.
- კარლოტა** — ეიცი, ეიცი!
- ხმები** — კარლოტა, ჩვენ პედრომ დავგიზარა. ცოტადა დაერჩით, ზოგი ტყე-ველით გააპარა, ზოგი — ზღვით.
- კარლოტა** — ვისაც შეუძლია, წავიდეს, გზა მონახოს!



**მძაფრი ხმები** — სად არის პედრო, კუდიანო! ჩვენ გონხალის მეგობრები ვართ, — შტებე უნდა ივავთ და მიქელს მივართვათ გულის მოსალობად.

**კარლოტა** — მაგით არავინ შეგაწყალებთ.

**მძაფრი ხმები** — შურს ვიძიებთ.

**კარლოტა** — დროს ნუ კარგავთ, თავს უშველეთ, ცოფიანებო!

**მძაფრი ხმები** — ესეც ავაწყოთ!

**კარლოტა** — მე რას მერჩით, თქვენს დას, კეთილებო! ისე, უბრალო გულით გიწოდეთ ცოფიანები. (კარლოტა შიშით იმალება).

**გლეხების ხმა** — პეი, გლეხებს გზა მოგვიტრეს, სად არის პედრო, გაგვიკაფოს გზა, ან იქით, ან აქეთ.

**კარლოტა** — (გამოჩნდება) ნუ უცლით პედროს, თქვენს გარდა, სხვა ჰირიც ყოფნის.

**გლეხების ხმა** — სად წავიდეთ?

**კარლოტა** — როგორც ვინდათ, თავს უშველეთ, ბილყები მონახეთ.

**აღფონი** — კარლოტა!.. რას სჩადი, დედაკაცო!

**კარლოტა** — კიდევ აქ მითვალთვალე! რად წაქეულებარ, ო, დატრილი ხარ?... მიმედი?... (ღუმილი) დამარცხებულ-დამხვეულებს ვაფრთხილებ, თავს უშველონ, განა მოლაღატე ვარ!

**აღფონს** — შენ ვინდა პედრო გადაარჩინო?

**კარლოტა** — მამ!

**აღფონს** — ვაქაცები მისთვის კედებიან, რომ ხალხის გულში დარჩნენ. — გმირები ქვეყანაზე საფლავიდან იზადებიან და არა ღედის საშოდან.

**კარლოტა** — შენ ვინდა, რომ ის მოკვდეს?

**აღფონს** — არა, არა, ჩემთვის უკეთესია, იცოცხლოს. თუ მოკვდა, გმირის სახელი მას ერგება, თუ გაიპარა შე დამარცხება და ახლა არაფერიც არ დამიჯდება, — ხომ მაინც გვედები.

**კარლოტა** — რა გმირობაზე ლაპარაკობ, საცოდავო.

**აღფონს** — ო, სული მესუთება... (სიმწარით წამოღგება; მიშველეთ... სცენის აქეთ გადავარდება. იოანი წამოღგება და უუერებს),

**აღფონის ხმა** — პერი... ო, გული... მიშვე...

**იოან** — (ავივრდება) გათავდა კაცი.

**კარლოტა** — საწყალი ბირველად გავიდა ბრძოლაში,

**იოან** — კაცის სისხლი არ აძევს?

**კარლოტა** — აძევს, — უიარაღები მოუტლავს. ქალებზეც ძალადობდა ახლა ვიღაცას დაუტრია და ფიქრობდა, გმირის სახელი წაერთმია პედროსათვის. ისე გულით, კეთილი იყო.

**იოან** — კი, ციხეში კეთილები იყვნენ. ზიტრ რომ შემოფრინდებოდა, სდუქნით ვფერებოდნენ... მხოლოდ თავისუფლება რომ იშოვეს, მაშინვე ეცნენ ადამიანებს, ერთმეორეს...

**კარლოტა** — შენ არ გესმის, არც გიცხოვრია.

**იოან** — ზო, ცხოვრება ციხეში მოხებთა და ვინ მოთელის, რამდენ ცოდვას ჩამადენინებდა, გარეთ რომ ვუოფლოყავი.

**კარლოტა** — სულ თარბე გვივინა, მთლად დავიწყებული გქონდა ეს ქვეყანა.

**იოან** — მთლად დავიწყებული მქონდა ეს ქვეყანა, მხოლოდ, ბავშვი რომ ავიყვანე ხელში, ვაღვიძიე. ის თოთო იყო... არც ერქს არ გვიცხოვრია, ორთვ უსუნური ვიყავით... მაგრამ მთლად გამომაკდეინა ამ ქვეყნის სიტყბო და სიმწარე... მას აქეთ, რაც მისი თვალები დაიხუტა, პედროს ვუუერებ და ვფიქრობ...

**კარლოტა** — რას ფიქრობ, სად იშოვე ასე მოკლე დროში ამდენი შხამი.

**იოან** — თუ ცხოვრება ბრძოლაა — ცოდვა ყოფილა.

(მოდისმის ქალების ძარწოლის ხმა).

**კარლოტა** — (შეკრთება) ისინი!

(კარლოტა იმალება. შემოდინ ბარბაციო მძიმედ დატრილი და დაბეგვილა ქალები, მათ შორის — როსკიბები. უცრთ ხმის ამოლება).

**ქალების ხმები** — კარლოტა! კარლოტა!

**1 ქალი** — სად ჩავითრია, არ ემართა ჩვენთვის უბედურება!

**2 ქალი** — კარლოტა, სადა ხარ, ჩვენი ცოდვით სავსე!

(ქალები მიდინ).

**იოან** — დავილა... ეე... პედროს ხმა ისმის. არ იღლება, ღმერთი ვის რას უნთებს გულში, ვერ გაავებ. არ ვიყავი შეჩვეული ამდენ ფიქრს, ნჯღრევას და ძალიან დავილა. (შეჩერდება) სად წავიდა. აწ ციხეშიც ვერ მოვიხვენი. (შეჩერდება) საფლავზე ახლა არც არაფერია ჩემთვის... (შეჩერდება) დიდხანს მიცხოვრია... ვიტვობ, მაკლდა ტანჯვა. ახლა

ყველაფერი მივიღე და შემოძლია... (თავს აქნევს) იქ არც წიაღება წამყვება, არც ვინ-  
მის დაეხანება, — მხოლოდ მოვისვენებ.

(იოანი მიდის. გამოჩნდება კარლოტა, იცქირება სცენის იქით).

**ხმები** — ის მარტო მიდის. ტარტაროზი! სად არის! სად გავხვია! მოკალით, არ გაუშვათ.

(კარლოტა შფოთავს მთლიანით. შემოდის პედრო).

**კარლოტა** — პედრო!

**პედრო** — მოედინს შესახვევები ცარიელია... ნანგრევებში მარტო ღმურებია.

**კარლოტა** — წაეიდნენ, გაგწირეს. მათ უნდოდათ გამარჯვება და არა მსხვერპლი სიმათოსათ-  
ვის. ასეთია ხალხი. ყველა ასეთია, პედრო.

**პედრო** — ყველა? მაშ, შენ რად დაშვდი!

**კარლოტა** — მე მინდა, ასეთი სიმალიდან დაცემულს, გული შეგაგებო გადასარჩენად.

**პედრო** — ხა, ხა, ხა... დაცემულს? არა, ყველა თავის სიმაღლეზე უნდა მოყვეს.

**კარლოტა** — მე მაღაპრავებს უანგარო სიყვარული. არაფერს არ გთხოვ იღონდ იტოცხო.  
წამოდი. სად იხედები უკან!

**პედრო** — მაშ, გაიქცე — მე მოვატყუო! არა, დე, მათ მომატყუონ... მარტო დაჯრე. დაინა-  
ხონ სულმოკლე დედოფალმა და სხვებმა, რომ სიმათოლე სიყვდლს არ ეძუება. შენ  
კი მაგგვარად გული ცრულ ამაღლებულს შეაგებე.

**კარლოტა** — მკაცრი ხარ ჩემთან, პედრო.

**პედრო** — არა გაქვს ვახსნილი გული, მუდამ რაღაცას ფარავ.

**კარლოტა** — ცრუ პირით შენ სხვა გეფიცებოდა. დღეს მთელმა ქალაქმა გაიგო... მე აქამდეც  
ფიქვ ვჭედი... ახლა კი ყველა ამბობს, რომ დედოფალმა ჯიქოვით გტანჯა, ვინ მოიკლა  
შენთან და ქვის კედლებში დაგმარხა, რათა არ გამეღაფნებულაყო და არც სხვა ქალი  
გყვარებოდა მის შემდეგ.

**პედრო** — სხვა? სიყვარული რჩეულის გულში იგზნება და ერთია, როგორც სულია ერთი.

**კარლოტა** — მაშ, ახლაც ვიპყრობს?

**პედრო** — არა, იმავე სიყვარულის სიწმინდემ ამნთო მისი მანკიერების წინააღმდეგ.

**კარლოტა** — ტყუილია, დღესაც ემორჩილები. მე სიცოცხლეს ვიწოდებ და მისგან სიყვდლის  
ირჩევ, რომ გმირობა დაუმტკიცო.

**პედრო** — ამით მასვე ვებრუნებ გულში ლახვარს და მასთან ერთად ყველა მოღალატეს, უსუ-  
სურებს.

**კარლოტა** — ვერას გაიგებს, კედლივით უგრძნობელია. ისიც შეეცდებ, რომ პატარა პრინცი  
შენგან ჰყოლია და მიაჩნ დაგმარხა.

**პედრო** — ის ბეშევი შენ ჭვით მოკალი და დამცინე.

**კარლოტა** — არ ეიცოდი, ამაღ უცოდველი ვარ. ის კი ყველაფრად სასტიკია, მაგრამ მის მახვილ-  
ზე ეგება და ჩემს თავსაც აძლევ შერის სანიღბლად. ასე როგორ მოვთურგნა, დავიმონა.

**პედრო** — მოითურგნა? ცილს მწამებ, როდესაც მან დაიფიქვა და სულმდაბლად მომეპყრა,  
დაეინახე, რომ ის აყვია მთელი ქვეყნის უსამართლობას. ვიხილე, რომ ამ ცხოვრების  
ბოროტებაში გარდაუვლი იყო წვენი გათიშვა. და ლეთის ჩაგონებით ვაღაფეწვიე, რომ  
დასამხობი არის ძველი ქვეყანა... მე გავიმსჭვალე უბედურთა თანაგრძნობით, ვუწინამ-  
ღვრე ყველა დაიავრულს; უმეყოფილს და უფლისაგან შეჭრულ მიწაზე ქარიშხლის  
მოიქმნულ ვიქვედ ამოვავდე კაცთ ცხოვრება ძველი მიჯნებიდან და ღმერთი მიწვეს  
ყვლავ საქმისაკენ, მხოლოდ მამფოთებს, რომ მოსაგრენი სულ გამეფანტნენ და ისე  
მღრღნის ეს აღმფოთება, ძველში ტკივილს ვგრძნობ და ხორცში ცეცხლი მუდგება.

**კარლოტა** — ა, როგორ შეგეცვალა ხმა მღელვარებით. თითქოს ავად ხარ, დაფიქრი. თქვენ  
უფლისაგან ხართ გათიშულნი, ვით ცა და მიწა, მაგრამ ვიზიდავს ის დიდებით.

**პედრო** — მისი დიდება მე შექვს, როგორც უსამართლომა. მაგრამ მას აქვს თვით ჩემს სიყვარ-  
ულზე ღრმად ჩამარხული მშვენიერი სახე და სული. მე ნეტარებით დავწვავდი მის  
მიწიერ ხორცს, შესამოსებლს, ყოველ დიდებას და ამოვიღებდი მისი ფერფლიდან იმ  
სულს და სახეს, ოდესმე ნათლად რომ ვიხილე და შემეყვარდა.  
(მოისმის ბრძოლის ხმა).


**კარლოტა** — (აღმფოთებული) აჰა, მოდის ის შენი საყვარელი სული. ეიჩქაროთ, თავს ვუშ-  
ველოთ.

**პედრო** — ვილაცა იბრძვის.

**კარლოტა** — არა.

**პედრო** — ებრძოლებთ. შენ წადი, უკან არ მოიხედა, თორემ ღმერთი მარტოს სვეტად გადა-  
გაქცევს, როგორც ლიტის ცოლს! ხა, ხა!

**კარლოტა** — როგორ მამფოთებ, შენი მკვლელის წინაშე მუხლს იფრე და მე, ვინც ამდენი წვა-  
ლებით ჯოჯოხეთიდან ვისასვლელი ვხა მოვიანებ — დამკინო.



**პედრო** — რა მონახე?

**კარლოტა** — ჩქარი ზომილი ვიშოვე. შიგ გუგავა ზის მონახით.

**პედრო** — არა, გუგავს აქ ველოდი.

**კარლოტა** — აქედან შე გავგზავნი. ახლა ზღვაზეა.

**პედრო** — როგორ აგყავა!

**კარლოტა** — შენი სახელით შევევედრე.

**პედრო** — ეგებ გლუხებიც.

**კარლოტა** — ვინც აქ შემხვდა, გაერტყე, იმიტომ რომ ცოტაღა იყვნენ და გასაქცევს ეძებდნენ, — შიშით სული არ ედგათ.

**პედრო** — თუ აქ ვერ შეემიგრდებოდით, ასე დაეთქვით, სოფლებს ავანთებდით და ცეცხლს მოგაბრუნებდი.

**კარლოტა** — არა, ხალხი დამარცხებით ზარდაცემული მკედრებში ჩასათვლია. თუ ვინმეს სული შერჩენოდა, მოსაკლავად გეძებდა.

**პედრო** — შენ ვინ ხარ, ეს რომ ჩაიღწე, ვინ ხარ, მითხარი?

**კარლოტა** — შე მაქვს უფლება შენზე.

**პედრო** — რომელი სატანისაგან.

**კარლოტა** — ახლაგაზრდა ასული შენთვის ციხეში ჩავექვ. ციხის ნგრევის დროს ერთად ვაიხარეთ და შენ მხურვალედ ვადაშოკუნე. ჩემთვის ის იყო პირველი კოცნა მამაკაცის. იმ წუთიდან შენს გვერდით ვიბრძვი, ვადაიფიქვე ცოფა-მადლა, არ დაეზოგე სულა და ზორცო. და, როცა იღუპები, შენს სიცოცხლეს ევაპტრონები, რადგან შე მხოლოდ სიყვარული მძრავდა.

**პედრო** — მაშ, შენ დამტოვე შებოქილი ურჩხულის ხახასთან და ამას სიყვარულს უწოდებ?

**კარლოტა** — განეშორდეთ ამ ადგილს, ვადაივლის ცოფი ზღვის პირად, წუ მაყოვნებ, — დედოფალს ვერ ვაზვიმებ სახარხოებელაზე ჩემი კრუნჩხვით.

**პედრო** — რა ვიცოდი, თუ ჩემს მეგობრულ კოცნას არა წმინდად მიიღებდი. იმ წუთიდან, რა ბავშვი მოსკალ, ევით იყურებდი, მაგრამ ასეთ ციხიერებას არ მოველოდი, თუ ბრძოლაში ჩემ გვერდით მყოფი ჩემს დაცემას უცდიდა. არა, შენ სიყვარულს ცილსა სწამებ, შენ არა ხარ ვნებით ანთებული ქალი, შენ ბოროტებით აგზნებული მუგუზალი ხარ.

**კარლოტა** — ეს შენი სიტყვა არ არის, არა, არა, ვანა შენი პასუხია?

**პედრო** — სიმართლით იყავ.

**კარლოტა** — ო, თუ ასეა, შენ სატანა ხარ, უფლისაგან ვადით მოვლენილი, და ჩემი ზრუნვა განწირულია. მაშ, შე მიედივარ, აირჩიე, რისი ღირსი ხარ.

(კარლოტა აპარებს წასვლას. ახლ მოისმის ბრძოლის ხმა).

**პედრო** — აი, იბრძვიან ჩვენი და მშველელს ელოდებიან, — შენ ის თვით დამარცხებაც ვაქცურთ აღარ გვაღიხრე... და შენ გაგიშვებ ზღვის წიაღში საღრენად... (მიიწევს კარლოტაზე) შენი ადგილი არის მხოლოდ წაწყმედილ მკედრებთან. (ხელს ნასკიდებს, გამოანათებს მთვარის სინათლე):

**კარლოტა** — (უცქერის პედროს მთვარის სინათლეზე). წუთუ იმდენად გიზნულდება გონება, რომ... ეს (შეკრთება) შევი ეამი! (სასოწარკვეთილებით) პედრო!

**პედრო** — ეამი... სად? მამ...

**კარლოტა** — (შეპყვირებს) სახე გიშაიდება შევი ეამით! აეად... ოი! ოი! (გამოაძრობს ძალით ხელს) ზელიც ცხელი გაქვს.

**პედრო** — (შაკტიდება ხელს) დადუმი!

**კარლოტა** — კედები, უბედურო! ო, გამიშვი... მეშინია... გამიშვი.

(მთვარეს ღრუბელი ეფარება, ბნელდება).

**პედრო** — (ამოუშვებს აეადმოფ ხმით რისხვას, ისევე ნათლდება მთვარე, პედრო დასცქერის მკედარ კარლოტას) ამ ყელიდან ამოდიოდა საშინელი ხმა არა, ეს იყო სიცრუე, მთლად სიცრუეა. (სცენის გარეთენ) უიმედობის ხმა მზარავს, მაშაეებს და არა შევი ეამი, არა, არა, ღმერთი იზამს სასწაულს.

(ორვე მხრიდან შემოანათებს ცეცხლი. შემობრბიან ნიკოლო და ფრანცისკო რამდენიმე მეომრით, მათ შეუკავებელი ზეირთებივით შემოსდევს ჯარი მიჭელოს წინამძღოლობით).

**ნიკოლო** — პედრო აქ არის, შეჩერდეთ!

**პედრო** — ჩემი თვალი ისევე განწილდა!

**ნიკოლო** — სად არის, პედრო, როგორმე მტერი შეეაჩეროთ, (მიმოიხედავს) მარტო ხარ?

**ფრანცისკო** — მიჭელოს ჯარს უკან მოსდევს დედოფლის ლაშქარი და მაგრად ურტყამს.

**ნიკოლო** — მტერი შეეაფერხოთ და მერე დედოფლის და მეთის ჯარები შეაკედებიან ერთიმეორეს.

**მიქელო** — შემოესიეთ ცოფიანებს. არ გაგისაღტნენ, ალყა შემოარტყით.

**ნიკოლო** — (კარლოტას წამოედება) კარლოტა, დაო! (სინჯავს ხელით) რა ზოღუფად...  


**პედრო** — მე მოკვალა.

**ნიკოლო** — ო, როგორ უყვარდი, რისთვის! (ნიკოლოს გაუეარდება ხელიდან იარაღი).

**მიქელო** — შუბებით შეუტრეთ!

(ბრძოლა ჩაიდება. ნიკოლო უიარაღოდ დგას, უძრავად, მტერს წინააღმდეგობას არ უწევს).

**ნიკოლო** — (კარლოტას ცხედარზე) ო, როგორ გიყვარდა პედრო... როგორ მორცხვად...

(გაშეშებულ ნიკოლოს შუბებს ჩასცემენ).

**ნიკოლო** — (ეცემა კარლოტას ცხედარზე) მეც შენთან, დაო... ო, არ მესმის... ო... (ვდება).

(პედრო შმაგად შედის ბრძოლაში, მას შეპყვება ფრანცისკო უკანასკნელი მეომრებითურთ. პედრო შიადწევს მიქელოსთან და კლავს მას. პედრო შუბებით განგმირული დაბარბაცდება, ლოდს გადააწვდება და კვდება).

**ფრანცისკო** — პედრომ ცხოვრება დაასრულა.

(ფრანცისკო და უკანასკნელი მეომრები, განგმირულნი, დაეცევიან).

**ხმები** — (გაფთრებით) მიქელო მოკლეს! მიქელო მოკლეს!

(ანთებული ჩირაღდნები უკან იხევენ. მთვარის სინათლეზე შემოდინ მინისტრი და ლეიტენანტები).

**მინისტრი** — კეთილშობილო ლეიტენანტებო, მეფე ძალიან შეაშფოთა მიქელოს სიკვდილმა. ამ ჯაგარის გადასაბრუნად გაბრუნდა სასახლეში. დედოფალი მხნედ მობრძანდება.

(გასმის საყვირების ხმები, შემოდის დედოფალი).

**ხმები** — გაუმარჯოს დედოფალს!

**დედოფალი** — ღვთის მოსაგნო! ჩვენ საშინელი შფოთის შემდეგ მეტად ვივარძნით ხალხისადმი მოვალეობა, ამბოხების ნაშთებს მტკიცე ხელით ჩაეპრობთ.

**ხმები** — გაუმარჯოს ხალხს!

(ნანგრევებიდან გამოდის სხვადასხვა ფენის ხალხი.

ფ ა რ დ ა



## ხელოვნების შორეულ ძებნებთან\*

ამ ადგილს, სადაც ახლა პეტრეს ტაძარია, დიდი ისტორიული წარსული აქვს. სწორედ ამ ადგილზე იყო მოთავსებული განთქმული ნეკონის ციხე, სადაც ეს სასახლესმსელი და ეპილეპტიკი ყელმოღერებით მღეროდა ცირკში მოსულ ხალხთან ერთად, მოსწონდა თავისი გამყვიანი ხმა და გგონა საუკეთესო მომღერალი იყო. ამ ადგილს, უფრო სწორად გორაკს, ძველთაგანვე ეატყვიან რქმეფია და აქედან წარმოსდგა შემდეგ რომის პაპის რეზიდენციის, მისი სასახლისა და სახელმწიფოს სახელწოდებაც.

მაგრამ ეს მოხდა უფრო გვიან.

ნერონის დროს რაც შეეხება, ჩვენი წელთაღრიცხვით პირველ საუკუნეს (37-54-ამ), როცა პეტრეს ტაძრის ადგილას იყო ნერონის ციხე, მაშინ ვატყვიან მხოლოდ ამ გორაკს ეწოდებოდა, და ცნობილი იმით შეიქნა, რომ იქ სჯიდნენ პირველ ქრისტიანებს. რომის დიფის შემდეგ ნერონმა თვითონვე დასაჯა იმ დროს რომში მცხოვრები პირველი ქრისტიანები, იმ საბაბით, რომ თითქოს მათ რომი დაწვეს.

აქ, ამ ადგილზე ნებიერობდა ეს მტარვალი, რომელმაც მოკლა საყუთარი დედა, შემდეგ კი, 62 წელს, წამებით მოკლა პირველი ცოლი ოქტავია, მხოლოდ იმასთვის, რომ ნება ჰქონოდა მეორე ცოლი — პომპეელი ვარყენილი საბინა შეერთო. აქ, ამ ადგილზე მომხდარა წმინდა პეტრეს წამებაც, მისი გვფრემაც. შემდეგ, 326 წელს ჩვენი წელთაღრიცხვით, იმპერატორ კონსტანტინეს ნერონის ციხის ადგილას აუშენებია შედარებით პატარა ეკლესია, რომელმაც 1000 წელი გაუძლია. მაგრამ ამ ასასი წლის განმავლობაში ისე დაძველებულა, რომ მისი დანგრევა აუცილებელი გახდებოდა. დაუნგრევით კიდევ და მის ადგილზე, 1506 წელს, პაპის იულიუს II დროს (ეს არის ის პაპი, რომელმაც ტრეტისის რომის სასახლეში ნაპოვნი ლაოკოონის ქანდაკება შეიძინა), საუფუძველს დაუბრუნა ეს ვეებერთელა, გრანდიოზული ტაძარი, რომლის მსგავსი დღემდე ქრისტიანულმა მსოფლიომ არ იყის.

წმინდა პეტრეს ტაძრის მშენებლობა 100

წელს გაძღვნილდა. ბევრი არქიტექტორი და მოქანდაკე შეშაობდა აქ. პაპები იწუნებდნენ და იწინებდნენ პროექტებს. ბოლოს კი, როგორც ზემოთა გვაქვს ნათქვამი, მიქელანჯელომ შეერთა ახალი წინანდელი პროექტი, საყუთარი ვარიატი შეიმუშავა და ძირითადად დაამთავრა ამ უდიდესი ნაგებობის მშენებლობა.

როცა პეტრეს ტაძარში შეხვალთ, დაინახავთ ოთხ დიდ კარს, რომლებიც მუდამ დაკეტილია, და მხოლოდ ჩაქუჩით იღება ყოველი 25 წლის შემდეგ. ეს ჩაქუჩი ჩვენს ყველა მოციხეშივე, როცა ვატყვიან მუხუდებზე ვლახარაკობდით. ამ ოთხი კარის გარდა, შეინახეთ პრინჯაოს დიდ კარებს. არ შეიძლება ამ კარებში თქვენი ყურადღება არ მიიპყროს თავისა სიძველითა და ძველთაძველი ორიგინალობით. ეს ის კარია, რომელიც ამ ადგილზე კონსტანტინეს მიერ აგებულ პეტრეს ეკლესიას ჰქონდა. ეკლესიის დანგრევის შემდეგ ეს კარები შეუნახავთ და როგორც ისტორიული რელიკვია წმინდა პეტრეს ასალი დიდი ტაძრისათვის დატყვინდნით.

უფრობთ ამ კარებს და შორეული წარსული გიკვირით, წარსული, ჩვენ რომ 16 საუკუნით დაგვმორდა. ამ კარებით შედიხართ კონსტანტინეს დარბაზში. ჩვენ უკვე ვგვაერთ პეტრეს ტაძრის დიდი გუმბათის ქვეშ, ვეებერთელა საყურთხველის გვერდით და ვათვალიერებთ მიქელანჯელოს გენის ამ ტოლუმთვარ ქმნილებას.

მთელი დარბაზი მნახველს ანიჭებებს თავისი გრანდიოზულობით. კონსტანტინეს კარბიდან პირდაპირი ხაზით ბოლომდე 200 მეტრია. ასეთი დიდი რადიუსი მსოფლიოში არცერთ ეკლესიას არა აქვს. მეორე ადგილი უკავია მხოლოდ სან პაოლოს ეკლესიას, რომელიც ამავე ტიპისაა, მაგრამ პეტრეს ტაძარზე ნაკლებია.

განვიფიქრებელი ვათვალიერებთ მიქელანჯელოს გენით შთაგონებულ ხელოვნების ამ დიდ ძეგლს და ვუახლოვებთ კონსტანტინეს ეკლესიის ქვას, რომელზედაც იღვა კარლანდო, როცა გვირგვინით დაიმშენა თავისი თავი.

იჩვევით ყოველივეს ხარბად ვუყურებთ, ვხედავთ, რომ მთელს დარბაზში არცერთი ფერწერული ნახატი არ არის, მხოლოდ მონაცხა ან ქანდაკებები. საუცხოოდ მოუწყვია

\* გაგრძელება. იხ. „მნათობი“, № 4, 5, 6, 7, 9, 10, 11

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია გვესწავლის, რომ კომუნისტურად გადასასვლელად საჭიროა არა მარტო მძლავრი, მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, არამედ, აგრეთვე, სოციალისტური საზოგადოების ყველა მოქალაქის შეგნებულობის მაღალი დონე. „მარქსიზმ-ლენინიზმის — საბჭოთა საზოგადოების განუყოფლად გაბატონებული იდეოლოგიის იდეები დაეფუძნენ მასებზე და გახდნენ დიდი მატერიალური ძალა, რომელიც საზოგადოებას გარდაქმნის კომუნისტურ საწყისებზე“.

მასების მომზადების, მასების შეგნებულობის მკვეთრი ამაღლების მიზნით ბევრი რამ

გაკეთდა, მაგრამ უფრო მეტია კიდევ გასაკეთებელი. კომუნისტური მშენებლობის შედეგად იქმნება გვერდით უდიდესი მშენებლობის სახალხო განათლების, მეცნიერებისა და კულტურის შემდგომი ამაღლების საქმისათვის. დიდად ვითარდება ზოგადი საშუალო განათლება ქალაქად და სოფლად, ფართოდება საღამოსა და დაუსრულებელი უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების ქსელი, დიდად ფართოდება სკოლა-ინტერნატების ქსელი, გაუმჯობესდება სპეციალისტთა მომზადების ხარისხი. მომავალი შეიღწეულდნენ გრანდიოზული ამოცანების შესრულება დიდად იქნება დამოკიდებული მეცნიერების მიღწევების გამოყენებაზე წარმოების ყველა დარგში. ამისათვის შეიღწეულია გვერდით თვალისწინება მეცნიერების ყველა დარგის უფრო სწრაფ განვითარების, მეცნიერების დასალოებას წარმოებასთან, სახალხო განათლების ძირფესვიანად გაუმჯობესების, ცხოვრებასთან სკოლის კავშირის გაძლიერებას და სხვა.

ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების თეზისების გამოყენებაზე საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის 21-ე ყრილობაზე უდიდესი აღფრთოვანება გამოიწვია მსოფლიოს მშენებლობისმომხრე, პროგრესულად მოაზროვნე ადამიანებში. თეზისებში მოცემულმა ცნობამ იმის შესახებ, რომ 1965 წელს სოციალიზმის ქვეყნები აწარმოებენ მთელი მსოფლიოს სამრეწველო პროდუქციის ნახევარზე მეტს, მეტად განამტკიცა მშენებლობისმომხრე ძალების სიზოცობა, გაზარდა ჩვენი ქვეყნის მზარდი ატორიტეტი მსოფლიოს მშენებლობისმომხრე ხალხთა შორის. სოციალისტური ქვეყნების ატორიტეტის ზრდის შედეგად მანკვნივებულა ის ფაქტიც, რომ, თუ მეორე მსოფლიო ომამდე სოციალისტური ქვეყნების წილად მოდიოდა მსოფლიო ტერიტორიის მხოლოდ 17 პროცენტი, მოსახლეობის 9%, სამრეწველო პროდუქციის — 10%, დღეისათვის ეს თანაფარდობა სავსებით შეიცვალა სოციალიზმის ბანაკის ქვეყნების სისარგებლოდ, რის შედეგად დღეისათვის სოციალიზმის ბანაკის ქვეყნებზე მოდი ტერიტორიის 26%, მოსახლეობის — 35%, სამრეწველო პროდუქციის 30 პროცენტზე მეტი. შეიღწეულია გვერდით საერთაშორისო მნიშვნელობა კიდევ იმაშია, რომ „იმის შესრულება ნიშნავს სოციალიზმის მსოფლიო სისტემის ძლიერების შემდგომი განმტკიცებას... ამ მოკლე ვადაში უზრუნველყოფილი იქნება სოციალიზმის მსოფლიო სისტემის აპოკალიფტიკური უპირატესობა კაპიტალისტური სისტემის წინაშე მატერიალურ წარმოებაში — ადამიანის სკიმიანობის გადამწყვეტ სფეროში“ (თეზისებიდან).



## რევოლუციის გზაზე მარხული

(გ. ქუჩიშვილის ერთგულის გამო)

გასული საუკუნის ოთხმოცდაათიანი წლების თბილისი... ცვირაცხოვლის ეკლესია... გულსიამო საოქლაქო სასწავლებლის მოწაფეები... უბრალო ჩამოხრევივ არ ისმის, ყველანი სმენად ქველანი; საღაც არის, ვიღაც გარუსებული ქართველი დეკანოზი სახარების კოხტვას შეუდგება, მაგრამ მისი დაბოხებული ხმის ნაცვლად, ეკლესიის გაციებულ თაღებზე სალაშქრის ხმატყილი მანგი გაიწვრილდება უცბედად...

ვის წაბილწო ეს წმინდა ტაძარი?! — გაყოფილი დეკანოზი ყვირობით გამოემართება მოწაფეებისაკენ... მძიმე ცხოვრებისაგან ჯანჯატებული ერთი ფერმკრთალი ყმაწვილი მარჯვენა ხელს უბისაკენ წაიღებს მაშინვე... თითქოს წაიშალა „ღამნაშაის“ კვალი. მაგრამ ღვთის მსახურის მქარამ თავისი გაიტანა, შეშინდნენ ბავშვები, მათ გასცეს თავიანთი ამხანაგი... დეკანოზმა ფერმკრთალ ყმაწვილს მარტო ცემა როდი აქმარა, სალაშქრაც წაართვა და ნაშხვრევეხად უქცია იქვე...

სოფელ ვარდისუბნის თემში დაბადებულმა და მდინარე თურდოს პალებში წამოიხრულმა კახელმა ბიჭმა რა იყოღა მამინე, რომ ის დამსხვრეული სალაშქრის ოდესღაც რევოლუციური მისწრაფებთა ბუკნალარად გადაიქცეოდა, თორემ შეიძლება ყორანივით მხრებგამოიღო დეკანოზის წინაშე ცრემლის ერთი ეტრტალითაც არ დაენამა ეკლესიის გაყინული ფილაქანი...

ცხოვრებისაგან აბუნად ავღებული ეს ფერმხიდილი ყმაწვილი გახლდათ ის ნიჭიერი მომავალი ქართველი პოეტი, რომელიც 1905 წლის რევოლუციის დამარცხების შემდეგ ქუჩიშვილის ფსევდონიმით შემოვიდა ქართულ პოეზიაში... იზიარებდა რა იროდიონ ველოშვილის რევოლუციური პოეზიის ძვირფას ტრადიციებს, ქართველი ხალხის ეს საყვარელი პოეტი თავიდანვე ვაჟაკურად აღუდგა წინ წყარობურეუბიული ინტერესების გამოშატეველ კალმონებს და მთელი პუბლიცისტური მგზნებარებით დაღაღებდა:

ვის „ბრბოს“ უწოდებს  
უგუნურს და გულგამხეცებულს,

ის ნამდვილ ბრბოზე  
უგუნური, თავხედი არი...  
ბრბო მესიია!..  
ეს ქვეყანა ბრბომ უნდა იხსნას!..

(„ბრბო“)

სიტყვა „ბრბო“ გიორგი ქუჩიშვილისათვის არ წარმოადგენდა განუყენებელ ცნებას; უწინარეს უოლისა, იგი მასში გულისხმობდა რევოლუციურ შემთავა ელას და თავის თავს მის მომღერლად, მის მადიდებლად აცხადებდა. მან კარგად იყოღა, რომ დღეს თუ ხვალ კვლავ ამოვარდებოდა შურისძიების ქარიშხალი, რომელიც ერთხელ და სამუდამოდ მოსობდა, გაანადგურებდა უოველგვარ ბოროტებასა და უსამართლობას. ამიტომ სრულიად ბუნებრივად გვეჩვენება გიორგი ქუჩიშვილის ჯერ კიდევ 1908 წლით დათარიღებული ლექსი „წინამორბედი“.

მე პოეტი ვარ  
მომავალი ქარიშხლისა,  
დიდ საეადაროდ  
ელვის ფრთებით გამოქროლილი  
უნდა ცეცხლს მივცე  
მთა-ღრებლები ჩამოწოლილი,  
რომ წარღვნის შემდეგ  
მზე გამეფდეს მომავლისა, —  
მე პოეტი ვარ  
მომავალი ქარიშხლისა!..

შპრომელი მასების საყოველთაო ბრძოლის განწყობილებთა გადმოცემული ლექსში „შეშთა სიმღერა“... რეაქციის სუსხიანმა წლებმა ვერ ჩაქრო მათ გულში იმედის ნაპერწკალი... რაც დრო გადიოდა, პოეტის თქმით, იგი უფრო ლეივებოდა და ძლიერდებოდა: ჩვენ არ გვიყვარს ოხვრაცენება, ჩვენ არ გვიყვარს მოთქმა, ცრემლი, იმედებით ფეოქანს გული, იმედებსევე სქედაეს გრდემლი! არ გამქრალა ხსნის იმედი, არც გაქრება შრომის კერა, კვლავ გუზგუზებს ცეცხლის ქერა, ბრძოლის ხმაზე სვექს სიმღერა!..

მოვა დრო და ჩვენი წყრომა აღმოსკდება მძლავრ ღვართქადად, ეს სიზღვრავ გარდქეცვა ყოეინის ხმად, ბრძოლის დაფად! —

(1909 წ.)

გიორგი ქუჩიშვილს შემოქმედად არ სწამდა ის პოეტი, ვინც განსაცდელის ქაშს ხალხისაგან იყო განდგომილი და პირადი განცდების ცხარეულტუბოში ეჭებდა ცხოვრების შინაარსს... პოეტი თუ ხარ, ქვეყნის ვარამიღ უნდა გაიწაწილოო, — წერდა ქუჩიშვილი... ამიტომ იყო, რომ შშობილური ქვეყნისა და ხალხის ინტერესებისათვის შეგბრძოლი პოეტი, არწიველს მოუხმობდა, მოძმეთა სისხლში ამოვლევებულ დროშას ფიცულობდა, მაგრამ მის ცხოვრებაში იყო ისეთი პერიოდებიც, როდესაც სევდიანი განწყობილებებით იმსკვალეზოდა ხოლმე. ან როგორ არ განიმსკვალეზოდა, როდესაც საეუთარი თვალით ხედავდა იმ უბედურ აღამიანებს, რომელთა გმინვა-გოდებაზედაც ქალაქის ცივი მარმარალოს კედლები იზხარებოდა... განა უდღეშაში ბაღულების, ამბოკარებისა და უსინათლო მემუსიკეების კარდვან კარდ ხეტიალი გულისშიმკვლელად არ იმოქმედებდა პოეტური სიტყვის იმ ოსტატზე, რომელიც ხალხის შეაგულიდან იყო გამოსული? სწორედ ეს აღამიანური სევდა არის ამაყველებელი რეაქციის წლებშივე დაწერალ მის ლექსებში. ესენია „თბილისის ქუჩებში“, „სიმღერა გახეთქების გამყიდველ-დამტარებლისა“, „პაწაწინა მათხოვარი“, „ქუჩის მიმდგარი“ და ბევრი სხვა. ვკითხულობთ ამ ლექსებს და თვალწინ გვეშლება იმდროინდელი უფელმართელი ცხოვრების მართალი სურათები.

გიორგი ქუჩიშვილის რევოლუციამდელ შემოქმედებაში სასოწარკვეთილების გამოშხატველ მოტივებს ვხვდებით მხოლოდ ერთადერთ ლექსში, რომელიც აეტორმა ავადმყოფობის დროს დაწერა. მაგრამ რა ეუყოთ მერე?! არც ამაში ესაყვედრება პოეტს... სიკვდილის მოლოდინში, და ისიც იმ დროში, მას როგორც შეგბრძოლ შემოქმედს, სრული უფლება ჰქონდა ერთხელ მაინც დაფიჭრებულიყო საეუთარი სიცოცხლის ნაადრევად ჩაქრობაზე:

ცვივა ფოთოლი და შვეც ეახსები ეწყლები სიცოცხლის დაღუნულ ტოტებს, მკლე შემოდგომის პლექიან სახით სიკვდილი მოდის და მოაბოტებს...

(1913 წ.).

შეიძლება ამ დიდ წუხილს სასოწარკვეთილება არც კი ეწოდოს, რადგან მასში ჩვენ გვეხმის ძლიერი გულისცემა, რომელიც მოწოდებულ იყო სოციალური უსამართლობის წინააღმდეგ საბრძოლველად.

სიკვდილს გადარჩენილი პოეტი 1915 წელს დაწერილ ლექსში „კობტა გოგო წყალზე მიდის“ უკვე სხენაირად აღიქვამს სინამდვილეს. მხატვრული მეტაფორების უფაქიზესი სისხაღვით იგი ჯანსაღი სიცოცხლის ისეთ განუშეორებელ სურათს იძლევა, რომ გსურთ ლექსის სტრიქონები ბოლომდე ღიღინით წაიკითხოთ. წინა ლექსში გადმოცემული მწარე განცდები რომ არ ვგვემა აეტორს, ალბათ ეს უკანასკნელი ნაწარმოები არ გამოვიდოდა ასე ძლიერი:

კობტა გოგო წყალზე მიდის კობტა თიხის სურითა, ბროწეული იშლება მისი სიმწითურითა. მეგრდი ისე უღელავს წყეული ზედმეურითა, რომ ზღეაც დამშელებული ლეღეს იწყებს შერითა. მიდის, ტყეს აწრიალვებს კობტა ტანის რხვეითა: მზე დაება მთახედა მისი ვშის ფრქვევითა...

რა განცდილთაც არ უნდა ყოფილიყო შეხერბილი, სიხარული იქნებოდა ეს თუ სიმწუხარე, პოეტი არასოდეს არ ეთიშებოდა საქეყნო აშბებს. ჯერ კიდევ თავისი შემოქმედების პირველ პერიოდში იგი ჩვეულებრივ მზის ამოსვლაშიც თავისუფლების კაშყაში მზეს ესიტყვებოდა:

მზეო, ამოდი, ამოდი, შენს სიხვეებს ვენაცვალედი, ამოდი, თორწი ღიღინით ამომიღამდა თვალედი. უშენით გული არ გეღობს, ამავ სულს მოუწყენია, მიმწუღარა სტეენა ბულბულთა, მიკიოტს მოუღუნენია...

(„მზეს“, 1908 წ.)

ეს მეტად ნათელი, ძალზე აღამიანური სევდა სასოწარკვეთილების მომასწავებელი როდია. ამ სტრიქონების წაკითხვის შემდეგ თქვენ რატომღაც გჯერათ, რომ მათი აეტორი კვლავ მოწოდების სიმაღლეზე აღმონდებდა გარაოდი მართლაც მართლდება, — პოეტი თბქოს სულს ითქვამდოო, რათა შურისძიების ახალი ცეცხლით ანთებულიყო ძველი საწყაროს მიმართ. თეთრ ლექსში „ვინ არის იგი?“ გიორგი

ქუჩიშვილი სწორედ ამ განწყობილებას გამო-  
ხატავს, როდესაც ხალხთა ბედნიერებისათვის  
თავდადებულ რაინდს განთავისუფლებული  
ამირანის სახით წარმოადგენს:

ვინ არის იგი?  
ვინ აზღვავა გული მისი, ვით ოცენა?  
ერ, ვინ აანთო ჩირაღდნები ამ ბნელ ღამეში?  
წინ ვინ მოუძღვის აქანყებულ მინათა  
ლაშქარს  
ვინ არის იგი?  
ამ ქებორციელს რამ შთაბერა სული ძლიერი?  
რამ—ააზხედრა მძულვარებით, ბრახით და  
რისხვით?

რა, რა სწადიან?  
ცის დამხობა, თუ აფეთქება დედამიწისა?

თართოდეთ, ღმერთებო!  
გვწინოდეთ, კაცთშწვალელებო!  
ახლოა ვამი განკითხვისა და განწინების!  
თქვენ არ იცოდით არც შენდობა, არც  
შეზრალეზა  
ნურც მისგან ელით პატივებს და შეწყვალეზას!  
ის სასტიკია და სასტიკი იქნება მსჯავრისი..  
(1909 წ.)

ცარიზმის ბატონობის დროს, და ისიც შევი  
რეაქციის წლებში, არ იყო ადვილი ასე გაზე-  
დულად, ასე ვაქაქებრად ემღერა პოეტს.  
ამისთანა ნაწარმოების აეტორს პირდაპირ სიკვ-  
დილისათვის უნდა ეცქირა თეალებში, და  
შართლაც ავი ასე იყო... ვინ იცის, რამდენჯერ  
ვადარბენია ამგვარ განსაცდელს პოეტი გიორ-  
გი ქუჩიშვილი. მას ხომ ამის შესახებ რამდენ-  
იმე შეაღალით მოჰყავს კიდევ თავის აეტო-  
ბიოგრაფიაში.

ქუჩიშვილის რევოლუციურ გამბედაობაზე  
მეტყველებს 1915 წლით დათარიღებული ლექ-  
სი „ყორნები“, რომლის მხოლოდ ერთი სტრო-  
ფია დაბეჭდილი იცდათთან წლებში გამოცე-  
მულ კრებულში:

ყორნები დათარეშობენ,  
ცას აბნელებენ შავიდა;  
შავ დროთა შავსა ამბავსა  
ჩხავიან გულსაკლავადა...

ლექსის დანარჩენი სამი სტროფი წერტილე-  
ბითაა შეესებულა და სქოლიოში ვითხუ-  
ლობთ: „ცენზორის მიერ ამოგლეჯილი...“ დრომ  
შესანიშნავად გვიჩვენა, თუ ვისაც ამოგლეჯა  
ამოსავლელი გული, დასახლებული ლექსი კი  
დღესაც ეცისა და და გარკვეულად მერყე-  
ვებს კომპარული დღევანდის შესახებ.

სრულიად სამართლიანად გვეჩვენება ერთ-  
ერთი ქართველი კრიტიკოსის სიტყვები, ნათ-  
ქვამი ქუჩიშვილის შემოქმედებაზე:

„ის დიდი ესთაპეტი მოქალაქეობრივი პოე-  
ზისა, რომელიც ეეროპაში ეეენ პოტიეტი და  
ფრეილიგრატი დიწყო, რესმეშა დეკაბრის-  
ტი პოეტებით, ხოლო ჩვენში აკავისა და ილრას  
სახელებით, — იროდიონ ეელოშვილის შემდეგ  
ხელში აილო გიორგი ქუჩიშვილმა და სასახე-  
ლოდ მოიტანა ჩვენს ემოქამდე... მისი მგზნე-  
ბარე, მომწოდებელი სიტყვა არასოდეს არ დამ-  
ცხარალა, მის კალამზე მზავერელთა ხიზლით  
ამეტყველებული მელანი არასოდეს არ ეეშ-  
ოალა. შურისმაძიებელი მუზა პოეტისა ყო-  
ველთვის შთამავონებლად სქექდა მშრომელთა  
საკეთილდღეოდ“.

მე ზარი ვარ მოგვეგუნე,  
მეტრეთა გლოვის ზარი;  
ჩემს რეკეაზე ირახმება  
შრომის შეილთა ქარი!  
მე ზარი ვარ მოწყობალე,  
სასოების ზარი,  
ხან მწუხარი,  
ხან მქუხარი,  
ხან კი ხმანარჩარი!

მე ზარი ვარ მოგვეგუნე,  
მოწოდების ზარი  
და ჩემს რეკეას ფხოზლად ისმენს  
ჩავრულ მამთა ქარის...  
(„მე ზარი ვარ“)

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემ-  
დეგ იწყება რევოლუციის ქარცეცხლში გამოე-  
ლილი პოეტის შემოქმედებაში ახალი, მისთვის  
ღირსშესანიშნავი, იდეურად უფრო მაღალი  
პერიოდი... კომუნისტის გამარჯვების ღრმა  
რწმენით მეტყველებენ ლენინისადმი მიძღვნი-  
ლი ლექსის სტრიქონები:

მეექვსედ ნაწილს ეზარმაზარ დედამიწისას  
დაბატრონდა დიქტატორი ხალხი მშრომელი;  
ის შეასრულეებს  
ფიცს და ანდერძს დიდ ბელადისას  
და ეს იქნება მისი ძეგლი, ძეგლი რომელიც  
გაუძღვებს ყველა ქარიშხლიან, საუკუნეებს!  
(„ლენინს“)

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამ-  
ყარებით გახარებული პოეტი ევლავ არა ერთ-  
ხელ ეზბრუნდება, ხალხის წარმოდგენით კავ-  
კასიის ქედზე მიჯავებული ამირანის მხატვრუ-  
ლი სახის ახლებურად გახსნას.

თვითმპყრობელობის უღლისაგან განთავის-  
უფლებულ საქართველოს პოეტი აწვევტილ  
ამირანს უწოდებს... მითოლოგიურ ამბებთან  
ახალი სოციალური მოვლენის დაყვშირება აე-  
ტორს სრულიადაც არ აგდებს უზერხელობა-  
ში. მან კარგად იცის, რომ უცვდავი სახე ამი-



რანისა არა უბრალო თანატოლის, არამედ საუკუნეების მანძილზე გამოტარებული ოცნების ცოცხალი ნაყოფია და მის მხატვრულ განზოგადებაში თავს იყრის ხალხთა საყოველთაო ინტერესები. ამიტომ არის, რომ აგრე ბუნებრივად ელვას გიორგი ქუჩიშვილის ამ თემაზე დაწერილი სტრუქტურები:

ამიჩანი აწყვეტილა,  
გადუხდია ომი,  
წითელ ჩოხით შემოსილა,  
მოდის როგორც ლომი!

მოდის,  
მძლავრად მოიმღერის,  
შეუმუსრავს მტრები.  
ყვავი-ყორანებით აუვსია  
ხნელი ხეობები!  
(აწყვეტილი ამიჩანი“)

ქუჩიშვილის რევოლუციამდელი ლექსების უმეტესობა იყო რუსეთის თეთმშპრობელობის წინააღმდეგ ხმაშემართული პროტესტი. ამ თავგანწირული სულისკეთების მიზეზია ალბათ. როდესაც პოეტს თავის ჩანაწერებში შეჰქონდა ოდესღაც:

— ეაშა მას, ვინც აჩქეყენად სამსხვერპლოდ  
მოსულა! დანარჩენი ჩვეულბერობია!

უდიდესი გულწრფელობით ნათქვამი ეს პატარა ფრაზა ბევრს მერყევლებს პოეტის ვაჟკაცურ ბუნებაზე, მის დიდ სულიერ სიმდიდრეზე, ცხოვრებისა და სიცოცხლის ამგვარი დანიშნულების ღრმა შეგნებას შეეძლო მხოლოდ იყუენა იგი მოწოდების სასურველ სიმაღლეზე.

რევოლუციის შემდეგ პოეტის შინაგანი ბუნების შემტევი ხასიათი ახალი ცხოვრების დამკვიდრებისა და მისი შეტენილებელი აღმავლობისათვის ბრძოლის პათოსში გვევლინება:

იერიშის მიტანით  
მთას შეება ხეობა  
და ჭედს უხარის ტრანინი  
მოხვეუეთა მხნეობას!

აქ არც ხევის ბერია,  
აღარც ხატის ღრეობა;  
დამკვრელები მღერიან  
წრომის მძლეობამძლეობას.

მოდის ხალხი ახალი,  
იპყრობს სადარიალოს,  
იჩმის ჯოგო, დამფრთხალა  
უგზო-უკვლოდ ყოილობს!

სგრევის გრგვინვა-გრიალით,  
ხრეშით ცა იღრუბლება

და ზავთან ღრიალით  
თერგი ზანს ეუზნებას,  
(„მთათა დაქვრობა“)

ქუჩიშვილის შინაგანი ბუნების შემტევი ხასიათი უფრო ადრე ევლინებოდა იმ აღამიანებთან ბრძოლაში, რომლებიც რევოლუციის გამარჯვებით დამფრთხალნი, თავიანთ თავადიშვილობას მისტიროდნენ და პოეტსაც გესლიანი საყვედურებით აესებდნენ — ჩხვიმეს ქუჩიშვილობა რად ამჯობინეო. ქუჩიშვილისაღმწი. მშრომელი მასებისაღმწი სავფარულს ისინი პოეზიის სათუთი პანგის შერყენად უთვლიდნენ მას. რევოლუციის გამარჯვებით გახარებულმა პოეტმა მათ საყდრისი პასუხი გასცა:

და ამის შემდეგ  
ვისაც კოლევი  
ეთაკილება  
ქუჩიშვილობა  
და გაერბის  
მის ნაყრობობას, —  
გზა მშვიდობისა —  
პანგი ჩემი  
მას ეტებალება,  
ვინც  
ქუჩებს ეძმო,  
ქუჩიშვილად  
ვინც წარმოშობას...  
(„საყვედური საყვედურზე“)

პირდაპირ შესაზარბებელი პოეტის ეს მაღალი მოქალაქეობრივი გრანობა, თავისი რწმუნისაღმწი და მეობისათვის ეს თვალდებულო ვრთვლება, ეკითხულობთ ამ სტრუქტურებს და ჩვენ აარც კი ვუფირობთ მათს ფორმანზე, იმდენად ძლიერია თვითთული მათგანის აზრობრივი თუ ემოციური ელერადობა.

თავის აეტობიოგრაფიაში გიორგი ქუჩიშვილი გულდაწყვერით აღნიშნავდა:

— ცხადია, ვაცილებით მეტი და მაღალხარისხოვანი იქნებოდა ჩემი პოეზია, რომ წორმაღურ პირობებში მემუშავა და გერკოვანი აღზრდა-განათლება მიღისუბოდაო...

შეიძლება ამაში ნაწილობრივ მართალიც იყოს პოეტი, მაგრამ ერთი კი უნდა ითქვას: ჩვენ მაინც საგრძნობლად გვალელებს მისი პოეზია.

მინდა აქვე გაიხსენო ერთი ადგილი ქუჩიშვილის ჩანაწერებიდან:

— ხელოვნების ზოგიერთი წარმომადგენელი ყველაფერს აბატეებს ხოლმე თავის თავს; თითქოს აყვალდერი მისთვის იყოს განწინალი. ნამდვილად კი თვითონ იგია სხვებისათვის განწინალი; თუ ეს არ ესმის, ის ყველფრის ღირსია...

გიორგი ქუჩიშვილმა შესანიშნავად იცოდა, რომ იგი სხვებისათვის იყო გაჩენილი და ამის ღრმა შეგნებიდან გამომდინარე აქი ღირსეულად იმსახურებდა კიდევ ხალხის საყოველთაო სიყვარულს. მისი პოეტური სიტყვის ძალა უბრალოდ სურვილისა, სინამდვილის ცოცხალ აღქმასი მდგომარეობს. ბედისაგან განუბიჯრებულ პოეტების მსგავსად, მართალია, მაგ გამოთქმის მხატვრულ ხერხებზე ლაშქები არ უთენებია, მაგრამ დასახული მიზნისათვის მაინც აბასოდეს უღალატია. ეს იმიტომ, რომ გიორგი ქუჩიშვილი სულთა და ხორცილ პოეტე იყო და მისი შთაგონების ასანთებად უბრალო ნაპერწყალიც კმაროდა.

ქუჩიშვილის პოეზია თავისი ფესვებით ღრმად არის დაკავშირებული ხალხურ პოეზიასთან. პოეტე დაწილდობული იყო იმპროვიზატორის ძლიერი ნიჭით. აღბათ ამით აიხსნება, რომ მისი ლექსები გაიკლებით მეტ შთაბეჭდილებას ტოვებენ ზეპირად წარმოთქმის ღროს. დიდი თავმდაბლობის მიუხედავად, მან კარგად იცოდა თავისი შემოქმედების ძალა და უადრი. ასევე კარგად ერკვეოდა სხვის შემოქმედებას. რა, ან არ მოსწონდა, არც იმასე უპირდა ორიოდ სიტყვის თქმა. მასსოცს ერთი ასეთი შემთხვევა მისი ცხოვრებიდან: ახმეტიდან ჩამოსულმა ერთმა, შეახანში შესულმა, კაცმა ლექსების მთელი დატა წაუკოთხა პატიეცემულ გიორგის. სახის გამომეტყველებაზე შეგმინე, რომ არც ერთი ლექსი არ მოეწონია. ვტიკრობდი, რანაირად ვასეებდა პასუხს. ასანაგანმარტების ნაცულად, მან ხელი დაადო მხარზე ჩამოსულ სტუმარს და ტკბილად უთხრა: თქვენში ყური ხომ არ მოგეკრავს ასეთი ხალხური ლექსისათვის:

თქმო, ვერ იცო ხენა-თესვა,  
ვერც თვის თიბეა ცელითა,  
ცხიარს ონთა ორიადლებდე  
მიფაღვიოდე სტვენითა...

ქუჩიშვილის მიერ ქარაგმულად ნათქვამმა ამ ხალხურმა ლექსმა სტუმარი მისახედრალს მიახედრა და ყოველგვარი წყენის გარეშე თავის გზაზე დააყენა... ეს პატარა ეპიზოდიც პოეტის კარგ თვისებებზე მეტყველებს.

ქუჩიშვილისათვის სიტყვა და საქმე ერთი იყო. მისი ცხოვრება და შემოქმედება გაუთიშველ მთლიანობად არის აღბეკული ჩვენს მესხურებაში... აღმიაწებთან ურთიერთობაში, ამხანაგებთან შეგობრობაშიც იგი თავის პოეზიისათვის ნათელ შთაბეჭდილებას ტოვებდა ყოველთვის...

მოჩვენებით შეგობრობა უცხო იყო მისთვის. პოეტე სიყვარულშიც და სიძულელიშიც ერთნაირ პირდაპირობას იჩენდა, რაც ყოველთვის მისაბამ მავალითად უნდა დარჩეს ჩვე-

თვის... მხოლოდ გიორგი ქუჩიშვილისთანა კრისტალური ბუნების მქონე პოეტს შეეძლო ეთქვა ასეთი გამკვირვალე, სიციხილი საყვე და სპეტაკი სტრიქონები:

ვინც ეწვევა საქართველოს  
საოცნებო სერებს,  
სიმღერაც რომ არ იცოდეს,  
მაინც დაიმღერებს!

ვინც მისწვდება ჩემი მთების  
მწვერვალებს და ღრუბლებს, —  
ისიც მკოსნად გადიქევა, —  
მზესთან ისაუბრებს („ჩემი მხარე“).

გიორგი ქუჩიშვილის პოეზიის სილამაზე პოეტური ფრანის პირდაპირულ თქმაში მდგომარეობს. მისთვის უცხოა ეგვრეთქმადებული ქვეტექსტებიც, რომელთა უმეტესობა სწიხად გამოცანებად გვევლინება ამა თუ იმ პოეტის შემოქმედებაში. ქუჩიშვილის ლექსებს არ ახასიათებთ ერთბაში მიმზიდველობა ისინი თანდათანობით იპყრობენ მკითხველის ყურადღებას.

ზღვის ნაპირზე, კრალა ჰეალებში ჩაძირულ კენჭებს თავიანთი ფეროვანებით სწიხად გოცებაში მოქყათ ადამიანი, მაგრამ, როგორც კი ხელით შეეხებით და მალა ამოიღებთ რომელიმე მათგანს, მაშინვე იყარვება ფერების პირვადელი მიმზიდველობა. ასეთი მოჩვენებითი სილამაზის არსებობა არც პოეზიაშია უცხო მოვლენა. გიორგი ქუჩიშვილის შემოქმედება ამისაგანაც დაზღვეულია. იგი ვანგებ გაერბის სათუატრო მკეტებებით გამოყვანილ კოწილა ლექსებს. ლექსში „ეტიპოტრტრეტი“ პოეტე თავის შესახებ ამბობს:

უყვარს მოლხენა და ღვინის სმაში  
ელირე ხარფემს არ დააქვსებს, —  
ჩაძირილია ღრმა გულისთქმაში,  
თითქოს ღრუბლებში ელვას აცვებსებს,  
შეზარხოშდება ღა მხოლოდ მაშინ  
წამოიქრება, დასქევეს ლექსებს...

ფერწერის ისტატების სასაყვედროდ უნდა ითქვას, რომ დღემდე სათანადო ყურადღება არ მიუქცევიათ ამ სტრიქონებისათვის... ქუჩიშვილის ეს აგზნებელი სახე ღირსია ტილოზე ღირსეული გადატანისა...

ჩვენს ცხოვრებაში თითქმის არ მომხდარა ასეთი მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელსაც გიორგი ქუჩიშვილი არ გამოსმაჯობებოდეს თავისი ლექსებით... მას დიდი ამაკი მოუძღვის ქართული საბავშვო პოეზიის აღმავლობის საქმეშიც. ვის არ ახსოვს თენდაც ჭერ კიდევ 1920 წელში დაწერილი ლექსი „პატარა მღვსაე“... თავისი უბადლო მესიყლობის გამო

დღესაც სხარტლით იმეორებენ ჩვენი პატარბები:

ვზოგებში, ქუჩებში  
ზიდის-ზოდის ალექსი  
და გასძახის: ვისა ვაქვთ  
დანები გასალესი...

ჩვენი ბავშვების უსაყვარლესი ნაწარმოებებია ქუჩისშვილის „ქოჩორა ვარია“, „სიმღერა“, „ბიკიკოს წერილი“, „აქეი აქეი“ და მრავალი სხვა... განსაკუთრებით ცალკე აღსანიშნავია პიონერთა შეჯიბრებაზე მის მიერ ექსპრომტად წარმოთქმული ლექსი წითელ ყელსახვევზე-საბატო პიონერად არჩეული პოეტი ბავშვებს მიმართავს:

როგორც წითელარშვილი,  
ღროშიად გავშილ თქვენს ყელსახვევს,  
და შაშინით ვეყვებები  
ჩვენი ქვეყნის გადამოლახველს...

ფართო მასებს შორის პოეტს მგზნებარე ტრიაზუნს მეტად საბატო სახელიც ქეონდა მოთვებული. როგორც ადრე ვთქვით, მისთვის სიტყვა და საქმე ერთი იყო:

მინდა ვიყო დარაჯად  
ჩვენი ქვეყნის მთავრელის  
და გულმკერდილ დავიყუა  
მიწის ავილა მტკიველი —

სოჭეა პოეტმა და სამამულო ომის მრისხანე დღეებში თავის მებრძოლ ლექსებს თან გააჰყვა კიდევ ბრძოლის ველზე.

თორმეტი წლის წინათ, როდესაც რუსთაველის სახელობის თეატრში ქართული ხალხი ზემოთ აღნიშნავდა გიორგი ქუჩისშვილის დაბადების 60 წლის თავს, მძიმე ავადმყოფობის გამო ჩვენი სახელოვანი იუბილარი სარეცელზე იყო მიჯავებული და ტრიბუნაზე გამოსულ მწერალთა მისასალმებელ სიტყვებს რადიოთი ისმენდა საყუთარ ჰერქვეშ.

ილიესო უხეთა ვაზთ სბივისობით  
გიორგობისთვის კარზე მოდგომა...  
გამოიხედე ვარეთ, მგოსანო,  
ეს სიზმარია თუ შემოდგომა?

გალაქიონ ტაბიძის ამ სტრიქონებმა შეიძლება კიდევ გამოახედეს ვარეთ ადამიანი, რომელმაც 1905 წლის რევოლუციის ბარბაკეტებზე მიიღო ცხოვრების პირველი ნათლობა.

სარეცელზე მიჯავებული პოეტის საბუნილო საღამო იყო ერთგვარი რთველი ომისშემდგომი ქართული პოეზიისა. ალბათ ამ გარემოებამ მისცა უფლება გიორგი ქუჩისშვილს, თავისი მადლობა ასე გამოეთქვა ქართული მწერლების მისამართით გამოგზავნილ ბარათში:

— ლოკინად მყოფი, სულით მანდ ვარ, თქვენთან ვტრიალებ და ვიჭებებ მხოლოდ ორ სიტყვას: ძვირფასო, გმადლობ!

მთელი ჩემი შემოქმედება უბრალოდ დღემდე საშობლოს სუნთქვასთან, ჩემი ხალხის გულსიყვარულთან არის შეერთებული, და ამ მანძილზე ერთი პატარა აგური მაინც თუ მიმიტანია ადამიანის სულის შემქნელ უშუალოდ ჩემს შინაგან სხეულად, მე ჩემს თავს ბედნიერად ჩათვლი და ვიტყვი: უბრალოდ არ მიცხოვრებია-მეთქი... ბედნიერი ვარ, რომ მოვესწარი ამ ჩემთვის დაუვიწყარ ღღეს სულიერი მღვდლარება სიხარულის ცრემლებს მგერის და სიტყვებს მართყვას.

ასე მიიღო მონაწილეობა თავის საბუნილო საღამოზე პოეტმა გიორგი ქუჩისშვილმა, რაც მუდამ სევდიან მოგონებად დარჩება ჩვენს მეხსიერებაში...

გვაგონდება გიორგი ქუჩისშვილის ერთი საინტერესო ეტიუდი, სახელდობრ „ქებნა ყმაწვილობისა“:

— ბაღებო, აქეთ ხომ არ გამოუვლია იმ გასახარული? — ეკითხებოდა წელში მოხრული მოხუცი მოთამაშე ბაღებს.

— არა, არა, ბაბუ! — დაუფიქრებლად უბასუბეს ბავშვებმა. მოხუცმა ახლა მეორე ჯგუფს მიმართა:

— ბაღებო, ბაღებო! ვური დამიგდეთ, აგრემც დედათქვენს დაეზრდებით! თქვენ ხომ არ გინახათ იგი, თქვენში ხომ არ თამაშობს?

— ვინა, ბაბუ?

— თქვენი ტოლია, გენაცვალეთ, თქვენი ტოლი, თქვენსავით მზიარული და მონაჯარცე.

— ვის ეძებ, ბაბუ, ვის ეძებ? შეილიშვილი ხომ არ დაეკარგვით?

— არა, მალხაზებო? არა!

— მაშ ვისა?

— ჩემს სიყმაწვილეს, კუდრაქებო, ჩემს სიყმაწვილეს ვეძებ...

— ჰა, ჰა-ჰა-ჰა! — გულიანად გადაიკისკისე შეჯავფულმა ბავშვებმა და უდარდელი ყივილ-ბივილით გაიშალნენ სათამაშოდ.

ნეტავ, როცა ჩვენი საყვარელი პოეტი ამ პატარა ეტიუდს წერდა, თავისი მწარე სიყმაწვილედ თუ გაახსენდა? და თუ გაახსენდა, რას ფიქრობდა იმ ხმაწერილა საღამურზე, დეკანოზმა რომ ნამსებრეებებდ უქცია კვირაცხოველის ეკლესიაში?

რა კარგი იქნებოდა, რომ ჩვენ მიერ მოტანილი ეტიუდის ავტორსაც ბედნიერი ბავშვობა ქეონდა, მაგარამ რა გაეწყობა, როცა ბედნიერებას უმაღლედნენ-მას...

როგორც ტოციანი იტყვოდა ხოლმე:

— ბედნიერება მან ლექსებს მისცა!...

ეს კი ალბათ ყველაფერზე ულამაზესი იყო გიორგი ქუჩისშვილისათვის!

ზურაბ ჭარხალიაშვილი



თანამედროვე კრიტიკული რეალიზმის ზოგიერთი საკითხის შესახებ

რა ხასიათისაა კრიტიკული რეალიზმი თანამედროვე კამბრისტერ ქვეყნებში? ვინ არიან მისი წარმომადგენლები? რა მიმართებაშია თანამედროვე კრიტიკული რეალიზმი მე-19 საუკუნის რეალიზმთან? — ამ კითხვებზე პასუხს მოახდელი ყოველთვის როჯი იპოვის იმ მრავალრიცხოვან წერილებსა თუ კრიტიკულ ნარკვევებში, რომლებშიც თანამედროვე საზღვარგარეთელი ლიტერატურის ცალკეული საკითხებია დამუშავებული.

მაზეზი ამისა ისაა, რომ უკანასკნელ დრომდე ლიტერატურულ პროცესს დღევანდელ კამბრისტერ ქვეყნებში ხშირად „ერთობი ნაკადის“ თეორიის მიხედვით განიხილავდნენ. კრიტიკული წერილების ავტორები ნაკლებად ინტერესდებოდნენ მწერალთა მრავალმხრივ და წინააღმდეგობების შემოქმედების ანალიზით, არ უჩვენებდნენ ლიტერატურულ მიმდინარეობებსა და დაჯგუფებებს იმა თუ იმ ქვეყანაში. უფრო მეტიც, ცნება — „კრიტიკული რეალიზმი“ ფაქტობრივად ხშირად ბიდანაც კი აყო ამოღებული დასავლეთის იმ თანამედროვე მწერალთა შემოქმედებას განხილვისას, რომლებიც საკმაოდ შორს არიან ჩვენი დროის დეკადენტურ-მოღერანისტული მიმდინარეობებიდან და თავიანთ ნაწარმოებებში უპირატესად კამბრისტერის სინამდვილის რეალიზტერ სურათებს იძლევიან. ზოგიერთი კრიტიკოსი ხშირად იყენებდა სახელწოდებებს — „პროგრესული ლიტერატურა“ და „რეაქციული ლიტერატურა“. „პროგრესული“ ქვეშ ისინი აერთიანებდნენ ყველა მწერალს, რომლებიც „რეაქციულს“ არ მიეცოთენებოდნენ. მაგრამ ეს ფაქტობრივად არაფერს გვეუბნებოდა მხატვრული სიტუაციის ოსტატთა მსოფლმხედველობრივ-ესთეტიკური მრწამსისა და შემოქმედებითი მინერის შესახებ. პროგრესული ლიტერატურის წარმომადგენლებად ცხადდებოდა, მავალითად, ჯერმს ოლდრიჯი და უილიამ ფოლკნერი, ლეი აზაგონი და ფრანსუა მორიაკი, ერის მარია ტეშაკი და არნოლდ ცუპიგი; მკითხველისათვის ამით გასაგები იყო, რომ ყოველ მათგან მებრ-ნაკლებად მოწინავე ადგილი ეკავა რეაქციის წინააღმდეგ ბრძოლაში. მაგრამ, ცხადია, ეს არაა საკმარისი მითი დახასიათებისათვის. სა-

ჭიროა გარკვევა იმისა, თუ რომელი შემოქმედებითი პრინციპებია წამყვანი მწერლის შემოქმედებაში: სოციალისტური რეალიზმის, კრიტიკული რეალიზმის თუ თანამედროვე მოღერანისტის რომელიმე სახესხვაობისა; ნაწევრები უნდა იქნეს მწერლის შემოქმედებაში არსებული შინაგანი წინააღმდეგობა. ეს მით უფრო საჭიროა, რომ, როგორც ცნობილია, მწერლის პოლიტიკური შეხედულებანი შეიძლება რამდენიმე შეზღუდული იყოს, მაგრამ ეს იმუნდა არ იგრძნობოდა მის მხატვრულ ნაწარმოებებში, სხვაგვარად, მწერლის შემოქმედებიდან ობიექტურად შეიძლება ავტორისეული თეორიული აზრების საწინააღმდეგო დასკვნებიც გამოიშინარაგობდეს. ამის მავალი-თები ბევრი იყის ლიტერატურის ისტორიამ, ანუ დგას საკითხი დღესაც. თუ ჩვენ დავკმაყოფილებთ იმის აღიარებით, რომ მწერალი „პროგრესულია“, ცხადია, ვერ გამოვავლენთ მის შემოქმედების შინაგან არსს და შესაბამისად, ვერ ჩავწვდებით ლიტერატურულ პროცესს ქვეშეაირტ კანონზომიერებებს.

კრიტიკულ-რეალიზტური ლიტერატურული მიმდინარეობა, რომელიც საკმაოდ ძლიერია თანამედროვე კამბრისტერ ქვეყნებში, იღვეური მრწამსითა და მხატვრული მანერით ერთმანეთისაგან განსხვავებულ ბევრ მწერალს აერთიანებს. თანამედროვე კრიტიკული რეალიზმის წარმომადგენლებად უნდა მივიჩნიოთ მხატვრული სიტუაციის ოსტატები — ჯერმს ოლდრიჯი, ვრემე გრინი (ინგლისი), უილიამ ფოლკნერი, ერსკინ კოლდველი, ერსესტ პემინგეი, არტურ შილერი. ჯონ სტივინზი (ამერიკის მწერთებულ შტატებში), როვე მარტენ დიუ გარი, ფრანსუა მორიაკი (საფრანგეთი), ეოლფანგ კოპენი, ჰინრიხ ბიოლი (დასავლეთ გერმანია) და ბევრი სხვა. კამბრისტერაი სინამდვილისადმი უარყოფითმა დამოკიდებულებამ განაპიზღვრა ამ მწერალთა შემოქმედებითი მეთოდის კრიტიკულ-რეალიზტური ხასიათი. მართალია, ისინი ვერ მადლებიან საზოგადოებრივი განვითარების მეცნიერული კანონების გაგებაში და შესაბამისად, მოკლებულნი არიან მოშავლის ნათელ პერსპექტივაში ყოველდღიური ცხოვრების ჩვენების უნარს, მაგრამ დამაჯერებლად, მხატვრული

სიმატლოთ გვიხატავენ კაპიტალისტური სინამდვილის უარყოფით გავლენას საზოგადოებრივ ურთიერთობაზე, ადამიანის სულიერ თვისებებზე, მორალისა და ოჯახის სფეროზე. მათ ნაწარმოებებში სინამდვილის ეს უარყოფითი შემოქმედება ადამიანზე სხვადასხვა ასპექტში ვლინდება: ან უმწიფერობა და მათთან დაკავშირებული ოჯახური ტრაგედია ან ასხეული, ან ბერძენაზიულ გარემოში უბრალო ადამიანის უმწიფობაა ნაჩვენები, ან კიდევ გაბატონებული ბერძენაზიული მორალის გავლენით ადამიანის სულიერი დაყინების პროცესია გადმოცემული.

კაპიტალისტური სინამდვილისაღმად უარყოფითი დამოკიდებულებითა და მოსახლეობის ნაგრული ფენებისაღმად თანაგრძობობით კრიტიკული რეალიზმის თანამედროვე წარმომადგენლები ატარებდნენ რეალისტური პოლიტიკურის ტრადიციებს. უფრო მეტიც. ლიტერატურის სიმატლოდ და სოციალური ყურადღება უფროდ კრიტიკული რეალიზმის ზოგიერთ დღევანდელ ნიმუშს უფრო მეტად ახასიათებს, ვიდრე გასული საუკუნის რეალისტურ ნაწარმოებებს. მაზეც ამისა არის სოციალურ წინააღმდეგობათა შემდგომი გამწვავება იმპერიალიზმის ეპოქაში, უკანასკნელ ათეულ წლებში მომხდარი მსოფლიო მნიშვნელობის ისტორიული ძვრები, რომლებმაც განაზღვრეს იდეოლოგიურ მოვლენათა განვითარება. საზღვარგარეთელ მწერალთა იღვერ და მხატვრულ ევოლუციებზე რეალიზმისაგან, მხატვრული სიტუაციის ოსტატთა მობრუნებაზე თანამედროვეობის აქტუალური თემებისაგან — გადამწყვეტი გავლენა მოახდინეს ასეთმა ისტორიულმა ფაქტორებმა, როგორცაა მეორე მსოფლიო ომის შედეგები და სოციალიზმის გადაქცევა მსოფლიო სახტემად, პროგრესულ-დემოკრატიული მოძრაობის ზრდა ცალკეულ ქვეყნებში და კოლონიების ხალხთა ბრძოლა თავისუფლებისათვის.

ომისშემდგომ პერიოდში მომხდარი სოციალური ცვლილებანი, ცხადია, ყოველი მწერლის შემოქმედებაში თავისებურად აირკვა. თანამედროვე იდეოლოგიური ბრძოლის ვითარებაში მოწინავე მწერალთა ერთმა ნაწილმა შეძლო რევოლუციურ პროლეტარიატადე მიხვლა და სოციალისტური რეალიზმის შემოქმედებითი პრინციპების გაგება (არაგონი, ლინდსეი და სხვ.), დანარჩენები კი დაადგნენ რეალიზმის გზას, მაგრამ ვერ გათავისუფლდნენ ბერძენაზიული ჰემანიზმისა და იმპერიალისტური რეაქციული თეორიების გავლენისაგან. სწორედ ამ მწერალთა შემოქმედებისათვისაა დამახასიათებელი მძაფრი შინაგანი წინააღმდეგობა, წინააღმდეგობა ავტორისეულ პოლიტიკურ შეხედულებებსა და ნაწარმოებში ობიექტურად მიცემულ იღვერ შინაარსს შორის. თემის ხასია-

თსა და მის გადაწყვეტას შორის. ასეთი მწერლები ხშირად ერთმანეთის ხაზგანდევნილ ნაწარმოებებსაც კი აქვეყნებდნენ. ამიტომ კრიტიკულ-ისტორიული მიდგომის გარეშე ყოველწარმოდგენილია მათი შემოქმედებითი ნიმუშების ანალიზი, მათ უფრო მსჯელობა მათი შემოქმედების საერთო ხასიათზე.

მე-20 საუკუნის საზღვარგარეთელ მწერალთა ერთი ნაწილი, როგორც ვთქვი, ვერ ამაღლა სოციალისტურ იდეოლოგიაზე, ბოლომდე ვერ გაერკვა თანამედროვე კლასობრივ ვითარებაში და ბერძენაზიული ჰემანიზმის პოზიციებზე დარჩა. ამის შედეგად მათს ნაწარმოებებში ერთგვარად დაყინდა კიდევ მე-19 საუკუნის რეალიზმის ზოგიერთი ტრადიცია, გამოჩნდა შემოქმედებითი შეზღუდულობის ცალკეული ნიშნები.

დასავლეთის თანამედროვე რეალისტთა ნაწარმოებების თემატური ქარგა ერთობ ვიწროა. ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს მათ ავტორებს არც კი აინტერესებთ სინამდვილის ასახვა მის მრავალფეროვნებაში, ყოველდღიურ ცხოვრების სხვადასხვა სფერო. ისინი კმაყოფილებიან შედარებით კერძო, ცალკეულ საჭირობებზე საკითხებზე მსჯელობით, კარგვლ მივანებელი დეტალებზე მხატვრული დამუშავებით; თანაც ყურადღების გარეშე ტრეპენენ როგორც სოციალურ გარემოს, რომელშიც მოვლენა მიმდინარეობს, ასევე ამ მოვლენის გამომწვევ მიზეზებს. მათ უფრო ვერაფერს ენოვით მათ ნაწარმოებებში იმის შესახებ, თუ რამ უნდა გამოასწოროს სოციალურა ბოროტება, როგორ ჩანს დღევანდელი მოვლენები და ფაქტები მომავლის განასერში.

ყოველივე ამის გამო ჩვენი დროის კრიტიკული რეალიზმს აკლია ბალზაისეული განზოგადების ძალა, რაც ტიპიურ მოვლენათა მაღალმხატვრულ დამუშავებაზეა დამყარებული. იზღუდება რა სინამდვილის რომელიმე ასპექტით ან ამ ასპექტში დასმული კერძო საკითხით — თანამედროვე რეალიზმი ვეღარ ახერხებს მოვეტის სინამდვილის ფართოდ ამსახველ სურათები, მოიცავს თანამედროვე ცხოვრების უფლა მხარე.

რეალიზმის ეს შეზღუდულობა უკვე საკმაოდ ნათლად გამოჩნდა შედარებით „უფროსი თაობის“ მწერლებთან, საზღვარგარეთელი კრიტიკული რეალიზმის იმ წარმომადგენლებთან, რომლებიც შემოქმედებითს ასპარეზზე მე-20 საუკუნის დასაწყისში გამოვიდნენ. თომას მანი, მფალითაჲ, მთელ თავის შემოქმედებაში — დაწყებული „ბუდენბროკებიდან“ დამთავრებული „ჟიანტურისტ ფელიქს კრულს თავგადასავლით“ — არსებითად ერთ საკითხს ამუშავებს, ესაა საკითხი ბელოვანის ბევის შესახებ ბერძენაზიულ საზოგადოებაში; თ. მანი ამხელს კაპიტალისტური სინამდვილის ანტიეს-

ფაქტურ ბუნებას, ამ სინამდვილის დამღუპველ გავლენას ბუნიანტურ ზელოვნებაზე. ერთი თემატური ხაზი მიჰყვება არსებობად ვრცო მარია რემარკის, ლონ ფოიბტენგერის და სხვათა შემოქმედებასაც. რემარკის ცნობილი რომანები - დასავლეთის ფრონტზე სიწყნარია, „გოეარდეს შენი მახლობლები“ და „დრო სიცოცხლისა, დრო სიკვდილისა“ - იმპერიალისტური ომებისა და ფაშისტური ავიანტურების წინააღმდეგაა მიმართული, ხოლო ფოიბტენგერის ისტორიული რომანები („გოია“, „რუსო“ და სხვ.) თავისებური „გვირული ბიოგრაფიებია“, რომლებიც თანამედროვე ბურჟუაზიულ საზოგადოებას კვშმარტი აღამიანური თვისებების შესახებ მოუთხრობს; მწერალი წუხს აღამიანური ღირსების შელახვის გამო კაბიტალის საშეაროში, ამიტომაც, რომ იგი „ისტორიაში ეძებს ცეცხლს და არა ფერფლს“, ცეცხლს, რომელმაც უნდა გაანათოს კაცობრიობის მატანეს საბელოანი ფერცლები. იმევე მოტივებს შერტ სოციალური ელრალიბა აქვს ფოიბტენგერის იმ ნაწარმოებებში, რომლებშიც მხილველია ფაშიზმი, როგორც კაცობრიობისა და ცივილიზაციის მტერი („ომენაიმების ოჯახი“, „ძმები ლეტენბაკები“ და სხვ.).

მეზღედად გარყვეული იღურ-თემატური შეზღუდულობისა, თ. მანის, ლ. ფოიბტენგერის და ე. მ. რემარკის შემოქმედებითი ნიშნეები ბევრად უფრო ფართო პლანის მხატვრული ტალებია, ეიღრე თანამედროვე რეალისტების — ჰეინეგუეის, კოლდუელის, შორიკის და სხვათა ნაწარმოებები. ამ მწერალთა ბოლო პერიოდის ნაწარმოებებიდან ნათლად ჩანს, რომ ავტორთა კრატეიკიზმი მხოლოდ იმ ეიწრო სფეროში არ კარგავს ძალას, რომლითაც ისინი თავიდანვე შემოიფარგლნენ. ვარდა ამისა, რეალიზმი მათი ნაწარმოებებისა ძლიერად იგრძნობა მხოლოდ დროისა და სივრცის იმ. მკირე მოწყვეტზე, რომელსაც შოიკეს ასახული ექრძი შემთხვევა თუ ფაქტი. ზოგიერთი მწერლისათვის ამევე დროს უცხო არაა ნატურალისტური, ზოგჯერ სიმბოლისტურ-დეკადენტური მხატვრული ელემენტების ჰარბად გამოყენებაც, ეს კი უარყოფითს გავლენას ახდენს რეალისტური თემის დამუშავებასა და ვადამყვარბაზე.

სანიმუშოდ ვაყარნიოთ საბუოთა მკოთხელოისათვის კარგად ცნობილი მოთხრობები — ე. ჰეინეგუეის „მოხუცი და ზღვა“ და ე. სტიინბეკის „მარგალიტი“. ორივე მოთხრობა ჰეშმარიტად პოეტური მგზნებარებით დარწარი რეალისტური ნაწარმოებებია. მათში კარგადაა ასახული ბედისანაბარა მიტოვებული უბრალო აღამიანების ღუხუარი ცხოვრება კაბიტალიზმის პირობებში, მათი ბრძოლა არსებობისათვის; ფსიქოლოგიური დამაჯერებლობითაა

გახსნილი ამ ბრძოლაში ზამოყალიბებული მათი ხანაიათები. მოხუც მეთუევე „სანტიგოს ბრძოლა ზეივგენებთან“ „დიდი თევის“ შენარჩუნებისათვის („მოხუცი და ზღვა“), ანდა მეთუევე კინოსა და „დიდი მარგალიტის“ ამბავი („მარგალიტი“) აყვანილია მხატვრულ-რეალისტური განზოგადოების ისეთ სინამდემდე, რომლიდანაც მკოთხელოისათვის ერთობ აღვილია მსგავლობა ხანაიათების, ცალკეული სიტუაციების ტაიპობობაზე, ავტორთა დიდ შემოქმედებითს ექსარესიაზე. მწერლები უბრალო აღამიანს მოუწოდებენ საკუთარა შრომით, საკუთარი ძალებსადაში რწმენით იბრძოლის ბედნიერებისათვის, პირაგული ეფლებებისათვის. ამევე დროს, ისინი იძლევიან გაფრთხილებას, რომ კაბიტალის საშეაროში ყოველნობრად შეეცდებიან საზოგადოების რიგითს წყერს არ მისცენ თავის წამოწყვეის, წელში გამართვის საშეალება. უბრალო აღამიანს ვერ უშევილია „ბედის გალიმბა“: „დიდი თევის“ დაჰერა ან „დიდი მარგალიტი“ პოვნა; იგი ან უნდა დაუბრისბარტეს მდიდართა საზოგადოებას ან ისევე საკუთარ ღარიბულ ცხოვრებასა და შრომაში ებიოს ბედნიერება, ცხოვრების არსი — ასეთია, მოკლეუ, მოთხრობების დეფური შინარსი.

სტიინბეკისა და ჰეინეგუეის დასახელებულ ნაწარმოებთა ანალიზის დროს არ შეიძლება არ მივეთხოთ რეალიზმის იმ ზოგიერთ შეზღუდულობაზეც, რაც თანამედროვე კრიტიკულ რეალიზმს გაანაა პირველ რიგში ეს თქმას მოთხრობათა კრიტიკიზმის შესახებ. თემის ფინალი, იღვის გახსნა ჰეინეგუეისთან ნაკლებად ოპტიმისტურია, ხოლო სტიინბეკთან უფრო პესიმისტურიც კი. ვარდა ამისა, „დიდი მარგალიტი“ და „დიდი თევი“, როგორც მხატვრული ალეგორიები და მათი წამყვანი მნიშვნელობა ზღამრული სიმბოლისმის შთაბეჭდილებას ქმნის ზოგაერთ ევაზოდიმ (განსაკუთრებით „მარგალიტი“). ისინი ვასსენებენ რომანტიკულ-სიმბოლისტურ ლტერატურაში ცნობილ ისეთ ალეგორიებს, როგორიცაა ნოვალისის „კოსტერი ყვავილი“, ე. თ. ბ. პოფმანის „ოქროს ქოთან“, მეტერლინკის „ლერჯი ფრინველი“.

თანამედროვე კრიტიკული რეალიზმის უკეთ გაყნოსისა და ზემოთგამოთქმულ თეორიულ დებულებათა დასაბუთების მიზნით შეეხბოთ კიდეე რამდენიმე მწერლის შემოქმედებას, კერძოდ, მთ ბოლო პერიოდის ნაწარმოებებს.

თუ რამდენად რთულია ლიტერატურული პროცესის კაბიტალის თანამედროვე ქვეყნებში, ამას ნათლად გვიჩვენებს ინგლისელ მწერლის გრეემე გრინის შემოქმედება. მისი ერთერთი უყანასკელი რომანი „წყნარი ამერიკელი“. კერძოდ, კარგი მავალითია იმისა, რომ კრიტიკული რეალიზმის ნიმუში თანამედროვე

ვითარებაში შეიძლება შექმნას ისეთმა მწერალ-მაყ, რომელიც სულ ცოტა ხნის წინათ დეკლარატორი ლიტერატორის ტიპური წარმომადგენელი იყო ვინც ზოგადად მიანიც იცნობს გ. გრინის რომანებს „მე შექმნა ინგლისმა“ და, განსჯეტურებით, „ბრაიტონის კლდე“ — შეიძლება ვაუზირდეს კიდეც იმის დაჯერება, რომ „წყნარი ამერიკელი“ იმავე ავტორს ეკუთვნის. „ბრაიტონის კლდეში“ მწერალი მოგვითხრობდა ბანდიტთა ბრბოს მოთავეს — პინკის თავდადასაყვალს, ავიწერდა მის მიერ ჩადენილ მკვლელობათა მთელ წყებას და ყოველად არადაჰმანერტ ერთიერთობას როესთან, რომელიც მან ცოლად შეირთო მხოლოდ იმიტომ, რომ მოწვევ არ გამოეუღიყო მის წინააღმდეგ სამსჯავრო პროცესზე. მკვლელობისა და ამორალიზმის აბოლოგიაა „მე შექმნა ინგლისმაყ“. ამ უტრადღების ცენტრშია ავანტურისტი ენტონი ფარენტი. მისი მაქინათობა წველი მაგნიტის კროვის საბლში და საწარმოებში. მარათია. ბოლოს იღებება როგორც ბინკი, ასევე ფარენტი, მაგრამ ეს ოდნაედაც ვერ ამსუბუქებს ამ ბნელ ატმოსფეროს, რომელიც გრინის რომანებში ხუთავეს ყოველივე ნათელსა და ადამიანებს.

სულ სხვა სასიათისაა „წყნარი ამერიკელი“. ესაა პოლიტიკური ფერადობის მქონე რომანი, რომელშიც დამეშავებელია ჩვენი დროისათვის აქტუალური თემები — კოლონიალიზმი და მცირე ერების ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის. ერთი შეხედვით პარადოქსალურია, მაგრამ ფაქტია, რომ ადრე ბანდიტთა ცხოვრებით დაინტერესებულმა მწერალმა ახლა ვიეტნამში მიმდინარე სახალხო-გამათვისუფლებელ ბრძოლაზე წერს და კოლონიატორებს ამოთახებებს. ხოლო პინკისა და ფარენტის სახეთა შექმნელი — სოციალური ცხოვრებით შემწვინებელ ფერდალისტ ფელერის გვათავაზობს წამყვან პერსონაჟს. მიუხედავად იმისა, რომ რომანში ბევრი რამ ავტორის მსოფლმხედველობის ბურჟუაზიულ შეზღუდულობას მოწოდებს (იშვარიალისტური თმების კრიტიკა პაკიფიზმის პოზიციებიდან. ვიეტნამის სახალხო-გამათვისუფლებელი არმიის მოქმედებათა არასწორი შეფასება და სხვ.), — იგი მოასწავებს ახალ ეტაპს გრ. გრინის შემოქმედებითს ევოლუციაში ეს ოქმის არა მხოლოდ იმიტომ, რომ რომანში თანამედროვეობის აქტუალური ამბები აირეკლა. არამედ იმიტომაც, რომ ნაწარმოების სოციალურ ფონზე მოქმედებენ გმირები (ფელერი. პალი), რომელთა მსჯავრნიც უცხო იყო ადრეული გრინისათვის. „წყნარი ამერიკელი“ პაილი იშვარიალისტური ბურჟუაზიის იმ წრეებს განსახიერებს, რომლებიც ყოველგვარი ძალისა და ხრიკების გამოყენებით იბრძვიან ეკონომიურად სუსტად განვითარებული ქვეყნების დაეპალებსათვის.

უფრო რთული მხატვრული სახეა ფელერი. იგი ეტრნალისტი და კარგად გეგმოს კაპიტალისტური ცხოვრების ყოველი დეტალი. ყოველ ეტაპში. ამ ცხოვრებამ დაქანდა იგი სულიერად, მიიყვანა ისეთ მდგომარეობამდე, რომ ახლა იძულებულია ეს „ქაისი“ მიიღოს სივრთოგორიკაა. მაგრამ მას ურჩევნია ცინიკურად უყუროს დასავიგობ სინამდვილეს ან დაიფიქსოს იგი, ვიდრე შეუტივდეს მას; არის მის ცხოვრებაში ისეთი მომენტებიც, როცა იგი ამბობსაზეც ფიქრობს. ნაყვება რეალიტური სახეა ფელერი, რომელიც რომანში ერთობ მკითხავედ გამოიყურება და სუსტად განასახიერებს ახალგაზრდა ვიეტნამელთა სულიერ თვისებებს.

ინგლის-ამერიკის ბურჟუაზიულმა ფერდალ-გაზეთებმა მიწასთან გაასუორეს გრ. გრინის „წყნარი ამერიკელი“. ბურჟუაზიული კრიტიკის წარმომადგენლებს არ სურთ შედრივდნენ იმ ფაქტს, რომ გრემემ გრინი — ავტორი რომანისა „ბრაიტონის კლდე“ — ახლა პოლიტიკური ამბებითა დაინტერესებულ და კრიტიკულ რეალიზმის ტრადიციებს მაკვება. მათ არ უნდათ გაიგონ, რომ სოციალური თემ-მატყისა და კრიტიკულ-რეალისტური ტენდენციების შეჭრა გრ. გრინის შემოქმედებაში თბიუქტური ფაქტორებითაა პირობადებული. რეალური ფაქტების ლოგოკამ, კაპიტალიტურმა სინამდვილემ ნეგატურად განაწყო მწერალი, რომელიც ადრე ავტორად უსწორებდა თვალს დოლარის საყარისა და ულარსტიტის რეკლამს.

ამავე თვალსაზრისით საინტერესოა ცნობილი ამერიკელი დრამატურგის არტურ მილერის შემოქმედებითი განვითარება ომისშემდგომ პერიოდში. აღსანიშნავია, ექრძოდ, მისი პოლიტიკური თემა ავტორი სამართლიანად უწოდებს სოციალურ დრამას. პიესის ამერიკული გამოცემის წინასიტყვაობაში ა. მილერმა სოციალური დრამის ძირითად პირობებზე აღიარა პასუხის გაცემა კითხვებზე: „როგორ ვიცხოვრობთ?“ დრამატურგია — წერს იგი — ხელს უნდა უწყობდეს იმას, რომ „ახალი გათავისუფლდეს შიმშილის შიმშისა, უმუშევრობისა და სწულელობათაგან...“

პიესაში „ხედი ხიდიდან“ ა. მილერი გაბედულად აშხელს კაპიტალიზმისათვის დამახასიათებელ ისეთ სოციალურ ბირობებს, როგორცაა მდიდარი მონოპოლების მიერ იათი მუშახელის შესყიდვა სხვა ქვეყნებში და ადამიანური შრომის უღმრბელი ექსპლოატაცია. ამავე დროს დრამატურგმა გაილაშქრა ადამიანური ღირსების დამკვირვება და პიროვნული თავისუფლების გაყოფანარი შეზღუდვის წინააღმდეგ. რაც ამერიკაში შეუძლებლ მოკვებაკარტის კანონის მიღებასა და „ანტიამერი-

ელი მოღვაწეობის გამოყვანილი კომისიის" საქმიანობას.

„ხელი ხიდიდან“ არსებითად პირველი დრამატული ნაწარმოებია, რომელშიც მძლავრად გაისმა ა. მილერის მამულიანობის ხმა. ცნობილი პიესები — „ჩემი ვაჟები“, „მეცადინე გარდაცემი“ და სხვ. ამ მხრივ ვერ შეედრებიან მას, ხოლო უფრო ადრეული ნაწარმოებების დასახელებაც კი ზედმეტია, რადგან ა. მილერის მამის დეკადენტურ-მოღერნიტული ლიტერატურის აპოლოგეტი იყო.

თანამედროვე კრიტიკული რეალიზმის დახასიათებისათვის საინტერესო მასალას იძლევიან აგრეთვე ფრანგული და ამერიკული ლიტერატურის თვალსაჩინო წარმომადგენლებს — როვე შატრენ დიუ ვარსა და თელიამ ფოლენერის შემოქმედება. რ. მ. დიუ ვარსის რომანი „ტიბოს ოჯახი“, აგრეთვე ავტობიოგრაფიული „მოგონებები“ და ე. ფოლენერის ბოლო რომანი „გაფი“ (1954) მოწმობენ, რომ მეორე მსოფლიო ომის ამბებს დიდი გავლენა მოუხდენდა ამ მწერლების სოციალ-პოლიტიკურ და ლიტერატურულ-მხატვრულ შეხედულებებზე. ადამიანისა და ადამიანური ხედვის ანტიკატეტი განვილი, ომებისა და ჩაგვრის ფატალისტური გაგების ნაცვლად დასახელებულ ნაწარმოებთა ავტორები ცდილობენ ღრმად ჩაუფიქრდნენ ომის შედეგებს, ანალიზი გაუხდონ უკანასკნელი პერიოდის სოციალურ მოვლენებს. ორჯერ რომანში, კერძოდ, მინიშნულია ადგილი უკავია ომისა და მშვიდობის თემებს, თანამედროვე პირობებში ადამიანის ცხოვრების აზრისა და არსის გარკვევას მიუხედავად რიგი არსებითი შეზღუდულობისა. ავტორთა დამახასიათებელია ამ ფრთხვ აქტუალურა თემების რეალისტურ-პეიზაჟისტური დამუშავება.

კრიტიკულ-რეალისტურა ნაწარმოებები იქმნება დღევანდელ დასავლეთ გერმანიაშიც. როგორც მასალოდნელი იყო. ამ ნაწარმოებებში უპირატესად ანტიფაშისტური და ანტიმონოლიტარისტული ბრძოლის საკითხებია მხატვრულად გააზრებული. სანიშნოდ შეიძლება დავასახელოთ ჰაინრიხ ბიოლის რომანები — „ადრეული წლების პერი“ (1955), „სახლი უდაბაჯოდ“ (1954) და „არ ეთქვამს აცკ ერთი სიტყვა“ (1954). ავტორი გადაჭრით გმობს ადენაუერის მთავრობის რეაქციულ პოლიტიკას და გაბეჭდულად მსჯელობს თანამედროვე გერმანიის სპირიტუალური საკითხებზე. ამჟამამდე, ფაშისმის ისტორიული ფესვების ჩვენებითა და რეკონსტრუქციის კრიტიკით. საყურადღებოა ვოლფანგ კოპენის რომანები „სათბურა“ (1953) და „სიკვდილი რომში“ (1954).

დასასრულ, არ შეიძლება ცალკე არ დავასახელოთ ის მწერლები, რომლებმაც უკანონო შემოქმედების იდეური ძღვერად მოქმედებდა კრიტიკული რეალიზმის უფრო მაღალ საფეხურზე იმყოფებთან, ვიდრე გ. გრინი, ა. მილერი და სხვ. ამ პირველ რიგში უნდა მოვიხსენიოთ ინგლისელი მწერალი ჯეიმს ოლდრიჯი, რომლის რომანებს — „იბოლომაცი“, „გრევილი პორზონტების გმირები“ და „მე არ მსურს, რომ იგი მოკვდეს“, მეტი იდეური სიღრმე და რეალისტური მიზანსწრაფვა გააჩნიათ, ვიდრე ჩვენ მიერ გარბნულ ნაწარმოებებს. უფრო მეტიც. თემის გაშლისა და, განსაკუთრებით, ხასიათების გამოყოფის ზოგიერთი თავისებურებითაც. ოლდრიჯი, ეფემრობით, გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვი, სკილდება კიდევ რამდენიმე კრიტიკულ რეალიზმს. საყვარელი იქნება გვიხსენოთ მისი მკაცრეგორი („იბოლომაცი“), რიგითი ინტელექტუალი, რომელიც კაპიტალიზმის უარყოფამდე მიდის, ან კიდევ გორდონი („გრევილი პორზონტების გმირები“), რომელიც ხანგრძლივი ძიების შემდეგ იგებს, რომ ინგლის-ამერიკის „ცივილიზაციის“ უკან კოლონიური ბორკელები იმალება დასახელებულ რომანებში ე. ოლდრიჯი, ამხელს რა ინგლის-ამერიკის უკანასიონისტურ პოლიტიკას აზიისა და არაბეთის ქვეყნების მიმართ, მკაცრეგორისა და გორდონის სახით გვიჩვენებს არა მარტო კაპიტალისტური სინამდვილის უარყოფით გავლენას რიგით ადამიანებზე, არამედ ამ ადამიანთა კლასობრივ შეგანებულობის ზრდასაც იმავე კაპიტალისტურ გარემოებაში. ოლდრიჯის გმირები შეგანებული ოპოზიციონერები არიან, აღჭურვილი ნათელი იდეალებით. მგერამ მოკლებულნი ამ იდეალებისათვის ბრძოლის უნარს.

ჯეიმს ოლდრიჯის შემდეგ აქვე შეიძლება დავასახელოთ მიტჩელ თილსონი და მიოხსენოთ მისი ცნობილი რომანები — „ცხოვრება ელვასთან“ და „ჩემი ძმა, ჩემი მტერი“.

შეიძლება დაგვესახელებინა ბუერი სხვა მწერალი და მხატვრული ნაწარმოები. ისინი დამატებით დადასტურებდნენ იმ ფაქტს, რომ კაპიტალისტური ქვეყნების ლატერატურაში დღესაც ძლიერია კრიტიკულ-რეალისტური ნაყოფი.

საბჭოთა ლიტერატურათმცოდნეობის გადაუდებელი ამოცანაა შეისწავლოს საზღვარგარეთელი ლატერატურული მიმდინარეობანი მათი ყოველმხრივი ანალიზისა და შინაგან წინააღმდეგობათა გამოვლენის გზით და დაძლიოს „ეროიანი ნაყოფის“ თეორიის ვადმონაშთები სხვა ქვეყნების ხალხთა ლიტერატურის შესწავლის დროს.

## გაგანიერ მამარაღვილი



# მიხედვით თუშანიშვილის მსოფლმხედველობის საკითხისათვის

მეტყობა მეტყველების ქართული ლიტერატურისა და საზოგადოებრივი აზრის ისტორიის საკითხებზე უკანასკნელ ხანებში გამოქვეყნდა მთელი რიგი მნიშვნელოვანი ნარკვევები და მონოგრაფიები. ამ ნარკვევებსა და მონოგრაფიებში მთბილიზებულია ახალი, დღემდე უცნობი, მასალები, მოტანილია მთელი რიგი ახალი დებულებები და მოსაზრებანი, მარტინსტრუ-ლენინური მეცნიერების შექმნისა და შექმნის და სწორად დაფასებული ჩვენი ლიტერატურისა და საზოგადოებრივი აზრის მთელი რიგი წარმომადგენელთა როლი და ადგილი ჩვენი ქვეყნის ისტორიული განვითარების პროცესში. ასეთ ნარკვევთა და მონოგრაფიათა რიცხვს ეკუთვნის პ. ინგოროვიცის, გ. ქიქოძის, გ. ლეონიძის, მიხ. ხანდუკელის, დ. გამეზარდაშვილის, ა. ვაჩეჩილაძის, მ. ვაჭარინდაშვილის, ს. ავალიანის, ვ. ზამბახიძის, ე. კეღელის, ლ. გორგილაძის, ნ. მახარაძის, ბ. ზაქარაიას, ე. ვახანიას, ი. კუჭუბერძის, ა. ნიკოლაძის და სხვათა ნარკვევები და მონოგრაფიები. მაგრამ, როგორც ამ მეცნიერული ლიტერატურის შესწავლა გვარწმუნებს, მატერული ლიტერატურის სოციალური მოტივების გახსნის საკითხებში, მატერული ლიტერატურის წარმომადგენელთა იდეური საფუძვლების გამოამჟღავნების საკითხებში, მატერული ლიტერატურის იდეური შინაარსული ანალიზის დროს საქმე გვაქვს მდებარე შეხედულებათა დაკავსებაზე; ხშირად ჩვენი ლიტერატურის და აზრის ისტორიის შესახებ გამოკვლევებსა და მონოგრაფიებში ერთი და იგივე მწერალი ანდა მოაზროვნე წარმოდგენილია სხვადასხვა კლასობრივ-იდეოლოგიურ და ლიტერატურულ ასპექტში. ავიღოთ, მაგალითად, მეტყობა მეტყველების საუკუნის ისეთი გამოჩენილი ქართველი მოღვაწე, როგორებიც არიან ნ. ნიკოლაძე, გ. წერეთელი, ს. მესხი და სხვები. განა მათი იდეოლოგიის კლასობრივი ხასიათის, მათი იდეების შესახებ ჩვენი ქვეყნის ისტორიულ განვითარებაში ჩვენი მეცნიერული ლიტერატურაში არ არსებობს ერთმანეთის საპირისპირო შეხედულებანი? მაგალითად, ერთთა აზრით, ნ. ნიკოლაძე 60-70 წლებში რევოლუციური დემოკრატია, მეორეთა აზრით, ის საზოგადოდ ქართველი ბერძენ-

ზის იდეოლოგია. ს. მესხი, ერთთა აზრით, ქართული ბერძენული ლიბერალიზმის წარმომადგენელია, მეორეთა აზრით, ქართული რევოლუციური დემოკრატიის მდებარეობისა და სხე.

უნდა შევნიშნოთ, რომ მეტყობა მეტყველების მეორე ნახევარში, მიუხედავად მძიმე ცენზურული პირობებისა, ჩვენი საქმე გვაქვს ქართული ლიტერატურისა და ქართული აზრის უდიდეს ადამიანთან. ყველაფერი ეს გამოწვეული იყო ფეოდალიზმის კრიზისით და კაპიტალიზმის განვითარებით. ფეოდალიზმის კრიზისისა და ბატონყმობის გაუქმების პერიოდში ვითარდება ჩვენი კრიტიკული რეალიზმი, წარმოიშობის და ვითარდება ანტიბატონყმური ლიტერატურა და პუბლიცისტიკა. ამ პერიოდში ქართული ლიტერატურა და პუბლიცისტიკა, მათი მიმდინარეობანი ნათლად ავლენენ თავის დამოკიდებულებას ცარიზმთან და მის კოლონიალურ პოლიტიკასთან, ფეოდალიზმთან და მსხველ მემამულურ საყურადღებოსთან. ისმება საკითხი კაპიტალიზმის არსისა და მისი ისტორიული ადგილის შესახებ. ამ პერიოდის ლიტერატურული და იდეოლოგიური ბრძოლების დამახასიათებელია მძლავრი ანტიბატონყმური, ანტიფეოდალური ლიტერატურისა და პუბლიცისტიკის განვითარება ჩვენი.

თუ მატერული ლიტერატურაში ამ პერიოდში ბატონყმობა კრიტიკული რეალიზმი ანტიბატონყმური მოტივებით, ანტიფეოდალური საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზრი რამდენიმე მიმართულებად არის დაშლილი. მაგრამ მთელი რიგი შემთხვევაში ისინი ადგენენ ერთიან ფრონტს ფეოდალიზმის წინააღმდეგ. თუ ამ პერიოდის ბატონყმობის საწინააღმდეგო მატერული ლიტერატურის განვითარება, შევამჩნევთ, რომ საერთო ამ ლიტერატურის ცალკეულ კორიფეთა და წარმომადგენელთა შორის ის არის, რომ ისინი უმთავრესად დგანან კრიტიკული რეალიზმის საფუძველზე და ქმნიან მატერული ლიტერატურის შედეგებსა, რომლებშიც ნახევრებით ფეოდალიზმის სისუსტე, წინააღმდეგობანი და მისი დრომოკმელობა. მაგრამ ფეოდალიზმთან უარყოფით დამოკიდებულებას ანტიბატონყმური ლიტერატურისა და პუბლიცისტიკის ცალკეული წარ-

მომადგენლები როდი მიჰყავს ერთ საერთო პოლიტიკურ და ეკონომიურ პლათფორმამდე, ერთი საზოგადოებრივი იდეალის აღიარებამდე, ფეოდალურიდან ახალზე გადასვლის ერთი შეთოდის აღიარებამდე, ფეოდალიზმის საესე-ბით ლიკვიდაციის აღიარებამდე.

მიუხედავად ამისა, ჩვენმა მკვლევარების ნა-წილი მზალა განახილეს მთელი ეს ანტიბა-ტონუმური, ანტიფეოდალური მხატვრული ლი-ტერატურა და პუბლიცისტიკა, როგორც რე-ვოლუციურ-დემოკრატიული ლიტერატურა და პუბლიცისტიკა.

თუ ზოგიერთმა მკვლევარმა რომელიმე ჩვენ-ნი მწერლისა და პუბლიცისტის ნაწერებში შეგინწა ანტიბატონუმური მოტივები, მზალა ასეთ მწერალსა და პუბლიცისტს მიაყვაროს რევოლუციური დემოკრატიის ბარაკი. თუ ზოგიერთმა ჩვენმა მკვლევარმა რომელიმე ჩვენ-ნი მწერლისა და პუბლიცისტის ნაწერებში ამოიკითხა ცარიზმის კოლონიალური პოლიტი-კის წინააღმდეგ მიმართული სტრიქონები, ან აღმოაჩინა ფაქტი ჭართული ენის დაცვისა და მისი გახალსებების მოთხოვნა, ბატონუმობის დაგმობა, მზალა ასეთი მწერალი და პუბლი-ცისტი რევოლუციურ დემოკრატიულ ან დემოკ-რატიულ მონათლოს.

რასაკვირველია, შეედოშა იმის დაშვება, რომ მსოფლიო ისტორიაში და ჩვენში ერთე-ნული ჩაგვების წინააღმდეგ მხოლოდ დემოკ-რატიული და სოციალისტური კლასები და მათი იდეოლოგიები იბრძოდნენ, რომ ენის დე-მოკრატიზაციისათვის ბრძოლას მხოლოდ დე-მოკრატიული და რევოლუციური ელემენტები აწარმოებდნენ. განა ისეთი მწერალი ან პუბ-ლიცისტი, რომელიც ენის რეფორმისათვის იბრძოდა სამოციან წლებში, უკვევლად დემოკ-რატი ან რევოლუციური დემოკრატი იყო. ჩვენ-ნი და მსოფლიოს ლიტერატურული ბრძოლე-ლების ისტორია გვეუბნება იმას, რომ ენის რეფორმებისათვის, მისი გახალსებებისათვის იბრძოდნენ არა მარტო ჩაგრული კლასის წარ-მომადგენლები, არამედ გაბატონებული კლასე-ბის პროგრესული ელემენტებიც. ამის ცხადი და ნათელი მაგალითები ბევრია როგორც ჩვენ-ში, ისე გერმანულ ლიტერატურაშიც. ავიღოთ გერმანია როგორც ცნობილია, გერმანიაში რეფორმაციისა და გლეხთა დიდი ომების ეპო-ქაში შეიქმნა მძლავრი პატრიოტული, ოპოზი-ციური ლიტერატურა. ამ ოპოზიციური ლიტე-რატურის მოტივები ანტიკათოლიკური, ანტი-ფეოდალური იყო ამ პატრიოტული, ოპოზი-ციური ლიტერატურის ცალკეული წარმომად-გენლები კარგად გრძნობდნენ, რომ გერმანიის კულტურული და ეკონომიური აღმავლე-ბა, მისი სახელმწიფოებრივი სიძლიერე, მისი დიდ მოწინავე ვრად გადაქცევა შეიძლება მხოლოდ გერმანიის ნაციონალურ-პოლიტიკური

გავრთიანების გზით, რომ გერმანიის შთავაჩი მტრია პოლიტიკური დეცენტრალიზმის, ფერ-დალური პარტიკულარიზმის, უკვევლად ოპოზიციური ლიტერატურის ცუბა იყო, გადა-ეყვანა გერმანული მწერლობა ლათინური ენი-დან გერმანულ ხალხურ ენაზე. შერამ არც ერთ სერიოზულ მკვლევარს ამ მოტივების გამო რეფორმაციის ეპოქის გერმანული მთე-ლი ეს ოპოზიციური, პროგრესული ლიტერა-ტურა მხოლოდ რევოლუციურ დემოკრატიულ ლიტერატურად და პუბლიცისტიკად არ წარ-მოუდგენია, რადგანაც მეტად სხვადასხვაია ამ ლიტერატურის ცალკე წარმომადგენელთა პო-ლიტიკური და ეკონომიური პროგრამა, მეტად ჭრელია ეს ლიტერატურა თავისი სოციალური და ესთეტიკური შეხედულებებით, მიუხედავად იმისა, რომ ეს ლიტერატურა ანტიფეოდალუ-რი და, ამავე დროს, უმწინესტურია. ავიღოთ რუსეთში ტურგენევი, რომლის მხატვრული შემოქმედება და პუბლიცისტიკა უღაოდ ანტი-ფეოდალურია და გამთბარი აღაშინისაღმე ჰუმანიტი სიუვარულით.

ცნობილია, რომ ტურგენევის „Записки охо-тника“ წარმოდგენს ბატონუმობის საწინააღ-მდეგო ლიტერატურის შედგენილთაგანს, რომელ-შიც ასე დავგმობილია და გაამართლებული ბა-ტონუმობა, შემამულეები და დიდი თანაგრძ-ნობით და დადებითად დახატულია გლეხთა ტიპები. ტურგენევი, როგორც ამბობდნენ მისი თანამედროვენი, არტილერიის ცეცხლი გაუბნსა ფეოდალურ ყოფას თავის „Записки охотника“-ში.

მიუხედავად ამისა, მხატვრული სიტყვის ეს დიდი ოსტატი არაყის არ გამოუცხადებია რე-ვოლუციურ-დემოკრატიულ. — ტურგენევი არ იყო რევოლუციონერი, ძველის სიძულვილი და უარყოფა მას სწარაოდეს არ მიუყვანია ძვე-ლის რევოლუციური მხატვრევის თვორიადე, დემოკრატიული პოლიტიკურ-ეკონომიური პრო-გრამის დაცვამდე.

სწორედ რევოლუციური სიტუაციის წლებ-ში, 60-იან წლებში ტურგენევი გამოეთიშა ჩერნიშევსკის და დობროლბოვის. ეს ამიტომ, რომ, როგორც ლენინი შენიშნავს, „ტურგენე-ნევის გული მიუწევდა ზომიერი მონარქიული და ახალურული კონსტიტუციისაკენ“, რომ „მას არ ეუბნებოდა დობროლბოვისისა და ჩერნიშევსკის გლეხური დემოკრატიზმი“ (ლენინი, თხ., ტ. 27, გვ. 326).

ყველაფერი ეს არ არის მხედველობაში მი-ღებული ზოგიერთი სპეციალისტის მიერ. ყერ-ძობა, კრიტიკულ შენიშვნებს იწვევს დ. რამი-შვილის მონოგრაფია „მთხილ თუმანიშვილი“, გამოცემული საბჭოთა მწერლის მიერ 1957 წელს.

მიუხედავად ამისა, გასული საუკუნის 60-იან წლების თვალსაჩინო საზოგადო მოღე-

წე იყო. იგი როგორც პოეტი, თეატრალური კრიტიკოსი და პუბლიცისტი, ეზმურებოდა თავისი დროთაათვის დიდად და შწეავე საზოგადოებრივ საკითხებს. განსაკუთრებით აქტიური იყო მისი საზოგადოებრივი მოღვაწეობა ბატონყმობის გაუქმების პერიოდში. მიხეილ თუმანიშვილი ავტორია მრავალი მოხსენების და გამოკვლევების ფოტოალური ურთიერთობათა შესახებ საქართველოში, ავტორია ბატონყმობის გაუქმების ოფიციალური პროექტისა და მრავალი ოფიციალური რეფორმატორული დოკუმენტისა. იგი იყო ერთი მთავარი ფიგურათაგანი ა/კ ცენტრალური კომიტეტისა, რომელსაც ევალებოდა აგრარული რეფორმების პროექტების მომზადება მთავრობისათვის საქართველოსა და ამიერკავკასიაში. მთავრობისათვის გამზადებული მისა მოხსენებები, პროექტები და გამოკვლევები ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის, კლასობრივ-წოდებრივ ურთიერთობათა შესახებ საქართველოსა და ამიერკავკასიაში წარმოადგენენ არა მარტო ისტორიულ, არამედ მეცნიერულ ინტერესსაც. ყინაც უნდა შეისწავლოს ვასულის საუკუნის 40-60 წლების ეპოქა, ის გვერდს ვერ აუელს თუმანიშვილის ამ შემეყიდრობას. და, მიუხედავად იმისა, რომ მიხეილ თუმანიშვილი მნიშვნელოვანი მოვლენაა ჩვენი ლიტერატურის და საზოგადოებრივი აზრისა, იგი, როგორც საზოგადო მოღვაწე და პოეტი, დღემდე მონოგრაფიულად შესწავლილი არ იყო.

„საბჭოთა მწერლის“ მიერ აღზახან გამოცემულ დ რამიშვილის მონოგრაფია „მიხეილ თუმანიშვილი“ ცალა ამ ხარკეხის შევსებისა, თავის მონოგრაფიაში დ. რამიშვილი მიზნად ისახავს მოკვლე წარმოდგენა მიხეილ თუმანიშვილის ლიტერატურულ, პუბლიცისტურ და პრაქტიკულ მოღვაწეობაზე და განსაზღვროს ამ მოღვაწეობის კლასობრივი აზრი, სოციალური მიმართულება. თავის მონოგრაფიის პირველ თავში დ რამიშვილი გადმოსცემს მოკლედ მიხეილ თუმანიშვილის ბიოგრაფიას, ხოლო მეორე თავში განაზღვრავს მიხეილ თუმანიშვილის, როგორც „თბილისის ვინაზიის ყვავილის“ რედაქტორისა და გამომცემლის, შესაძენ თავი სპეციალურად მიძღენილი აქვს მიხ. თუმანიშვილის პოეზიას. მეოთხე და მეხუთე მიხეილ თუმანიშვილის მთარგმნელობით, კრიტიკულ-პუბლიცისტურ და საზოგადოებრივ პრაქტიკულ მოღვაწეობას, მეექვსე თავში განხილულია მიხეილ თუმანიშვილის დამოკიდებულება ცნობილ მამათა და შვილთა ბრძოლასთან.

რ უკანასკნელ შემეიდე და შერკე. თავებში მონოგრაფიის ავტორი ახრკეხს მიხეილ თუმანიშვილის ნაწარმოებთა მხატვრული ღირებულებას და მ თუმანიშვილის ადგილის საკოიხს ქართულ ლიტერატურაში. როდესაც მონოგრაფიის ავტორი მიზნად ისახავს მოიკვას

თავის გამოკვლევაში მიხეილ თუმანიშვილის მოღვაწეობის ყველა მხარე, ცხადია, შამინ მონოგრაფიის ასეთი სტრუქტურა უსაფრთხოდ გამართლებულია. მონოგრაფიის ავტორის შემოადლოგურადაც სწორად იქცევა, როდესაც ცდილობს გაარკეიოს, თუ ქართველი ხალხის რომელ სოციალურ ძალებს ემსახურებოდა თავისი მრავალმხრივი მოღვაწეობით მიხეილ თუმანიშვილი, რა კლასობრივი შინაარსისა მიხეილ თუმანიშვილის მოღვაწეობა. სწორად ეს უნდა იყოს ფუძემდებელი პრინციპი ყველი ასეთი მონოგრაფიისათვის. მაგრამ, თუ მეთოდოლოგიურად სწორად იქცევა ავტორი, კარგვორიულად უნდა ითქვას, იგი ვერ იძლევა სწორ წარმოდგენას მიხეილ თუმანიშვილის ლიტერატურისა და პუბლიცისტკის სოციალური მოტივების, მისი მოღვაწეობის კლასობრივი შინაარსის შესახებ.

დღემდე ჩვენს მეცნიერულ ლიტერატურაში მიხეილ თუმანიშვილის ნაწილი შეკვლევარების თვლიდა კონსერვატორად, ნაწილი — მემამულე ლიბერალად. მონოგრაფიის ავტორი კი ფიქრობს, რომ „მიხეილ თუმანიშვილის შემოკმედებას საერთოდ და განსაკუთრებით მის პუბლიცისტურ ფელეტონებს, წითელ ზოლივით ვასდევს დემოკრატიზმისა და პუბლიცისტის ტენდენციები“ გვ. 217, რომ „იგია ახალი მე-19 საუკუნის 60-იანი წლებში სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსული, თერგდალეულია თაობის მუდროშეთა წინამორბედი, ნიადაგის მომზადებელი, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დამწყები, მამათა იდეოლოგიის პირველი მოწინააღმდეგე და დღემდობლად მამხილებელი“ (გვ. 208), მის „სადაეზო ფერკლებში“, რომელიც „ცისკარში“ იბეჭდებოდა, „შალაი დემოკრატიული აზრებია“ პრამაგანდირებული, (გვ. 144), რომ მის პუბლიცისტკიამ აშკარად წანს, ბატონყმობის შეუტრეგებელი მტერი და მისი მსხვერვის მუტრვალე მომზრე, რომ მისი პოლიტიკური აზროვნება რეპუბლიკანიზმით ხასითდება, რომ ის მტრიაა მონარქიისა, „მეფის ზელისფულებისა და მისი ორგანოების მმადრი კრიტიკოსი“ (გვ. 155, 164). ამრიგად, დ. რამიშვილი იძლევა საესებოთ ახალ კონცეფციას მ. თუმანიშვილზე. როგორც საზოგადო მოღვაწეზე; ის მას თვლის ქართული რევოლუციურ-დემოკრატიული მხატვრული ლიტერატურისა და პუბლიცისტკის წარმომადგენლად. ავტორი აღიარებს, რომ 60-იანი წლების მოწინავე ქართული დემოკრატიული ლიტერატურა და პუბლიცისტკია ერთი მხრივ, არს რეპოლუციურ დემოკრატიზს ზელიისის, წყნინშვილის, დობროლუბოვის, პოსარდეს ვერდნობოდა. მეორე მხრივ, ქართულ ნიადაგზე იდგა ილიას. როგორც ახალი თაობის მესვეურს. ეს ნიადაგი, მე-19 საუკუნის საქართველოში ყველა მოღვაწეზე მტრად მიხეილ თუმ-

ნიშვილია მოეწადა. ესაა მიხეილ თუმანიშვილის უმოთხრესი ღაწილი“ (გვ. 210). საკითხაია, არის თუ არა ასეთი მაღალი შეფასება მ. თუმანიშვილის მოღვაწეობისა დასაბუთებულ? უნდა ითქვას, რომ, ამგვარ განცხადებებთან ერთად, მონოგრაფიის ავტორი ცდილობს დაასაბუთოს, რომ მიხ. თუმანიშვილი 40-60 წლების ქართული დემოკრატიზმის მნიშვნელოვანი ფეფურაა და ერთი მთავარი საბუთოთაგანი ავტორისა ისაა, რომ მიხ. თუმანიშვილი „პირველი მიესალმა ბატონყმური ინსტიტუტის გაუქმებას“ (გვ. 135, 193). აქ ჩვენ იმასაც ვტყუიბლობთ, რომ „ბატონყმობის საკითხში ოფიციალურად პუბლიცისტაკაში მ. თუმანიშვილზე წინ არ წასულა თვით ილია ქვაკვიაცი“ (გვ. 130). ამრიგად, მთავარი საბუთი მიხ. თუმანიშვილის დემოკრატიად გამოცხადებისა ისაა, რომ მიხ. თუმანიშვილი აღფრთხილებით მიეგება მეფის რეფორმას, ბატონყმობის გაუქმების ოფიციალურ პროექტს, გამოთქვა „თავისი აღტაცება“ მის მიმართ (გვ. 119). რა შეილება ამ საბუთის წინააღმდეგ ითქვას? რასაკვირველია, იყო ხალხი, რომელიც თავის თავშეუფლებელ აღტაცებას გამოთქვამდა როგორც რეფორმის ამაზღდის დროს, ისე 1861 წლის 19 თებერვლის შემდეგაც აღექსანდრე მეორეს მიერ გატარებული რეფორმების შესახებ. მაგრამ ვინც ესაღმებოდა იმპერატორის რეფორმებს ბატონყმობის დაციემის პერიოდში, ვანა დემოკრატი იყო? არსად არც ერთი დემოკრატი მეფის რეფორმას არ მისაღმებია და არ გამოთქვამს თავისი აღტაცება მის მიმართ. ეს არ შეიძლებოდა მომხდარიყო, მემამულერ რეფორმის დემოკრატი ვერ მიესაღმებოდა.

როგორც ცნობილია, დემოკრატებმა როგორც რუსეთში, ისე საქართველოში იმთავითვე შეინიშნეს რეფორმის მემამულერი ხასიათი, იმთავითვე დაინახეს, რომ ჩატარებული საგლეხო რეფორმა იყო ანტიდემოკრატიული, ანტი-გლეხური თავისი შინაარსით. მათ დაინახეს, რომ მეფის სარეფორმო რეკრიატებში და მინიფისტების ერთიანად მიმართული იყო მემამულეთა კლასობრივი ინტერესების დაციებაც. 1861 წლის შემოდგომისათვის უკვე გერცენისა და ოგაროვისათვის, რომ არაფერი ვთქვათ ჩერნიშევსკისზე, ნათელი იყო, რომ „19 თებერვლის დებულებით“ ძველი ბატონყმობა შეიცვლიდა ახლით, რომ ბატონყმობა ფაქტურად გაუქმებული არ არის, რომ მეფის მიერ ხალხი მოტყუებულია. ჩერნიშევსკიმ კი „წერილებში უმასამართოდ“ და პროკლამაციაში „საბატონო გლეხებისადმი“ გამოაშკარავა ცარიზმისა და მისი საგლეხო რეფორმის კლასობრივი ხასიათი. საერთოდ, დემოკრატებმა გამოაშკარავეს, რომ ბატონყმობის ნამდვილი დამსხვრევა შეიძლებოდა მხოლოდ ხალხური რევოლუციის საშუალებით, რომ მეფე იგივე მემამულეა, რომ

მელიც დგას მემამულეთა ინტერესებს სადრაჯობზე და, რომ რეფორმამ კიდევ დატოვა მთელი მიწები მემამულეთა ხელში, როლო გლეხობა ცარიელზე დასვა. 1861 წელსვე რუსული დემოკრატიის თვალსაჩინო წარმომადგენელი ნიკოლოზ სერნოსლოფევიჩი თავს დაესხა „19 თებერვლის დებულებას“ და უჩენია, რომ შეუძლებელია ზევიდან მეფის ხელისუფლებამ რაიმე დემოკრატიული ღონისძიება განახორციელოს და მოეწოდა, რომ მხოლოდ მეფის ხელისუფლების დამსხვრევა ხალხური რევოლუციის საშუალებით ვახსნის გზის დემოკრატიული რეფორმებისაკენო. ამრიგად, ფაქტია, რომ არც რუსეთის და არც საქართველოს დემოკრატები არ აღტაცია რეფორმის; პირიქით, იმთავითვე დემოკრატები გვეუბნებიან მეფის საგლეხო რეფორმის მტრებად. მის კრიტიკოსებად და, თუ მიხ. თუმანიშვილი ესაღმება აღტაცებით მეფის რეკრიატებს და „19 თებერვლის დებულებას“ 1862 წელს, სწორედ მაშინ, როდესაც დემოკრატების უარყოფითი დამოკიდებულება რეფორმისადმი საგლეხობით ნათელი, ეს იმის მაჩვენებელია, რომ მიხ. თუმანიშვილს საერთო არა აქვს ამ პერიოდში დემოკრატიზმთან. თუ ის აღტაცებული რეფორმით, თუ ის ბატონყმობის პერიოდში არ გამოდიოდა მეფის რეკრიატების ფარგლის გარეთ საგლეხო რეფორმის საკითხებში, ეს სწორედ იმის მაჩვენებელია, რომ იგი იდგა არა გლეხობის მხარეზე, არამედ გაბატონებული კლასების რეფორმატორთა რიგებში.

ყველა დემოკრატი და სოციალისტი რეფორმის მტრულად შეხვდა ამ რეფორმის მემამულერი ხასიათის გამო როგორც რუსეთში, ისე მის ფარგლებს გარეთ. აღტაცება მემამულე კონსერვატორთა და ღონებართა ხანკაში მეფობდა, და სწორედ ის ფაქტი, რომ მიხეილ თუმანიშვილი არა მტრულად, არამედ აღტაცებით შეხვდა მეფის რეკრიატებსა და მანიფესტებს საგლეხო რეფორმის შესახებ, აშკარად ამყარებს მის სოციალისტ შეხედულებათა და მიდრეკილებათა კლასობრივ ხასიათს, ნათლად ამტკიცებს იმას, რომ მისი რეფორმისტული მიდრეკილებანი არ სცილდებოდა 19 თებერვლის მანიფესტის ფარგლებს, არ იყო დემოკრატიული. ვისაც უნდა, გერცენს ვასულ საუფეთის 60 წლების მიხ. თუმანიშვილის სოციალ-პოლიტიკური მსოფლმხედველობაში იმან უსათუოდ მეცნიერული ანალიზის ქვეშ უნდა მოაქციოს მიხ. თუმანიშვილის მოღვაწეობა საგლეხო რეფორმის მომზადებისა და გატარების პერიოდში, ამ პერიოდში შედგენილი მისი მოხატებები რეფორმის შესახებ, მის მიერ შედგენილი კანონპროექტი ბატონყმობის გაუქმების შესახებ. და აი, ამ მასალის მეცნიერული ანალიზი ჩვენ იმის გვეუბნება, რომ მ. თუმანიშვილის არავითარ დემოკრატიზმზე

ლაპარაკი არ შეიძლება. მთელი მისი უთანხმოება მაშინდელ ქართველ თავად-აზნაურობასთან იფარგლებოდა, იმით, რომ ის არ ემხრობოდა უმადელების ხიზანის მდგომარეობაში გადაყვანას და მოითხოვდა, გლეხთა განთავისუფლებას უშობისაგან სიღვემლად დასდებოდა 19 თებერვლის მანათხვანის, ის მოითხოვდა, რომ რეფორმა ჩატარებულიყო არსებითად ისე, როგორც ჩატარდა რუსეთში და როგორც ეს იწევა იმპერატორმა ალექსანდრე მეორემ. საკითხავია, ამგვარ დამოკიდებულებას ფეოდალურ ერთობერთობასთან რომელ დემოკრატიზმზე შეიძლება ლაპარაკი? მონოგრაფიის ავტორის მიხედვით, მაშინდელი გლეხთა ის გარემოება, რომ ფეოდალურების შემამულური კრიტიკა და ბატონყმობის შემამულური გაქმევა ზოგად არის დემოკრატიზმი, რომ ბატონყმობის დემოკრატიული გაქმევა ნიშნავდა არა მარტო ყმობის ინსტიტუტის ფორმალურ გაქმეებას, არამედ მიწების გადასვლას პრივილეგიური კლასების ხელდან მწარმოებელი წოდების-გლეხობის ხელში, წოდებობის ლიკვიდაციას, და საკითხავია, სად, რომელ ნაწარმოებში, რომელ მოხსენებებასა და დოკუმენტებში წამოაყენებია თემანიშვილმა ასეთი სოციალ-დემოკრატიული პოზიციები ბატონყმობის გაქმეების პერიოდში? მონოგრაფიის ავტორი აღფრთოვანებულია მის. თემანიშვილის ერთერთი დოკუმენტის ამ ადგილით, სადაც მის. თემანიშვილი გაქმეებით აღნიშნავს, თუ როგორი დამოკიდებულება სურს მას დამყარდეს ბატონყმობა და ყმის შორის, რომ მას მოსწონს აგრარული საკითხის გერმანული, პრუსიული გადაჭრა (გვ. 130). მაგრამ შევნიშნავთ, რომ არაა ის ჩათვლილი პრუსიულ შემამულეთა აგრარული რეფორმები დემოკრატიულ-აგრარულ რეფორმებად. და თუ მის. თემანიშვილი იწონებს ასეთ რეფორმებს, ის სწორედ შემამულური, ანუ არა წოდებობრივი ინტერესით ეუფლებს ბატონყმობის მოსპობას საკითხს" და არავითარი დემოკრატიული პოზიციები მას აგრარულ საკითხში არ მოგაპოვება. ფეოდალიზმის შემამულური კრიტიკა და ბატონყმობის შემამულური გაქმეების თემანიშვილისეული მომხრეობა რატომ აძლევს უფლებას, რომ თემანიშვილს, თავმჯდომარეობის ალტერნატივით გვესაუბროს მის. თემანიშვილის დემოკრატიზმზე. მივაკეთებთ მის. თემანიშვილი ქართული დემოკრატიის ხიზანის ამის უფლებას თითქმის ის გარემოება, იძლევა, რომ მის. თემანიშვილის, დოკუმენტის სტატიის „იარაკი მეორის მეფობა“ მის მიერ მინაწირობის რესპუბლიკის მომხრედ გამოდის და რესპუბლიკის უპირატესობას აძლევს მონარქიასთან შედარებით.

ჩვენ უნდა შევნიშნავთ, რომ რესპუბლიკის მომხრეობა ზოგად ნიშნავს, რომ უფროდ დემოკრატი ბარ პოლიტიკაში, რესპუბლიკა არის

სახელმწიფო მმართველობის ისეთი ფორმა, როდესაც უმაღლესი ორგანოები (სახელმწიფო ძალა-უფლებების გარკვეულ ვადებში) მმართველია. რესპუბლიკური წყობა არ განსაზღვრავს სახელმწიფოს ტიპს. გაბატონებული პრივილეგიური კლასი აწყობს თავის პოლიტიკურ ბატონობას ამა თუ იმ უფლებრივ ფორმად, როდესაც ის იძულებულია ანგარიში გაუწიოს ისტორიულ ვითარებას, კლასობრივი ბრძოლების ვითარებას. ფეოდალურ საზოგადოებაში გაბატონებული კლასი ზოგჯერ რესპუბლიკის მომხრედ გამოდის, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ მას დემოკრატიული ტენდენციები დაებადა. ვინც რესპუბლიკის მომხრეა და მოითხოვს, რომ რესპუბლიკის უმაღლესი ორგანოები დემოკრატიის, ხალხის ხელში იყოს თავმოყრილი, ისაა დემოკრატი პოლიტიკაში, ის ეკუთვნის დემოკრატიზმის ხიზანს, ზოლო ის, ვინც რესპუბლიკის ემხრობა, მაგრამ სახელმწიფოს უმაღლეს ორგანოებს პრივილეგიური კლასების ხელში ტოვებს, არაა დემოკრატი. და იმ, გამოსაკვევია, რომელი რესპუბლიკის მომხრედ გამოდის მის. თემანიშვილი, — მშრომელთა დემოკრატიის თუ პრივილეგიური კლასების. თუ ეს გამოკვეთილი არ არის, მაშინ არავითარი საბუთი არა გვაქვს, ვამტკიცოთ, რომ მის. თემანიშვილი დემოკრატი პოლიტიკაშიც არც ერთ ქვეთიმყოფელს არ მოუვა აზრად, დემოკრატიულ გამოკვლავს ნოვგოროდის ფეოდალური რესპუბლიკის ბოიართა საბუთში მსხვილი მიწათმფლობელი ბოიარები. მართალია, მის. თემანიშვილი რომელია რესპუბლიკის აქტებს და მის მონარქიის უპირდაპირებს, მაგრამ ეს ხომ მონათმფლობელი არისტოკრატიული რესპუბლიკა იყო, რომლის დროსაც სახელმწიფოს უმაღლეს ორგანოებში მოკალათებულნი იყვნენ რაიის უმდიდრესი პატრიციები. პატრიციების ხელში იყო, გარდა სახელმწიფო ძალა-უფლებების ორგანოებისა, სასამართლო და, თუ ასეთ რესპუბლიკის ელტვის მის. თემანიშვილი, რომელშიც მშრომელთა ბატონობასთან კი არა გვაქვს საქმე, არამედ პრივილეგიური, მწავრული კლასების ბატონობასთან, რომელ მის დემოკრატიზმზე შეიძლება ლაპარაკი? ამრიგად, ვგელა ის საბუთი, რომლებიც მოტანილია დ. თემანიშვილის მიერ მიხედვით თემანიშვილის „მალაღი დემოკრატიზმის“ დასამტკიცებლად, პირიქით, გვეუბნება, რომ სწორედ ეს საბუთები ლაპარაკობენ მის, მიხედვით თემანიშვილის, სოციალ-პოლიტიკურ შეხედულებათა არადემოკრატიულ ხასიათზე.

ყალბად აქვს გავებული, აგრეთვე, მონოგრაფიის ავტორის მის. თემანიშვილის „სალაყო ფურცლებს“ არსა. არავითარი რადიკალიზმზე ამ ფურცლებსა ლაპარაკი არ შეიძლება, ეისი დაწერილიც არ უნდა იყოს ისინი. ფეოდალიზ-

შიდან ბურჟუაზიულ წყობაზე თანდათანობით გადასვლის მოთხოვნა, მემამულური მეურნეობის შეგუების მოთხოვნა ბურჟუაზიულ-განვიითარებასთან, რაც „სალაყბო ფურცლებსათვის“ დამატებასთან, უკეთეს შემთხვევაში არის მემამულური ლიბერალიზმი და არა რადიკალიზმი.

მონოგრაფიაში მოცემულია ყალბი გაგება ლიბერალიზმისა. ავტორი წერს, რომ ზომიერი ლიბერალიზმიც კი ძირფესვიანად განსხვავდება მემამულური იდეოლოგიისაგან. ასეთი შეხედულება ანტიმეცნიერულია და წინააღმდეგობაშია ლიბერალიზმის ლენინურ გაგებასთან, ლიბერალიზმის ერთადერთ სწორ, მეცნიერულ გაგებასთან, ლიბერალიზმი ბურჟუაზიული იდეოლოგია იყო, მასში ინტერესების დაცვას პოულობდა არა მშრომელი ხალხი, არამედ გაბატონებული კლასები და ამიტომ იგი „ძირფესვიანად“ დაპირდაპირებულია ყოველგვარ დემოკრატიულ-სოციალისტურ იდეოლოგიებთან და არა გაბატონებული კლასების სოციალ-პოლიტიკურ ინტერესებთან. მონოგრაფიის ავტორი არ ითვალისწინებს, რომ ლიბერალიზმს და დემოკრატიზმს სხვადასხვა კლასობრივი ფესვები აქვს, რომ ლიბერალიზმი არასოდეს არ იცავდა ქვეყნის განვითარების დემოკრატიულ ტენდენციას.

მონოგრაფიაში მტკიცედ აღებულია ყალბი ხაზი — მიხ. თუმანიშვილის იდეალიზაციას — ავტორი მიაყვას კერძოებაზე. ასეთ კერძოებას წარმოადგენს მიხ. თუმანიშვილის თვითმპყრობელობის დაუქინებელ მტრად გამოცემა და მისი წარმოდგენა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დამწყებად და დემოკრატიის ბელადად. ავტორს ავიწყდება, რომ არც ერთ საზოგადოებრივ მოღვაწეს, რომელსაც არათუ რადიკალური პოლიტიკური პროგრამა გააჩნდა, არამედ ლიბერალურ ოპოზიციაში ედგა ცარიზმს, მაღალი საზოგადოებრივ თანამდებობისათვის არ მიუღწევია ცარიზმის პი-

რობებში. ავტორი კი აღფრთოვანებით აღნიშნავს, რომ მიხ. თუმანიშვილმა „1874“ წელს მიიღწია მეფის ნაცვლის სასწავლებელის საბუკოს წევრობას და კი არ ითვალისწინებს იმას, თუ როგორი პოლიტიკური მსოფლმხედველობის კაცს შეეძლო და, ისიც არაბრუნს, გამხდარიყო კავკასიის უმაღლესი აღმინისტრაციის ერთ-ერთ საურდნობად. ახდენს რა მიხ. თუმანიშვილის ყოვლად გაუმართლებელ იდეალიზაციას, მონოგრაფიის ავტორი, მეორე მხრივ, ასევე უსაფუძვლოდ ჩრდილში იყენებს ჩვენი ქვეყნის პროგრესული და დემოკრატიული საზოგადოებრივი აზრისა და ლიტერატურის კორიფეებს. აქ იმასაც ვტყობილობთ, „საქართველოს მოამბე“ თურმე აშკარად ვერ გამოდიოდა სატონყმობის წინააღმდეგ.

უადგილობის გამო ჩვენ ვერ შევებებით ყველა იმ არასწორ მოსაზრებას და წინააღმდეგობას, რომლებშითაც ხასიათდება ეს მონოგრაფია.

აღსანიშნავია, აგრეთვე დაბალი თეორიული დონე შრომისა. განსაკუთრებით არადაამაყყოფილებადაა განხილული მიხეილ თუმანიშვილის კონფერენცია საზოგადოებრივი განვითარების შესახებ, პრიმიტიულიადაა ნაწვევები მიხეილ თუმანიშვილი როგორც თეატრალური კრიტიკოსი.

ეს ჩვენი შენიშვნები სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენ მიხეილ თუმანიშვილი არ მივგანჩია თავისი დროის პროგრესულ მოღვაწედ, რომ მისი მხატვრული ნაწარმოებნი და პუბლიცისტული ნაშრომები მოკლებული იყოს პროგრესულ სოციალურ მოტივებსა და იდეებს. მ. თუმანიშვილი გრძნობდა, რომ შეუძლებელია ქველ საწარმოთ ურთიერთობათა ხელუხლებლად დატოვება, მის ნაწერებში არის პატრიოტული ნაკადი. მაგრამ ყოველი პროგრესული და პატრიოტული ლიტერატურული და პუბლიცისტური ფაქტი დემოკრატიული ან რევოლუციური დემოკრატიული ხასიათის მხატვრული რელია.



# ნიკო ნიკოლაძე და თბილისის საქალაქო თვითმმართველობა

ნ. ნიკოლაძეს ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიაში ფრიად მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესწავლისათვის მიძღვნილია რამდენიმე მონოგრაფია (ს. ხუნდაძის, გ. ზაქარიაძის) და სტატია, მაგრამ მათში არ არის სათანადოდ გაშუქებული ნ. ნიკოლაძის შეხედულება თვითმმართველობაზე და მისი პრაქტიკული საქმიანობა თბილისის საქალაქო თვითმმართველობაში. ჩვენ გვინდა რამდენადმე შევეცხოთ არსებული ლიტერატურის ეს ხარვეზი, ფართო მკითხველი საზოგადოების წინაშე შეტი სისრულეთ წარმოვაჩინოთ ნ. ნიკოლაძე როგორც მენიციპალური მოღვაწე.

XIX ს-ის 60-იანი წლებისათვის კაპიტალიზმში განვითარების საქმად მაღალ დონეს აღწევს ეკონომიურად მომძლავრებული ბურჟუაზია, როგორც რუსეთის ცენტრალურ გუბერნიებში, ისე პერიფერიებში პოლიტიკურ უფლებებსაც მოითხოვდა. ცარიზმი იძულებული გახდა დამოთხაზე წასულიყო და ბურჟუაზიისათვის თავისი მოქმედების მთავარ სარბიელზე — ქალაქებში მიეწიებინა თვითმმართველობის უფლება. 1870 წლის საქალაქო დებულება, რომელიც თბილისში 1874 წლის ბოლოს გატარდა, ბურჟუაზიული ხასიათისა იყო. იგი აუქმებდა ქალაქის საზოგადოების წოდებრივ დაყოფას და საარჩევნო თანრიგებს საფუძვლად უდებდა არა მოქალაქეთა სოციალურ წარმოშობას, არამედ ეკონომიურ მდგომარეობას. თბილისის თვითმმართველობის მთავარ ფუნქციას შეადგენდა ხელისშეწყობა ბურჟუაზიის საეპრო-სამრეწველო საქმიანობისათვის და კომუნალური მეურნეობის ხელმძღვანელობა. უფრო შეზღუდული იყო თვითმმართველობის სარბიელი სახალხო განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის სფეროში. ქალაქის თვითმმართველობაზე დამყარებული იყო აღმინისტრაციის კონტროლი, რაც ფრთხლს აკეთებდა მის ინიციატივას. მიუხედავად ამისა, თვითმმართველური წყობილების პირობებში საქალაქო თვითმმართველობა პროგრესულ მოვლენას წარმოადგენდა. ამით ერთგვარად ილაგმებოდა სახელმწიფოს ბუროკრატიული აპარატის თვითნებობა, იქნებოდა პროგრესული

სული საზოგადოებრივი ძალების მოქმედების ასპარეზი.

მოსახლეობის ეკონომიური კატეგორიების შესაბამისად თბილისში ჩამოყალიბდა სამი თანრიგი, სამი საარჩევნო კრება. პირველ თანრიგში შედიოდნენ მსხვილი მესაქეოთრენი (სახლმფლობელები და ეპარ-მრეწველები), მეორეში — საშუალო შეძლების მოქალაქენი, მესამეში — წერილი მესაქეოთრენი. არჩევნებში მონაწილეობდა ქალაქის მოსახლეობის 3-4% მხოლოდ. შშრომული მოსახლეობა მოკლებული იყო საარჩევნო უფლებას და ამდენად ქალაქის თვითმმართველობაში მონაწილეობის შესაძლებლობასაც. დებულების შესაბამისად თბილისში ყალიბდებოდა 72 ხმოსნისაგან შემდგარი საქალაქო სათათბირო და სათათბიროს წინაშე პასუხისმგებელი და ინვარიშვალდებული გამგეობა, რომელსაც ეკისრებოდა აღმსარებელი ფუნქციები, ქალაქისთვის და გამგეობის წევრებს (3 კაცი) ირჩევდნენ სათათბიროს ხმოსნები.

1875 წელს ქალაქისათვის არჩეულ იქნა დ. უფიანი, გამგეობის წევრებად — შ. დოლუხანოვი, ა. მატინოვი და პ. ალხაზოვი. ქალაქის მდიანად 1876 წლის დეკემბერში მოწვეულ იქნა პ. იზმაილოვი. 1875 — 1878 წლები თბილისის საქალაქო თვითმმართველობის ისტორიაში იყო გარდამავალი პერიოდი. ამ დროს ხდებოდა საქალაქო მმართველობის ძველი ფორმების გაუქმება და ახლის შემოღება. ხდებოდა თბილისის თვითმმართველობის თვითორგანიზაცია. ამ პერიოდში, ვ. თუმანიშვილის ვაჟმთავრობით, თბილისის საქალაქო სათათბიროში ჩამოყალიბდა ორი მიმართულება. პირველ მიმართულებას, რომელსაც ვ. თუმანიშვილი ახიურს უწოდებს, ტონს აძლევდნენ ძველი ყალიბის ეპარები, ზოლო მეორე, ევროპული მიმართულებას — ახლგაზრდა მოხელეები, მრეწველები, ექიმები, ინჟინრები და სხვ. ძველი ყალიბის ეპარები ებღუდებოდნენ ძველს, მათ ამინებდათ სახალის შეტანა ქალაქის მმართველობის ფორმებსა და კომუნალური მეურნეობის ხელმძღვანელობის მეთოდებში. ევროპული მიმართულების ხმოსნები კი მოითხოვდნენ მნიშვნელოვანი ღონისძიებების ჩატარე-

ბას ქალაქის კეთილმოწყობის ამაღლებისათვის. 1875—1878 წლებში ამ ორ მიმართულებას შორის ერთგვარი წინასწარობა არსებობდა.

თბილისის პრესა დიდ ადგილს უთმობდა საქალაქო თვითმმართველობის საქმიანობის განხილვას. (წიგნიანვე პირები მოითხოვდნენ სათათბიროს გადახალისებას, მის შემადგენლობაში პროგრესული და დემოკრატიული პირების შეყვანას. მათ იმედი ჰქონდათ, რომ საარჩევნო აგტაციითა და ახალი არჩევნებით შეცვლდნენ სათათბიროს ბურჟუაზიული წევრები, ვაიყვანდნენ იქ ღარიბთა ინტერესების გამომხატველ ხმონებს.)

1878 წლის არჩევნებმა არ გამართლა პროგრესული ინტელიგენციის მოლოდინი. სათათბიროს შემადგენლობაში არსებითი ცვლილება არ მოხდარა. მაგრამ მესამე თანრიგის ამომრჩევლებმა სათათბიროში ვაიყვანეს რამდენიმე პროგრესულად მოაზროვნე ინტელიგენტიც. მათ შორის თბილისის მოწინავე საზოგადოება დიდი სიხარულით შეხვდა სათათბიროს შემადგენლობაში თბილისის ცნობილი გაზეთების „ოპზორის“, „დროების“ და „ტიფლისი კესტნივის“ ს რედაქტორთა ნ. ნიკოლაძის, ს. მესხის და კ. ბებუთოვის არჩევას (დროება, 1878 წ. № 262). სათათბიროში ჩამოყალიბდა მემარცხენე ფრთა, რომლის წარმომადგენლებმა ბევრი მნიშვნელოვანი საკითხი აღმარეს და გააფართოვეს საზოგადოებრივ საქმეთა მსმტაბი.

პროგრესული ინტელიგენცია მეტს მოითხოვდა ქალაქის თვითმმართველობისაგან, რეაქციონერებმა კი ღვარძლიანად მიუთითებდნენ თვითმმართველობის მუშაობის სუსტ მხარეებზე და ბუყებდნენ მას თვითმმართველობის იდეის საბელის გატეხისათვის. ისინი მარჯვნიდან აკრიტიკებდნენ თბილისის საზოგადოებრივ მმართველობას, აცხადებდნენ, რომ ქალაქის მეურნეობის მოწესრიგების საქმეში მეტო და უკუთესი როლის შესრულება შეუძლია მთავრობის ადმინისტრაციას, ვიდრე თვითმმართველობას.

(ქალაქის თვითმმართველობა რეაქციონერთა თვალსაზრისიდან დაიკა ნ. ნიკოლაძემ. „ტური-დინესკოე ობოზრენიეს“ პუბლიცისტებთან კამათის დროს ნ. ნიკოლაძე პირველ რიგში თვითმმართველობის სუსტ მხარეებზე მიუთითებდა, მაგრამ ამის მიხეზად აცხადებდა შეფის მთავრობას და არსებულ კანონმდებლობას. ზოგს ჰკონია — აღნიშნავდა ნ. ნიკოლაძე, — რომ თვითმმართველობა თვითმმართველობისათვისაა დაწესებული. სინამდვილეში იგი მოწყობილია უმთავრესად წმინდა ადმინისტრაციული მიზნით და მას ითმენენ, როგორც მთავრობის ადმინისტრაციული აპარატის დამატებას და დამხმარე ორგანოს. ბევრმა არ იცის, რომ

ქალაქის შემოსავლის დიდი ნაწილი ეტყილებლად უნდა დიხზარჯოს ჯარის, პოლიციის, საბურობილისა და სხვა საჭიროებებისათვის. საილესტრაციად ნ. ნიკოლაძე მიმართავს კონკრეტულ ფაქტებს: 1875 წელს ქალაქის პოლიციის შენახვისათვის დიხზარჯა 50.000 მან. (ბიუჯეტის 17%), ჯარებისათვის ბინების დასაჭირებლად — 90.843 მან. (31.08%), სხვადასხვა სახაზინო დაწესებულებებზე — 8.297 მან. (2,83%), საკუბერნიო საბურობილაზე — 4.365 მანეთი. ამასთან ერთად უნდა აღინიშნოს, რომ შენახვა თვითმმართველობის აპარატისა, რომელიც მოწყობილია ზემოხსენებული თანხის აკრფვა — განაწილებისათვის, დაუჯდა ქალაქისათვის შემოსავლის 15,76%. ამგვარად, მთავრობის ადმინისტრაციისა და თვითმმართველობის აპარატის შენახვაზე დიხზარჯა ქალაქის შემოსავლის 72,19%, ქალაქის კეთილმოწყობის, სანიტარული პირობების დაცვის, განათლებისა და სხვა საჭიროებათა დაკმაყოფილებისათვის დარჩა მხოლოდ შემოსავლის 27,81%.

საქალაქო დებულებაში — განაგრძობს ნ. ნიკოლაძე — პირდაპირაა აღნიშნული თვითმმართველობის აუცილებელი ვალდებულებაანი (პოლიციის საბურობილის, ჯარის ბინებისათვის საჭირო თანხა და სხვ.), ქალაქის კეთილმოწყობისათვის გადადებული თანხა კი გამოცხადებულია არა აუცილებელი ხარჯებად. სათათბირო და გამკვობა ცდილობენ შეამცირონ ეს აუცილებელი ხარჯები, მაგრამ ამ მხრე არსებითი ცვლილება ჯერ არ ჩანს. 1881 წლის ბიუჯეტით აუცილებელი ხარჯები შეადგენს საგასავლო ბიუჯეტის 68,30%.

გათემე ერთხელ განაცხადა — ციერები არ მართავენ მსოფლიოს, მაგრამ გვიჩვენებენ, კარგად თუ ცუდად მართვენ მას. ამ თვალსაზრისით ზემოაღნიშნული ციერები ცხადყობს, რომ ჩვენი თვითმმართველობის ბიუჯეტისა და მოღვაწეთა შრომის ორი მესამედი მიღის არა ქალაქის კეთილმოწყობაზე, არამედ იხარჯება ადმინისტრაციის საჭიროებისათვის.

მიუთითებდა რა საქალაქო თვითმმართველობის ნაკლავანებათა ობიექტურ მიზეზებზე, ნ. ნიკოლაძე იცავდა თვითმმართველობის იდეას. მემარჯვენე კრიტიკოსთა საუკრადლებოდ იგი წერდა: ზოგიერთი პირი თავს ესხმის თვითმმართველობის პრინციპს, ცდილობენ მოხადინონ ამ პრინციპის დისკრეტრიაცია. მე ვფიქრობ, რომ მთელი ჩვენი მომავალი მღვობარეობს ამ პრინციპის განვითარებასა და სრულყოფაში და როცა მას მოსახლეობის თვალში უსამართლოდ სვრინა, ჩემს პირდაპირ მოვალეობად მიმანია თვითმმართველობის პრინციპის დაცვა. მე არ ვეკუთენი ამ პირთა რიცხვს — განაგრძობს ნ. ნიკოლაძე — რომელნიც ფიქრობდნენ, რომ საქალაქო და საერობო

თვითმმართველობის გატარებით დამყარდებოდა ჩვენთან საქათ სამოთხე და მოშუშებული იქნებოდა ყველა საზოგადოებრივი წყალი.

ჩვენთან ძალიან დიდ იმედს ამყარებდნენ თვითმმართველობაზე. რაკი ეს იმედს არ ვამარბოდა ბევრი უსაფუძვლო ველატეხილობაში ჩაყარდა, ზოგი კი აღაპარკდა ძველისაყენ დაბრუნების, აღმინისტრაციის ჩარევის საქარობასა და აუცილებლობაზე

ამგვარად, ნ. ნიკოლაძე კარგად ამჩნევდა საქალაქო თვითმმართველობის ნაკლოვანებებს, მაგრამ ნაკლოვანებებისათვის თვითმმართველობის უარყოფა და პოლიციური მმართველობისაკენ დაბრუნება, რასაც რეაქციონერები მოითხოვდნენ, დიდ ბოროტებად, პროგრესის დაღატად მიანიხი. ნ. ნიკოლაძის მთელი მუნიციპალური მოღვაწეობა იქითკენ იყო მიმართული, რომ ხელი შეეწყო „თვითმმართველობის პრინციპის განვითარებისათვის“, საერთოდ, თბილისის საქალაქო თვითმმართველობის მუშაობის გაუმჯობესებისათვის, კერძოდ, რადგან „ასრულყოფილი თვითმმართველობა“ მიანიხიდა უწყობის მომავლის საწინდარად.)

ყოველ კონკრეტულ ვითარებაში ნ. ნიკოლაძე ზემოთ დასახელებული მიზანდასახელების შესაბამისად მოქმედებდა. სათათბიროს სხდომებზე იგი ამჟამად გამოთქვამდა უპაუოფილებას, მკაცრად აკრიტიკებდა კავკასიის აღმინისტრაციას, რომელიც გადამტეხებული კონტროლით და დიდი ფულადი ვალდებულებების დაკისრებით აფერხებდა თბილისის საქალაქო თვითმმართველობის საქმიანობას. ამ კრიტიკული გამოსვლებისათვის ნ. ნიკოლაძეს რამდენიმე ხნით სტავროპოლში გადასახლება მიესაჯა. კ. ბებუთოვმა ქალაქის სათათბიროში წინადადება შეიტანა აღუქრათ შემთხვევითი მფედისნაცვლის წინაშე, რათა მას ეპატიებინა ნ. ნიკოლაძისათვის დანაშაული. მაგრამ ამ წინადადებას მხარი დაუჭირა მხოლოდ სამშა მისთანმა. სხვებმა ვერ გაბედეს მფედისნაცვლის შეწუხება (დროება, 1880 წ. № 202).

ნ. ნიკოლაძე კარგად ხედავდა, რომ თბილისის საქალაქო სათათბიროში მსხვილი და საშუალო შეძლების ბურჟუაზია იყო გაბატონებული, რომელიც თავის კლასობრივი ინტერესების შესაბამის პოლიტიკას ატარებდა. თვითმმართველობის ორგანოებში პროგრესული ელემენტების გაძლიერება და თვითმმართველობის აშაღლება ქალაქის მოსახლეობის საერთო ინტერესების დონემდე ნ. ნიკოლაძის მთავარ მიზანს შეადგენდა. ერთ-ერთ წერილში ნ. ნიკოლაძე აღნიშნავდა: თბილისში მტკაღ ძლიერი არიან კონსერვატორული ელემენტები. ისიც ცნობილია, რომ საქალაქო დაბუნება თითქმის ყოველგვარ უფლებას აძლევს მხოლოდ მსხვილ მესაკუთრებს და კაპიტალისტებს. ასეთ პირობებს უმეტესწილად არა აქვთ

მიღებული არავითარი აღზრდა-განათლება, სიმდიდრე დაგროვილი აქვთ საეკერო და კომარიადული ოპერაციებით. სათათბიროში კი მათ არაფრის გაკეთება არ შეუძლიათ. ასეთი ინტერტული ხმონები 1875—1878 წლების სათათბიროში უმრავლესობას შეადგენდნენ. 1879 წლიდან მათი რიცხვი რამდენიმე შემცირდა, მაგრამ ვაქარ-მრეწველებს ყოველთვის შეუძლიათ საქირთ შემთხვევაში უმრავლესობის შექმნა. ეს კი არაბუნსაყრელია ქალაქის მოსახლეობის უმრავლესობისათვის. 1879 წლიდან სათათბიროს შემადგენლობაში გასული პროგრესული ინტელიგენცია უბირველესი მიზანი იყო სათათბიროს რეაქციული უმრავლესობისათვის ფრთების შეკეცვა და ისეთი გამგეობის შექმნა, რომელიც განახორციელებდა სათათბიროს პროგრესული უმცირესობის მიერ შემუშავებულ პროგრამას

სათათბიროს შემარცხენე-პროგრესულმა ფრთამ ნ. ნიკოლაძის ხელმძღვანელობით რამდენიმე განახორციელა ზემოთ აღნიშნული მიზანი. თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანო გამგეობა ხშირ შემთხვევაში მეზარხენე ელემენტების ეყრდნობოდა და მისი მხარდაჭერით ახორციელებდა შედარებით ფართო საზოგადოებრივ სამუშაოებს. 1879—1890 წლებში აგებულ იქნა მნაკიანოვისა და ვერის ხიდები, აკვლიდან თბილისში გამოვანილ იქნა წყალსადენი, ამუშავდა ცხენის ტრამვაი (კონკა), ამწანდა მუნიციპალური სასახლე ერევნის მოღვაწე, მოციორწყლა თბილისის ბევრი ქუჩა და სხვ.

საქალაქო თვითმმართველობა თანდათან მეტროს ასრულებდა თბილისის ცხოვრებაში. მოსახლეობა მზარდობდა ინტერესით ადევნებდა თავის მის საქმიანობას. თბილისის თვითმმართველობის წონისა და გავლენის ზრდის პარალელურად თანდათან მწვაედებოდა წინააღმდეგობა ბურჟუაზიის სხვადასხვა ფენებს შორის. ბრძოლაში აქტიურად ეზებოდა თბილისის პროგრესული ინტელიგენცია, რომელიც მოსახლეობის შედარებით ფართო ფენების ინტერესებს გამოსატყავდა. ბრძოლის მიზანი ამ კონკრეტულ შემთხვევაში თბილისის საქალაქო თვითმმართველობაში გაბატონებული მდგომარეობის მოპოვება, ან შესაფერისი ადგილის დაკავება იყო.

1890 წლის წინასწარჩერვა კამპანიის დროს პარტიების ბრძოლამ ნაციონალური ელფერი მიიღო. გამგეობის პარტიამ პ. იშმალოვის პირით თავი მთელი სომეხი ერის ინტერესების დამცველად გამოაცხადა და მოუწოდა თბილისელ ცენზონ სომეხებს ხმა მიეცათ ამ პარტიის მიერ წამოყენებული კანდიდატებისათვის. შემარცხენე ოპოზიციის ლიდერებმაც შესაფერისად მოიმარჯვეს ბრძოლის ეს-მეთოდი და სცადეს ქართველ ამომარჩეველთა დარაზმვა.

პირველ ორი თანრიგის ამომრჩეველებმა ძირითადად ხმა მისცეს ღვორციეო ნომრებისა და გამგეობის პარტიის მიერ წამოყენებულ კანდიდატებს. განსაკუთრებით მწვავედ ჩატარდა არჩევნები მესამე თანრიგში, რომელშიც გაერთიანებული იყო ამომრჩეველთა 9/10 თუ რომელი პარტია სარგებლობდა ამომრჩეველთა მხარეში მტერი ნდობით და ვაგუნით, ეს ყველაზე უფრო ცხადად მესამე თანრიგის არჩევნების დროს უნდა გამოვლავნებულიყო. მიუხედავად იმისა, რომ გამგეობის პარტია თავის მოსამსახურეთა დახმარებით დიდ საფიტიაციო მუშაობას ეწეოდა, ხოლო ოპოზიციურ ელემენტებს ორგანიზებული ავტოციის წარმოების საშუალება არ ჰქონდათ, მესამე თანრიგის არჩევნებში შემარცხენე ოპოზიციამ გაიმარჯვა.

1890 წლის ბოლოს არჩეული საქალაქო სათათბირო თავისი შემადგენლობით მრავალპარტიული იყო, რის გამო სხდომებზე ცხარე კამათი იმართებოდა ზოლზე. ზოგიერთ პარსკამათი საქმისათვის საზარალოდ მიანდა და ამჟობინებდა ერთპარტიულ სათათბიროს. ასეთ კრიტიკოსებს შესაფერისი პასუხი გასცა სათათბიროს შემარცხენე ფრთის ერთ-ერთმა ლიდერმა ნ. ნიკოლაძემ.

ჭალაქის თვითმმართველობაში პროგრესული და დემოკრატიული ელემენტების გაძლიერება იმდენ აძლეოდა, რომ უახლოეს მომავალში გაიშლებოდა შედარებით ფართო საზოგადოებრივი სამუშაოები, ვაუჭარბესდებოდა თბილისის კომუნალური მეურნეობა და ამდენად საქალაქთა მდგომარეობაც. მაგრამ 1892 წლის ახალმა საქალაქო დებულებამ ფრთა შეაყვეცა პროგრესული ელემენტებს და ჭალაქის თვითმმართველობა თითქმის განუყოფლად ხელთ ჩაუვდო ვაჰარამიწველებსა და მსხვილ მესაკუთრებს.

1892 წლის დებულების გატარების შემდეგ პრობოლა თბილისის ბურჟუაზიის სხვადასხვა ფენებს შორის საქალაქო თვითმმართველობაში გაბატონებისათვის კიდევ უფრო გამწვავდა. სომხური მსხვილი ბურჟუაზიის პარტიის ვარდა 1893 წლის წინასაარჩევნო კამპანიის დროს საპოლიტიკო ასპარეზე გამოვიდა ახალგაზრდა სომხეთა პარტია, რომელიც გამოხატავდა თბილისის სომხები საზოგადოების მოწინავე ნაწილის ინტერესებს. ახალგაზრდა სომხები წინააღმდეგი იყვნენ ნაციონალური განკერძოებულობისა და მოთხოვნდნენ თბილისის თვითმმართველობაში ყველა ეროვნების წარმომადგენელთა შეთანხმებულ მუშაობას.

სომხური მსხვილი ბურჟუაზიული პარტიის წარმომადგენლები ოპოზიციის ლიდერთა წინააღმდეგ ცილისწამებისაც კი მიმართავდნენ. მათ ვაერცელეს ხმები ნ. ნიკოლაძის შესახებ თითქმის იგი თბილისელ სომხებს ამოწყვეტის ემუქრება თუ ისინი ხმა არ მისცემენ ხმოს-

ნობის ქართულ კანდიდატებს. „მე იქამდე არ დავმზალებები — წერდა სამსუბრდ ნ. ნიკოლაძე. — რომ დავიწყო ასეთი სტრუქტურის ცილისწამების უარყოფა. მხოლოდ ადრინდევ, რომ ჩვენს მიზანს შეადგენს ჩვენი მხარის ყველა მეგობართა გაერთიანება განუჩრეველდ რწმენისა და ერთგუნების საერთო შრომაში გაეკასიის მოსახლეობის მატერიალური, გონებრივი, ზნეობრივი აღმავლობისა და კეთილდღეობისათვის.

მტიციება იმისა, რომ „სტაროუბრაველები“ (სომხური მსხვილი ბურჟუაზიის პარტია-ა. ბ.) გამოხატავენ მთელი სომხები ერის ინტერესებს, არის უსუსური გამოთვანი. თვით სომხეთა დიდი ნაწილი უემაყოფილო ამ პარტიის საქმიანობით.“

პროგრესული ძალების გაერთიანება არ მოხერხდა. რუს-ქართულთა და სომხეთა ოპოზიციური ელემენტები საერთო პროგრამის საფუძველზე ვერ გაერთიანდნენ. ისინი ცალცალკე ჩაებნენ ძლიერ მოწინააღმდეგესთან ბრძოლაში. 1893 წლის 30 მაისს არჩევნები მწვავე ეთაარებაში ჩატარდა. სომხები ცენზიონება, რომლებიც ამომრჩეველთა მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენენ ძირითადად ბურჟუაზიულ პარტიას გაყვნენ და გამოიხივნეს ნაციონალური განკერძოებულობა. მათ გააშავეს გამოიხინილი ქართველი საზოგადო მოღვაწეები. არჩეულმა ქართველმა ხმოსნებმა პროტესტის ნიშნად დატოვეს სათათბიროს დარბაზი. ჩამოყალიბდა ერთპარტიული სათათბირო. იქ სომხური ბურჟუაზია თითქმის განუყოფლად გაბატონდა.

1893 წლის არჩევნების დეტალურ ანალიზს ნ. ნიკოლაძემ მიუძღვნა ვრცელი წერილი — „შარშანდელი ჭალაქის არჩევნები“. რომელიც დაიბეჭდა ეტრნალ „მოამზემი“. წერილი ნ. ნიკოლაძე აკრიტიკებს არა მარტო სომხური ბურჟუაზიული პარტიის ნაციონალისტურ პოლიტიკას, არამედ მოუთითებს ოპოზიციური ელემენტების მუშაობის ნაკოვანებებზეც. იქ ნათქვამია: „სომხებს ჩვენი ზნეობრივი ვალი ადევთო“, ამ იმედით დიაც იყო, ის ალბთ იესწყებდა, რომ ჩვენს ღირსი „ისპოლიტიკური ინტოსაც“ გასაქრთია ვალის ვადაბდვიენება, არა თუ ისტორიული საბუთებოთ... სამდურავი ექ უადვილოა საზოგადო და საერთო საქმეების სჯაში და საზოგადოთ პოლიტიკაში — წმინდა ბაეშობაა ამისთანა მტკნარ გრძნობაზე საქმის დამყარება... სომხობის საბუთი უფლება აქვს ისე მოიქცეს, როგორც თავისთვის უეეთესად დაინახავს“. მაგრამ სხვა საქმეა — მიუთითებს ნ. ნიკოლაძე — თუ რამდენად სსასარგებლო იყო მისთვის შარშანდელი არჩევნების დროს სომხებ ცენზიანთა მიერ დაკავებული პოზიცია. იჭვე ნ. ნიკოლაძე აბტკიცებს, რომ ნაციონალური განკერძოებულო-

ბის პოლიტიკა საზარალთა საერთო საქმისათვის და ამდენად თვით სომეხთათვისაც, რადგან საერთო საზოგადოებრივი საქმის წარმატებაზეა დამოკიდებული სომეხთა კეთილდღეობაც. მომქმედი კანონმდებლობა — აღნიშნავს წერილის ავტორი — ქალაქის თვითმმართველობაში უპირატესობას აძლევს მდიდარ მოქალაქეებს, მათ შორის კი უპირატესობა სომეხთა. თვით ეს უპირატესობა ავალებდა სომეხებს წინდახედულად მოქცეულიყვნენ. მათ „მოხერხებულნი“ კაცის ნაცვლად შორსგამჭვრეტელი მეთაური რომ პულოდათ, შესძლებდნენ უპირატესობის შენარჩუნებას და თანაც რუსებთან, ქართველებთან და სხვ. მიმართ კეთილგანწყობილად გაზოიხენდნენ თავს. „ამას ჰქვია და ანგარიშის შერი და თან მადისა და სიხარბის ილაგვისის შერი რაღი რამე უნდოდა. ამ პოლიტიკას უკადგებდა იმათ სომეხების ახალი თაობა და თვით ძველ თაობის განუთი „არადაგანიკი“. თბილისის სომეხი საზოგადოება (ლაპარაკია ცენზიან სომეხებზეა. ბ.) მართლა გონება გასწილი რომ ყოფილიყო იგი სომეხ ახალგაზრდათა პარტიის გაუყვებოდა. მაგრამ — განაგრძობს ნ. ნიკოლაძე — უპირატესობა გააკეთა ვნებითა და სიხარბით დამარჯვებულ წინამძღვრებს. „შეიქნა საშინელი რასარბები ეცნებინა, დიუნება ოციოდე ქართველი ხმოსნის ანდიდარტურა და საბოლოოდ ორმოცდაათი სომეხის მთავარი სპეკული სამოცი სომეხი შევიდა.“ (მოამბე, 1894 წ. № 1, განყ. 11, გვ. 126-143). ✓

1893 წლის არჩევნებში დამარცხების მთავარ მიზეზად ნ. ნიკოლაძე თვით შემარცხენე ოპოზიციის შეცდომებს და მისი მუშაობის ნაკლებანებებს თვლიდა.

1893—1897 წლებში თბილისის თვითმმართველობა მოქმედებდა როგორც მსხვილი ბურჟუაზიის კლასობრივი ბატონობის ორგანო. ბუნებრივია, ეს იწვევდა თბილისის მოსახლეობას სხვა სოციალური ფენების უკმაყოფილებას. გასსმის 1892 წლის საქალაქო დებულების კრიტიკა, იდგენენ გვეგებს, რათა როგორმე შემოიღებინათ კანონმდებლობას და თვითმმართველობისაკენ გზა გაეწვადონ თბილისის მოსახლეობის დამად ფენებს. სწორედ ამ მიზნით ნ. ნიკოლაძემ 1893 წელს წამოაყენა თეორია სათათბიროში პროპორციულ ნაციონალურ წარმომადგენლობათა შესახებ. პროპორციულ თანამშეფარდებას საფუძვლად უნდა დაედებოდა არა ცენზიანი მოქალაქენი მხოლოდ, არამედ თბილისის მთელი მოსახლეობა. ნ. ნიკოლაძემ ეს თეორია უფრო დეტალური ფორმით კვლავ წამოაყენა 1899 წელს. მან მოითხოვა საარჩევნო სისტემის შეცვლა იმ მიმართულებით, რომ ყოველ ეროვნებას მისცემოდა უფლება თბილისის საქალაქო სათათბიროში აერჩია ზმონისათა იმდენი პროცენტი ქალაქის მოსახლეობისა, რამდენ პროცენტსაც ის შეადგენდა. ასეთი

საარჩევნო სისტემის პირობებში თავისთავად შეუსრულებოდა ბურჟუაზიის მიერ ხელყოფილად გაღვივებული ნაციონალური წინამძღვრებანი, ყველა ერის წარმომადგენლებს შესაფერისად ადგილი მიეცემოდა სათათბიროში და შეიქმნებოდა თვითმმართველობის ორგანოებში შეთანხმებული მუშაობის შესაძლებლობა. ნ. ნიკოლაძე იმედოვნებდა, რომ ახალი საარჩევნო სისტემა თვითმმართველობისაკენ გზას გაუხსნიდა ინტელიგენციასაც.

ნ. ნიკოლაძის აღნიშნული თეორია ვერ თავსდებოდა მოქმედი კანონმდებლობის ჩარჩოებში და, ბუნებრივია, იგი არ იქნა მიღებული. ნ. ნიკოლაძეს არ შეეძლო არ შეეშინია, რომ საქალაქო თვითმმართველობის მუშაობის ნაკლებანებების მიზეზი საძიებელი იყო მეფის ზოგადობის კანონმდებლობაში. ჯერ კიდევ 1878 წელს მან გაილაშქრა ქონებრივი ცენზის წინამძღვრად და მოითხოვა საყოველთაო საარჩევნო უფლებების შემოღება.

ყალბიანიშნა, რომ ნ. ნიკოლაძეს არ აკმაყოფილებდა 1870 წლის დებულების საფუძველზე მოწყობილი თვითმმართველობა. ბუნებრივია, პროგრესულ ინტელიგენციას იგი გაიკლავდა მერ გულისწყრომას იწვევდა 1892 წლის რეაქციული საქალაქო დებულება, რომელიც მნიშვნელოვნად კეცვდა თვითმმართველობის უფლებებს და მოქმედების სფეროს. ნ. ნიკოლაძემ კარგად შეამჩნია, რომ 1890-იან წლებში საქალაქო თვითმმართველობები კრიზისის განიცდიდნენ. ამ მხრივ ფრიად საყურადღებოა მისი წერა „Органические пороки городского самоуправления“, რომელშიც მითითებულია ამ კრიზისის გამომწვევი მთავარ მიზეზებზე და წამოყენებულია — ავტორის აზრით — რადიკალური ღონისძიებანი პრობლემის გადასაწყვეტად.

დადგა დრო — წერდა ნ. ნიკოლაძე აღნიშნულ წერილში, — როცა თვით თბილისის თვითმმართველობის ახლანდელი წარმომადგენლებმა აღიარეს, რომ მათ არ შეუძლიათ გამართლონ მოსახლეობის იმედი და შეასრულონ ხელმძღვანელთა მიერ ნაკისრი ვალდებულებანი, რადგან თვითმმართველობას არა აქვს სამოქმედო პროგრამა და არც მოწოდების სიმაღლეზე მდგარი ხელმძღვანელთა ჰეაჯერ მაგრამ მათ ვერ გაუგვიათ — განაგრძობს ნ. ნიკოლაძე, — რომ ბოროტების წყარო და წარუმატებლობის მიზეზი არ შიისსნება, ვიდრე არსებობს ახლანდელი „საქალაქო დებულება“. არა მარტო შაეი მასის, არამედ ინტელიგენციისთვისაც არ შეიძლება უარყოფითად არ ასახდელიყო „საზოგადოებრივი მეურნეობის“ წარმართის მეთოდებზე.

1879 წლის 5 ნოემბერს ზმონისა ნ. ნიკოლაძემ სათათბიროში შეიტანა წინადადება აღიარებულ შემადგომლობა მთავრობის წინაშე, რათა

შას თბილისის თვითმმართველობისათვის მიეცა ნება მოეხდინა გოგირდის აბანოების გამოსყიდვა და აბანოებისაკენ ვასაყვანი ფაქტო ქრისათვის მიწის ზოლის ექსპროპრიაცია. სათათბირომ უარყო ეს წინადადება.

1884 წელს ზემოხსენებული წინადადება ნ. ნიკოლაძემ წინასწარი პროექტის სახით წარადგინა სათათბიროში. სათათბიროს 19 ნომერის სბლომაზე მან განაცხადა: თბილისის გეონომიური მნიშვნელობის გაზრდისათვის საჭიროა მეტი ყურადღება მიექცეს მისი ბუნებრივი სიმდიდრეების რაციონალურ გამოყენებას. ამ შერეე კი შთაჯარა გოგირდის აბანოები. ამჟამად ეს აბანოები გაფანტულა მრავალ კერძო პირთა შორის. მათ ექსპლოატაციის გამუჯობებისა და კეთილმოწყობისათვის აუცილებელია აბანოების თავმოყრა ერთ ძლიერ ხელში. აბანოები უნდა გადაიქცეს სახელმწიფოს, ქალაქის, ან კერძო კომპანიის საკუთრებად. არჩევანი სათათბიროს ეკუთვნის. გამოსყიდვა უნდა მოხდეს იმ რენტის საფუძველზე, რასაც იღებენ მფლობელები აბანოების საიჯარო ჭირის სახით, ან ამ რენტის წარმოების აქტივებში კაპიტალიზაციის გზით. დამწიფებელი ფინანსირ-ტექნიკურ პროექტს ნ. ნიკოლაძე არ აყენებდა. იგი წინადადებას აძლევდა სათათბიროს გამოყოფ კომისია საკითხის დეტალურად შესასწავლად.

ნ. ნიკოლაძის მიერ წამოყენებულმა გრანდიოზულმა პროექტმა დააფრთხო თბილისის სათათბიროს ხმოსნები. გამოყოფილი კომისია ფორმალურად არსებობდა. აბანოებისა და მიწის ზოლის მფლობელებმა უარი თქვეს თავიანთი საკუთრების გასაღებისაზე. მსხვილ მესაკუთრეთა დამკველმა საქალაქო თვითმმართველობამ, რა თქმა უნდა, მათ წინააღმდეგ არ გამოიყენა იძულებითი ზომა. ნ. ნიკოლაძის პროექტი ვანუხორციელდება დარჩა.

აღნიშნული პროექტი თბილისის საზოგადოებრიობამ 1916 წელსაც გაიხსენა. საკითხს თვით ნიკოლაძემ გამოეხმაურა. საგაზეთო წერილში იგი აღნიშნავდა, რომ ძველ თბილისში იმ დროს იყო მხოლოდ ქოხმსახები რომელთა გამოსყიდვა ქალაქს ძვირი როდი დაუჯდებოდა. ეს იღვდა წავიდი უბნები ქალაქს — ჩემი გვემით — უნდა შევშყო ფაქტო სწორი ბუღვარით, საყერბით, პარკით, აბანოები კურორტად გქცია, ბოტანიკურ ბაღთან შეერთებინა, და რაკ თავისუფალი მიწა დაარბობდა უნდა დაეკრა და გაეყიდა ახალი მღაზიების, სასტუმროების და სადგომების ასაშენებლად. ამასობაში... მიწის ფასი ქალაქში აწვედა, რის გამო დანახარჯი ფული ქალაქს ერთთა ორად ეზღვეოდა.

არც ფუქი ფანტაზია გახლდათ ეს ზომა. ეუროპის ყველა ძველი ქალაქი ამგვარივე შიხრებებით განაზღდა. ამ განახლებინ წაწინა — გულისტრევილით შენიშნავს ნ. ნიკოლაძე — ვერ ისარგებლა თბილისის თვითმმართველობამ. ჩემი წინადადება დარჩა ხმად მალაღმდეგისა უღამნოსა შინა“ („სამშობლო“, 1916 წ. № 425, გვ. 2).

ნ. ნიკოლაძე აკრიტიკებდა ბურჟუაზიული შემადგენლობის საქალაქო სათათბიროს კლასობრივ პოლიტიკას. იგი მოსახლეობის ფაქტო ფენების ინტერესთა დამკველად გამოდიოდა, იზარდა საყოველთაო საარჩევნო სისტემის შემოღებისა და თვითმმართველობის დემოკრატიზაციისათვის, მოითხოვდა სათათბიროში პროგრესული ინტელიგენტური ელემენტების გაძლიერებას. მაგრამ თავისი იდეურ პოლიტიკურ პროგრამით ნ. ნიკოლაძე თითქმის არ სცილდებოდა ბურჟუაზიული დემოკრატიის ჩარსობებს.

ნ. ნიკოლაძე, როგორც თვითმმართველობის პრაქტიკოსი მუშაკი, წინააღმდეგი იყო ქალაქის მეურნეობის საკონცესიო-საიჯარო პრინციპზე მოწყობა-მართვისა. მისი აზრით, ეს საქმე უშუალოდ ხელთ უნდა აეღო თვითმმართველობას საქალაქო თვითმმართველობას უნდა გამოეყიდა კერძო პირებისაგან საზოგადოებრივ ხასიათის დაწესებულებანი, მოეხდინა ამ დაწესებულებათა მუნიციპალიზაცია და კეთილსინდისიერად მომსახურებოდა ქალაქის მიერ მოსახლეობას.

ახსებული წუობილების პირობებში მოწინავე საზოგადო მოღვაწეებს არ შეეძლოთ შეეცვალათ საქალაქო თვითმმართველობის სოციალური არსი. თბილისის საქალაქო თვითმმართველობა ბურჟუაზიის კლასობრივ ორგანიზაციას წარმოადგენდა მის შესაფერ პოლიტიკასაც ატარებდა. მხოლოდ უნდა აღინიშნოს, რომ 1900-იანი წლებიდან თბილისის მშრომელი მოსახლეობა რევოლუციური გამოსვლებით თანდათან მეტ გავლენას ახდენდა საქალაქო თვითმმართველობაზე აიძულებდა შას ზოგჯერ გვერდი აეკლო თავისი ტრადიციული პოლიტიკისთვის და ამალღებულყო მოსახლეობის საერთო ინტერესების დონემდე. მაგრამ მცირე დამოზბებს ზალხისაღმი არ შეუძლო გადაეჩინა შეთვის მთავრობა თავისი დამატებით — საკრობო და საქალაქო თვითმმართველობებით ბრძოლის ველზე გამოსულმა პროლეტარატმა მთლიანად უარყო ძველი სოციალ-პოლიტიკური სისტემა. დაამზო იგი და დასაზამი მისცა ახალ ვრას, ნამდვილი დემოკრატიის ვრას.

პ. ქობიაშვილი



ძველი ბოლშევიკის მოგონება დიდ  
ოქტომბერზე

დიდი ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციის წინ უძღვოდა თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული გადატრიალება. რომანოვების ტახტის დამხობის მომენტში, ცარიზმის ლეგიტიმაციის დღეებში მე ვიყავი საზღვარგარეთ, პარიზში, ემიგრანტი რევოლუციონერის მდგომარეობაში. თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის შედეგად შესაძლებელი შეიქნა რევოლუციური ემიგრაციის რუსეთში დაბრუნება. პარიზში შედგა დიდი ემიგრანტების დიდი ჯგუფი, სადაც შედიოდნენ, გარდა ბოლშევიკებისა (ამათ შორის ვიყავი მეც), მენშევიკები, ესერები, „ებერალის“ ჯგუფის წევრები, ყოფილი ხალხისნები და სხვა ჩვენს პარიზულ ჯგუფს შეუერთდნენ შვეიცარიიდან ჩამოსული რუსი ემიგრანტები.

10 მაისს (1917 წ.) მატარებლით გამოვედი პარიზიდან და მივედი თქალ. დეკემბ. აქ გადავიქვეთე გეზზე, გადავსერეთ ლამაზის უბე და ვაღმოსვდით ნავსადგურ ბრაიტონში. ლონდონში ჩვენ შეგვიერთდნენ ლონდონელი რუსი ემიგრანტები. ჯგუფი გაემგზავრა რუსეთში მარშრუტით: ლონდონი, ამერდენი (შოტლანდია), ზრდილოეთის ზღვა, ბერგენი და ოსლო (ნორვეგია), სტოკჰოლმი და გამპარანი (შვედია), ტორნეო (ფინეთი) და 31 მაისს მივედი პეტროგრადში. უკანასკნელმა, წარშეული შთაბეჭდილება დატოვა თავისი ღრმა და ფართო რევოლუციური სულისკვეთებით. მაშინდელ ისტორიულ ვითარებაში ლენინგრადი გაცილებით უფრო ღაღად სუნთქვდა, ეიდრე პარიზი და ლონდონი. სხვა დაბრუნებულ ემიგრანტებთან ერთად მეც, რასაკვირველია, მთელი სიძლიერით ვიგრძენი რევოლუციური მუშებისა და საღატაობის მიერ მომხდარი რევოლუციის პოლიტიკური შედეგები და თავისუფლად ამოვისუნთქე ამ შესანიშნავ კალაში.

პირველ იენისს (ძვ. სტ.) ვასილიევის კენძელზე (პირველი ხაზი, ყოფ. საკადეტო კორპუსის შენობა) იყო გამართული თათბირი ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის და პეტროგრადის კომიტეტის ხელმძღვანელი მუშაკების. თათბირს თავმჯდომარეობდა ამხ. სერდლოვი. აქ იყვნენ ვ. ი. ლენინი, ა. ბ.

სტალინი, გრიგოლ ბელუნეო (პარიზის ბოლშევიკთა ორგანიზაციის ყოფილი მდივანი). უკანასკნელის მეშვეობით მე გავიცანი სტალინი. სტალინს ჩემთან საუბარში ინტერესებდა პედი ძველი რევოლუციონერი ბოლშევიკის-მხეილ დაეთათმეილისა, რომელთანაც მას პქონდა მიწერა-მოწერა ციმბირიდან ლაიფცივსა და პარიზში. მეც ვუთხარი სტალინს, თუ როგორ (1914 წელს, ომის დასაწყისშივე) მიხეილ დაეთათმეილი ვოლონტიორად შევიდა საფრანგეთის ჯარში იმ რქმენით, რომ ის ფრონტზე გააზალებდა ავიტაციას ომის წინააღმდეგ, რომ ის 1916 წელს მოკვლს გერმანელებმა იღო-საულეთ ფრონტზე საფრანგეთში. ჩანდა, რომ სტალინს არ მოსწონდა დაეთათმეილის ვოლონტიორობა, თანაც სინანულს გამოსთქვამდა მის დაღუპვის გამო.

თათბირზე იყო დასმული საკითხი „მეტრიაონციების“ ჩვენს პარტიასთან გაერთიანების შესახებ. მე მოვისმინე ვ. ი. ლენინის გამოსვლა ამ საკითხზე. ლენინი წინათაც შეყავდა ემიგრაციაში ნახული (1914 წელს იანვარში, პარიზში, სადაც მაშინ მან გააკეთა მოხსენება ნაციონალურ საკითხზე). ვ. ი. ლენინი ღრმად იცავდა და ამტკიცებდა იმ აზრს, რომ ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის სოციალისტური რევოლუციის ლინდავზე გადასაყვანად და გამარჯვებს" და ინტერნაციონალისტებს, რომლებიც იღვნენ მარქსიზმის რევოლუციური თეორიის თვალსაზრისზე. საკითხის ამგვარად გადაჭრას მოითხოვდა ის გარემოება, რომ იმ ისტორიულ პერიოდში ამსოლუტურად იუცილებელი იყო მოზილიზაცია ყველასთ, ვინც გამართდებოდა მუშათა კლასს და ბოლშევიკურ პარტიას კამიტალიზმის და მემოლულების წინააღმდეგ ბრძოლაში, რეპუციის განადგურებაში, სოციალისტური რევოლუციის მოხდენასა და მის გამარჯვებაში.

გრ. ბელენისთან ერთად მე ვიყავი ქსეშინსკაიას სასახლეში, კამენე-ოსტროვსკის პრეს-პეკტზე (დღეს კიროვის პრესპეკტი). ქსეშინსკაიას ქალი, ბალერინა, მეფე ნიკოლოზ მეორის საყვარელი იყო. თავისთავად ცხადია, რომ ნიკოლოზის გადაადგმვასთან ერთად მუშათა კლასმა და ჯარის რევოლუციურმა ნაწილებმა ძალით დაიკავეს ეს სასახლე. აქ იყო მოთავსებული პარტიის ცენტრალური კომიტეტი, პეტროგრადის კომიტეტი და სხვა ორგანიზაციები მუშებისა და საღმრთებისა. აქ მე ვიყავი ცენტრალური კომიტეტის მდივანი ელენე სებასთია, რომელმაც მომცა დოკუმენტი იმისა, რომ მე დავბრუნდი რევოლუციური ემიგრაციიდან (პარიზიდან) პეტროგრადში და ვარ ბოლშევიკური პარტიის წევრი.

რამდენიმე დღის შემდეგ მე წამოვედი საქართველოში.

ჩემთვის ცხადი იყო, რომ ძირითადი პრობლემა სოციალისტური რევოლუციის (ძალაუფლების აღება) უშთაგრესად პეტროგრადში იქნებოდა. ამიტომ გადავწყვიტე უკან დაბრუნება. გავლით შევჩერდი თბილისში. ვიყავი ვახუთ „ბრძოლის“ რედაქციაში, სადაც ვინახულე რედაქტორები: მისა ცხაკია და ფილიპე მახარაძე. მე მათ გადავეცი ნეკროლოგი მიხეილ დავითაშვილისა ვახუთ „ბრძოლაში“ დასაბუქდად. მათ მიმბრუნეს, რომ ნეკროლოგი არ დასაბუქდება, ვინაიდან მიხეილ დავითაშვილი შეიძლება საფრანგეთის ბურჟუაზიულ ჯარში, როგორც ვოლონტიორი, მოხალსე, და ამით ჩინდინა ანტიპარტიული აქტი.

შუა აგვისტოში მე უკვე პეტროგრადში ვარ, ჩემ წინაშე დასვა საკითხი — სად უნდა ვიმუშაო? რა პარტიული დაგალებები უნდა შევასრულო აქ? ვინახულე ჩემი ძველი ამხანაგები, პარტიის წევრები, რომლებიც პარიზში მუშაობდნენ ემიგრაციაში ყოფნის დროს. მათაც მომცეს რჩევა, რომ მენახა სვერდლოვი.

3-5 ივლისს გამოსვლების შემდეგ, ლენინის გარდა, იმალბოდნენ პარტიის სხვა თეოსოფიური მუშაკებიც. მათ შორის იყო იაკობ სვერდლოვი. ფურშბატელსკის ქუჩაზე, იმ სახლში, რომლის ეზოში იყო სამლოცველო, მე შევხვდი სვერდლოვს. ჩემთან ერთად იყო. ბელენეს სვერდლოვმა მითხრა: „სად გსურთ მუშაობა? მეც ვუპასუხე, აქ, სადაც პარტიისათვის არის საჭირო. მან თქვა: „საჭიროა პარტიული მუშაობა შტეინის და კომპ. ქარხანაში, რომელიც მდებარეობს ნევესკის რაიონში, აღექსანდრე ნეველის მსახილთა მხლობლად, რომ ფორმალურად მე შევალ მდივნად დასახლებულ ქარხნის საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტში, ფაქტურად ვუბეჭდვინებ პარტიულ მუშაობას. მეც თანაშობა განვუცხადე. სვერდლოვ-

მა მისწერა ამის თაობაზე. სიმონი<sup>1</sup> და მე მომცეს მიმართულება შტეინის და კომპანიის ქარხანაში. რამდენიმე დღის შემდეგ ქარხნის დირექციამ დამინა საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტის მდივნად.

რას წინაშე დავდებოდა შტეინისა და კომპ. ქარხანა? ეს იყო არსებითად სამხედრო კაპიტალისტური წამოწყება, რომელიც ეკუთვნოდა აქციონერებს, მთავარი აქციონერი მესაკუთრე იყო შტეინი, რომელიც ქალაქის ცენტრში კარონის ქუჩაზე ფლობდა მსხვილ ხუთსართულიან სასახლეს. ქარხანა ამზადებდა „ტრუბკებს“ საარტილერიო ყუბზარებისათვის. ქარხანაში მუშაობდა 1200—1500 მუშა. ამათ შორის იყვნენ ძველი ბოლშევიკებიც, რომლებიც იღებდნენ მონაწილეობას 1905 წლის რევოლუციაში (მავალითად, მაკოსკაც).

ქარხნის მუშები თითქმის მთლიანად იყვნენ განწყობილი ბოლშევიკური სულისკვეთებით.

საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტი წარმოადგენდა განსაკუთრებულ არჩვეულ ორგანოს, სადაც შედიოდნენ მუშათა საუკეთესო, პოლიტიკურად შევსებული ძალები. აქ იყვნენ როგორც ჩვენი პარტიის წევრები, ისე უპარტიო მუშები, რომლებიც იყვნენ გავლენიანი შეუპოვებელი კლასობრივი გრძნობებით და ბრძოლის უნარიანობით და მტკიცედ დამაზღვრნი კაპიტალისტებისა და მემამულეების წინააღმდეგ. ოქტომბრის რევოლუციის წინ შტეინისა და კომპანიის ქარხანაში არ იყო არც ესერების, არც მენშევიკების ორგანიზაცია. მაგრამ მუშათა შორის იყვნენ ცალკეული პირები, რომლებიც პარტიული თვისების მიხედვით ეკუთვნოდნენ მენშევიკების და ესერების პარტიებს. უნდა ითქვას, რომ მუშა მენშევიკები და ესერები ისე ღრმად განიცდიდნენ ბოლშევიკური ავიტაციასა და პროპაგანდის გავლენას, რომ ისინი მუშა ბოლშევიკებთან ერთად ფეხდაფეხ მიდიოდნენ სოციალისტური გადართობისაკენ. ერთეული მუშა მენშევიკები და ესერები თუმცა ატარებდნენ თავიანთ ჯიბეებში პარტიულ ბოლშევის, მაგრამ მათს კლასობრივ ინტერესებს და შევსებას გამოხატავდნენ ბოლშევიკური პარტია და, სრულიად ბუნებრივია, რომ იმ შეტად საინტერესო ისტორიულ მომენტში ისინი მოქმედებდნენ დამეშაობებოდნენ დანარჩენ მუშათა მასასთან ერთად ბოლშევიკური პროლეტარული რევოლუციის ფარგლებში.

მე ხშირად გამოვდიოდი ქარხნის მუშათა საერთო კრებებზე ბოლშევიკური სიტყვებით. ძალაუფლების მოლიანად გადაცემა საბჭოებს

<sup>1</sup> სიმონი — რსდმპ საზღვარგარეთელი ორგანიზაციების პარიზის სექციის უფ. წევრი. იმ დროს მუშაობდა პეტროგრადის პროფკავშირთა ცენტრში.

(იმ დროისათვის პეტროგრადის, მოსკოვის და სხვა ქალაქების საბჭოებში უმრავლესობა ეკუთვნოდა ბოლშევიკებს), შეწყვეტა იმპერიალისტური ომის, მშვიდობის აღდგენა, თავისუფლებისა და პერსონის მიყენა მუშებისა და გლეხებისათვის, მემამულეთა მიწების კონფისკაცია და მათი უსაყიდლოდ გადაცემა გლეხებზე. — ასეთი იყო ბოლშევიკური ლოზუნგები, რომელთა ირგვლივ ვრახმადელი მუშათა მასებს და ექმნიდით მათგან. მებრძოლ ფორპოსტს კაბიტალისტებისა და მემამულეების წინააღმდეგ.

გარდა ამისა, მე მოვაწყვე ვაერცელემა მუშათა შორის პარტიის ცენტრალური ორგანოს — „Рабочий путь“ და პეტროგრადის საბჭოს გაზეთისა — „Рабочий Солдат“. ამ გაზეთებმა დიდი როლი შეასრულეს მუშათა ბოლშევიზაციის საქმეში, მათს იდეოლოგიურ დარახმეში, ეკერენსკის ბერკუბიული მთავრობის დასამოხობად, მათს მომზადებაში სოციალისტური რევოლუციის მოსახდენად. აღსანიშნავია, რომ „Рабочий путь“-ის რედაქტორად იმ დროს იყო სტალინი, რომლის პოლიტიკური სტატეგია სწორად იბეჭდებოდა გაზეთის ფურცლებზე.

ბას არ ეყარებოდა, ისევე საზამთრო ბაღში თუ შევიდოდა ხოლმე ხანდახან ქალაქის სათამაშოდ. არც „Буржуазный клуб“-ს სწავლობდა.

„არტისტულ კლუბში“ ხშირად მოდიოდნენ ქალაქის სათამაშოდ ბაქოელი და ადგილობრივი სომხები ილიასთან, როგორც საქართველოს საზოგადოების გამოჩენილ მეთაურთან, სახელგანთქმულ საზოგადო მოღვაწესთან, ცნობილ პოეტთან და ლიტერატორთან თამაში სომხებს სასახლოდ მიაჩნდათ. ილია კარგი მოთამაშე იყო, კუეით თამაშობდა ხოლმე, არ ამჩატდებოდა და მერქილად კიდევაც იგებდა.

უფრო ხშირად კი ილია თამაშობდა კარტის მოყვარულთა წრეში. ერთერთ ასეთ წრეს მეთაურობდა ნიკოლოზ რევაზის-ძე ანუ კოლა ერისთავი, ნიკოლოზ ბარათაშვილის დისწული. მას შეტასხვად „ცენცულაძეს“ ეძახდნენ. მაღალმადალი, ტანწვრილი, კარგი შესახედავი კაცი იყო. ცოლად ჰყავდა დიდად სიმპათიური სომხის ქალი, შეძლებული ოჯახის ასული, მგონი თამაშმევი იყო გვარად. როგორც ვიდმოშვა დათიკო მელიქიშვილმა (რომელიც კოწია მუხრანსკის წინ იყო თავადაზნაურობის წინამძღოლად; ილიას მათესავი ქალი ჰყავდა ცოლად), კოლა ერისთავი „ცენცულაძე“ დაარქვა დრამატურგმა დავით ერისთავმა, ვინაიდან კოლამ ნამეტანი მსუბუქი სიარული იცოდა. თავის დღეში არავითარი საშახტრი არ ჰქონია, მაგრამ, როცა კი თავადაზნაურობა რამე დებუტაციას ვაგზავნიდა მთაურობასთან, დებუტატთა შორის მასაც ირჩევდნენ ყოველთვის. მისი profession de foi იყო ქალაქის თამაში. ილია ძალიან დაახლოებული იყო მასთან. სწორედ იმ კოლა ერისთავის სახლში იმართებოდა ხშირად თამაში, რომელიც, საღამოს დაწყებულად, მეორე შეიადრემდე გრძელდებოდა. კოლასაგან მოგვიერ გამიგია: „დიდას, როცა ყველა სხვა მოთამაშენი დაღლილ-დაჭანცული ვართ ღამისთევით, სწორედ მაშინაა ილია ყველაზე უფრო ფხიზელი, დაუღალავი და თამაშის ვაგრძელებს იშტაზე მოსული; ჩვენც უარს ვერ ვუვუნებთ და, რასაკვირველია, ხშირად გვიგებს ხოლმეო. ჩვენ აღარაფრის თავი აღარა ვაჭაქს, ქაილდი გვიცვივა ხელიდანაო“.

(ვაგრძელება იქნება)

<sup>1</sup> ახლა რუსთაველის პროსპექტი.

<sup>2</sup> ახლა რუსთაველი, თეატრი.

<sup>3</sup> ახლა ოფიცერთა სახლი.

<sup>4</sup> ივლისსებმა რუსთაველის თეატრი.



# ნიკო ნიკოლაძის ცხოვრებთან

მივობნა

1888 წლის ზაფხული იყო ქუთაისის პრივილეგიის მოსწავლე, არდადეგებზე სოფლად დაღვიბის, მშობლებთან ჩვედი. გლეხობაში ხმა დადიოდა: ჯიხაში დიდი, განათლებული, ევროპაში სწავლამიღებული კაცი ესახლებოდა. ზოგი ასეც ამბობდა. ისეთი პევიანია და ნაწიელი, ხელმწიფეს კანონებს უსწორებდა.

ვის არის ნეტავი?! — ვამბობდი ჩემს გულში, გაკვირვებული. ავი აღმოჩნდა ცნობილი პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე ნიკო ნიკოლაძე. შემდეგ, როცა სწავლამიღებული დებრუდი სოფელს და მასწავლებლობა დაიწყო, საზოგადოებრივმა და კულტურულმა საქმიანობამ დამახლოვა ამ დიდებულ კაცთან. ნ. ნიკოლაძე დიდი მასშტაბის ლიტერატურული და საზოგადო მოღვაწე იყო, მაგრამ „პატარა, ადგილობრივი“ საზოგადო საქმეებსაც დიდი სიყვარულითა და მოხლოებით ჰკიდებდა ხელს; ენერჯიას არ იშურებდა თავისი ახლად შექმნილი მეზობლებისა და ახლომახლო მდებარე სოფლების კულტურული დონის ამაღლებისა და ეკონომიური წარმატებისათვის. ნ. ნიკოლაძის ლიტერატურულ და საზოგადოებრივ მოღვაწეობაზე, ბევრი რამ დაიწერა, მაგრამ ჩვენს ქვეყნის იმ პატარა კუთხეში, სადაც ნიკო დაესახლა, მის მიერ გაწეულ საზოგადოებრივ საქმიანობაზე თითქმის არაფერი თქმულა. ამდენად ნიკოს მეტად შინაარსიანი ცხოვრების ეს მხარე უცნობია ფართო საზოგადოებისათვის, შით უფრო ახალგაზრდობისათვის. ამ ვაქოვებამ მაღიქვრებინა დაწვეწრა ეს მოვლენა.

ის ადგილი, სადაც ნიკო დიდ ჯიხაში დაესახლა, მართალია, სოფლის ცენტრში მდებარეობდა, მაგრამ ტიპალ მინდორს წარმოადგენდა. აქაიქ იღვა რამდენიმე ძირი ძველი კაყის ხე და ასევე რამდენიმე ძველი მუხა. ადგილი შემოღობვებული იყო. მინდორის ერთ კუთხეში იღვა პატარა ფიქრული სახლი; რომელსაც ერთი სარკმელი ჰქონდა და ისიც მინებამატერული. ეს სახლი თავად ყარაშან ჩხეიძის ქვრივს სალომე ჩიქვანის ქალს ვუთმევოდა. ერთ დღეს ამ მიდამოდან ჩიქვანის ქალი აიყარა და ადგილი მეზობლად მცხოვრებ თავად ქაბოსრო ლორთქიფანიძეს მიჰყავდა.

ნიკო მეს ადგილი ქაბოსროსაგან შეიძინა. გარემო მდებარე მიწის ნაკრებიც მუპატრონეები-

საგან შეისყიდა და მეურნეობისათვის ფართობიოც ჰქეტარამდე ვაზარდა, ადგილი შემოაკავა და დაგეგმა. გააშენა ხეხილი, ვენახი, დეკორატიული ბაღი და მეურნეობის აღმოსავლეთ ნაკვეთზე ტყე. ცალკე გამოყო ნაკვეთები საყანე, საბოსტნე და სათიბი. სახლი ძველ მუხებში ჩადგარატომ აირჩია ნიკომ დიდ-ჯიხაში?

ნიკო ნიკოლაძის დედა დიდ-ჯიხაშიელი ლორთქიფანიძის ქალი იყო და, შეიძლება, ცალკე დედუღეთის ხათრმა და ცალკე სოფლის მოხდენილმა ადგილმდებარეობამ მიიზიდა ცნობილი პუბლიცისტი.

მართალია, ნიკომ კარ-მიდამო დიდ-ჯიხაში შეიგაინა და ფართო ვეგვით მეურნეობის მოწყობასაც შეუდგა, მაგრამ თვითონ თავისი სამსახურებრივი და საზოგადოებრივი საქმიანობის გამო სოფელში არ ცხოვრობდა. თუმცა სამიოთხი დღით შორიად ჩამოდიოდა ჯიხაშიში და მეურნეობას უურადლებას აქცევდა, მაგრამ მეურნეობისათვის ეს არ იყო საკმარისი. ამიტომ ნიკომ სოფელში შუარჩია ერთი სინდისიერი, საქმის ერთგული გლეხი და თავისი მეურნეობის მეთვალყურეობა მის მიანდო. ეს გლეხი იყო სომონ ვამეყიძე.

სომონი თავისი ცალ-შეილით ნიკოს კარ-მიდამოში ცხოვრობდა და ხალხი ხუმრობით მას „სომონ ნიკოლაძეს“ ეძახოდა. სომონი მეტად კეთილსინდისიერი და შრომისმოყვარე კაცი იყო. ავი აწესრიგებდა მეურნეობაში ყოველგვარ საქმეს. პირადად შრომისა და დამხმარე მუშაბულით უვლდა ვენახს, ყანას, ხეხილს, ბოსტანს... აწარმოებდა ვასაელისა და შემოსავლის აღრიცხვას და სხე... ნიკო ყოველგვარ საოჯახო და სამეურნეო საქმეზე მის ვთვითბრებოდა და სომონიც პირნათლად ამართლებდა ნიკოს ნდობას. ვენახს ნიკოს ძველებურად ჰქონდა გამენებული. იმ დროს ჯერ კიდევ საგრძობლად არ იყო გავრცელებული ვაზის ავადმყოფობა ფილოქსერა. შემდგომ, რაკი ეს ავადმყოფობა მეტად ვავრცეულდა, შემოიღეს ვაზის მყნობა. ვაზის მყნობივ გავრცელებას იმერეთში დიდად შეუწყო ხელი საქართველოს ვენახის საწერკვმ.

ნიკო შეეცალა, არ გაემყენებინა ნამყენი ვაზი და სხვა საშუალებით შეგრძობლავოდა ფილოქსერას. ამ მიზნით ზამთრობით ვენახში მიუშვებდა ხოლმე წყალს და საგაზაბულო სამეშაოების

დაწყებამდე აყენებდა შიგ. ფიქრობდა, ევენახში ზანგარძლივად წყლის დაყენება მოსაპოვებდა ფილოზოფიას, მაგრამ ამ ცდამ ამოდ ჩაიარა. ბოლოს ნიკო იძულებული შეიქნა ნაყენი ვაზი გაეშენებინა.

გარდა ადგილობრივი ვაზისა, ნიკოს გაშენებული ქონდა ფრანგული და სხვა ევროპული ვაზის ჯიშები. სამუშაოროდ, ამ ჯიშებმა გაერყელება ვერ პოვა და გადაშენდა.

ნიკოს უცხოეთიდან შემოაქონდა სხვადასხვა ჯიშის მცენარე და საცდელად თავის მეურნეობაში რვაგადა ამათგან ბევრი მცენარე ადგილობრივ კლიმატს ვერ ეგებებოდა და იღუპებოდა. მასობა, ნიკოს ერთ ჰექტარ ნაკვეთზე გაშენებული ქონდა საფრანგეთიდან შემოტანილი წაბლის ერთგვარი ჯიში, რომლის ნაყოფი საქონლის ყარვ საცვებად ითვლებოდა. წაბლის ხეები დაიზარდა და ნაყოფის მოცემაც დაიწყო, მაგრამ შიგადაშიგ მცენარეებს დროდადრო ფოთლები უუვითიღებოდა, ნაყოფი ცვივოდა და ბოლოს ხმდებოდა. ნიკომ აქაც სცადა წყლის მიწვებით გადაეჩინა წაბლის ეს ჯიში, მაგრამ ცდას დაღმებითი შედეგი არ მოჰყოლია.

თავისი მეურნეობის შესახებ ნიკოს ბევრჯერ უთქვამს: ისეთი სატრფო მყავს, რომელიც ჩემვან სულ საბუქრებს მოიხთხოსო.

მართლაც, ნიკოს ბევრი ფული ეხარჯებოდა უცხოეთიდან თუ ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან მრავალგვარი მცენარის, ნერგებისა და თესლის შემოსატანად, თავისი მეურნეობის მოწყობისა და დამუშავების საქმეში. ბევრი ახალი წამოწყება ხშირად არასასურველ შედეგს იძლეოდა. ნიკო მეურნეობას შემოსავლის მიზნით არ აწყობდა, იგი უფრო სასაღვლი მნიშვნელობისა იყო.

ბევრი სასარგებლო მცენარე და ვაუმჯობესებული ჯიშის შინაური ცხოველი ნიკოს წყალობით გაერყედა ქვემო იმერეთში.

ნიკო ნიკოლაძის ყარ-მიდამოს მავალითთ დაიწყეს მცენარეების რკვა.

შწარე ლიპონის მცენარისაგან შეკრული ცოცხალი ღობე „ტრიფოლიატი“, რომელიც დღეს მერად გაერყელებულია დასავლეთ საქართველოში, პირველად ნიკოს მეურნეობაში გაჩნდა.

გემრთელი ზორციტ ცნობილი ამ მზარის ღორისა და ქათმის ჯიშების ნიკოს მეურნეობიდან გაერყედა მოსახლეობაში.

ნიკო აგრარეების დაცვით აწარმოებდა მეურნეობის დამუშავებასა და მოვლას. ცდილობდა სხვადასხვა სასარგებლო მცენარის მოვლა-მოშენებისა და მიწის დამუშავების საქმეში მავალით მიეცა მოსახლეობისათვის.

ნიკო ნიკოლაძე დაესაბლა თუ არა დიდ ჯიხაიში, ზრუნვა დაიწყო სარწყავი არხის გამოსაყვანად მდინარე ცხენისწყლიდან. ეს ახალი საქმე ძნელი მოსაგვარებელი იყო იმ დროში. მეფის მთავრობისაგან დახმარება არ იყო და

ხალხი ემეით უყურებდა რწყვის საქმეს. დღი-ორი მიუტან-მოუტანა: სარწყავად გამოყენებულ წყალი ადგილებს დააჭიოებდა [და მთხანსტეობა დაავადებდა... ცხენისწყალს შვენიერებისა იქვს — ხეებს ახმობს, საქონელსა და შინაურ ფრინველს აჭირიანებსო და სხე...

განდნენ რწყვის საქმის მოწინააღმდეგენი. ნიკო არ შეუშინდა სარწყავი არხის გამოყვანის სიძნელეს. ფიქრობდა, თავისი მეურნეობის მავალითზე ენევენებინა გლეხობისათვის რწყვის სარგებლიანობა.

არბი დაიწყებოდა ხონის (ახლანდელი წულუკიძის) ზემოთ, სოფელ მათხოჯში, ვაივლიდა ხონზე, ივანდილზე, გოჩა ჯიხაიშზე, დიდ ჯიხაიშზე და სოფელ იანეთში შეუერთდებოდა მდინარე გუბისწყალს.

თავდაპირველად საქირო იყო საქმის მოგვარება მათხოჯლებთან, რომელთა მიწის ნაკვეთზე ვაივლიდა არბი. რაკი მათხოჯს გამოსცდებოდა, შემდეგ იგი დიდი შარაგზის ნაპირს გაყუებოდა და კერძო პირთა ეზოებისა და საყანე ადგილების გადაჭრა არ მოუხდებოდა.

სარწყავი არხის გაყვანის საქმეზე დიდ ჯიხაიშში, ხონს და მათხოჯში ნიკომ მოლაპარაკება გამართა სხვადასხვა პირთან. ბევრი მათგანი საქმით ძლიერ დაინტერესდა და ნიკოს გვერდში ამოუდგა, მათ შორის ხონის ცნობილი საზოგადო მოღვაწე ივანე შარაშიძეც.

ა. შარაშიძის მეოხებით მოხერხდა უმთავრესად მათხოჯში იმ პირებთა შეთანხმება, რომელთა ადგილებზე ვაივლიდა არბი.

რაკი სარწყავი არხის საქმით დაინტერესებულნი პირები და თანამშრომლები გამოჩნდა, ახლა ნიკო შეუდგა თბილისში წყალთა მეურნეობის სამმართველოსთან საქმის მოგვარებას. ნიკომ აქაც გამოჩნდა თანამგრძობი. ეს პიროვნება იყო ინჟინერ — პიდრავლიკოსი ზაქარევი. იგი დიდ ხმარა ნიკოს და წყალთა მეურნეობის სამმართველოდან არხის გაყვანის ნებართვა მიიღებინა. თვითონაც რამდენჯერმე ჩამოვიდა ნიკოსთან დიდ ჯიხაიშში, სწავლობდა ადგილმდებარეობას მთელ სიგრძეზე — მათხოჯიდან იანეთის ბოლომდე, სადაც არხს უნდა გაეცლო, და გეგმას ადგენდა.

გეგმის საბოლოო დაზუსტების შემდეგ დაიწყო არხის გათხრა. არხის შვიცტრალერ ხაზგზადგება ხელი განშტოება მიეცა. მოეწყო სარწყავი არხები ხონის, კუბის, გოჩა ჯიხაიშის, დიდ ჯიხაიშისა და სხვა სოფლების ტერიტორიებზე.

როდესაც სოფლებში უვლევან დამთარდა სარწყავი არხების გაყვანა, მოსახლეობას ეცნობა, რა დღეს გაიშვებოდა წყალი არხებში.

მე ვნახე, ოდ როგორ შეხვდნენ დიდ ჯიხაიშში ამ ამბავს. შარაგზის გასწვრივ, რომლის გაყოლებით იყო არბი შეკრული, უკუფრ-უკუფრად იდგა ხალხი და წყალს ელოდებოდა. ისროდა ყა-

ყანი, ზოგი რას ამბობდა და ზოგი რას. როდესაც წყლის პირველი ნაქალი გამოხდა, ზოგმა თითი ნაყო შიგ, ზოგმა გოხი, ზოგმაც ფეხსაცმლის ცხვირი... შემდეგ უყურებდნენ თითის, ჯობისა თუ ფეხსაცმლის გაშრობას, - აბა, ვნახოთ, მითხე რა გავლენას მოახდენს წყალი. უვივრდით, წყალში განსაჯობებული რომ არაფერი მოახდინა. მოსახლეობაში მალე გაქრა ცხენისწყლის მავნე თვისებების შესახებ არსებული მოთქმამოთქმა. ხალხი მალე დარწმუნდა რწყვის საზგებლობაში და შემდეგ ყველა ცდილობდა, არის ტოტს თავის ვხოსა და საყანე ადგილზე გაეცლო, ნიკოს ძლიერ ახარებდა თავისი წამოწყებული საქმის გამარჯვება და ხალხიც დიდად მადლიერი იყო ნიკოსი.

სარწყავი არხის გამოყვანის შემდეგ ნიკომ დაიწყო ზრუნვა, დიდ ჯიხაში და ახლომახლო მდებარე სოფლები კარგი და უმოკლესი გზით დაკავშირებოდა რკინიგზას. ასეთი გზა იყო და არის დიდი შარავზა, რომელიც ჯიხაშიზე გავლით ხინს (ჭ წულთაძის) აკავშირებს ძველ ორპირის ვახსთან. სოფელ იანეთის ბოლოში, სადაც ეს გზა გადაჭრის რკინიგზის ლინდავს, მოსახლეობისათვის დიდად ხელსაყრელი იქნებოდა რკინიგზის სადგურის დაარსება.

ნიკომ თბილისში, რკინიგზის სამშართველოში ისე მოაწყო საქმე, რომ იანეთში დაწესდა სამგზავრო მატარებლის შეჩერება ერთი წუთით. ნიკოს წყალბაით აშენდა ხის ბაქანიც, რომელსაც ხალხმა „ნიკოლაძის პლატფორმა“ უწოდა. ეს ბაქანი მოსახლეობისათვის საგრძნობი შეღავათი იყო. ამ ღვაწლის გამო პოეტმა გიორგი ჭავჭავაძემ ნიკო ნიკოლაძეს მიუძღვნა ღეჰსი ექსპრომტი:

„იანეთის პლატფორმისთვის  
სალამს გაძლევ, ქედსაც გიხდნი...“

ნიკო მიღწეულათ არ დაემყოფილდა. ის ზრუნავდა, ბაქანის ადგილას სადგური დაარსებულყო.

1915 წელს ნიკო დიდ ჯიხაშიში ჩამოვიდა. თავის ბინაზე რამდენიმე პირი მოგვიწვია, გამოგვიერთხა სოფლის ამბები და შემდეგ გვითხრა: რკინიგზის სამშართველოში ისე მაქვს საქმე მოწყობილი, რომ იანეთში სადგურს დაგვიარსებენო. ამისათვის საქირაა გადაწყვეტილებები გამოიტანონ დიდი ჯიხაშისა და ეწრის საზოგადოებების ყრილობებში (იმ დროს იანეთი სოფელ ეწრის საზოგადოებაში შედიოდა) და ითხოვონ სადგურის დაარსების საქირაობაო. თხოვნაში ზუსტსმით უნდა იქნეს აღნიშნული, რომ იანეთში რკინიგზის სადგურის დაარსება სარგებლობას მოტანს როგორც ხალხს, ისე სახელმწიფოსაც, და სხვა...  
ნიკოს დარჩენისამებრ ეს ყველაფერი ვაკეთდა. საქმისათვის მსვლელობის მისაცემად აგვარჩიეს რამდენიმე პირი. ჯიხაშისა და ეწრის საზოგადოებების ყრილობათა გადაწყვეტილებე-

ბით და თხოვნით, არჩეული პირები წაიყვინათ ნიკოსთან თბილისში. ნიკომ ამიერკავკასიის რკინიგზის უფროსის სახელზე ახალი თხოვნა დაგვიწერა და დაგვარჩია, როგორც მოგვცემულიყავით.

იმ დროს ამიერკავკასიის რკინიგზის უფროსი იყო სამხედრო პირი გენერალი ბარონ როპი, როგორც ჩანდა, კაცი საქმიოდ განათლებული და თავაზიანი. ბარონმა კარვად მიგვიღო, გამოგვითხა ყოველივე და გვითხრა: თქვენი თხოვნის დასაყყოფილებლად ყოველივე ღონისძიებას ვიხმარ, მხოლოდ მარტო ჩემზე არ არის ეს საქმე დამოკიდებულიო. თქვენი თხოვნა განიხილება რკინიგზის სამშართველოს საბჭოში და ეცადეთ, იქ კომერციული განყოფილების უფროსთან მოავტაროთ საქმეო. ნახეთ, დაწვრილებით აუტსენით ყოველივე და ისიც უთხარით, რომ ჩემთან იყავით და მე საწინააღმდეგო არაფერი მაქვსო.

გავაკვირება ბარონ როპის ასეთმა თავაზიანობამ. შემდეგ გავიგეთ, თურმე ნიკო წინასწარი ყოფილიყო მისთან მოლაპარაკებული.

დაებრუნდით ნიკოსთან. მან კვლავ დაგვარჩია, თუ როგორ გვემოქმედა. გვესაუბრა რკინიგზის სამშართველოს კომერციული განყოფილების უფროსის შესახებ, მის ვინაობაზე, მის სახითზე. იგი გამოვდა ვინმე გრათი საკისიცო.

შორე დღეს ვინახულეთ გრაფი. ცივად მიგვიღო. ველაპარაკეთ ჩვენს საქმეზე. რამდენიმე ხნის დადიერების შემდეგ მიძიდე გვიპასუხა: თუ ფული გვექნა, შეიძლება შეამდგომლობა აედძრათ პეტერბურგში — გზათა სამინისტროშიო.

კვლავ ნიკოსთან დაებრუნდით. ნიკომ გვითხრა: რა გავწყობა, ჯერ ასე იყოს, თქვენ სოფელში დაბრუნდით და აქ მე ვეცდებით, რომ რკინიგზის სამშართველოს საბჭომ დაადგინოს იანეთში სადგურის დაარსების საქირაობაო. თუ შემდეგ პეტერბურგში დაგვეჩრდა საქმის მოვარება, ამასაც მოვაწყობო.

სანამ გზათა სამინისტროში ვაიგზავნებოდა იანეთის სადგურის დაარსების შესახებ საქმე, ამიერკავკასიის რკინიგზის სამშართველომ 1913 წლის მარტში მომავალი სადგურის დაარსების ადგილზე ახლომახლო სოფლების შესასწავლად გამოგზავნა კომერციული განყოფილების წარმომადგენელი ვინმე ქავთარაძე. მას თან ახლდა საკონტრაქტო პალატის მოხელე გრინიოვიცო.

ქავთარაძე და გრინიოვი შეუდგნენ სამტრდიის, ეწრის, იანეთის, დიდი ჯიხაშისა და სხვა სოფლების მიდამოების შესწავლას. იყვლედნენ, თუ რა სარგებლობას მოუტანდა იანეთის სადგურის დაარსება რკინიგზას, რა პროდუქტების გატანა და შეუტანა შეიძლებოდა და სხვა...  
თბილისიდან მათი წამოსვლის შესახებ წინასწარ გვაცნობა ნიკომ და მოითხოვდა მოგვეცა, თუ როგორი ცნობები მიგვეცა მათთვის.

ქავთარაძე და გრინიოვი სამ დღეს დარჩნენ...

შეისწავლეს რა დასახელებული სოფლების მდგომარეობა, აღბათ ყარვი მოხსენებით წარდგინენ რკინიგზის სამმართველოში. რამდენიმე თვის შემდეგ ცნობა მოგვიყვანა: იანეთის სადგურის მშენებლობა შეტანილია ხარჯთაღრიცხვაში და მშენებლობა 1914 წლის ივლისიდან დაიწყო, მხოლოდ პირველი ხარჯებისათვის სოფლებმა იანეთმა და ჯიხაიშმა წინასწარ 4 თასი მანეთი უნდა შემოიტანონ რკინიგზის სამმართველოში.

მწელი იყო ამ დროში ასეთი თანხის შეგროვება, მაგრამ, მიუხედავად ამისა, დასახელებულმა სოფლებმა რკინიგზის სამმართველოს მოთხოვნა შესარღვეს.

იანეთის სადგურის დაარსების საქმის მოგვარება როგორც თბილისში, ისე პეტერბურგში, ნიკო ნიკოლაძე მუშეობით მოხერხდა.

1914 წლის ივლისში სადგურის მშენებლობა არ დაიწყო. იმხანად პირველი მსოფლიო ომი იტყდა და სადგურის მშენებლობის საქმე ჩაიშალა... დაიკარგა სოფლების მიერ წარდგენილი ფული.

სადგურ იანეთის მშენებლობა მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ წლებში დაიწყო და მოკლე დროში დასრულდა.

დიდი ჯიხაიში, როგორც კულტურული და დიდი სოფელი, საჭიროებდა ფოსტა-ტელეგრაფს. 1900 წელს სოფლის ყრილობამ გადაწყვეტილება გამოიტანა, ჯიხაიშში დაარსებულყო ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილება. საქმის მოსაგვარებლად ავგორჩიეს სამი რწმუნებული. არჩეულმა პირებმა, სოფლის ყრილობის დაჯალბებით, საერთო აღმართს ფოსტა-ტელეგრაფის თბილისის ოლქის სამმართველოში. სოფელი, არსებული წესის მიხედვით, კისრულობდა ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილებისათვის სამი წლის ვადით მიეცა ბინა, ამავე ვადით გაეღო სამტრედია-ჯიხაიშის შორის საფოსტო გზაწილების გადატან-გადმოტანის ხარჯები, დაეზღუდებინა ტელეგრაფის მეთვლელების გასამზვლად ბოძები და გაეღო პირველ საჭიროებისათვის (განყოფილების მოსაწყობად) 500 მანეთი.

ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილების დაარსების შესახებ თბილისის ოლქის სამმართველომ აღვლინა, რომ გვიშუამდგომლებდა პეტერბურგში — ფოსტა-ტელეგრაფის მთავარ სამმართველოში, იქ კი საქმე ჩვენ უნდა მოგვეწყოს. ეს სამმართველოსაგან უარის თქმას ნიშნავდა.

ჩვენ რა შეგვეძლო პეტერბურგში!

ფარ-ხმალი შაინც არ დავყარეთ და იმდენი ვეცადეთ, სამმართველოს მაინც გავაგზავნიეთ საქმე პეტერბურგში.

იმხანად ნიკო ნიკოლაძე პეტერბურგში ცხოვრობდა. ვიცოდი მისი მისამართი (Надеждинская №23) და წერილი მივწერე. ვაცნობე საქმის ვითარება და ვთხოვე, როგორც მოეწყოს საქმე ფოსტა-ტელეგრაფის მთავარ სამმართველოში.

დიდ დროს არ გაუვლია. ნიკოსაგან მივალე პასუხი. ნიკო მწერდა:

„...მომივიდა თქვენი წერილი 30 მარტს. მეორე დღესვე წავედი ფოსტა-ტელეგრაფის მთავარ სამმართველოში და ვიმეცადინე რამდენადეც კი შემეძლო. იქ თბილისიდან ჩვენი საქმე წარმოედგინათ ცალკე კი არა, ასი სხვა საქმეების შუა. შეუდგენიათ სია, სადაც კი საჭიროა კავასიაში გაიხსნეს ფოსტის განყოფილება. იმ სიაში ჩაურვეიათ ჩვენი სოფელიც. რადგანაც ამ ადგილებში განყოფილების გახსნისათვის დიდდროს ფულია საჭირო, ამისათვის მთელი საქმე ერთად შეაფხი ჩაუკეტათ, იმის დაუკითხავად. თუ რომელი განყოფილების გახსნა ადვილია და რომლის ჯერ შეუძლებელი. როცა საქმე გამოსინჯინეს და ვაგიფ, თუ რას ვიურჩებოდა, შეეცხვეწე, გამოავლინე ჩვენი საქმე вноочередь და ემტრანეთ მისი ასრულება-თქო. ნაჩაღნიკმა ბევრი იყოყმანა და ბოლოს მითხრა: — ჭაღაღით მომართვი ეს თხოვნა და ვეცდები შევისრულო. ყოველ შემთხვევაში, მინისტრს მოვახსენებო და ვეტყვი ჩემის მხრით, შესარულოა.

მეც ასე ვქენი და დღეს ვაგუფხავე თხოვნა იმ რიგე, როგორც თეთითა დაშარევა. აწი ვნახოთ, კიდევ ვეცდები სამინისტროში და იქნება მოგვხედოს ღმერთმა!.

ამ წერილიდან ჩანს, რა შრომასა და დამკირებას მოითხოვდა ნიკოსაგან თვითმწყობელონის ბიუროკრატია და კანცელარია. სხვა დროს ნიკოს ბევრჯერ უთქვამს ჩემთვის: ყარსკაიდან დაწყებული მოხლეჩებს და სხვებს სულ საჩუქარი უნდა აძლიო, რომ დროზე მივიღონ კანცელარიაში და საქმის ეითარება ვაგაგზავნიონ.

რამდენიმე ხნის შემდეგ ნიკოსაგან კვლავ მივიღე წერილი. ნიკო მატყობინებდა, რომ შინაგან საქმეთა მინისტრს დაემტკიცებინა დიდი ჯიხაიშისათვის ფოსტის განყოფილება (ტელეგრაფს შემდეგ გამართვენო). ამის გამო ნიკო გუბოხვდა, ჯიხაიშში მიგველო ღონისძიებები ნაისრ ვალდებულებათა შესასრულებლად.

ჩვენც დავტრიალდით. ფოსტისათვის გამოვქებნეთ ბინა და, რასაც სოფელი კისრულობდა, ყოველგვარა საქმე მოვაგვარეთ.

მალე ტელეგრაფის გამართვის ნებართვაც მოვიდა.

1911 წლის 10 იანვარს დიდი ჯიხაიშის ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილებამ დაიწყო მუშაობა. ამის შესახებ ვაცნობე ნიკოს. რამდენიმე დღის შემდეგ მისგან მივიღე დამემა:

„ველოცავ დიდი ჯიხაიშის საზოგადოებას ფოსტა-ტელეგრაფის დაარსებას. ერთი ნაბიჯით წინ ვიქნებით.

ნიკო\*.

1 აქ და ქვემოთ დასახელებული წერილის დედნები ინახება ნ. ნიკოლაძის სახლ-მუზეუმში.

1912 წელს დიდი ჯიხაიშის საზოგადოებამ სასოფლო ურილობაზე გადაწყვეტილება გამოიტანა, რომ ჯიხაიშში დაარსებულიყო უმაღლესი დაწესებულება სასწავლებელი. თხოვნა და ურილობის გადაწყვეტილება სოფელმა წარუდგინა ქუთაისის გუბერნიის სახალხო სკოლების დირექტორს, მან კი ეს საქმე კავკასიის ოლქის განათლების მხრდეველს გადაუტანა. ამ უკანასკნელმა დასაბულებული საქმე პეტერბურგს — განათლების სამინისტროში გაგზავნა.

სოფელს აინტერესებდა თავისი საქმის ბედი. იმხანად ნიკო ნიკოლაძე დიდ ჯიხაიშში იყო და პეტერბურგს მიემგზავრებოდა, მივმართეთ ნიკოს, რომ უმაღლესი დაწესებითი სასწავლებლის დაარსების საქმე მოეგვარებინა სამინისტროში. ნიკომ სიამოვნებით მიიღო ჩვენი თხოვნა და აღგვითქვა: როგორც კი ზავალ პეტერბურგში, გავიგებ საქმის ვითარებას.

1913 წლის 29 მაისის თარიღით, ნიკოსაგან მივიღე წერილი, რომელშიც ჯიხაიშის უმაღლესი დაწესებითი სასწავლებლის დაარსების შესახებ მწერდა:

... დღეს გადაწყდა საბოლოოდ ამ საქმის ბედი და ჩემი აჰამდის მეუღლინობა სულ მარტო იმაში მდგომარეობდა, რომ ხან ერთ კანცელარიაში მესხეწნა და ხან მეორეში. მარტო გუშინ დამატყიეც სახელმწიფო სათათბიროში განათლების სამინისტროს სმეტა და სამინისტრომ გადაწყვიტა, რომ წრებანდელი ფურცლებიდან ქუთაისის გუბერნიას არა ერგვათარაო.

ქვემოთ წერილში ნიკო განმარტავდა, თუ რა მიზეზის გამო თქვა სამინისტრომ უარი ჯიხაიშში უმაღლესი დაწესებითი სასწავლებლის დაარსების შესახებ.

ხალხმა, მზორად თავისი საშუალებებით შეძლო 1915 წელს აღნიშნული სასწავლებლის დაარსება.

სოფლად ნიკო ნიკოლაძის ჩამოსვლა ყველასათვის სასიხარულო იყო. მიინახავს, რა ხალხით მიდიოდნენ გლეხები ნიკოსთან; მიდიოდნენ იმ ფიქრით, რომ ნიკო ბევრ კარგს გვეტყვისო, რჩევა-დარიგებას მოვეცემსო, ნიკოსაგან რამეს ვისწავლითო... ნიკოც ყველას თავაზიანად და პატივისცემით იღებდა, ყველას გულისხმიერად ესაუბრებოდა საყოფაცხოვრებო და სამეურნეო საკითხებზე. ათეადიერებინებდა თავის მეურნეობას და ურჩევდა ყველას, გადაეღოთ იქიდან ყოველივე კარგი და სისარგებლო. გლეხებიც ცდილობდნენ, რამდენადაც შეეძლოთ, ნიკოს ბევრ-

ნეობის მავალითვე გაეუმჯობესებინათ თავიანთი მეურნეობა. საზოგადოებრივი ცქცქვითობისათვის გონებაგახსნილი ადამიანებიც ურჩევდნენ თავის ახალი შთავონებებითა და ინტერესებით ბრუნდებოდნენ მისკან.

ნიკო ზნორად გვიანახავს სასხლავით ხელში, თავს დასტრიალებდა თავის ნარგავეებს. თობისა და ბარის ზმარებაც კარგად ემარჯვებოდა.

ერთხელ უტხოვითიდან დაბრუნებული ნიკო იანეთის ბაქანიდან ეტლით შინ მიდიოდა. ეტლში ირი შეფუთული ნერგი ედო. გზადმიმავალი რომ დამინახა, ეტლი შეჩერებინა. ერთმანეთს გავესაუბრეთ. ნერგების შესახებ რომ ვკითხე, — იტალიური ჰადრებიო, — მითხრა. ნერგებიც კიშკართან დარგო და ახლა უკვე დიდი ხეებია.

ბევრს უტხოვნია ნიკოსთვის სადმე სამუშაოზე მოწყობა და ცხოვრების ნათელ გზაზე დაუენება.

ნიკოც ყოველთვის მზად იყო დახმარებოდა ახეთებს, რითაც შეეძლო.

ბოლოს ხანებში ნიკო ფრთხილად მოღვაწეობდა (ფრთხილს ჰქვამის თავი იყო.) თავისუფალ დროს ჯიხაიშში ჩამოდიოდა. ნახულობდა თავის მეურნეობას, რომელიც წინათ ნიკოსგან სულ საჩუქრებს თხოვლობდა, მაგრამ ამაჰამდ იმდენად მოღონიერებული იყო, რომ შეეძლო ნიკოსთვისაც ესამოვნებინა თავისი დოვლათით.

უკანასკნელად ნიკო ენახე მენშევიკური წყობილების პირველ დღეებში. დიდი ჯიხაიშის ფოსტაში იყო და ტელეფონის პირდაპირი ხაზით თბილისს ელაპარაკებოდა. ლაპარაკი რომ გაათავა და მობრუნდა, დამინახა. მოვიდა ჩემთან და გამომხსაუბრა. შემფოთება ეტყობოდა, მაგრამ ამის შესახებ არაფერი უთქვამს.

რამდენიმე ხნის შემდეგ გავიგე, რომ ნიკოსთვის მთავრობას დაევალებინა ლონდონში წასულიყო და კითხურის მარგანეტის საქმე მოეგვარებინა რომელიმე კომპანიასთან.

ნიკო ლონდონში წავიდა. მისი აქ არყოფნის დროს ბევრი რამ შეიცვალა. საქართველოში მენშევიკური წყობილება დაემხო და საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა.

რამდენიმე წლას შემდეგ ნიკო ლონდონიდან დაბრუნდა, მაგრამ დაუბრუნებელი. დიდ ჯიხაიშში არ ჩამოსულა. ცხოვრობდა თბილისში, სადაც, ლრმამოხუტეებაში მყოფი, გარდაიცვალა 1928 წელს.

ნიკო ნიკოლაძე ყოველთვის საზოგადო საქმეებით იყო გართული და თავისი სახელოვანი სიოცხლის უკანასკნელა წლებიც მას შესწირა.

## ლევან მოთუას მოთხრობები



ვიდრე საზოგადოება ლ. გოთუას დიდტანიონ რომანს — „გმირთა ვარაშა“ გაეცნობოდა, მანამდის იგი შეტყობილად ცნობილი იყო, როგორც დრამატურგი. ამავე დროს, იგი ავტორი იყო რამდენიმე მეტად საინტერესო მოთხრობის, რომლებიც შემდეგ ცალკე წიგნებად გამოვიდა. მაშინ კი ნათელი ვახდა, რომ ლ. გოთუა მთელი თავისი შემოქმედებითი ფუნქციით მკიდროდა დაეკუთრებულა ჩვენი ქვეყნის ისტორიულ წარსულთან. (ვაშლიანის სახით შეიძლება ჩავთვალოთ პიესა „უძლეველი“. რომელიც თავის დროზე დიდ წარმატებით იცავებოდა შარჯანიშვილის სახ. თეატრის სცენაზე).

საქართველოს ისტორიული წარსული მრავალ მწერალს იზიდავდა და იზიდავს დღესაც თავისი საინტერესო, პირქვეში და მკაცრი ამბებით. ძნელად თუ მოიძებნება მწერალი, რომელსაც ისტორიაში არ გადაებედოს და არ ესინჯოს თავის ძალა ამ დარგში. არიან ისეთი მწერლები, რომლებიც უმოთაგრესად ისტორიულ თემებზე წერენ და ზოგჯერ თუ ცდიან თავიანთ კალამს თანამედროვეობის თემატიკაში. ასეთთა რიცხვს ეკუთვნის ლ. გოთუა.

ისტორიული წარსულის სწორი ინტერპრეტაცია, ისტორიკოსებთან ერთად, ჩვენი მწერლების ვალდებულებაა. მხატვრული სიტყვის ისტორიულ სხეებზე მეტად არიან ვალდებული „შექმადილის“ მკაცრი დაცვით გადმოგვცენ ისტორიული სინამდვილე. ეს მეტად საპატიო და, ამავე დროს, ფრიად რთული საქმეა.

ისტორიულ თემაზე მიძღვნილი ნაწარმოებების შესახებ ბევრი დამწერლა და აქ სიტყვას არ გავაგრძელებთ, მხოლოდ ერთი რამ ცხადი ხდება, ისტორიულ თემაზე შექმნილი მხატვრული ტილოები, მხოლოდ და მხოლოდ მაშინ უპასუხებენ თანამედროვეობის მწვავე პრობლემებს, თუ წარსულის სოციალურ-პოლიტიკური ან იდეურ-ეთიკური საკითხები თანამედროვეობის პრიზმითაა გადატეხილი. წარსული ჩვენთვის პატრიოტული გრძნობის გაღვივებას, სამშობლოსათვის თავდადების იდეას უნდა ჭადაგებდეს წარსულში ცუცხლი უნდა ვეძებოთ და არა ფერფლი, როგორც ლ. ფომბტანგერი იტყობდა.

ლ. გოთუას მოთხრობების თემა — ეს არის ქართველი ხალხის ბედისა და უბედობის თემა,

ეს არც ცრემლნარევი სიცილში შეხშიანებულა გამარჯვების ყიფინა, რომელიც ქართველებს საუკუნეების განაელობაში მამებისა და ძმების სისხლის ფასად უჯდებოდა. ლ. გოთუას მოთხრობებში და პიესებში ჩვენი ისტორიული წარსულის შეყვითლებული ფურცლების შრიალი ისმის.

ამ ათი-თხუთმეტი წლის წინათ, როდესაც შარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრმა განახორციელა ლ. გოთუას პიესებისა — „მეფე ერეკლე“, და შემდეგ „დაეთ აღმაშენებლის“ დადგმები, იმდენად დამაჯერებლად და მიმზიდველად იყვნენ დახატული საქართველოს ეს ორი მეტად მნიშვნელოვანი ფიგურები, და, საერთოდ, გმირთა მთელი გალერეა თავიანთ მისწრაფებებთან და ღრულეულით იმდენად ზუსტად გადმოსცემდნენ ეპოქის მაჯისცემას, რომ ძნელია დაჯერებულყოფით მხოლოდ ავტორის ფანტაზიას.

ლ. გოთუას მოთხრობების წიგნმა, რომელსაც შალაბის თაროებზე დადებაც არ დასცალდა, მხოლოდნის გადააჭარბა და გამოსვლისთანავე თავისი მამზიდველი, უტყუარი, უშუალო, უბრალო და სადა ამბებითა და თხრობით გზა მონახა ხალხის გულებისაკენ. ეს, რასაკვირველია, ასეც უნდა მომხდარიყო, რადგანაც ხალხი თავისივე ისტორიას, მხატვრულად ყარკად გამოსახულ ისტორიულ ამბებს მუდამ სიამოვნებით კითხულობდა და კითხულობს დღესაც. უდავოა, რომ ეს ლ. გოთუას, როგორც მწერლის, ბრწყინვალე გამარჯვებაა.

სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის იდეა აერთიანებს ლ. გოთუას მოთხრობებს, ეს იდეა აერთიანებს მოთხრობის გმირებსაც, ნოსტრეველ გლეხს გორგასალ ნასყიდაშვილსა და გიორგი საყამეს, მხოვთ ლომთათასა და მეფე ერეკლეს, რომელთა ამბავი საოცარი დამაჯერებლობითაა აღწერილი მოთხრობებში.

ლ. გოთუას მოთხრობებში წარსული დახატულია ნათელი პერსპექტივით. მამამ შეიღისათვის თავი დასდო, იგი მსხვერპლად შეეწირა სამშობლოს. ამ დეტალში მართო ინტიმური, მშობლიური სიყვარული როდია გამჟღავნებული. აქ ნაცვენება საზოგადო საქმისათვის თავდადება, სამშობლოს უანგარო

სიყვარული. გორგასალი დარწმუნებულია, რომ ერთდროულად ორ საქმეს აკეთებს, ჯერ ერთი, საცდელს გადაარჩენს საყუთარ შვილს და, მეორეც, აღამიანს, რომლის სიცოცხლესაც იმეამად გასაცდელში მყოფი სამშობლო თხოვლობდა. ზვლინდელი გორგასალი დღევანდელი ბეჟანიათ, — გვეუბნება ავტორი და შედარებულაია არ ვერწმუნოთ მწერალს, რადგან, აბა, რომელი ჩვენთ:განის აზროვნება შეწყვეტილია იქ, სადაც ეს მწერალმა იწება და წერტილი დაესვა თბრობას?! რომელი ჩვენთ:განი არ გამოყოლია ფეხდაფეხ სათათრეთიდან განაწყამბ და გატანჯულ, მაგრამ სულით უტკბ და ქედმოუღრეც ბეჟანს?! ან კიდევ, რომელი ჩვენთ:განის ბული არ აუტყუებია უსინათლო მოხუცი ლომთათასა და ერეკლე შეფის საუბარს კრწანისის ველზე და თავისებური დასასრული არ მიუცია ამ დიალოგისათვის?! მოხუც ლომთათასა სპიხთ მეფე ერეკლეს ზომ მთელი ვრი ესაუბრება და თავის გულისწადებს უშხელს.

ღ. გოთუას მოთხრობების გვირგვინ, მართლაც რომ ღირსეული მამულიშვილები არიან, არც ერთის ზნაში, არც ერთის ქცევაში ერთი უბრალოდ ყალბი დეტალი, ყალბი ტონი არ იგრძნობა. მოთხრობებში ვერ შეხვდებით ნაძალადეგ და ყურითმოთრეულ სიტუაციებს. აქ ისტორია წარმოდგენილია მთელი თავისი სიმკაცრითა და დაუნდობლობით. წიგნში კარგია სწორედ ის, რომ გვირგვინის შინაგანი ბუნება, მათი სასიცოცხლო ინტერესები და ამ ინტერესებისათვის ბრძოლა ფართო სოციალურ პლანში გამოხატული და გადაწყვეტილი.

ემოციური და ესთეტიკური ზემოქმედებას ახდენს მკითხველზე ღ. გოთუას მოთხრობებში — „უჯგო ქარავანი“, „კრწანისის სედა“ და „უინციხის ანგელოზი“, მაგრამ თავისი დრამატული დამაბულობითა და მხატვრული სრულყოფით მაინც „უჯგო ქარავანი“ გამოიჩინება.

მე მოთხრობაში მწერალმა ერთმანეთს დაუპირისპირა ქვეიანი და გამოცდილი მხედართმთავარი გიორგი საყაძე და უბრალო, რიგითი მხეჯარი ნოსტრევილი გლეხ გორგასალ ნახუდაშვილი. ეს უკანასკნელი განასახიერებს ხალხურ სიბრძნესა და ზნე-ჩვეულებებს. იგი გლეხიკაცს ბრწყინვალე განსახიერება თავისი სიღინჯითა და შორსმჭვრეტელობით. გორგასალ ნახუდაშვილის სახეში მწერალმა თავი მოუყარა ყველა იმ თვისებას, რომლებიც ხალხს აბასიათებს: სიღინჯე, სიქველე, პირდაპირობა, შეუვალობა, მოყვარის უსაზღვრო სიყვარული და მტრის უსაზღვრო სიძულელი.

გადაწყვეტ მომენტში გორგასალი გიორგი საყაძემზე უფრო შორსმჭვრეტელი აღმოჩნდება. მაგრამ უკვე განიღლა „თითზე კბენანი“, უკანასკნელ საქმეს არაფერი ეშველება.

ღ. გოთუასი იმეამად მასთან არ იყო და განსაცდელს ასცდამ. გორგასალსაყაძე თავის რაზმთან ერთად „კლემოსს“ ციხეში აღმოჩნდა გამოშვებულად. ზნა ხსნისა მათთვის არ არის. ცალად დარჩენილი გორგასალი იმედს არ კარგავს და ავტორი ერთი შტრიხით დამახასიათებელს ზღის მის სახეს, იგი — დეკლარაციული მგელიოვი“ გარსუვლიდა იმ დილევს, სადაც მის თანამემამულეებთან ერთად მისი სისხლი და ზორცი, მისი სულისღვმა, მისი ერთადერთი დამტრირებელი, ზვლინდელი საქართველოს იმედი ბეჟანი იყო გამოშვებულად. საყუთარი სიცოცხლის ფასად გორგასალი შეიღო ხსნის და აზამ-ვეზირისათვის მისართმევე ძღვენში, ორმოცულათი ვეჟკაცის თავებს შორის, ბეჟანის თავის მავიჯობად, გორგასალს თავი გაგორდება. ბეჟანი კი საქართველოს ზნას დაუღვება და სამშობლოსკენ გამოემართება. ბეჟანი ჯერ კიდევ სათათრეთის ათაროლო მიწაზე მოახუჯებს, როდესაც მწერალი მოთხრობას ასრულებს. მაგრამ ჩვენ ამეკარად ვგრძნობთ, რომ ეს ის ბეჟანი აღარაა, რომელიც ალექსის ციხის კედლებში თავის თანამომემებთან ერთად „გაფრინული შავი მერცხალოს“ მღეროდა, არამედ ეს არის დაჯეჟკაცებულ და მომწიფებელი აღამიანი, რომელიც დროებამ მამის სასაცილოდ მოიყვანა ჭეჟანაზე და თქვენე გავრათ, ისიც ისევე პირნათლად მოიხდის ვალს ოჯახისა და სამშობლოს წინაშე, როგორც ეს ნოსტრევილი გლეხის შეიღს. გორგასალ ნახუდაშვილის ოჯახს შევტრის.

ღ. გოთუას გვირგვინი მკვეთარი, ინდივიდუალური სახეების მატარებელი არიან. მწერალი ძუნწად აღწერს გვირგვინის ფიზიკურ და ფსიქიკურ ჩვეულებს, მისი გვირგვინი მოქმედებაში, შრფხასა და ბრძოლაში არიან ნაჩვენები. ისინი მტრს მოქმედებენ, ვიდრე ლაპარაკობენ.

კრწანისის ველზე ერთმანეთს შეხვლებიან მოხუცი უსინათლო ლომთათა და მეფე ერეკლე („კრწანისის სედა“). ლომთათა აქ წლისთავზე სალოცავად და სულის მოსახსენებლად მოსულა. აქ დაეცა მისი ველები მტრთან ბრძოლაში. და აი, უსინათლო ლომთათას მეფე ერეკლე მოუახლოვდება და საუბარს გაუმართავს მას. ლომთათამ, რომელსაც ლიბრი გადაჰყროდა თავდაშვილი, გუშანით მიხვდა, ჩვეულებრივ კაცს რომ არ ეფუსაფუებოდა, მაგრამ წუთით წაბორციება სძლია და შემდებ უველაფერი თავის გზით წაეღა.

ლომთათა ერეკლე მეფეს ქვეყნის ჰირიაა და ვარაშს შეხაბებ ისე ემუსიფება, როგორც თავის მეცელეფრ მეზობელს. შემდებელი აუღლებლად წაითობს მოთხრობის უკანასკნელი აბზაცი: „წლისთავზე, მწუხრის ფასს, კრწანისის ველზე მუხმორთბმით და ხელ-

მოხვევით იღვა ორი ადამიანი. ორი მოხუცი. ერთი ვეება ტანისა და ორთავ თვალით ბრმა, მეორე კი მცირე ტანისა, მაგრამ შორსმჭვრეტელი და მით უფრო უბედური... კრწანისის ველზე ერთ ნაღველს წადო ორივე მოხუცის გული. მართალია, ამ მოთხრობაში სიუჟეტი ისე დაძაბული არაა, როგორც „უჯზო ქარავენში“, მაგრამ აქაც აშკარად იგრძნობა ლ. გოთუას, როგორც მწერლის, სიძლიერე.

გორკასალ ნასყიდაშვილისა და მოხუცი ლომთათას სახეების გაცნობისთანავე ერთგვარი სევდა გვიპყრობს. სევდა იმიტომ, რომ ვგრძნობთ, მათი ბედი და უბედობა მტკიცედაა გადაბმული მთელი ქართული ერის ბედსა და უბედობასთან, მაგრამ, ამავე დროს, მტკიცედ გვჯერა: საქართველომ თუ ამ დრომდე მოადრწია, ამას ხალხი თავიანთ შეილებს, ერთგულ შეილებს, ქირში და ლინში მოზიარე შეილებს, იმავე გორკასალსა და ლომთათას ნაფიქრს უნდა უპალოდეს. აი, რატომ გვიზიდავს, ლ. გოთუას მოთხრობები.

შეტად ექსპრესიულია და შთაბეჭდილი მოთხრობა „ყინცივისს ანგელოზი“. რა უბედლო და შეუდარებელი ყალბის მოსმით არის დაზატრული ლეღა ფანასკერტელის სახე. რამდენი მომიხილავთა და ქალწულური კდება ამშვენებს თითქოსდა ერთი შეხედვით მამასავით გულგორბისა და უტყუ ადამიანს. კითხვებში და გჯერათ, რომ ლ. გოთუამ შეძლო ასე მომიხილავდ მუნჯი ხელოვანის ფუნჯი „აემეტყველებინა“ და „უნა აუღდა“ მისთვის. მუნჯის ბუერ ხელოვანს „აემეტყველებია“, მაგრამ, მკონი, გვეს არ უნდა იწვევიდეს ის ამბავი, რომ „ყინცივისს ანგელოზის“ მყვალში ძენიდა თუ ვინმე შეედრება. კითხვობთ ვერ კიდევ დაუშთავრებულ სურათს და უჩვეულო სევდა გიპყრობთ. გსურთ შეადაროთ იგი ათას სხვა ნაწახსა და გაცონილს; ერთი რამ ნათელია, ვერავითარი ძალა ვერ წაშლის თქვენს გონებაში ფანასკერტელს გვარის ამ „უკანასკნელი მომიკანის“ ღირსებითა და დრამატუზმით აღსავსე სახეს, რომელიც ეს-ესაა დააარულა უტყუმა ხელოვანმა გალავანზე გამოხატული სურათის სახით.

ამ მოთხრობაში ერთმანეთს ერწყმის ღირსებითა და შიდადრამატუზმით აღსავსე სიტუაციები, მაგრამ ეს შერწყმა შეტად ბუნებრივია და ყველა ჩვენგანს სჯერა ვგრძობს. ლეღას სახეს ორგვარად გვაცნობს მწერალი, ერთი პირად ცხოვრებაში და მეორე — სურათზე, სურათზე, რომლის შექმნაშიც მთელი თავისი შემოქმედებითი ცეცხლი ჩააქოვავა მუნჯმა მხატვარმა. ორივე სახე შეინანიშნავდ ერწყმის ერთმანეთს.

გარკვენი უშფოთვლობის ნიღბი ვერ ფარავს შიომ ფანასკერტელს გორბისა და რამდენადმე განერტულებულ სახეს. ლეღა მისი გვარის უკანასკნელი შთამომაველია, შიომის

სახეს ავსებს და ორგანულად ესისხურორცება მისი ასულის — ლეღას სახე.

ლ. გოთუა სოციალურ საფუძველზე წარმოქმნილ სიტუაციების ოსტატაა. მან ქრწანისის თაგისი რომინით („გმირთა ვარამი“) ნათლვო, რომ იგი შესანიშნავად ფლობს ისტორიული ამბების გადმოცემის სხვადასხვა ხერხს ერთნაირად შესწევს მას უნარი, გადავიწროლოს ისტორია დიდ ტროზე, და პატარა მოთხრობაში, სადაც გამოყვანილი იქნება „ბერი და ვრი“. ერთი უმნიშვნელო ამბავი მხატვრული სიძლიერით ფართო განზოგადების სიმძლავრედ აქყავს მწერალს.

რასაკერძეულია, ყოველივე ამას ლ. გოთუა ახერხებს თავისებური დამახასიათებელი ენიტა. გამწვიერებლად და სადა სტილი, მოკლე ლაკონური ფრაზები, ძარღვიანი ქართული, რაც დიდ ემოციურ ზეგავლენას ახდენს მკითხველზე, მოთხრობის გმირებს დიდ გამოშახველობით ძალასა და სოციალურ სიმზავილეს ანაქებს. მოთხრობებში ყველა წინადადება მაქსიმალურადაა დატვირთული შინაარსობრივად და თუნდაც ერთი ფრაზის ამოვლება ტექსტიდან საგრძნობლად დააკოვლებდა მთელ მოთხრობას. ემოციურია და ერთ მთლიან მუსიკად ისმის ასეთი ფრაზა: „იდიდება შენდა ღმერთი! მძარჯვარი ისაა თავიდაც, ხოლო გულზე შევიღებელი სობრახის არტახი ისე უეცრად შემოაწყვდა, რომ შებოროტდა კიდევაც. სული მოიბრუნა და თავის ასულს ფესმონქარებით გაჰყვა“. ეს ხომ ისეთივე ტკბილად დასამახსოვრებელი ფრაზაა, როგორადაც კარგი ლექსი დაგვისწავლია.

რამდენიმე სიტყვით გვესურს შევეხოთ ლ. გოთუას მხატვრულ ნარკვევებს. ნარკვევები ეხება ისევე და ისევე წარსულის ისტორიას. აქ მწერალი საუკუნეების განმავლობაში გამოქვაბულებსა და მოუვალ ადგილებში დრო-გამსვლან მივიწყებულ მასალებსა და ისტორიული ექსპონატების გამოშვებულობითა გიტაცებული. ნარკვევებში მწერალს საყვოთარ გვართან ერთად ენობლი მთასელებებისა და მწერლების გვარები რომ არ ჰკონდეს დასახელებული, ძენლად თუ მივიჩნევდით მათ ნარკვევად; ეს მხოლოდ ნარკვევის მხატვრულ სრულყოფასა და სიძლიერებე მიუთითებს.

ლ. გოთუას მოთხრობები ერთხელ კიდევ ჩავიხედებს ჩენი ქვეყნის ისტორიულ წარსულში, როდესაც ჩენი მამა-პაპანი, მუშაობის დროსაც კი იარაღსხმულნი, მიხვედობდნენ კეღში გუთანს ყველაფერდ ეს ისე კარგად, მიმზილველად და დიდი მხატვრული სიუხლით აქვს გადმოცებული მწერალს, რომ ეჭვი არ გვეპარება, „უჯზო ქარავენის“ აეტორი შემდგომშიც ბუერ კარგ მოთხრობას შესძენს ქართულ მწერლობას.

ნოდარ რუხაძე

# ახალი ქართული გრამატიკული ნაშრომი



საქართველო  
ზოგლიერობა

თუ ერთმანეთს შევადარებთ, ერთი მხრივ, ქართული ენის მორფოლოგიას და, მეორე მხრივ, სინტაქსის სახელმძღვანელოების არსებობის თვალსაზრისით, დავინახავთ, რომ მორფოლოგიაში ამ მხრივ საქმე საკმაოდ მოგვარებულია არა მარტო საშუალო სკოლების ხაზით, არამედ უმაღლესი სასწავლებლებში ფარგლებშიც, მაგრამ ეს არ შეიძლება ითქვას სინტაქსის შესახებ. ამ ბოლო დრომდე არსებობდა მხოლოდ ერთადერთი სახელმძღვანელო სინტაქსისა საშუალო სკოლებისათვის (ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკა, ნაწ. II, სინტაქსი), რომელიც შედგენილია საშუალო სკოლის პროგრამის მიხედვით, გამოდის ყოველწლიურად და სავსებით უზრუნველყოფს ამ სკოლების მოთხოვნილებას. რაც შეეხება პედაგოგიურ სასწავლებლებს, მათთვის უკანასკნელ ხანებამდე სინტაქსის სახელმძღვანელო არ ვაგვაჩნდა. სწორედ ამიტომ მნიშვნელოვანი მოვლენა იყო ჯერ კიდევ 1956 წ. პედაგოგიური სასწავლებლებისათვის ლ. კვაჭაძის ქართული ენის სინტაქსის სახელმძღვანელოს გამოცემა. გარდა იმისა, რომ ამ გამოცემის ტირაჟი (2000 ეგზ.) ძალიან მცირე იყო და იგი წიგნის ბაზარზე სულ მცირე ხანსაც არ დარჩენილა, ამასი რამდენიმე ძირითადი საკითხი სრულებით არ იყო განხილული, ზოგი საკითხი კიდევ არასაკმარისი სისრულით იყო წარმოდგენილი.

დოც. ლ. კვაჭაძის ეს სახელმძღვანელო, როგორც პირველი გამოცემის ბოლოსიტუაციაში მიუთითებდა ავტორი, „დიდ ნაწილში შეიცავს პროფ. ა. შანიძის სასკოლო გრამატიკით შესწავლილ მასალის უფრო ვრცელ და სრულად გადმოცემას. საკითხების ერთი ნაწილი შიგ სრულად ახალია. სიზუსტეა შეტანილი ზოგიერთი საკითხის გაშუქებაში“.

სარეცენზიო გამოცემა გადამუშავებულია და დიდად შესევებული. სახელმძღვანელოში ზოგი საკითხი ახლებურადაა გაშუქებული, ზოგიც კიდევ პირველად აქა დასმული.

წიგნი ოთხი ძირითადი ნაწილისაგან შედგება: 1. მარტივი წინადადება, 2. შერწყმული წინადადება, 3. განკერძოებული წევრები წინადადებაში. წინადადებასთან გრამატიკულად დაუკავშირებელი სიტყვები და გამოთქმები და 4. რთული წინადადება.

წიგნს დამატების სახით ერთვის კიდევ ერთი განყოფილება — სასვენი ნიშნები, რომელიც არანაკლებ მნიშვნელოვანია, ვიდრე ჩამოთვლილი ნაწილები. ეს განყოფილება, შეი-

ცავს რა სასვენი ნიშნების ხმარების ნორმებს, ამავე დროს წარმოადგენს წიგნის ერთგვარ დასკვნას, ე. ი. წიგნის ეს განყოფილება რაღაც თვითმიზანს კი არ ემსახურება, არამედ იგი ხელს უწყობს სინტაქსის ცალკეული საკითხების გააზრებულად შესწავლას, რადგანაც პუნქტუაცია მკიდროდ არის დაკავშირებული გრამატიკასთან (resp. სინტაქსთან). პუნქტუაციის წესების შესწავლა, როგორც სახელმძღვანელოშია მოითხოვებული (გვ. 295), ძირითადად სწორედ სინტაქსის კერძის შესწავლასთან დაკავშირებით ხდება. თავის მხრივ, სინტაქსი აადვილებს პუნქტუაციის წესების დოქტრინას და მათს წარმატებით გამოყენებას.

წიგნის პირველი ნაწილი — მარტივი წინადადება — არ წარმოადგენს მხოლოდ მარტივი წინადადების ანალიზს, არამედ აქვეა განხილული სინტაქსის ზოგადი საკითხები, რამდენადაც ის ამ სახის სახელმძღვანელოში არის საჭირო. აქ იგულისხმება სინტაქსის საგნის განსაზღვრა, სინტაქსური კავშირი, სიტყვათა წყობის მნიშვნელობა სინტაქსური კავშირისათვის, სინტაქსური წევრები, სიტყვათა შეკავშირების ტიპები წინადადებაში, სიტყვათა ჯგუფები სინტაქსური თვალსაზრისით და სხვ.

პირველსავე ნაწილშია დახასიათებული წინადადება შინაარსის მიხედვით. შემდეგ განხილულია წინადადების წევრები და მათი გამოხატვის საშუალებანი. ავტორს, სამართლიანად, წინადადების მთავარ წევრებად მიიჩნია არა მხოლოდ შემასმენელი და ქვემდებარე, როგორც ეს სხვა ენებშია ვაგებული, არამედ შემასმენელი და მასთან პირთ დაკავშირებული წევრები (ქვემდებარე, პირდაპირი დამატება და ირბი დამატება). ამიტომ მარტივ წინადადებაში, როცა ზნა-შემასმენელი სამპირიანია, შეიძლება წარმოდგენილი იყოს ოთხი მთავარი წევრი.

წინადადების მთავარი წევრების დახასიათებას მისდევს მეორეხარისისოვანი წევრების ანალიზი. აქ, პირველ გამოცემასთან შედარებით, სიახლეს ეაწყდებით როგორც საკითხთა გაშუქების თვალსაზრისით, ისე მათი გადმოცემის თანამიმდევრობის მხრივაც.

პრედიკატული განსაზღვრება სახელმძღვანელოში პირველად არის შეტანილი. საკითხის მეცნიერულად შესწავლა ავტორს ევთენის, თუმცა აღნიშნულ საკითხზე სამეცნიერო ლიტერატურაში ადრეც იყო გამოთქმული მოსაზრებანი (ი. იშნაიშვილი, შედგენილი შემასმენელი ქართულში: ა. ს. პუშკინის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, V, 1948 წ.; იხ. აგრეთვე მისივე მონოგრაფია: სახელთა ბრუნება

ლ. კვაჭაძე, ქართული ენის სინტაქსი-რედაქტ. პროფ. ა. შანიძე, 1958

და ბრუნავთ ფუნქციები ძველ ქართულში, 1957 წ.; ა. ლ. ო. ნ. ტ. ი, ატრიბუტივანი შე-  
 მასმენელი ქართულში: სტალინის სახელმწი-  
 ფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, II, 1955 წ.). საანალიზო სახელმძღვანელო და  
 უფრო ადრე გამოქვეყნებულ ავტორისავე ვა-  
 მოკვლევაში (მიმღობისა და სახელის ზოგი-  
 ერთი ფორმის სინტაქსური კვალიფიკაციისათ-  
 ვის, ეტრნ. კომუნისტური აღზრდისათვის, № 12, 1957 წ.) საკითხი ორიგინალურად არის  
 ახსნილი და მისი ანალიზიც უფრო დაწერი-  
 ლებით არის მოცემული. უფროაღმა არის  
 განმარტებული იმზე, რომ პრედიკატული  
 განსაზღვრება ქვემოთხსენებულ ან დამატების  
 მომენტურ განსაზღვრებას წარმოადგენს. იგი  
 ზნა-შემაშენებლთან არის დაკავშირებული და  
 საგანს ახასიათებს ზნით გამოხატული მოქმე-  
 დების შესრულების მომენტთან დაკავშირებით  
 (ილია ვა ხ ა რ ე ბ ე ლ ი გამოვიდა ვარეთ).  
 სახელმძღვანელოს პირველი ნაწილი მთავრ-  
 დება სიტყვათა რიგის ანალიზით მარტივ წი-  
 ნადადებაში. ეს საკითხი ახალია. ის არც პირ-  
 ველ გამოცემაში ყოფილა შეტანილი. არსე-  
 ბობს რამდენიმე ცნობა წინადადების ზოგი-  
 ერთი წევრის ადგილის შესახებ, მაგრამ აღ-  
 ნიშნავს, რომ საზოგადოდ ქართულში სიტყ-  
 ვათა რიგი თავისთავადია. როგორც სახელმძღ-  
 ვანელოდან ვხედავთ, ეს მთლად ასე არ არის  
 და საკითხის შესწავლას შეიძლება გარკვეული  
 პერსპექტივა ახლდეს.

სახელმძღვანელოს მეორე ნაწილში მოცე-  
 მულია მერწყული წინადადების ანალიზი,  
 ახსნილია ერთგვარი წევრების ბუნება, დახა-  
 სიათებელია მათგანული კავშირები და შემ-  
 დგა — განმარტებული სიტყვები ერთგვარ  
 წევრებათა.

შემდეგ ნაწილში, სადაც დახასიათებულია  
 ვანერმოებული წევრები წინადადებებისა წი-  
 ნადადებისათვის გრამატიკულ და ფიგურირებუ-  
 ლი სიტყვები და გამოთქმები, განსაკუთრე-  
 ბულ ყურადღებას იმსახურებს მიმართვა.

სახელმძღვანელოს არც მეოთხე ნაწილია  
 მოკლებული გარკვეულ სიახლეს. რთული წი-  
 ნადადების ყველა სახეობის დახასიათების  
 შემდეგ მოცემულია ის ზოგადი წესები, რომ-  
 მელთა მიხედვითაც შესაძლებელია რთული  
 ქვეწყობილი წინადადების შეცვლა მარტივით  
 და მარტივისა რთულით. ეს საკითხი საზოგა-  
 დოდ ახალი არ არის, მაგრამ ასე ვრცლად  
 მისი ანალიზი აქამდე არაის მოუცია, თანაც  
 სახელმძღვანელოს პირველ გამოცემაში იგი  
 სრულებით არ ყოფილა.

ყოველივე აღნიშნულს შემდეგ შეიძლება

დავასკვნათ, რომ საჩუქრული წიგნი შედგენი-  
 ლია პროგრამის მიხედვით და ქვეყნულად  
 სრული ამ სიტყვის მნიშვნელობაში  
 მხარე პირველ გამოცემაში არსებული ხარვე-  
 ზი მეორე გამოცემაში აღარ გვხვდება.

საანალიზო სახელმძღვანელო იმ მხრივაც  
 არის მნიშვნელოვანი, რომ მასში წარმოდგე-  
 ნილი ქართული ენის სინტაქსური ნორმები და  
 დასკვნები არ ტოვებს ნაძალადევის შთაბეჭ-  
 დლებას, რადგან ყოველი ენობრივი ნორმა  
 უპირავე ფაქტური მასალის ანალიზიდან არ-  
 ის მიღებული. ავტორი საანალიზო მასალის  
 მოძებნისას არ კმაყოფილდება ქართული ლი-  
 ტერატურის კლასიკოსთა ვიწრო ჯგუფის და-  
 მოწმებით, არამედ აქ გვხვდებით 50-მდე ქარ-  
 თველი კლასიკოსისა და არაკლასიკოსის ნა-  
 წარმოებებიდან მოტანილ ნიმუშებს. რაგვ  
 უნდა ითქვას საუარჯიშოებში წარმოდგენილი  
 მასალის შესახებაც.

აღსანიშნავია, რომ საუარჯიშოები სწორად  
 და მოხდენილად არის შედგენილი. ისინი ყო-  
 ველმხარე ზელს შეუწყობენ მოსწავლეებს  
 სინტაქსისა და პუნქტუაციის საკითხების შეგ-  
 ნებულად შესწავლაში.

სასურველი იყო წიგნის პირველ ნაწილს  
 (მარტივი წინადადება) შესავლის სახით გამო-  
 ყოფიდა სინტაქსის ზოგადი საკითხები: სინ-  
 ტაქსის საგნის განსაზღვრა, სინტაქსური კავ-  
 შირი, სინტაქსური დამოკიდებულების სახე-  
 ვი და თვით წინადადების, როგორც სინტაქ-  
 სის საგნის, ზოგადი განმარტება.

მიუხედავად ამისა, რომ სახელმძღვანელო-  
 ში შეტანილ ზოგიერთ საკითხზე (მაგ.: სიტ-  
 ყვათა რიგი მარტივ წინადადებაში) ლიტერა-  
 ტურა თითქმის არ არსებობს, მაინც შეიძლე-  
 ბოდა მათი უფრო შემოკლებით გადმოცემა.  
 სამეტირად აჯობებდა სახელმძღვანელოში  
 უფრო ვრცლად ყოფილიყო წარმოდგენილი  
 შერეული სახის რთული წინადადება და მარ-  
 ტივი წინადადების შეცვლა რთული ქვეწყო-  
 ბილი წინადადებით.

31-ე გვერდზე მოთავსებული § 19. შავალ-  
 წერტილი შეიძლება არ ყოფილიყო სახელ-  
 მძღვანელოში, რადგან წიგნის დამატებაში  
 (გვ. 297) ასეთი პარაგრაფი განმეორებით  
 არის წარმოდგენილი.

ღოც ლ. კვაჭაძის „ქართული ენის სინტაქ-  
 სი“ სახელმძღვანელო, პედაგოგიური სასწავ-  
 ლებებისათვის, მეგრამ იგი. ეფიქრობთ. დაა-  
 კმაყოფილებს უმაღლეს სასწავლებლებში და-  
 წყებით განათლების ფაულტეტის მოთხოვნი-  
 ლებას. მას წარმატებით გამოიყენებენ აგრე-  
 თვე სხვა ფაულტეტის სტუდენტებიც.

## ახალი წიგნები



### საბავშვო მწერალი

- ანტონ ფურცელაძე — მაკი ზვიტია. რედ. ა. ვაბესკირია. გვ. 266, ფასი 6 მან. 50 კაპ.  
ლადო ავალიანი — ნოქლეები. რედ. თ. კობლაძე. გვ. 210, ფასი 3 მან. 15 კაპ.  
ემანუელ ფიფინი — მზუნია. თარგმანი თინათინ ჯავახიშვილისა. რედ. ნ. ხოჭო-  
რაძი. გვ. 90, ფასი 1 მან. 45 კაპ.  
ივანე კერესელიძე — ლექსები. რედ. თ. კობლაძე. გვ. 48, ფასი 85 კაპ.  
გიორგი ქავთარაძე — სიცოცხლის სივუარული. რედ. ი. ნონეშვილი. გვ. 42, ფასი 70 კაპ.

### სტალინის სახელწოდების თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა

- თბილისი 1500 — საიუბილეო კრებული. პ/მგ. რედაქტორი ს. ელენტი. გვ. 298, ფასი 25 მან.  
ილია ჭავჭავაძე ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაში — წიგნი 2. რედაქცია და შენიშვნები  
ი. ბოცეაძისა. გვ. 344, ფასი 14 მან.  
ნ. ფურცხვანიძე — დანაშაული შრომითი ურთიერთობის სფეროში. რედ. ე. ნეიძე. გვ. 162,  
ფასი 7 მან.  
ნ. ტყეშელაშვილი — ნარკვევები საქართველოს შრეწველობის ისტორიიდან. რედ. ა. ფანცხა-  
ვა. გვ. 186, ფასი 8 მან.  
გ. ხაჭაპურიძე — შრომები 2 წ. რედ. ა. კიკვიძე. გვ. 380, ფასი 18 მან. 12 კაპ.  
ა. ხარაძე, ვ. კელიძე, მ. ხვედელიძე, ი. ქარცვაძე — მათემატიკური ანალიზის კურსი. რედ.  
ა. ხარაძე. გვ. 386, ფასი 11 მან. 30 კაპ.  
ბ. გურგენიძე — ელექტროდინამიკა. რედ. ი. შირცხელაძე. გვ. 382, ფასი 11 მან.  
ნ. უსლები — საბჭოთა კავშირის წყლის მეურნეობა. რედ. მ. საბაშვილი. გვ. 398, ფასი 9 მან.  
80 კაპ.

ფასი 8 ლ.

8



ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ХУДОЖЕСТВЕННО-  
ЛИТЕРАТУРНЫЙ ЖУРНАЛ

„МНАТОБИ“

ГОСУДАРСТВЕННОЕ ИЗДАТЕЛЬСТВО  
ГРУЗИНСКОЙ ССР

«САБЧОТА САКАРТВЕლო»